

675-1  
1984



ISSN—0132-6066

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ენისა  
და  
ლიტერატურის  
სერია

2.1984

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

2.1984

ქრნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ხ. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1984. № 2.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 16.2.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.10.1984;  
ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 17.5; სააღრიცხვო-  
საეამომეცმლო თაბახი 16.2; ტირაჟი 1750; უე 15451; შეკვ. 537; ფასი 1 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мешниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაპარსი

წერილები

მ. განეჩილაძე, ვ. კოტეტიშვილი ლიტერატურის კრიტიკოსი და ჰელეკარი	5
მ. იამანაძე, ა. ბუციას „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის გამო	21
ნ. ჩიტაური, მარიათა ხოსე დე ლარას მოთხრობათა ილია ჭავჭავაძისეული თარგმანების გამო	34
ბ. არველაძე, საიათნოვა და იონა ზელაშვილი	47
რ. ფირცხალაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ	59
ა. გაწერელია, ავგუსტინე და საქართველო	79
დ. შელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის წარმოშობისათვის ძველ ქართულში	99
კ. ჭრელაშვილი, წოვთფურთი ზმნის უღვლილების სისტემა	106
ტ. გურგენიძე, მრავლობითობის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოშობის ზოგადი პრინციპები	114
გ. კარტოზია, სიბილიანტა შესატყვისობის დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში	130
ი. ზიცარი, რეკონსტრუქციები ბასკური ენის კალენდარულ ლექსიკაში	145

ცნობები და შენიშვნები

ს. მურავიოვი, ძველი ქართული ანბანის ასოთა რიგი	160
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რ. სტივენსონი, პასუხი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე	177
ი. ბოროლინა, ვ. ნიკიტინა, მნიშვნელოვანი ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებაში	187
მ. პაიქაძე, საყურადღებო ნაშრომი ტექსტის კვლევის რაოდენობრივი მეთოდის შესახებ	189

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	191
კონკრსი ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებზე	199
ახალი წიგნები	199

## СО Д Е Р Ж А Н И Е

### Статьи

М. А. Гачечиладзе, В. Котетишвили — критик и исследователь литературы	5
М. П. Яманидзе, О переводе И. Чавчавадзе «Изы» А. Буве	21
Н. Л. Читаури, Переводы Ильи Чавчавадзе рассказов Мариано Хосе де Ларры	34
Б. В. Арвеладзе, Саят-Нова и Иона Хелашвили	47
Р. В. Пирцхалашвили, Первый печатник поэмы «Витязь в барсовой шкуре» — Микел	59
А. К. Гацерелиа, Августин и Грузия	79
Д. Н. Меликишвили, К происхождению некоторых союзных слов и частиц в древнегрузинском языке	99
К. Т. Чрелашвили, Система спряжения бацбийского (цоватушинского) глагола	106
Т. Н. Гургенидзе, Категория множественности в личных местоимениях и общие принципы ее образования	114
Г. А. Картозия, К объяснению нарушений сибилантных соответствий в картвельских языках	130
Ю. В. Зыцарь, Реконструкции в области баскской календарной лексики	145

### Сообщения и заметки

С. Н. Муравьев, Порядок букв древнегрузинского алфавита	160
---	-----

### Критика и библиография

Р. Стивенсон, Ответ на критику английского перевода «Витязя в барсовой шкуре»	177
И. В. Боролина, В. Б. Никитина, Новый вклад в филологическую науку	187
М. Г. Пайчадзе, Заслуживающий внимания труд о количественном методе исследования текста	189

### Хроника и информация

В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	191
Конкурс работ молодых ученых	199
Новые книги	199

გ ა ვ ვ ა ლ ა გ ა ჩ ი რ ი ლ ა მ

3. კოტეტიშვილი ლიბერატურის კრიტიკოსი და გავლენიანი

17.8.71

3. კოტეტიშვილის ლიბერატურული მოღვაწეობის დასაწყისი მისი სტუდენტობის პერიოდს ემთხვევა. ვაზ. „სახალხო გაზეთსა“ და ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული იმდროინდელი მისი სტატიები არ იყო აღწერილობითი ან რეფერატული ხასიათის და არც უმწიფრობის დაღს ატარებდა. ნაშრომებში იგრძნობოდა ავტორის ორიგინალური ხედვის უნარი. ისინი ყურადღებას იპყრობდნენ საკითხის დასმისა და მისი გადაწყვეტის სითამამით, ლოგიკური მსჯელობის თანმიმდევრობით და სიზუსტით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ვ. კოტეტიშვილს საყურადღებო არაფერი გამოუქვეყნებია პრესაში. იგი ამ დროს პედაგოგის საპატიო მოვალეობის აღმსრულებელი გახლდათ და სკოლების ნაციონალიზაციისათვის წარმოებულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ახალგაზრდა პედაგოგი მთელ თავის ენერგიას მომავალი თაობის ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის საქმის წარმატებით მოგვარებას ახმარდა. მაგრამ დამყარდა თუ არა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ვ. კოტეტიშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა უწყყმანოდ მიიღო რევოლუცია და გაბედულად დადგა საბჭოთა პოზიციებზე. ის ერთი იმთათაგანი იყო, ვინც ახალი ქართული საბჭოთა კულტურის სათავეებთან შემოქმედებითი გზების ცეცხლს ანთებდა, მშობლიური სიტბოთი და სიყვარულით იღვწოდა თავისი პატარა ქვეყნის დიდი კულტურისათვის და მისი მომავლის ნათელ ფართო პორიზონტებს ეგებებოდა. ეს მან უშუალოდ თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა. პირველი დღეებიდანვე მთელი არსებით ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ კულტურულ საქმიანობაში.

ვ. კოტეტიშვილის მიერ გადადგმული პირველი ქმედითი ნაბიჯები საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობისა იყო ღრმად გააზრებული და თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაზრისით სწორად გადაწყვეტილი. იგი იყო ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი (იდეოლოგიის დარგში) 1921 წელს მ. აბრამიშვილისა და ობოლი მუშის (სოლომონ თავაძე) ინიციატივით დაარსებულ ჟურნალ „ხელოვნებისა“. მას ეკუთვნის ჟურნალის მოწინავე წერილი. რომელშიაც ვერ შეხვდებით ვერც ერთ ორანზროვან სიტყვას ან წინადადებას. იგი არის მკაფიო, ნათელი წერილი და ამავე დროს გაბედული მოწოდება ახალი საბჭოთა ხელისუფლების მხარდამხარ შრომისა და არსებობისა. მასთან მჭიდრო კავშირისა და რევოლუციის მონაპოვრის მოვლა-პატრონობისა.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ვ. კოტეტიშვილი თავდაუზოგავად ემსახურება ახალი სოციალისტური კულტურისა და საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეს. იგი აქტივისტთა რიგებშია და ძალ-ღონეს არ იშურებს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული საქმეების მოგვარებაში.

ს. ქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
გეგლითი თქმა

გებისათვის. 1921—1927 წლამდე ვ. კოტეტიშვილი ითვლებოდა ხელოვანთა კულტკავშირთან არსებული ხელოვნების მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. 1924—1930 წლებში ასრულებს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობას. 1923 წლიდან მწერალთა კავშირის პერიოდულ გამოცემათა რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრია. შემდეგ წლებში შედის ქურხალ „ქართული მწერლობის“ სარედაქციო კოლეგიაში და ა. შ.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ სრულიად ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დასახა და ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას. მან ფაქიზი და გულისხმიერი დამოკიდებულება დაამყარა სამეცნიერო დაწესებულებებთან, რათა ისინი მთელი მონღღობებით ჩაბმულიყვნენ სოციალიზმის სამსახურში, ხელი შეეწყოთ ხალხის მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის, მათი განათლება-განვითარების საქმისათვის. საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმაც ამაღლებულა იდეალებისათვის ბრძოლას დიდი ენთუზიაზმით უპასუხეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 27 თებერვალს რევკომის თავმჯდომარემ მ. ორახელაშვილმა და შ. ელიავამ ქართველ მწერალთა დელეგაციის შუამდგომლობით სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს გადასცეს ხოშტარისაეული სახლი კულტურული მიზნებისათვის. იმავე წლის 3 მარტს მწერალთა კავშირმა მოიწვია ქართველ ხელოვანთა საგანგებო კრება, რომელმაც დააარსა საქართველოს ხელოვანთა კულტკავშირი, ჩაიბარა ხოშტარისაეული სახლი და დაარქვა ხელოვნების სასახლე.

დღიდან დაარსებისა ხელოვნების სასახლეში წარმოებდა მრავალფეროვანი და სისტემატური საქმიანობა კულტურის ხაზით, რომელიც რამდენადმე ექსპერიმენტული ხასიათისა ვახლდათ, ვიდრე სასახლის ხელმძღვანელობამ არ გამოქებნა შედარებით უკეთესი ფორმები და მეთოდები სასახლეში არსებულ დაკგუფებებთან მუშაობისა.

1923 წლისათვის, როგორც საარქივო მასალები იუწყებიან, სრულიად საქართველოს კულტკავშირში შედიოდნენ შემდეგი სახელოვნო ორგანიზაციები: ა) მწერლების, ბ) მუსიკის, გ) მხატვართა და დ) თეატრ-მსახიობების კავშირები.

ხელოვანთა კულტკავშირის საქმეებს განაგებდა მასში შემავალი კავშირების გამგეობათა საზოგადო კრება და მთავარი კომიტეტი. ამ გამგეობათა საერთო კრება ტარდებოდა წელიწადში ერთხელ, სადაც იხილებოდა და წყდებოდა ყველა საკითხი. კომიტეტი იყო აღმასრულებელი ორგანო კავშირისა და საზოგადოებისაგან ჰქონდა მინიჭებული ფართო უფლებები. მთავარი კომიტეტი განაგებდა ხელოვნების სასახლეს, კავშირის ყველა საქმეებს და იყო სრულუფლებიანი რწმუნებული კავშირისა.

მთავარი კომიტეტი შედგებოდა კავშირში შემავალ ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან, ე. ი. 13 კაცისაგან. მწერალთა კავშირი ირჩევდა 7 წევრს, ხოლო დანარჩენი ორგანიზაციები (კავშირები) ორ-ორ წევრს.

ხელოვნების სასახლის ტექნიკური პერსონალი ემსახურებოდა შემდეგ ორგანიზაციებს, რომლებიც იქ იყვნენ მოთავსებული და აწარმოებდნენ სისტემატურ მუშაობას: 1. ხელოვანთა მთავარი კომიტეტი, 2. მწერალთა კავშირის საბჭო და პრეზიდიუმი, 3. პროლეტარულ მწერალთა სამდივნო, 4. პროლეტარული მწერლების რედაქცია, 5. კომკავშირული მწერლობის სალიტერატურო სკოლა, 6. ტფილისის რუს-სომეხ-თურქ მწერლობის ორგანიზაცია, 7. ქართველ



მწერალთა აკადემიური ასოციაცია, 8. „ცისფერყანწელები“ ორდენი, 9. ფუტურისტების საბჭო, 10. მწერალთა ჯგუფი „არიფიონი“, 11. ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქცია, 12. ქართველ მხატვართა საზოგადოება, 13. ქართული ფილარმონია, 14. ხელოვნების სასახლეში სისტემატურად მუშაობდნენ მხატვრები ვ. სიღამონ-ერისთავი, მრეველიშვილი, ირ. ტოფაძე, ცაგარელი და სხვ.<sup>1</sup>.

დიდხანს მუშაობდა ვ. კოტეტიშვილი ამ აპარატში და სიმაართლეს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მან თავისი განათლებით, კულტურით, ერუდიციით, საქმის ღრმად ცოდნითა და რაფინირებული გემოვნებით გარკვეული კვალი დატოვა ყველა იმ ადამიანთა გულში, ვინც კი საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებული იყო მასთან. მშრომელი ხალხის კულტურული ღონის ამალლებისა და მათი განათლება-განვითარებისათვის მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა: კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს თბილისის მუშათა უბნებში, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში; ამ მიზნით საქართველოს შორეულ რაიონებშიც კი სიამოვნებით მიემგზავრებოდა.

ვ. კოტეტიშვილის სხვადასხვა რაიონში მგზავრობის მოწმე აწ განსვენებული ს. ფაშალიშვილი განსაკუთრებული მოკრძალებით იგონებდა მეგობარს, თვლიდა რა თავისი თაობის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად. „ვახტანგთან, — ამბობდა იგი, — მაკავშირებდა სუფთა მეგობრული გრძნობა და ამიტომ შემძლიან დიდხანს ვილაპარაკო იმ ადამიანზე, რომელიც მრავალმხრივ ხიბლავდა და აინტერესებდა იმ დროის მოწინავე ინტელიგენციას. როდესაც ვახტანგი რუსეთიდან ჩამოვიდა, იგი ქართველ საზოგადოებას მოველინა, როგორც ნიჭიერი პედაგოგი და მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ლექტორი ვახდა, გამოვლინდა როგორც კარგი მკვლევარი, ღრმად და სრულყოფილობამდე მცოდნე იმ საკითხებისა, რის კვლევაც ჰქონდა მიზნად დასახული.

ლამაზი იყო, ინტელიგენტი, ქცევა და მანერები ჰქონდა დახვეწილი, კარგი ორატორი იყო, კარგი მეგობარი და ამავე დროს მომხიბლავი თამადა. მეტყველება ჰქონდა ოდნავ თავისებური, თითქოს ენას უკიდებსო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ბრწყინვალე ორატორის სახელი ჰქონოდა, მის ღრმა და აზრიან საუბარს გატაცებით ისმენდნენ, ნდომით, სურვილით.

როგორც ნიჭიერ და მცოდნე ახალგაზრდას, ხშირად აგზავნიდნენ რაიონებში სალექციო პროგრამით. ერთხელ, მახსოვს, მე და ვახტანგი ჭიათურაში მივდიოდით, მე ლექსების წარმოსათქმელად მომავალ საღამოზე, ის კი ლექციის წასაკითხად. მისმა ლექციამ ფართო საზოგადოება მიიზიდა, დიდი და პატარა ინტერესით უსმენდა“.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი სამშობლოს ხალხები ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დიდ გზაზე გამოიყვანა. საბჭოთა წყობილების დამყარებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრების განახლებამ მოითხოვა კულტურული რევოლუციის ფართოდ გაშლა... საჭირო ვახდა სულიერი კულტურის ყველა დარგი გადაქცეულიყო ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნისათვის, კომუნისტური სულისკვეთებით ხალხის აღზრდისათვის ბრძოლის იარაღად.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილი პროლეტარიატისათვის უცხო, მიუღებელ იდეოლოგიურ პოზიციებზე იდგა. ასეთი ვითარება, ბ. ელენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გადაჭრით მოითხოვდა... გაჩაღებულიყო ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგელი თაობის მწერალთა გადმოსაყვანად საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე, საჭირო იყო ლიტერატურის ფრონტზე, მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის გაშლა დეკადენტურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობათა იდეური განხიარლებისათვის. სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან ლიტერატურის კავშირის თანმიმდევრობით გაძლიერებისა და გაღრმავებისათვის“. მით უფრო საჭირო იყო ყოველივე ამის გაკეთება, რომ ტრადიციულად ერთიანი ქართული მწერლობა თანდათან დაიქსაქსა. არსებობას განაგრძობდა ზოგიერთი ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულება, იქმნებოდა სხვადასხვა დაჯგუფება და შემოქმედებითი გაერთიანება, რომელნიც საკუთარი შემოქმედებით და ახალი აზრების ძიებით გართულნი დამოუკიდებელი გზით სიარულს ამკობინებდნენ და „ის საერთო საქმე კი, რასაც ემსახურებოდა ქართული მწერლობა, როგორღაც განზე რჩებოდა“.

და აი, 1923 წელს მოეწყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მეხუთე გამაერთიანებელი კონფერენცია. მასზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მწერალთა ყველა კავშირი თუ ასოციაცია გაერთიანებულიყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელწოდებით. და ამ გაერთიანების აღსანიშნავად „ხოლოს“ ნაცვლად გამოსულიყო ვაზეთი „ივერია“.

„ივერიის“ პირველი ნომერი მთლიანად მიძღვნა აღნიშნულ კონფერენციას, ვაზეთის თითოეული სტატიის ავტორი (ლ. ქიაჩელი, ვ. იაშვილი, შ. დადიანი, ვ. კოტეტიშვილი) და კონფერენციაზე გამოსული მომხსენებლებიც (ნ. შიუკაშვილი, კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვ.) კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ „ამიერიდან სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც აერთიანებს მთელ ქართულ მწერლობას განუტრეხვლად მიმართულებისა, ღირსეულად შეასრულებს ქართული კულტურის წინაშე იმ დიდ დანიშნულებას, რომელიც ისტორიულად აქვს დავალებული ქართულ ლიტერატურას“.

ეს სიტყვიერად მიღებული დადგენილებები და რეზოლუციები რომ ვერაფერი გარანტია იყო სხვადასხვა მიმართულების მწერალთა გასაერთიანებლად, ამაში ვ. კოტეტიშვილი დარწმუნა კონფერენციის მსვლელობამ და საერთო ატმოსფერომ. მაგრამ იგი შორიდან მაყურებლად კი არ დარჩა ამ რთული სიტუაციისა, არამედ, როგორც მოეთხოვებოდა საბჭოთა პოზიციებზე მდგარ კულტურის მოღვაწეს, ლიტერატურის ფრონტზე იდეოლოგიურ ბრძოლაში ჩაება. მისი მიზანი იყო — დარწმუნების გზით იქნებოდა იგი, მათი შეცდომების მხილებისა თუ სხვა უფრო ეფექტური აგიტაცია-პროპაგანდის გზით, გაეჩანსალებინა ის ავადმყოფური კლიმატი, რაც ხელს უშლიდა მწერალთა გარკვეული ნაწილის დაახლოებას საბჭოთა სინამდვილესთან. ვ. კოტეტიშვილი იმედოვნებდა, რომ ყოველივე ეს გზას გაუხსნიდა სტიქიურად გაფანტულ და ზოგიერთ ფეხისხმას აყოლილ მწერალთა იდეოლოგიურ შემობრუნებას. ეს გადაწყვეტილება მან ქმედითად განახორციელა. არაერთხელ შეეხო ტრიბუნიდან ამ საკითხს და რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა პრესაში. ვაზ. „ივერიის“ პირველ ნომერში მოთავსებული სტატია — „ახალი თარიღი“ — აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი. ავტორი ტაქტის დიდი

გრძნობით ცდილობს რაღაც გამართლება მოუძებნოს მწერალთა ჯგუფებად და-  
ნაწილებას, თუმცა აუცილებელი გაერთიანებისაკენ მოუწოდებს მათ და მეზუ-  
თე კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას მწერლობის განვითარების  
ახალ სტადიად თვლის. მწერალთა დაჯგუფების მიზეზად ვ. კოტეტიშვილს თვი-  
თონ ცხოვრების მიერ შეთავაზებული არჩევანი მიაჩნია. „ყველამ ვიცით, —  
წერდა ის, — რომ ძველად ქართული მწერლობა არაჩვეულებრივად იყო და-  
კავშირებული ერის ბედთან... შემდეგ უახლესმა პერტურბაციებმა არამცთუ  
ქართველ ერს, არამედ ყველას მოუშალა ძველი ცხოვრების პირობები და მო-  
თხოვნისებამდ იქცა ახალი სიმაღლეების დაპყრობა. აქ იყო არჩევანი, ან უნდა  
დარჩენილიყვნენ ძველ გზაზე და ან ახალს გაჰყოლოდნენ, რომელიც ერთ-ერთი  
ნამდვილი გამოსავალი იყო. მოხდა იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი  
უთანხმოებანი, რაც გამოიხატა მწერლობის საერთო დაქსაქსულობაში და ქარ-  
თველი მწერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხანმოკლე დაქსაქსულობის  
შემდეგ... ყველამ თავი მოიყარა იმ იდეის გარშემო, რომელსაც ქართული  
კულტურის დაცვა და ამაღლება ეწოდება“<sup>2</sup>.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ჯგირვანი განვითარებისათვის ვ. კოტე-  
ტიშვილი მოუწოდებდა, საბჭოთა მთავრობის ირგვლივ მტკიცედ დარაზმუ-  
ლიყვნენ, ეწარმოებინათ პირუთენელი, გულმართალი კრიტიკა, რასაც ჭეშმა-  
რიტი მეცნიერების კეთილსინდისიერებით ასრულებდა თვითონ.

აღნიშნული პერიოდი ხასიათდებოდა ყოველგვარი რევოლუციონურისად-  
მი მიდრეკილებით, რევოლუციის თემა მტკიცედ მკვიდრდებოდა ხელოვნებასა  
და ლიტერატურაში. რევოლუციის მებრძოლი სული მსკვალავდა ყველაფერს,  
რაც მზარდი, პატიოსანი და სიცოცხლისუნარიანი იყო ცხოვრებაში. ხალხს  
ახარებდა ეს სიახლე, თავისუფლება და მშრომელთა მიერ ძალაუფლების ხელ-  
ში აღებას იმედიანად შეჰპყურებდა. ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთე-  
სო ქმნილებებში რევოლუციური პათოსი მკვიდრდებოდა. ვ. კოტეტიშვილი  
ცხოვრებას კვალდაკვალ მიჰყვებოდა და ამ ცვლილებებს შესაბამისად ეხმიან-  
ებოდა. მან თარგმნა ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის ლექსები და და-  
ბეჭდა კრებულში „რევოლუციის პოეტები“ (1921 წ.), რომელშიაც ქართველი  
პოეტების გარდა არაქართველი პოეტების ლექსთა თარგმანებიც იყო მოთავსე-  
ბული. ამას მალე მოჰყვა უოლტ უიტმენის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე  
დაწერილი მისი მოკლე ნარკვევი.

დღეს ყველასათვის ცნობილია ამერიკელი დემოკრატი პოეტი, დიდი და  
თვალსაჩინო პიროვნება უოლტ უიტმენი. იგი ნამდვილი მოვლენა იყო მარტო  
ამერიკის სინამდვილეში კი არა, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, რომელმაც  
თავისი ცხოვრებით და გაბედული აზრებით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახ-  
დინა საზოგადოებაზე. მის შესახებ ბერნარდ შოუ ამბობდა: „უიტმენი კლასი-  
კოსია. ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ცდილობენ არ შეამჩნიონ იგი, არ  
მისცენ აღიარება, თითქოს შეიძლებოდეს, ხელის მიფარებით დაჩრდილო  
მზე“<sup>3</sup>. უიტმენი მემამბოხე პოეტური სულის ადამიანი იყო, რომელმაც დაანგრია  
ძველი სამყარო (პოეზიაში და ლიტერატურაში გამეფებული რუტინა), თქვა  
ახალი სიტყვა და თანაგრძნობის ძმური ხელი გაუწოდა მსოფლიოს მშრომე-  
ლებს... ყველაფერი ეს პოეტურად და ოსტატურად გადმოგვცა ვ. კოტეტიშვილ-  
მა ხსენებულ ნაშრომში, რითაც დაამტკიცა, როგორც ვ. ჯიბლაძე ამბობდა,  
„თუ რამდენად ეხერხებოდა თავიდანვე ლიტერატურისათვის ფართო თვალთ

შეეხება, მწერლობა თანამედროვეობისათვის დაეკავშირებინა და მასში აწმყოს-თან ერთად მომავლის სიღრმეები ცოცხლად განეჭვრიტა“<sup>4</sup>.

ვ. კოტეტიშვილმა უიტმენი როდენს შეადარა. ოსტატურად დაუკავშირა მათი შემოქმედება ერთმანეთს და გვიჩვენა ის საერთო, რაც ამ ორ გენიოსს გააჩნდა. ზედმეტი არ იქნება ვ. კოტეტიშვილის არქივში დაცული ამ შედარების ტექსტი მთლიანად მოვიყვანოთ, მით უფრო, რომ იგი არც ნარკვევში შეუტანია ავტორს და არც ცალკე დაუბეჭდავს.

„ერთმა მწერალმა უიტმენი რ. ვაგნერს შეადარა. მე მგონია, რომ უფრო შესაძარბელი როდენთანაა, რომელიც უიტმენივით ტლანქია, თითქოს, მაგრამ უნახესი, რომელსაც უყვარს მძლავრი ხელის მოქნევა, სიგანე და დაუსრულებელი პერსპექტივა. თუ უიტმენის დემოკრატიას ილუსტრაცია დასჭირდება, მგონია როდენის ქუჩის ტიპები გამოდგებიან, თუნდაც „კალეს მოქალაქენი“. თუ უიტმენის ტემპერამენტის დანახვა იქნება საჭირო, როდენის „ომის გენია“ მოგვეშველება. თუ პრიმიტივობას ვიგულისხმებთ, უიტმენსა და როდენს შორის მოკავშირედ ჩადგებიან უიტმენის ძველი მეგობრები „ადამის შეილების“ სახით და როდენის „პირველი დროის ადამიანი“ ან და „ევა““. თუ კოსმიურ სქესობრივ დასაწყისზე ვიტყვით, რომელიც უიტმენს დიონისეს რკალში აქცევს, „ხელი ღვათებისა“ ხომ დიდი ვადმოცემა იმ დიდი კოსმიური კოცნის, რომელმაც უიტმენის რწმენით უნდა იხსნას კაცობრიობა. ფორმითაც უახლოვდებიან ერთმანეთს ეს ორი მთა ადამიანი. თუ უიტმენმა უარყო ლექსის წყობა და შექმნა თავისუფალი ლექსი, როდენის თიხაც მარტივია და ტლანქი. უიტმენის ლექსი შინაგანი რიტმით და სტიქიით არის მდულარე, როდენის ქანდაკებაც ასეთივე დინამიკას იტევს თავისში. გარჩევა მათ შორის ის არის, რომ უიტმენი როდენზე ბედნიერია, რადგან იგი ცოცხალი მასალით, სიტყვით ქმნის“.

ნარკვევზე დაიწერა ხომლეღის რეცენზია, რომელიც ნაკლებ კვალიფიციური იყო. რეცენზენტმა ვერ შეძლო ობიექტურად შეეფასებინა ნაშრომი, რადგან უგულვებელყო წიგნის დროულობა, მისი ჯანსაღი იდეოლოგია და ის ფაქტიც, რომ კოტეტიშვილმა პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებას ამერიკელი პოეტის ვინაობა.

სრულიად საქართველოს მწერალთა მე-5 კონფერენციაზე არჩეული იქნა მწერალთა კავშირის საბჭო და დაარსდა სექციები. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად დასახელებულ იქნა ვ. კოტეტიშვილიც, რომელიც სოლომონ თავაძესა და სიკო ფაშალიშვილთან ერთად შევიდა საგაზეთო სექციაშიც. საგაზეთო სექციამ აქტიური მუშაობა გააჩაღა. სულ მალე, ორი ნომრის შემდეგ, გაზ. „ივერიის“ ნაცვლად 1923 წელსვე გამოვიდა გაზეთი „ქართული სიტყვა“, რომელსაც 1924 წლის 6 აპრილამდე რედაქტორობდა სარედაქციო კოლეგია. გაზეთი აშუქებდა როგორც ლიტერატურის, ისე ხელოვნების საკითხებს (თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, კინო). ვ. კოტეტიშვილმა, რომელიც 1924 წ. აპრილიდან რედაქტორი გახდა, გაზეთის დაუმატა რუბრიკა „უცხოეთის ხელოვნება“, სადაც თავსდებოდა მოკლე ცნობები უცხოეთის კულტურული ცხოვრების წარსულსა და აწმყოს ღირსშესანიშნავ მოვლენებზე და გაზეთის ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმო საპოლემიკო წერილებს. საყურადღებოა ასეთი ფაქტიც — როგორი მკაცრი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო პოლემისტის წერილი რედაქტორისადმი, იგი შეუსწორებლად აქვეყნებდა მას და, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „რედაქტორის უფლებებს იოტისოდენადაც არ იყენებდა თავის სასარ-

გებლოდ“. პოლემიკა აცოცხლებდა და ამრავალფეროვნებდა გაზეთს, მეტ ინტერესს უღვიძებდა მკითხველებს და მომხდარი მოვლენების სწორ აღქმასა და ღრმად ჩაწვდომაში ხელს უწყობდა. ამავე პერიოდში კოტეტიშვილი მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. მონაწილეობას ღებულობს ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგის ირგვლივ ატეხილ პაექრობაში.

ძველი თაობის წარმომადგენლებისათვის ცნობილია ამ პაექრობის მიზეზი, მისი მიმდინარეობა და შედეგი. მაგრამ ახალმა თაობამ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ თუ დღეს ქართველ კლასიკოსთა რიგში ალ. ყაზბეგს ვაყენებთ და არა დიმიტრი ყაზბეგს, ეს გარკვეულ წილად ვ. კოტეტიშვილის დამსახურებაა.

1924 წ. მ. ზანდუკელმა (როგორც თვითონ აღნიშნავდა თავისი წიგნის წინასიტყვაობაში) ალ. ყაზბეგის მემუარების, შემოქმედების შესწავლის, მოძიებული მასალების და დამატებითი ცნობების საფუძველზე გადაწყვიტა, დაეცვა ქეშმარიტება, რომელიც, მისი აზრით, „მეტად უხეშად, უწყალოდ და უსაბუთოდ იყო დათრგუნვილი“. ამ მიზნით მან გამოსცა წიგნი, რომლითაც ასაბუთებდა დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის საკითხს. ვ. კოტეტიშვილმა არ გაიზიარა მკვლევრის მოსაზრება და, საფუძელიანი პასუხი რომ გაეცა, მ. ზანდუკელის დასახელებულ დოკუმენტებსაც გაეცნო და ახალი მასალებიც შეაგროვა — გაემგზავრა ყაზბეგის მშობლიურ მხარეში, დაჰკითხა სტეფანწმინდის მცხოვრებნი, ალექსანდრე ყაზბეგის ახლომცნობი პირები, ამოკრიფა მწერლის არქივიდან სრულიად უცნობი საინტერესო მასალები და სანდროს პირადი წერილებისა და სხვა ნაწერების მის ცნობილ მოთხოვნებთან შედარების საფუძველზე 1925 წ. მეცნიერულად დასაბუთებული წიგნი „ა. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“ წარუდგინა საზოგადოებას.

დიმიტრი ყაზბეგის დამცველი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ ფაქტს და მოწინააღმდეგის საპასუხოდ იმავე წელს გამოსცა კრიტიკული გამოკვლევა „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი?“.

ეს იყო ორი ნიჭიერი მკვლევრის, ორი დიდად ერუდირებული ახალგაზრდა კრიტიკოსის პრინციპული პაექრობა, რაშიაც თითოეული მათგანი სრულად ავლენდა თავის ნიჭსა და უნარს. ეს მომავლის მქონე ახალგაზრდა რეცენიერები რკინის ლოგოკით ცდილობდნენ საკუთარი მოსაზრებების დაცვას. ეს პაექრობა იყო საინტერესო და მეტად სასიხარულოც, რადგან ცხადი იყო, რომ ორი მეცნიერი, ორი საიმედო მკვლევარი ემატებოდა ქართული კულტურის ერთგულ დამცველთა მცირერიცხოვან არმიას.

საბოლოოდ დაინიშნა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც მოპაექრებს თვინათი პოზიცია სახალხოდ უნდა დაეცვათ. ოპერის თეატრის დარბაზი ხალხით აივსო. მოუთმენლად ელოდნენ ფარდის გახსნას და დისკუსიის დაწყებას, რაც რატომღაც მეტისმეტად იგვიანებდა. აუდიტორია ღელავდა, არა ნაკლებ ღელავდა კულისებში მყოფი საზოგადოება, რომელთა ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადდა ეს ღონისძიება. დრო გადიოდა, ფარდა არ იხდებოდა. ვახტანგის მოპაექრეც, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეგნებულად არ გამოცხადდა და... დამსწრე საზოგადოებამ ვ. კოტეტიშვილს გამარჯვება მიულოცა.

ყაზბეგის ავტორობისათვის პაექრობაში მოპოვებულ გამარჯვებას ვახტანგი თავის დამსახურებად არ თვლიდა და დამშვიდებული ღიმილით აცხადებდა „ალ. ყაზბეგზე იყო დავა და, ცხადია, ის გაიმარჯვებდაო“. თუ უფრო მეტად შეაქებდნენ, მის დამსახურებას გადაჰარბებთ აღიარებდნენ. უაღრესად დაიმდაბლებდა თავს და ცოტა გაჯავრებული კალოთი იტყოდა: „შევარცხენინ

ის ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც მოწინააღმდეგის კრიტიკას ვერ გაუძლებს და ვახტანგ კოტეტიშვილის გამოქომაგებას დაისაპირებსო“.

თავის ინტელექტს, სიდიადეს და დიდბუნებოვნებას იგი საქართველოს უთვლიდა ღვაწლად: „საქართველოს ბრალია ჩვენი ხალხის მამა-პაპათა სიბრძნისაგან ნაბოძებო“. როცა აწ განსვენებულ პროფ. მ. ზანდუკელს ვთხოვეთ ვ. კოტეტიშვილის ირგვლივ რაიმე ეამბნა, მან თავშეკავებით, მცირე დაყოვნების შემდეგ ორი წინადადებით დაახსიათა ვახტანგის პიროვნება. თავაზიანი პროფესორის ეს სიტყვები მრავალსიტყვაობაზე უკეთ გვაცნობს ვ. კოტეტიშვილის პორტრეტს და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ „იგი იყო ძალიან ნიჭიერი, ფრიად განათლებული, მრავალმხრივ ერუდიტებული ადამიანი და რასაც მოჰკიდებდა ხელს, არ მოეშვებოდა მანამ, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა დაწყებულ საქმეს“.

როგორც მისი თანამედროვენი მოგვითხრობენ, ვ. კოტეტიშვილი იყო ბრწყინვალე ორატორი, ლოგიკურად, დამაჯერებლად და მიმზიდველად მოსაუბრე. მისი გამოსვლა ტრიბუნაზე მუდამ ხიბლავდა მსმენელს ფართო ერუდიციით, ღრმა შინაარსით და რკინისებური ლოგიკით.

ინტერესსმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომლის შესახებაც გვესაუბრა მისი უახლოესი მეგობარი, აწ განსვენებული ლ. მამისაშვილი.

იმ დროს მწერალთა კავშირში ხშირად იმართებოდა ხოლმე დისკუსიები, კამათი. ერთ-ერთი საკითხის ირგვლივ დავამ მწვავე ხასიათი მიიღო. პაექრობა მეორე დღესაც გაგრძელდა. ვ. კოტეტიშვილმა აიღო სიტყვა და, როგორც იტყვიან, სიმართლეს გზა მისცა. მისმა ორატორობამ არა მარტო მეგობრების გულა გაახარა, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხით, არამედ მსმენელთა უმეტესობას დიდი სიამოვნება აგრძნობინა.

სისტემატური, გულდასმითი და თანმიმდევრული მუშაობა მიაჩნდა ვ. კოტეტიშვილს ცოდნის დედად და თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ამართლებდა საერთოდ გავრცელებულ აზრს, რომ ორატორობისათვის დაბადებიდანვე უნდა ემზადებოდე.

1925 წ. ვ. კოტეტიშვილი ბეჭდავს მონოგრაფიულ ნაშრომს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომს. წიგნის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. აღნიშნულ წიგნზე მაშინვე დაიბეჭდა რეცენზიები, რომელნიც ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისის ავითარებდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ უარყოფდა მის ლიტერატურულ ღირებულებას. იმ დროს ქართული კლასიკური ლიტერატურის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ისტორიულად მართებული თვალსაზრისი და ბევრი მცდარი და გაუგებარი თეორიები ვრცელდებოდა. რასაკვირველია, ის რეცენზენტი, რომელიც ვ. კოტეტიშვილს ედავებოდა, ამ მცდარი კონცეფციებისაგან თავისუფალი არ იყო. ფაქტია, ვ. კოტეტიშვილმა მოგვცა ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი მწერლების შემოქმედებისა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მე-19 საუკუნის ლიტერატურის კვლევის სწორი მიმართულების დამკვიდრებაში.

სამართლიანად წერს დ. გამეზარდაშვილი — „ვახტანგ კოტეტიშვილი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც უაღრესად საინტერესო ეპოქის, კლასიკოსებით მდიდარი ეპოქის — მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის აურსი შექმნა... ეს მისია მან მაღალ მეცნიერულ დონეზე შეასრულა...“

ვ. კოტეტიშვილის «ქართული ლიტერატურის ისტორია» დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისა და მკვლევართა ახალი თაობების აღზრდის საქმეში. იგი გახდა საფუძველი ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის განვითარებისა. ეს გარემოება კი თავისთავად მტკიცეობს მის დიდ მნიშვნელობაზე.<sup>5</sup>

1926 წელს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა. 21 თებერვალს გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ მწერალთა ყველა მიმართულების წარმომადგენლები. 1. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი (იველი თაობა), 2. სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კორპორაცია, 3. პროლეტარული მწერლობის ასოციაცია, 4. ქართველი ფუტურისტები.

ყრილობა გახსნა ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს თავმჯდომარე ი. გედევანიშვილმა. მიმდინარე მომენტზე და ქართველი მწერლების ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ფილიპე მახარაძემ. მან ილაპარაკა საბჭოთა წყობილების უახლოეს ამოცანებზე, იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებაზე, რომელსაც კომუნისტური პარტია მხატვრული კულტურის მიმართ იჩენს და დაწვრილებით ილაპარაკა ქართველი მწერლების ამოცანებზე. მოუწოდა მათ, უფრო მკიდროდ შემოკრებილიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ და გაბედულად ეთანამშრომლათ მასთან, შეექმნათ ნაწარმოებები, რომლებიც მკითხველს საბჭოური სულისკვეთებით აღზრდიდა.

გულახდილობისა და საქმიან ატმოსფეროში მწერლებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი და შეხედულებანი. ყრილობის მუშაობაში ვ. კოტეტიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო და ქართველი მწერლების ძველი თაობის სახელით საინტერესო მოხსენება გააკეთა.

ჩვენ, — ამბობდა იგი, — ვიღებდით და ვიღებთ რევოლუციას რადგან მიგვაჩნია, რომ ყველა ნამდვილი შემოქმედი რევოლუციონერიც უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შესძლებს სათანადო ინტერპრეტაცია გაუკეთოს მომხდარ მოვლენებს და ამით ის დასცილდება ეპოქას, დასცილდება ხალხს. ამავე დროს, ცხადია, რომ არამცთუ ხელოვანთათვის, არამედ ყოველი ადამიანისათვის და, მაშასადამე, მწერლებისთვისაც, დიდი ოქტომბრის რევოლუცია იყო და არის დაკავშირებული პროგრესთან, იგი გამომხატველია ქვეყნისა და მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა.

ვ. კოტეტიშვილი არ თანაუგრძნობდა ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობას. ასეთი დაჯგუფებები ძალების დაქსაქსვად და საერთო საქმისათვის საზიანოდ მიაჩნდა. ყრილობის დელეგატებს მოუწოდებდა, რომ გაეერთიანებინათ მწერალთა ყველა მიმდინარეობა, ერთი მიზნით, ერთი რწმენით გამსჭვალულიყვნენ.

ყრილობაზე ვ. კოტეტიშვილმა დელეგატების ყურადღება გაამახვილა ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ ქართული სიტყვა შერყვნილია მაღაზიის აბრებზე, აფიშებში, მახინჯდება გაზეთებშიც. საქიროა დაარსდეს ქართული სიტყვის ერთგვარი აკადემია, რომელიც ფხოზლად იდგება ქართული სიტყვის სიწმინდის სადარაჯოზე. «მშრომელი კლასის ინტერესი გვავალებს, — თქვა მან, — რომ საქართველოს აღორძინებაზე ვიფიქროთ და რაც მტკს გაეკეთებთ, იმდენად მეტი დაგვრჩება ჩვენც, ქართველ მწერლებს კულტურის საგანძურში».<sup>6</sup>

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ვალია ბახტაძემ, რომელმაც, სხვათა შორის, ვ. კოტეტიშვილს უსაყვედურა სიყალბე და არაგულწრფელობა. შეუარაცხოფილმა ვ. კოტეტიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა კამათის გაგრძელება, რათა პასუხი გაეცა შემაჯამებელი სიტყვის ავტორისათვის და, როგორც თვითონ ამბობდა, „დასმული ლოგარითმები მოეხსნა“. ყრილობამ მუშაობა განაგრძო. კამათში გამოსულმა ვ. კოტეტიშვილმა ყრილობას დაწვრილებით გააცნო 5 წლის მანძილზე მწერალთა კავშირის ხაზით მისივე მონაწილეობით შესრულებული სამუშაო. აღნიშნა, პირველი დღეებიდანვე რომ ამოუდგა გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას, რომ კავშირმა გამოსცა ჟურნალი „ხელოვნება“ და მეთაური წერილის დაწერა დაევალა ვ. კოტეტიშვილს, რომელშიაც ხალხს მოუწოდებდა საბჭოთა მთავრობასთან უახლოეს კავშირში ყოფნასა და თანამშრომლობისაკენ და სხვა.

ამ მოწინავე წერილის წაკითხვით ვ. კოტეტიშვილმა ნათლად დაანახა ყრილობას როგორც თავისი, ისე სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ძველი თაობის წარმომადგენელთა უდიდესი სურვილი და მზადყოფნა საერთო სახალხო საქმის მოსაწესრიგებლად. მან თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: „დაე ქართველმა მწერლებმა დაანებონ თავი ჯგუფურ შეხლა-შემოხლას, ეს არ არის საინტერესო... საინტერესოა ის დიდი საქმე, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი კულტურას და სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, ამ ნიადაგზე გაერთიანებული, კვლავ ახალი ენერჯით განაგრძობს ჩვენი მშრომელი ხალხისა და მისი კულტურის სამსახურს, ხელისუფლებასთან ერთად მკვიდრო თანამშრომლობით“.

შემდეგ სიტყვით გამოდის პავლე ინგოროყვა, რომელმაც ყრილობას წაუყენა ფრიალ საქირო და საქმიანი მოთხოვნა.

„პირველ რიგში, — თქვა მომხსენებელმა, — საჭიროა საგამომცემლო საქმის მოგვარება, მკვიდრ ნიადაგზე მისი დაყენება. მორიგი ამოცანაა მწერალთა კავშირთან დაარსება ქართული სიტყვის ინსტიტუტისა (საკითხი როგორც უკვე აღვნიშნეთ ვ. კოტეტიშვილის მიერ იყო წამოჭრილი. — მ. გ.), რომელსაც ექნება სამეცნიერო გამოკვლევითი ხასიათი...“

ამას გარდა, არის მთელი რიგი საკითხებისა; რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოგვარებას. ასეთია მაგალითად: ქართული ზეპირსიტყვიერების შეგროვება... ქართული ზეპირსიტყვიერების გამოქვეყნება განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ პირველ რიგში მხატვრულ მწერლობისათვის“.

საერთო სახალხო საქმისა და ქართველი ერის სულიერი კულტურის განვითარებისათვის მეტბოძოლ მწერალთა მოთხოვნები მთლიანად გათვალისწინებული იქნა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ შემდგომ მუშაობაში.

1926 წელს დაიბეჭდა ვ. კოტეტიშვილის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ნაწილი, ხოლო 1927 წ. — მესამე. აღნიშნულმა გამოკვლევებმა კვლავ მიიქცია ქართული ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ყურადღება. ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომები აშკარად ავლენდნენ ავტორის ტალანტს, მის დიდზე დიდ სიყვარულს მშობლიური ერისა და მისი მდიდარი მხატვრული შემოქმედებისადმი... ნაშრომებში იგრძნობოდა კრიტიკოსის დიდი ერუდიცია და რუსული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების საფუძვლიანი ცოდნა.



ვ. კოტეტიშვილმა გადაწყვიტა მეცნიერული მოღვაწეობისათვის ზრუნვა ხელი და თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა. იგი მიუწვევიათ ქართული ლიტერატურის კათედრაზე ს. ხუნდაძესთან მოსამზადებლად.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია საქართველოს სსრ განათლების კომისიის ბრძანება, საიდანაც ვგებულობთ, რომ „1927 წლის 1 მაისიდან ვ. კოტეტიშვილს, სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო მიზნით დატოვებულს, დაენიშნა პასუხისმგებელ მომუშავეთათვის განკუთვნილი სტიპენდია ასი მანეთი თვიურად“.

პარალელურად ლექციებს კითხულობდა თბილისსა და ქუთაისში, აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“. იმხანად გაზეთის რედაქციამ მეცნიერი მუშაკების რედაქციაში მიზიდვისა და თანამშრომლობისათვის მოიწვია მცოდნე და გამოცდილ კადრთა გაფართოებული თაობირი. „20 ოქტომბერს ლიტერატურული გაზეთის რედაქცია იწვევს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული, ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიკური დარგების, ელხის იმ მეცნიერი მუშაკების, პროფესორების, ასისტენტების, ასპირანტებისა და დაწინაურებული სტუდენტების თათბირს, რომლებსაც სურთ ჩვენს გაზეთებში თანამშრომლობა. თათბირზე განხილული იქნება მეცნიერული ძალების გაზეთში მონაწილეობის საკითხი. გარჩეული იქნება გაზეთის უკვე გამოსული ნომრები და მომავალი მუშაობის გეგმა“, — აცხადებდა გაზეთი“.

სარედაქციო კოლეგიის სურვილი იყო გაზეთში „მეცნიერული აზრი აემოქმედებინა“, გეგმალა ფართო დისკუსია ლიტერატურისა და მის მოსაზრებებზე დისციპლინათა აქტუალურ საკითხებზე. ვ. კოტეტიშვილიც სხვა მეცნიერებთან ერთად დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ ღონისძიებას, დაესწრო თათბირს და საინტერესო მოსაზრებანიც წამოაყენა.

იმ დროის ჟურნალებსა და გაზეთებში ხელოვნების თუ ნებისმიერ საკითხებზე დილეტანტების მიერ „ნაცოდვილარი“ წერილები ჭარბობდა. ამ წერილების უმეტესობას არც სიღრმე გააჩნდა და არც სიბრძნე და არაფრის-მთქმელი, ცარიელი, მაგრამ ლამაზი ფრაზეოლოგიით იქცევდნენ მკითხველის ყურადღებას. ამით კი კრიტიკის როლს და მის დანიშნულებას სულ სხვა მიმართულებას აძლევდნენ. ეს ფაქტი დიდ ნაკლად მიაჩნდა ვ. კოტეტიშვილს. მან დაგმო მუშაობის ასეთი სტილი და თავისი შეხედულება შესთავაზა შეკრებილთ. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილი მეცნიერული ძალები დაჯგუფებული უნდა ყოფილიყო დარგების მიხედვით და განაწილებულიყო შესაბამის განყოფილებებში. ისინი შეამოწმებდნენ რედაქციაში შემოსული წერილების ღირსებას და საჭიროების შემთხვევაში დამუშავებდნენ ცალკეულ საკითხებს, უზრუნველყოფდნენ გაზეთს სათანადო მაღალხარისხოვანი მასალებით. წინადადება თათბირის მონაწილეთა მიერაც იქნა გაზიარებული და საერთო აზრით მოწონებული.

მაღე ამავე გაზეთმა გამოაცხადა კონკურსი მხატვრულ ნარკვევებზე და ნოველაზე, რასაც მაშინვე გამოეხმაურა ლიტერატურული საზოგადოება. როგორც გაზეთის მომდევნო ნომერი იუწყებოდა, რედაქციას მოუვიდა მრავალი წერილი და შეკითხვა, რომელთა ავტორებს კონკურსის ტექნიკური მხარის გარდა აინტერესებდათ ნოველისა და მხატვრული ნარკვევის რაობის საკითხი, ფაბულის პრობლემები, საერთოდ, ჟანრის საკითხები.

რედაქციამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ლიტერატურისმცოდნეთა კვალდიკური პასუხები დაბეჭდა გაზეთის სხვადასხვა ნომერში. ვ. კოტეტიშვილს



ეთხოვა ნოველის რაობის შესახებ სტატიის მომზადება, რომელიც დაიბეჭდა № 22-ში. ეს პატარა წერილი შესანიშნავია მასში თავმოყრილი მასალის კომპაქტურობით. ავტორი იხილავს საღ, რომელ ქვეყანაში წარმოიშვა პირველად ეს ენარი, როგორი მოსაზრებანი არსებობენ ნოველის რაობის ირველივ, რა ახასიათებს ნოველას, ჩათვლება თუ არა იგი რომანის წინამორბედად და სხვა. ვ. კოტეტიშვილი არ იზიარებს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებებს და ავითარებს საკუთარ კონცეფციას, იძლევა მეტად საღ და ნათელ წარმოდგენას ნოველის ნიშან-თვისებებზე.

1934 წ. 4 ნოემბერს გარდაიცვალა ძველი თაობის მწერალთა ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი, გამოჩენილი პროზაიკოსი ვ. ბარნოვი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის მწერალთა შორის. სრულიად კანონზომიერი იყო, ქართული ლიტერატურის მოჭირახულეებს თავიანთი თანაგრძნობა გარდაცვლილი მწერლისა და მისი ოჯახის მიმართ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებიდან რომ გამოეთქვათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან 6 ნოემბერს გამოცემული გაზეთი აღრევე დაგეგმილი და უკვე აწყობილი იყო დასაბეჭდად. იგი თბილისისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი გახლდათ და ამიტომ არ ხერხდებოდა გამოათხოვარი წერილების გამოქვეყნება. ამან უხერხულობაში ჩააგდო მწერალთა კავშირის შემადგენლობა. მდგომარეობიდან გამოსავალი ისევ ვ. კოტეტიშვილმა მოძებნა; 5 ნოემბერს მან გაზეთის რედაქციას ჩააბარა სტატია „თბილისი ვ. ბარნოვის შემოქმედებაში“. რითაც გაზეთმა თემატიკასაც უპასუხა და ერთგვარად ვალიც მოიხადა გარდაცვლილი მწერლის ხსოვნის წინაშე. ეს პატარა სიმპათიური წერილი გამთბარია მწერლისა და თბილისისადმი დიდი სიყვარულით. შედარებითი მეთოდის ბრწყინვალე გამოყენებით ვ. კოტეტიშვილს ყოველთვის დიდი ეფექტისაფვის მიულწევია და აქაც სხვა მწერალთა ნაწარმოებებთან შეპირისპირების საფუძველზე საინტერესოდ გადმოგვცა თბილისის როგორც მოქმედების ადგილის კი არა, არამედ როგორც მოქმედი პერსონაჟის როლი ბარნოვის შემოქმედებაში.

დაუდგრომელი ბუნების ენერგიული მკვლევარი ერთ წუთს არ კარგავდა უნაყოფოდ. ზაფხულის თავისუფალ დღეებს ექსპედიციებში ატარებდა. კრებდა და აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მწერალთა კავშირის ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა, სისტემატურად ათავსებდა წერილებს ქართულ პერიოდულ პრესაში. თანამშრომლობდა ჟურნალებში: „კავკასიონი“, „ქართული მწერლობა“, გაზეთებში: „ქართული სიტყვა“, „ლიტერატურული გაზეთი“. იმჟამად მისი კვლევის ობიექტი ფართო იყო. იგი მოიცავდა ძირითადად მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებს (ა. ყაზბეგს, ი. მაჩაბელს, ა. ერისთავს, გ. წერეთელს, ა. ფურცელაძეს, ე. ნინოშვილს), რუს კლასიკოსებს, ქართული თეატრის რეპერტუარისა და სახვითი ხელოვნების საკითხებს.

იმხანად ქართულ მწერლობას ისტორიული პირობების გამო ძლიერ სუსტი ტრადიცია გააჩნდა სათანადო მეცნიერული აპარატურით აღჭურვილი მწერლის შემკვიდრების აკადემიური გამოცემისა. ამ ხარვეზის შევსება ერის სულიერი კულტურის ბედით დაინტერესებულ მოღვაწეთა უპირველესი ამოცანა იყო. და აი, ვ. კოტეტიშვილმა ხელი მიჰყო გრ. ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემას, რაზედაც დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდა. ვ. კოტეტიშვილს ხელთ ჰქონდა მანამდე არსებული მნიშვნელოვანი გამოცემები გრ. ორბელიანის ლექსებისა. პირველი წიგნი, გამოცემული ავტორის სიცოცხლეშივე პ. უმიკა-



შვილის მიერ 1873 წელს, არ იყო სრული, რადგან ლექსების ნაწილი გრ. ორბელიანმა ამ გამოცემის შემდეგ დაწერა. ეს ნაკლი ნაწილობრივ შეავსო ქართულ წიგნთა გამომცემმა ამხანაგობამ (ზ. ჭიჭინაძის მეთაურობით). 1879 წ. გამოსული წიგნი ვადმოიბეჭდილი იყო პირველი გამოცემიდან და დამატებული ჰქონდა 4 ლექსი: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მუშა ბოქულაძე“, „ფსალმუნი“, „პასუხი შვილთა“. მესამე გამოცემა გ. ორბელიანის ლექსებისა პოეტის გარდაცვალების შემდეგ განახორციელა ისევ ზ. ჭიჭინაძემ 1884 წ. მაგრამ არც ეს იყო სრული.

თუ გავითვალისწინებთ მკვლევარ ა. გაწერელიას შენიშვნას, რომ მე-19 საუკუნის არც ერთი პოეტის ნაწერების უნაკლო განხორციელება არ არის ისე ძნელი, როგორც ორბელიანის ნაწერებისა (რადგან პოეტის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი ავტოგრაფების სახით არაა მოღწეული ჩვენამდე), აშკარა გახდება ის სერიოზული შრომა, რაც გასწია ვ. კოტეტიშვილმა აღნიშნული კრებულის გამოსაცემად.

17.8.71

ზ. ჭიჭინაძე გრ. ორბელიანის ლექსთა კრებულის 1884 წ. გამოცემაში წერდა, რომ „ეს მესამე გამოცემა ვადმოიბეჭდა ჩემგან გამოცემული ერთი ეგზემპლარიდამ, რომელიც თვით პოეტის ხელით არის შესრულებული და გარდმოცემული თვით მისგანვე, რომ თუ ოდესმე დაიბეჭდოსო, ამ ეგზემპლარიდამ უნდა დაიბეჭდოსო. ჩვენ დავბეჭდეთ და დავიცავით ყველა ის, რაც კი პოეტისაგან რამე ცვლილებანია შეტანილი“.

ეს წყარო სულ მთლად სარწმუნოდ არ მიიჩნია მკვლევარმა და სამართლიანადაც, რადგან ზ. ჭიჭინაძე იმასაც ამბობდა, რომ გრ. ორბელიანმა რამდენიმე ლექსზე განაცხადა: „ეგ ლექსები ჩემებია, მაგრამ აღარ მახსოვს როდის დაეწერეთ“. ეს განცხადება უფლებას აძლევდა ახალ გამომცემელს, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა მითითებული ლექსების ორბელიანისეულად გამოცხადება. ვანტანგი შეუდგა გრ. ორბელიანის ავტოგრაფებისა და წერილების შეგროვებასა და დამუშავებას.

მეცნიერული კვლევა-ძიების ნიჭითა და ფართო ერუდიციით დაჯილდოებულმა კრიტიკოსმა ეს საქმე მაღალ დონეზე შეასრულა.

გრ. ორბელიანის ლექსების კოტეტიშვილისეული გამოცემა ზემოხსენებულ გამოცემებზე უფრო ზუსტია და შევსებული. მკვლევარს დაუმატებია კრებულისათვის ლექსთა ვარიანტები, მოუტებნია 16 ლექსის ავტოგრაფი და კრებული შეუქსია 6 ახალი და 4 სადავო ლექსით.

ეს სადავო ლექსები შეუტანია წიგნში იმ მიზნით კი არა, რომ თითქოს ეს გამოცემა მას სრულყოფილად მიაჩნდა და „მომავალი კვლევის სფერო ამ სადავო ლექსებით შემოესაზღვრა“, არა! წიგნის შესავალი წერილით ვახტანგმა რამდენადმე წინ წასწია ორბელიანის ლექსებისა და წერილების კრებულის აკადემიური გამოცემის მოგვარების საქმე. იგი პირდაპირ აცნობდა საზოგადოებას, რომ „გრ. ორბელიანს გაცილებით მეტი ლექსი უწერია, რომელთა აღმოჩენა შემდგომი კვლევის საქმეა. ამ სადავო ლექსთა გამოტანას ის აზრი ჰქონდა, რომ საკითხისათვის აქტიური ხასიათი მიგვეცა და ჩვენი მკვლევრების ყურადღება აქეთაც მიგვეპყრო“<sup>10</sup>.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ წიგნს სხვა გამოცემებისაგან ასხვავებს, ისაა, რომ კრებულს დართული აქვს სამეცნიერო აპარატურა შენიშვნებისა და

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

განმარტებების სახით, რომლებშიაც ავტორი ცდილა, გაერკვია თითოეული ლექსის დაწერის თარიღი, ადგილი და ადრესატის ვინაობა.

ამ მიზნით წიგნის გამომცემელს უსარგებლია უნივერსიტეტის ხელნაწერთა მუზეუმით, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერი ფონდებით, საქართველოს არქივით და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმით. ეს შედარებით სრული გამოცემა თავის შენისშენებით ვახდა ძირითადი დასაყრდენი შემდეგი გამოცემებისათვის. მანვე გაუადვილა შემდგომი კვლევა გამომცემლებს, გაუკაფა გზა იმ ტექსტოლოგიური შენიშვნების დასახუსტებლად, რომელიც მექანიკურად თუ შესაფერისი მასალის უქონლობის გამო დაუშვა წინა გამომცემელმა. მიუხედავად იმ მცირე ნაკლოვანებისა, რაც წიგნს გააჩნია, ვ. კოტეტიშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, დამსახურება უდავოდ დიდია, რადგან ეს არის პირველი ცდა გრ. ორბელიანის ლექსების მეცნიერული შესწავლა-გამოცემისა.

ვ. კოტეტიშვილის მიერ ჩატარებული მუშაობის სარკეა ის საარქივო მასალები, რომელიც ინახება ლიტერატურულ მუზეუმში. მას შეუთმობებია ყველა ლექსი უმიკაშვილისა თუ ჭიჭინაძისეული გამოცემისა. დაუდგენია როდის დაიბეჭდა, რამდენჯერ და რომელ პერიოდულ გამოცემაში. იძლევა სადავო ლექსების ახსნა-განმარტებას. საარქივო მასალების თუ გაზეთში შეცდომით მიწერილი ავტორის ამოხსნის საფუძველზე არ ეთანხმება ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებას, რომ ყველა ის ლექსი, რომელსაც კ. აწერია, გრ. ორბელიანის ლექსად უნდა ჩაითვალოს. ვახტანგი ასაბუთებს, რომ ვ. მარტო კურკას კი არ ნიშნავს, როგორც ზ. ჭიჭინაძე ფიქრობდა, არამედ ამ ფსევდონიმით სხვა ავტორსაც უბეჭდია ლექსები გაზეთებში სხვა დროსო. და დასძენს: „მას (ე. ი. კ.-ს ავტორობით დაბეჭდილ ერთ-ერთ ლექსს — მ. გ.) ვებუდავთ, როგორც საკვლევ მასალას, ვგვონია, რომ აღმოჩნდება ისეთი საბუთი, რომელიც გარკვეული სიტყვის თქმის უფლებას მოგვცემს“<sup>11</sup>.

„სადღევგრძელოს“ ვარიანტების გარჩევასზედაც ბევრი უმუშავნია, განსაკუთრებით დაინტერესებულა პოემის იმ ნაწილით, რომელიც ნიკოლოზ პირველის სადღევგრძელოს შოციავს. ამ თვალსაზრისით მას მოხმობილი და რამდენიმე ფურცელზე ჩამოწერილი აქვს არაერთი ისტორიული ფაქტი თავისი თარიღებით — უმეტესად ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდიდან, არ არის გამორიცხული, რომ ის კვლავ დაუბრუნდებოდა ამ საკითხს, რომ დასცლოდა.

მომღვენო 1935 წელს ქართველი კლასიკოსების ბედ-იღბლით დაინტერესებულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი საინტერესო წიგნით შეავსო თავისი ბიბლიოთეკა. ეს იყო ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, ვ. კოტეტიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. წიგნი მიძღვნილია სერგეი მესხის ხსოვნისადმი.

აღნიშნული წიგნი მწერლისადმი უდიდესი სიმპათიის შედეგია. ეს არის პირველი ცდა ა. ყაზბეგის თხზულებათა მეცნიერული გამოცემისა, რომელიც ნავარაუდევია იყო 10 ტომად. „თითოეული ტომი სამი განყოფილებისაგან იქნება შემდგარი, — წერდა წინასიტყვაობაში ვახტანგ კოტეტიშვილი. I — ცნობილი დაბეჭდილი ტექსტები, II — ამ ტექსტების ვარიანტები და III — დაუმთავრებელი ნაწარმოებნი. თითოეულ ტომს დართული ექნება რედაქტორის

შენიშვნები და სათანადო მეცნიერული აპარატურა. ამ ნაჯარაუდვევი ათი ტომიდან 5 იქნება მხატვრული პროზა, მე-6 ტომი — ლირიკა, მე-7-8 — დრამატული ნაწერები, მე-9 — მეცნიერული თუ მხატვრული წერილები და მე-10 — კერძო მიწერ-მოწერა და ნარევი მასალა<sup>12</sup>.

პირველი ტომისათვის ყაზბეგის ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა განტარებული ჰქონდა სიმონ ხუნდაძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ვახტანგმა კი დროის უქონლობის გამო თავს ვერ იდო მისი დაწერა და ძალაუხერბურად მეორე ტომისათვის გადადო იგი. ასევე მეორე ტომისათვის იყო განკუთვნილი ყაზბეგის შემოქმედების ვრცელი განხილვა. ვ. კოტეტიშვილის დაღუპვამ პირველივე ტომის გამოსვლის შემდეგ შეაჩერა ეს მნიშვნელოვანი წამოწყება.

წიგნში მოთავსებული მოთხრობა „ელგუჯა“ არ არის წინათ დაბეჭდილი მოთხრობის ზუსტი განმეორება. ის ახალი ვარიანტია, რომლის აღმოჩენა და საბოლოო ტექსტის დადგენა ეკუთვნის ვ. კოტეტიშვილს.

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პირველად „ელგუჯა“ დროებაში დაბეჭდილია 1881 წ. მოთხრობას დართული ჰქონია ავტორის შენიშვნა: „ზოგი გაზეთში ადგილის სიმციროს გამო, ზოგიც სხვადასხვა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ეს მოთხრობა ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც მომზადებული იყო. ამ ცოტა ხანში კი ცალკე წიგნად უფრო ვრცლად და შესწორებული გამოვა“. 1884 წ. ყაზბეგმა დაპირებისამებრ ეს მოთხრობა ცალკე წიგნად გამოსცა, მაგრამ ცენზურამ მთელი ტირაჟი გაანადგურა, გადარჩა ერთი თუ ორი ეგზემპლარი, რომელიც ასოთამაწყობებმა გადაამალეს და მათი კვალი ერთბაშად დაიკარგა<sup>13</sup>... ვ. კოტეტიშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილი მკვლევრის ალღომ იქამდე მიიყვანა, რომ... მრავალი ძიების შედეგად გარდაცვლილი სტამბის მუშის დ. კოტეტიშვილის არქივში აღმოაჩინა სასურველი წიგნი — „ელგუჯა“, გამოცემული 1884 წელს.

ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და დაბეჭდილი ტექსტების შედარების შედეგად მოთხრობას დაურთო წინა ვარიანტებში არსებული პროლოგ-ეპილოგი, რომელიც, საგულისხმოა, ცენზურის მიერ უნდა ყოფილიყო ამოღებული, ვინაიდან ახლად აღმოჩენილ ვარიანტს ამის მსგავსი არაფერი გააჩნდა. ასე და ამრიგად დადგინდა-დაკანონებული ტექსტი დაედო საფუძვლად შემდეგ გამოცემებს და იგი ყაზბეგის ხელნაწერის უფლებით იქნა აღჭურვილი.

ვ. კოტეტიშვილი ალ. ყაზბეგის თხზულებათა I ტომის წინასიტყვაობაში წერდა: „სკიითხულობთ ამ „უთავბოლო ნაწერებს“ (იგულისხმება მწერლის არქივი. — მ. გ.), ნაწყვეტ ფურცლებს, რვეულებს, ზოგს პირველ გვერდზევე შეწყვეტილთ. ერთ და იმავე ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტს, ლექსებს, საპოლემიკო ხასიათის წერილებს, დიდ ავტორთა ნათქვამების ამონაწერებს შენიშვნებით, რითმების ლექსიკონს... და პირდაპირ გაცემთ, თუ რამდენი უფიქრია ჩვენს მწერალს ლიტერატურის საკითხთა შესახებ, რამდენი უმუშევანია მოთხრობისა თუ ლექსის აგებულებაზე, ვიდრე დაიუფლებდა თემისა და მასალის მხატვრულად შერწყმის საიდუმლოებას“<sup>14</sup>.

ეს სიტყვები ძალაუხერბურად გვაგონებს ვ. კოტეტიშვილის არქივს. მასში დაცულია „უთავბოლო“ და „ნაწყვეტ-ფურცელთა“ დიდი რაოდენობა, რომლებშიც ბევრი ახალი საკითხია წამოჭრილი, გაანალიზებული და დაკონსპექტებული. ეს ზღვა მასალა შეიცავს ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, ხელ-

მეორედ გამოსაცემად გამიზნულ თხზულებათა ვარიანტებს, შენიშვნებს, თარიღებს, ფოლკლორისტიკის იმ მრავალრიცხოვანი თემებისა და ჭერ გადაუჭრელი პრობლემების თვისებებს, თუ რეფერატებს, რომელთა თითოეული ფურცელი დღესაც კი არ იქნება გარკვეულ მნიშვნელობას მოკლებული.

#### დამოწმებანი

- <sup>1</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ანაწ. 5, საქ. 7.
- <sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1923, № 1.
- <sup>3</sup> ვ. კოტეტიშვილი, უოლტ უიტმენი, თბ., 1921.
- <sup>4</sup> ვ. კოტეტიშვილი, ქანდაკების ისტორია, თბ., 1963.
- <sup>5</sup> ვ. კოტეტიშვილი, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959.
- <sup>6,7</sup> საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1926.
- <sup>8</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ანაწ. 2, საქ. 229.
- <sup>9</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 20.
- <sup>10</sup> გრ. ორბელიანი, ლექსები, თბ., 1928.
- <sup>12,13,14</sup> ალ. ყაზბეგი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1935.

М. А. ГАЧЧИЛАДЗЕ

### В. КОТЕТИШВИЛИ — КРИТИК И ИССЛЕДОВАТЕЛЬ ЛИТЕРАТУРЫ

#### Резюме

На основе архивных документов и периодических изданий в труде передана многогранная деятельность В. Котетишвили в культсоюзе работников искусств, его участие в съезде и конференции Союза писателей, в журналах и газетах («Литературиლი გაზეთი», «კარტული სიტკვა»). Особенно следует отметить деятельность В. Котетишвили как издателя. В труде освещены им изданные и снабженные надлежащим научным аппаратом сборник стихов Гр. Орбелиани и I том сочинений А. Казбеги.

Выявлены фактические материалы, которые дают право отметить, что В. Котетишвили, как гражданин и ученый, уже в 20-е годы стоял на советской позиции и преданно служил своему народу.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ეურნალისტიკის განყოფილება წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

### მ ა ნ ა ნ ა ი ა მ ა ნ ი ა მ

#### ა. ბუვიეს „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული კართული თარგმანის გამო

ალექსი ბუვიე (Alexis Bouvier) არ მიეკუთვნება იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც სიცოცხლეშივე დიდების გვირგვინს იღვამენ ან უკვდავების კვარცხლბეკზე აღიან. იგი არც იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, სიკვდილის შემდეგ რომ აალაპარაკებს ხოლმე მკითხველ საზოგადოებას. თითქოსდა უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ა. ბუვიე საფრანგეთში ჯერ კიდევ არ გამხდარა მკვლევართა საგანგებო შესწავლის საგნად მაშინ, როდესაც რუსეთსა და საქართველოში მისი თანამედროვენი თარგმნიდნენ და აცნობდნენ ა. ბუვიეს ნაწარმოებებს მკითხველთა ფართო წრეებს.

ა. ბუვიე დაიბადა პარიზში, 1836 წელს, ლარიბი მუშის ოჯახში. მშრომელ აღამიანთა წრეში ყოფნამ ბევრი კარგი რამ შესძინა მომავალ მწერალს, უკეთ დაანახვა მას ცხოვრების ავ-კარგი, რამაც ასე ცხოვლად იჩინა თავი მის შემოქმედებაში.

1862 წელს 26 წლის ა. ბუვიემ ფრანგ მკითხველს გააცნო თავისი პირველი მოკრძალებული ლიტერატურული ნაწარმოებები — სიმღერები, ლიბრეტოები და ვოდევილები.

პირველი წარმატებით ფრთაშესხმულმა ახალბედა მწერალმა ზედღიზედ გამოაქვეყნა დეტექტიურ-ავანტიურული თუ სოციალური ხასიათის რომანები და დრამები, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის მდიდარი და ნაყოფიერი ფანტაზია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოპულარული რომანები: „ავგუსტ მანეტი“, „კატორღელის ქორწინება“, „სასოწარკვეთილი ჯარისკაცები“, „უბედურება ლარიბებს“, „არამზადების კლუბი“, „დიდებული იზა“ და სხვ.

თუ გადავხედავთ 1862 წლიდან 1892 წლამდე (30 წლის მანძილზე) ა. ბუვიეს მიერ გაწეულ ლიტერატურულ შრომას, შევნიშნავთ, წელი არ გავიდოდა ერთდროულად რამდენიმე დიდტანიანი ნაწარმოები რომ არ გამოქვეყნებინა მას. ასეთმა კატორღელმა შრომამ გარკვეული დიდი დასევა მის ჯანმრთელობას. ის გარდაიცვალა 1892 წელს, 56 წლის ასაკში, პარიზში, შემოქმედებითი აღმავლობისა და სიმწიფის პერიოდში. ფრანგმა მკითხველმა საზოგადოებამ არ დაივიწყა ა. ბუვიეს სახელი: 1898 წელს პირველად გამოიცა მის ნაწარმოებთა 25-ტომეული, ხოლო 1903 წელს კი განხორციელდა ა. ბუვიეს თხზულებათა მდიდრულად ილუსტრირებული გამოცემა 25 ტომად. მიუხედავად ესოდენ დიდი პოპულარობისა, ა. ბუვიეს მაინც არ მიაკუთვნებენ პირველხარისხოვან ფრანგ მწერალთა რიცხს.

ა. ბუვიეს რომანებს შორის „დიდებული იზა“ ყველაზე დიდტანიანი ნაწარმოებია. ის შედგება ხუთი ნაწილისაგან, რომელთა მაღალმხატვრულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს წიგნები, მართალია, ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, მაინც თითოეული მათგანი ცალკე დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას გვიქმნის.

„დიდებული იზას“ („La grande Jsa“) შედგენილობა ასეთია: 1. La femme du mort (განსვენებულის მეუღლე), 2. Jsa (იზა), 3. Jsa, Lolotte et compagnie (იზა, ლოლოტი და კამპანია), 4. Jsa-La-Ruine (განადგურებული იზა), 5. La mort d'Jsa (იზას სიკვდილი).

რომანის პირველ წიგნში — „განსვენებულის მეუღლე“ მოთხრობილია, როგორ იკიდებს ფეხს მალალ საზოგადოებაში თავისი სილამაზის წყალობით მაწანწალა ყმაწვილი ბოშა ქალი იზა, თუ როგორ გახდება იგი გრაფის გვარის შთამომავალი — იზა ზინსკი (Zintsky) შემდეგ მდიდარი ბანკირის — სეგლენის (Séglin) მეუღლე და ქვრივი. თითქოს მას, ასეთი მდგომარეობისა და, რაც მთავარია, სიმდიდრის პატრონს, საზრუნავი არაფერი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ აქ თავს იჩენს იზას სიხარბე, ზნედაცემულობა, აღვირახსნილობა და გამდიდრების ბრმა სურვილი, რომელიც გახდა მიზეზი იმ მრავალი ბოროტმოქმედებისა, სიცოცხლეს რომ გამოასალმა ბევრი პატიოსანი უდანაშაულო ადამიანი.

რომანის ხუთივე წიგნში ბოროტმოქმედების უშუალო ჩამდენი არის ის, ვინც ექცევა იზას სილამაზის ტყვეობაში. მოიხელთებს თუ არა მსხვერპლს თავის კლანჭებში, იზა მოხერხებულად იყენებს მათ ბნელი საქმეებისათვის. ამავე დროს, მას შეუძლია შეუბრალებლად გაწიროს ყველაზე მახლობელიც კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად (გუდარი, ოსკარ დე ვერშემონი, არისტიდ ლებლანი ანუ შადი და სხვ.).

მეორე წიგნი — „იზა“, რომელსაც დედანში რომანის საერთო სახელი „დიდებული იზა“ აქვს, სესილისა და მორისის უმანკო სიყვარულის ისტორიაზე დამყარებული მსუბუქი დეტექტიურ-ავანტიურული რომანია, სადაც ავტორი განსაკუთრებული დაბეჭითებით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ბედნიერება გამოიხატება მხოლოდ უბიწო, თავდადებულ სიყვარულსა და ერთგულებაში. პატიოსნება ადამიანებისა და საქმისადმი დამოკიდებულებაში — აი, რა არის „იზას“ დადებითი გმირების (პოლიციელი გიურე, ამელი, შადი, მორისი, სესილი და სხვ.) მთავარი მამოძრავებელი ძალა.

მესამე წიგნში — „იზა, ლოლოტი და კამპანია“ — ოსკარ დე ვერშემონი, იქეამად იზას მეუღლე, დაღუპვის გზაზეა დამდარი. იზამ გაფლანგა მისი ქონება და გალატაკებული ოსკარი, რომელიც დროზე მიხვდა მის მუქანათობას. ლალატს და ბოროტ ზრახვებს, მიატოვებს იზას და მეგობრების მეშვეობით გადაურჩება დაღუპვას.

ბოლო ორი წიგნი — „განადგურებული იზა“ და „იზას სიკვდილი“ 1885 წელს გამოქვეყნდა პარიზში, რომელთა მთავარი პერსონაჟია არისტიდ ლებლანი, წინა წიგნებში გაკვრით რომ იყო ნახსენები.

არისტიდ ლებლანი, ანუ შადი, ცისფერთვალეა, სიყვითა და ჯან-ღონით სავსე მშრომელი ადამიანი უმკველად გახდებოდა იზას მორიგი მსხვერპლი, რომ საქმეში კომისარი გიურე და ოსკარ დე ვერშემონი არ ჩარეულიყვნენ. ა. ბუვიე ვერ ფარავს თავის სიმპათიას მშრომელ ადამიანთა მიმართ და არ იმეტებს მათ გასაწიარად, მაგრამ ავტორი დაუზოგავია იზას მიმართ: იზა საბოლოოდ მარცხდება, ფარდა ეხსნება მის ბნელ ცხოვრებას. ამდენი ბოროტებით თვითმკვლელობამდე მისული იზა თითქოსდა სიამოვნებით ტოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

რომანი „დიდებული იზას“ ხუთივე წიგნში ა. ბუვიე მარტო იზას თავგადასავლებით არ იფარგლება. იგი ოსტატურად აღწერს იმდროინდელ პარიზს. ერთმანეთს უპირისპირებს მშრომელი ხალხისა და მუქთახორა გარეწრების



ცხოვრებას, წმინდა სიყვარულსა და ანგარებიან ბილწ გრძნობას, პატიოსანი შრომით მოპოვებულ ლუკმასა და მძარცველობითა და მექრთამეობით მოხვე-  
ცილ სიმდიდრეს.

მწერალს გასაოცარი ალლოთი აქვს შერჩეული თითოეული პერსონაჟის გარეგნული და შინაგანი ნიშან-თვისებები, მათი ურთიერთობანი.

მართალია, ა. ბუვიეს „დიდებული იზა“ არ მიეკუთვნება ფრანგული ლიტერატურის შედეგებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან გარკვეული როლი ითამაშა ფრანგული დეტექტიური რომანის განვითარებაში.

ა. ბუვიეს ნაწარმოებები რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პარიზში გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მათი რუსული თარგმანები უკვე იბეჭდებოდა პეტერბურგის სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში. მაგალითად: „დიდებული იზას“ მეორე წიგნი „იზა“ პარიზში გამოქვეყნდა 1878 წელს. პეტერბურგში კი ჟურნალ «Живописное обозрение» ში უკვე 1879 წლის იანვრიდან დაიწყო მისი რუსული თარგმანის ბეჭდვა, რომელიც იმავე წლის სექტემბერში დასრულდა.

[რაც შეეხება რომანის პირველ წიგნს—„განსვენებულის მეუღლეს“, რომელიც პარიზში 1879 წელს გამოიცა, მისი არასრული რუსული თარგმანი უკვე იმავე 1879 წელს დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალ «Мирской толк-ის» №№ 22—38 დამატებებში.

„დიდებული იზას“ გარდა, რუსულად ითარგმნა და მაშინვე დაიბეჭდა ა. ბუვიეს რომანი „კრელი ლამაზმანი“ („La belle Grelée“). (პარიზში გამოქვეყნდა 1879 წელს, ხოლო პეტერბურგში ჟურნალ «Живописное обозрение»-ში 1880 წელს).

1880 წელს პარიზში დაბეჭდილი რომანის „ეშაფოტის კრედიტორების“ (Créanciers de l'échafaud“) რუსული თარგმანი იმავე წელს გაიცნო პეტერბურგის საზოგადოებამ. ამათ გარდა, იმავე პერიოდში რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში, ა. ბუვიეს ოცზე მეტი სხვა ნაწარმოებია ზედიზედ თარგმნილი და გამოქვეყნებული.

ილია ჭავჭავაძის წყალობით ქართველი საზოგადოება ბევრ ფრანგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გაიცნო. ილიას არ გამოჰპარვია იმ დროს ესოდენ პოპულარული მწერალი ა. ბუვიე და დაუყოვნებლივ წარუდგინა ქართველ მკითხველს ჟურნალ „ივერიაში“ 1879—1880 წლებში მისი ყველაზე ცნობილი რომანის „დიდებული იზას“ ერთ-ერთი ნაწილი, კერძოდ, მეორე წიგნის „იზას“ ქართული თარგმანი. თარგმანი იბეჭდებოდა ჟურნალ „ივერიის“ დამატებების სახით, ცალკე პაგინაციით, რათა საბოლოოდ მკითხველისათვის მისი წიგნად აკინძავც მოხერხებულიყო<sup>1</sup>.

„იზას“ თარგმანი ხელმეორედ დაიბეჭდა ილიას სიცოცხლეშივე 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის მეოთხე ტომში, ორ წიგნად<sup>2</sup>.

უკანსკენლად „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა 1959 წელს, რომელსაც თან ერთვის პლ. კეშელავას წერილი — «ა. ბუვიე და მისი რომანი „იზა“» და ზ. ჭუმბურიძის შენიშვნები — „ტექსტისათვის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“, 1979, № 3, 1880, № 4, დამატება.

<sup>2</sup> თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ქართვ. ამხანაგ. გამოც., ტ. IV, ტფილისი, 1892, გვ. 315—693.

<sup>3</sup> ა. ბუვიე, იზა თარგმ. ი. ჭავჭავაძისა, თბილისი, 1959, გვ. 391—392.

ა. ბუვიეს რომანის „იზას“ გაცნობისას ილია ქავჭავაძეს, როგორც ჩანს, ენიშნა იმდროინდელი ფრანგი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი. ამ თარგმანის საშუალებით ილიას სურდა ქართველი მკითხველისათვის ეჩვენებინა, რომ პატიოსანი ადამიანი უსათუოდ გამიარჯვებს ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუკი მას ამოძრავებს სიკეთის, ურთიერთდახმარებისა და ერთმანეთსადმი თავდადების გრძნობა.

ა. ბუვიეს რომანის „იზას“ ილიასეული თარგმანის გამოქვეყნება ჟურნალ „ივერიაში“ დამთავრებული არ იყო, რომ ჟურნალ „იმედში“ დაიბეჭდა დ. აბდუშელიშვილის მიმოხილვა „ივერიის შარშანდელი IV და ამა წლის I წიგნები“, რომელშიც ვხვდებით ამ რომანისა და მისი თარგმანის უმართებულო კრიტიკას: „ნასადილევს მხარ-თეძო წამოწოლილს, უსაქმო ყმაწვილ ქალბატონისათვის საკითხავად სწორედ რომ ჩინებულია, ფანტაზიით არაბულ ზღაპრებს მოგაგონებს. თუმცა ამ რომანს „იზა“ ჰქვია, მაგრამ რომანი თითქმის მთლად ერთი ქალ-ვაჟის მორისისა და სესილას ამიკობაა“. და კიდევ: „ივერია“ თარგმნის იმისთანა საძაველ რომანს, რომელსაც საფრანგეთში ბონაპარტის მომხრეებსა და კლერიკალების მეტი ხელს არავინ მოჰკიდებს და რომლებშიც პოლიციის მზევრავი ვიუტე გამოყვანილია უმანკო ტრედად“<sup>4</sup>

„იზას“ ილიასეული თარგმანის 1959 წლის გამოცემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თან ერთვის პლ. კეშელავას წერილი „ბუვიე და მისი რომანი „იზა“, სადაც იგი წერს: «„იზა“ რომ ილიას თარგმანი იყო, მაშინ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ. ჩვეულებრივი მკითხველი და გარეშე კაცი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ათასგვარი საქმეებით გადატვირთული საზოგადო მოღვაწე შესძლებდა სქელტანიანი რომანის „იზას“ თარგმნისათვის დრო ეპოვა, მაგრამ მკითხველი ფაქტის წინაშე იყო. ცხადია, ასეთ შრომას ილია გასწევდა რაღაც მოსაზრების გამო. რომანში აღწერილი პროცესები მოაგონებდნენ მას რუსეთის იმპერიის დამახასიათებელ პროცესებს — მექრთამეობას, მლიქვნელობას, უნამუსობას»<sup>5</sup>.

პლ. კეშელავა სამართლიანად აკრიტიკებს ჟურნალ „იმედში“ დ. აბდუშელიშვილის მიერ 1881 წელს გამოქვეყნებულ ზემოთ მოყვანილ მიმოხილვას: „ბონაპარტისტების ბელადის ასეთი სიმკაცრით გამოკიცხავი რომანი რატომ უნდა მოჩვენებოდა დ. აბდუშელიშვილს ბონაპარტეს მომხრეების საყვარელ წიგნად, გაუგებარია“.

ასევე საინტერესოა ფ. გოკიელის შეხედულება „იზას“ ილიასეული თარგმანის მნიშვნელობაზე: «„იზა“ მით უფრო სასარგებლო საკითხავ წიგნად მიიჩნია ილიამ, რომ ამ რომანში თანაგრძნობით გამოსახულია უმწიკვლო საყვარულით გამსჭვალული, ბოლომდე ერთმანეთის ერთგული მიჯნურები, ხოლო მხილებული და დაგმობილია საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეებისათვის ესოდეს დამახასიათებელი ანგარება, გამდიდრების სურვილი»<sup>6</sup>.

საინტერესოა, საიდან თარგმნა ქართულად ილიამ „იზა“ — ფრანგული ორიგინალიდან თუ მისი რუსული თარგმანიდან?

<sup>4</sup> დ. აბდუშელიშვილი, ივერიის შარშანდელი IV და ამა წლის I წიგნები, „იმედი“, 1881, № 1, გვ. 102—126.

<sup>5</sup> პლ. კეშელავა, ბუვიე და მისი რომანი „იზა“, გვ. 388.

<sup>6</sup> ფ. გოკიელი, ი. ქავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში, თბ., 1968. (ხელნაწერი შრომა დაუცულია ი. ქავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმში).

ზ. ჭუმბურიძის აზრით, „იზას“ ილიასეული თარგმანის „რუსიციზმები, აგრეთვე, ზოგი სიტყვის თარგმანი და სახელთა დაწერილობა, როგორცაა ვაგრი, ჰაერის მაგიერ და სხვა, იმის მაჩვენებელია, რომ თარგმანი რუსულიდან არის შესრულებული“<sup>7</sup>.

გ. გაჩეჩილაძე თავის წიგნში — „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ილიამ უცხო ენები კარგად არ იცოდა...“ პროფ. მ. ზანდუკელის აზრით, „ილიას ასე თუ ისე უნდა სცოდნოდა ფრანგული ენა, რადგან მან თარგმნა ფრანგი მწერლის ბუევის რომანი „იზა“, მაგრამ ჭერჭერობით არავის დაუდასტურებია, რომ ეს თარგმანი დედნიდან არის შესრულებული და უფრო საფიქრებელია, რომ ის რუსულიდან იქნებოდა თარგმნილი, როგორც ამ დროის თარგმანთა დიდი უმრავლესობა“<sup>8</sup>.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულება მხატვრული თარგმანის თაობაზე:

„რასაკვირველია, ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა სცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვისი აზრი ქართულ ენაზე ისე, რომ ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა იოტისოდენა განსხვავება... მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება — უპირველესად მან უნდა იცოდეს ორი ენა... მეორეც, უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება“<sup>9</sup>.

ილიას ამ სიტყვებს თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ თბილისის გიმნაზიაში მას ფრანგული ენა უსწავლია და საკმაო წარმატებითაც,<sup>10</sup> შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ილიასათვის ა. ბუევის „იზა“ ფრანგულ ენაზე ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამ აზრს გვიძლიერებს ახლად გამოვლენილი ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: „კაკო ყაჩაღის“ აღზინდელი ვარიანტის ავტოგრაფული ხელნაწერის (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 110) ბოლო მე-13-14 ფურცლებზე ილიას ხელით რუსული ყურნალებისა და წიგნების («Отечественные записки», кн. 6, 8, 1843 г., 1859 г.; «Библиотека для чтения», 1843.; Литературные прибавления «Русскому инвалиду», т. 2, 1839., Ж. М. Н. П. 1848, № 6; «Современник», 1847.; «Иллюстрация», 1859, Гамлет, 1828) გვერდები, ჩაწერილია ფრანგული დასახელების შემდეგი გამოცემები: Эмил Ж и р а д е л ь, Journal des connaissances utiles, Musée de Familles; Almanach de France; Pantheon littéraire; la Presse: Questions administratives et financieres (1858); Le Pour et le contre (1848), Le bien être universel (1850); La politique universelle (1825). La liberté (1852); „Cours du droit naturel“ par Jouffroy. „La liberté 1858“; Le Devoir (1857). რაზან „კაკო ყაჩაღის“ ეს ხელნაწერი 1860 წლით თარიღდება და ამ ხელნაწერში ილიას მიერ ჩამოთვლილი რუსული და ფრანგული გამოცემებიც 1860 წლამდელია, გვაფიქრებენებს, რომ აღნიშნულ რუსულთან ერთად ფრანგულ წყაროებსაც სტუდენტი ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს კითხულობდა.

ა. ბუევის რომანის „იზას“ სამივე ენაზე შედარებისას ნათელი გახდა, რომ რუსული თარგმანი წარმოადგენს ორიგინალის ადაპტაციას, უფრო მეტიც, რუსი

<sup>7</sup> ა. ბუევი, იზა, თარგმ. ი. ჭავჭავაძისა, თბ., 1959, გვ. 391—392.

<sup>8</sup> გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966, გვ. 92—93.

<sup>9</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863, 86.

<sup>10</sup> გ. ლეონიძე, ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935.

მთარგმნელი (სამწუხაროდ, მისი ვინაობა არაა მითითებული 1879 წლის ეურნალში «Живописное обозрение», სადაც ქვეყნდებოდა ა. ბუვიეს რომანის „იზა“ რუსული თარგმანი, ოლონდ, რადგან ფრანგულ ნაწარმოებთა თარგმანების უმრავლესობა, რომელიც იბეჭდებოდა იმ პერიოდის ზემოხსენებულ ეურნალში, შესრულებულია პ. ლეტენეის მიერ, შესაძლოა, რომ ეს თარგმანიც მას ეკუთვნოდეს) მიჰყვება რომანის სიუჟეტს, ზუსტად იცავს მოქმედებათა თანმიმდევრობას და ამავე დროს გვერდს უვლის ორიგინალის მხატვრულ მხარეს— პერსონაჟთა სულიერი ვანცდების, პეიზაჟისა თუ პარიზის უბნების აღწერას, ფრანგული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ სხარტ, ენამოსწრებულ დიალოგებს, ავტორისეულ კომენტარებს, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც ა. ბუვიე უშუალოდ მკითხველს მიმართავს (იხ. გვ. 2, 4, 7—8—9, 28, 30, 183, 159, 331—332 (ლექსი), 336, 337, 522, 526—527, 528, 592, 600, 602—603—604, 607—608—609, 668—669, 677, 682, 685, 688—689).

ამის გამო მკითხველი, თუკი თარგმანის საშუალებით ეცნობა ა. ბუვიეს ამ შესანიშნავ რომანს, ვერ აღიქვამს მის მხატვრულ ღირსებას და, რა თქმა უნდა, მწერლურ ოსტატობას.

რაც შეეხება „იზას“ ქართულ თარგმანს საგრძნობლად შეიმჩნევა მისი მსგავსება რუსულ თარგმანთან, ე. ი. ილია ჭავჭავაძეს ფრანგული იმდენად არ სცოდნია, რომ რუსული თარგმანის არარსებობის შემთხვევაში პირდაპირ ეთარგმნა ორიგინალიდან, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ის ორიგინალსაც გასცნობოდა, რადგან რომანი პარიზში გამოიცა 1878 წელს და იმავე წლიდან (როგორც ა. ბუვიეს სხვა რომანები) დიდი პოპულარობით სარგებლობდა პეტერბურგის იმდროინდელ საზოგადოებაში.

დაიწყოთ რომანის სამივე ენაზე შედარება ნაწილებისა და თავების სათაურების მიხედვით: „იზას“ ფრანგული ორიგინალი შედგება ოთხი ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი შედგება თავებისაგან. რომანის ნაწილები და თავები დასათაურებულია, როგორც ფრანგულ ორიგინალში, ასევე მის რუსულ და ქართულ თარგმანებში. მათი შედარებისას უკვე იქმნება გარკვეული შთაბეჭდილება ქართული თარგმანის წყაროს შესახებ.

პირველი ნაწილის X თავის სათაურია ფრანგულში: „Ce qui s'était passé chez Maurice la nuit de juin et le matin“ („რა მოხდა მორისის სახლში ივნისის თვის ერთ საღამოს და დღით“), რუსულში: «Что случилось с Морисом», ქართულში: „რა დაემართა მორისსა“.

ამავე ნაწილის XI თავი ფრანგულად— „Bristes adieux! Briste amours!“ („მწუხარე გამოშვიდობება! საეალალო სიყვარული!“). რუსულ თარგმანში— «Горькая любовь». ქართულ თარგმანში— „მწარე სიყვარული“.

რომანის ორიგინალის II ნაწილის სათაური: „La crime de la rue de Lacuée“ („დანაშაული (ან ბოროტმოქმედება) ლაკუეს ქუჩაზე“). რუსულში თარგმნილია როგორც «убийство», ქართულში— „კაცისკვლა“. ამავე ნაწილის II თავი, რომლის სათაურია „Où nous présentons enfin notre héroïne au lecteur“ („სად წარვუდგენთ საბოლოოდ (რომანის) გმირ ქალს ჩვენს მკითხველს?“), რუს მთარგმნელს გაუყვია ორ ნაწილად და დაუსათაურებია კიდევ: II. «Почему арестовали Мориса» და III. «Героиня является на сцену»: ი. ჭავჭავაძის თარგმანშიც იგივე მეორდება: II. „რატომ დაიჭირეს მორისი“. და III. „იზა მოელანზე გამოდის“.

ფრანგული ორიგინალის II თავი „Deux graves affaires“ (რუსულ თარგმანში—„два важные дела“, ქართულში—„ორი მძიმე საქმე“) გაყოფილია რუსი მთარგმნელის მიერ და რატომღაც მეორე განაყოფს ორიგინალის IV თავის სათაური აქვს: «Comment le bon Boyer savait se tirer d'affaire» («როგორ შეეძლო ბუიეს მდგომარეობიდან თავის დაღწევა») რუსულად—«как Бойе умел выходить сухим из воды», ქართულად—„მასზედ თუ ბოიე როგორ გამოდიოდა წყლიდან დაუსველებელი“, ხოლო IV თავი („Comment le bon Boyer savait setirer d'affaire“) საერთოდ არაა თარგმნილი როგორც რუსულ, ასევე ქართულ თარგმანებში.

III ნაწილის VI თავის სათაური ფრანგულ ორიგინალში „Les douleurs et les amours d'Jsa“ („იზას მწუხარება (დარდი) და სიყვარული“) —რუსულად თარგმნილია (გადაკეთებულია) «Спаси моего брата и я полюблю тебя», ქართულად—„ძმა დამიხსენი და შეგიყვარებ“.

დედნის IV ნაწილის VII თავი „Des singuliers titres de noblesse qu'on trouve chez Mme Jsa, veuve Séglin, Comtesse de Zintsky“. („უცნაური დოკუმენტები ტიტულის (აზნაურობის, კეთილშობილების) შესახებ, რომლებიც იპოვეს გრაფ ზინსკის ცოლის, სეგლენის ქვრივის, ქ-ნ იზას სახლში“) —რუსულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც «Шифоньерка Изы», ქართულში—„ყუთი იზასი“.

ახლა, რაც შეეხება რომანის ტექსტის სამივე ენაზე შედარებით მიღებულ სურათს.

რუსი და შესაბამისად ქართველი მთარგმნელი საგარნოზლად ამოკლებს დედნის ტექსტს და ამჯობინებს რამდენიმე ფრაზით გადმოსცეს ორიგინალის ზოგჯერ გაკიანურებული ადგილები:

1. „Elle marcha sur la pointe des pieds dans sa chambre, pris un manteau quelle jetta sur ses épaules, sans s'inquieter comment elle était coiffé, oubliant toute coquetterie; le cerveau occupé tout entier par une grave pensée, et évitant de faire le moindre bruit, elle sortit doucement de chez elle, descendit l'escalier, passa par les ateliers et se trouva rue Saint-François...“ (A. B o u v i e r, La grande Jsa, Paris, 1878, გვ. 7).

«Она встала, на цыпочках подошла к шкафу, накинула себе на плечи ротонду, тихо спустилась вниз и через мастерскую вышла на улицу». «Живописное обозрение», 1879, № 1, გვ. 72.

„ადგა, ფეხ-აკრეფით, მივიდა შკაფთან წამოსახა წამოსახამი, ნელა ჩამოვიდა ძირს, ქარგლების ოთახი გაიარა და გავიდა ქუჩაში“, ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 6.

2. „... les oiseaux chantent, le coq beugle, les arbres se dégagent du brouillard et dressent leurs longues silhouettes dans les gris de l'aube. Peu à peu la Seine apparait, avec ses matinaux mariniers sur les bords. Ciel, terre, arbres, fleuve se dégagent ternes et brumeux... Enfin, crevant l'horison, miroitant sur l'eau, scintillant à travers les feuilles, le soleil paraît“. გვ. 19.

«... птицы запели, петухи огласили воздух своим хриплым голосом. Мало по малу Сена выступила из тумана. Небо, земля, вода стали выде-

ლаться на сером фоне. Наконец, на горизонте показалось и солнце». «Живописное обозрение», 1879, № 1, გვ. 13.

„... ფრინველები გალობას მოჰყენენ, მამლებმა თავის ხრინწიანის ხმით ყივილი დაიწყეს. თანდათან მდინარე სენა ჯანლებილამ გამოვიდა. ცა, ქვეყანა, წყალი გამოჩნდა ლურჯს ჰაერზედა. ბოლოს მზემაც ამოჰყო თავი“. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 15.

3. „Et le plus vieux entraîna son ami au bout du salon, dans un petit fumoir organisé sur une terrasse. Ils choisirent des cigares, les allumèrent, et l'un assis sur un divan, l'autre en face de lui sur un fauteuil, tout les deux accoudés sur le bord de la fenêtre qui s'ouvrait sur le jardin, ils causèrent“. გვ. 161.

«И наши друзья поспешно направились в курильную на терасе, ушли перед окном выходившем в сад и закурили сигары». «Живописное обозрение.» 1879, № 10, გვ. 219.

„ჩვენმა მეგობრებმა გასწიეს და შევიდნენ ჩიბუხის მოსაწეე ოთახში, რომელიც ბაღისაკენ იყო და მოუკიდეს სიგარებს“. ე. „ივერია“, 1879, № 6, გვ. 123.

4. „En quelques minutes, Adèle bussaud reprit ses sens. Lorsqu'elle eut conscience de son malheur, ce fut une scène déchirante. A demi étendue sur le lit de sa fille, elle embrassait et couvrait de larmes l'oreiller ou s'était posée sa tête; elle humait le parfum qu'y avait laissé ses cheveux, mordait le petit bonnet de nuit que ses mains rencontrèrent sous l'oreiller, et gémissait, elle sanglotait, s'accusant, puis blasphémant. გვ. 25.

«Через несколько минут она очнулась и, сознав всю громадность своего несчастья, предалась самому мрачному отчаянию. Она покрывала поцелуями подушки дочери, грызла ее маленький ночной чепчик, металась, рыдала, обвиняла себя роптала на бога». «Живописное обозрение,“ 1879, № 2, გვ. 39.

„რამდენსამე წუთ შემდეგ გული მოიბრუნა და წარმოუდგა რა თვალწინ თავისი უზარმაზარი უბედურება, საშინელს სასოწარკვეთილებას მიეცა კოცნა დაუწყო თავის ქალის ბალიშსა, კბილითა ჰგლეჯდა მის საღამურ თავზე მოსახვევსა, ხან იქით ეცემოდა, ხან აქეთ, ტიროდა, ქვითინებდა, თავისთავს აბრალებდა და ღმერთს უჩიოდა“. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 20.

5. „Heureux, riant, Maurice se précipita plutôt qu'il ne descendit, et, avide de liberté, il courut tout d'un trait jusqu'à la rue Saint-François. Devant la porte, il suffoquait, il n'osait entrer; enfin, se domptant, il tourna le bouton. En entendant résonner le gros timbre et se trouvant dans le rayon de lumière qui venait de la salle à manger, il fut obligé de s'appuyer au mur pour ne pas tomber.“ გვ. 693.

«Счастливым Морис бегом пустился в улицу Франсуа. Подойдя к двери дома Тюссо, он сперва не решился позвонить, наконец, взялся за звонок, дверь отворилась и он вошел освещенную столовую». «Живописное обозрение,» 1879, № 37, გვ. 227.

„მორისი გაექანა ფრანსუას ქუჩისაკენ. ტიუსოს სახლთან რომ მივიდა, ჯერ ვერ გაბედა ზარის ჩამორეკა. ბოლოს მოჰკიდა ზარს ხელი, კარები გაიღო და მორისი შევიდა განათებულს პურის-საქმელს ოთახში. ა. ბუვიე, იზა, თბილისი, 1959, გვ. 381.

არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრანგული ორიგინალის ზოგიერთი ადგილები განსხვავებულია, რუსული და ქართული თარგმანებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი ზუსტად მისდევენ ერთმანეთს:

1. „Soyez tranquille, madame, c'est solide; vous pourrez danser sans crainte“. გვ. 21.

«—Вы можете танцевать, сколько хотите, и ни один волосок не шлехнётся». «Живописное обозрение», 1879, № 2, გვ. 39.

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, უპასუხა პარიკმახერმა, შეგიძლიათ იტანციოთ რამდენიც გსურთ, ერთი ბეწვიც არ დაიძვრის ადგილიდან“. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 17.

2. C'était un robuste gaillard, plutôt petit que grand, bâti comme un chêne, aux épaules larges, au cou nerveux, aux jambes d'acier, pas très gentil garçon, mais l'air bon, sympathique; des cheveux blonds, des yeux bleu clair, presque gris et à fleur de tête, le teint frais.“ გვ. 33.

«Это был коренастый молодчина, скорее малого, чем большого роста, широкоплечий, мускулистый, не очень красивый но добродушный, с русыми волосами, голубыми глазами и свежим цветом лица». «Живописное обозрение», 1879, № 2, გვ. 42.

„იგი იყო ერთი გმუხი ბიჭი, უფრო დაბალის ვიდრე დიდის ტანისა, განიერ მხარ-ბეჭვიანი, ძარღვიანი, არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ კეთილი სული იყო, მიმზიდველი, მარილიანი, ქერა თმისანი, ლურჯ-თვალეზიანი და სახის ფერი ჯანმრთელობით უღვიოდა“. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 26.

„Adèle le regardait avec le visage d'une femme qui recevrait une douche d'eau glacée, elle ne trouvait un mot à répondre, tant les pensées d'houdard la stupefaient“. გვ. 37.

«Адель смотрела на него безчувственно, холодно, как бы ничего не понимая». «Живописное обозрение», 1879, № 2, გვ. 3.

„ადელმა უგრძნობლად, ცივად შეხედა თითქოს არ ესმისო“. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 29.

„Nous demandons au lecteur la permission de le ramener au jour qui suivit la nuit pendant laquelle s'ouvre cette histoire. Il était environs six heures du soir, un rassemblement nombreux stationnait, rue de lacuèe, devant la maison placée juste en face de celle où nous avons vu Maurice conduire Cecile, la nuit précédente, petit hôtel moderne, ouvrant, de plain-pied sur la rue“. გვ. 133.

«Вернёмся к тому дню, когда в первый раз была назначена свадьба Люси, прерванная ее попыткой на самоубийство. В шесть часов вечера, многочисленная толпа в улице Лакюэ перед домом, как раз напротив того дома, где накануне провели ночь Морис и Сесиль».

«Живописное обозрение», 1879, № 8, გვ. 174.

„დავიწყეთ იმ დღიდან, როცა პირველად იყო დანიშნული სესილის ჯვარის-წერის დღე, რომელიც გააუქმა სესილას თავის მოკვლის განზრახვამ. საღამოს ექვს საათზედ აღარებელი ხალხი იდგა ლაკუეს ქუჩაში სწორედ იმ სახლის პირდაპირ, რომელშიაც წინა დღეს ღამე გაატარეს მორისმა და სესილამ“. ე. „ივერია“, 1879, № 5, გვ. 98.

„La grande Jsa, qui paraissait très attentive, avait pris un siege, l'avait avancé près de celui du jeune magistrat, s'était assise presque devant lui; accoudée sur la table, la tête dans ses mains, elle écoutait, et quand celui-ci, levant la tête, sembla la consulter du regard, elle dit:

—Pauvre garçon! გვ. 396.

«Выслушав внимательно это заключение, Иза села на стул против Оскара и задумалась.

— Бедный! сказала она меланхолическим тоном». «Живописное обозрение», № 28, 1879, გვ. 502.

„ეს რომ მოისმინა ყურადღებით, იზა სკამზედ ჩამოჯდა ოსკარის პირდაპირ და ჩაფიქრდა.

— საწყალი! მსოქვა იზამ დაღონებულის ხმით“. ე. „ივერია“, 1880 წ. № 1, გვ. 275.

—Mais ce n'est pas possible, ce que vous dites là?

—Qui oserait dire cela?

—Il ne faudrait pas qu'on parle comme ça devant moi.

Exclamèrent Paillard Amélie et Chadi.

—Vous n'empêcherez rien et ce que je vais vous proposer évite tout cela. C'est le public et les jurés qui, les premiers pris, entraîneront le tribunal.

—Dites—nous enfin ce qu'il faut faire.

—C'est simple. L'audience commence à dix heures“. გვ. 596.

«— Но ведь это невозможно; это будет крайне несправедливо.

— Я делаю только предположение, весьма вероятное, однакож.

— Что же тогда делать? живо спросила Амели.

— А вот что. Заседание откроется в десять часов...“ «Живописное обозрение», 1879, № 34, გვ. 166.

„ეგ ხომ გადამეტებული უსამართლობა იქნება!

— მე ხომ არ ვამტყიცებ, რომ უსათუოდ ესე მოხდება-მეთქი, მე მარტო იმას ვამბობ, რომ შეიძლება ესეც მოხდეს-მეთქი. ადვილად საფიქრებელიც არის.

— მაშინ რაღა გვეშველება? — ჰკითხა მოუთმენლად ამელიმ.

— აი რა: საქმის გარჩევას დაიწყებენ ათს საათზედ...“ ა. ბ უ ე ე, იზა, გვ. 329.

რუსმა მთარგმნელმა ევროპული რომანი გაამარტივა, მისცა ფართო საზოგადოებისათვის გასაგები სახე, მაგრამ მას მხედველობიდან გამოჩა, რომ მარტივი, გაშიშვლებული სიუჟეტი მკითხველისათვის უინტერესო იქნებოდა. აქედან გამომდინარე: „იზას“ ნაკლები პოპულარობა რუსეთში (ა. ბუვიეს მრავალ რომანთან შედარებით) მხოლოდ რუსი მთარგმნელის „დამსახურებაა“.

რადგან ქართული თარგმანი ფეხდაფეხ მისდევს რუსულ თარგმანს, ამდენად გასაგებია, თუ რატომაა ილიასეული თარგმანი შედარებით მდარე, მისი მხატვრული ნიჟისათვის ნაკლები ოსტატობით შესრულებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობს მისცეს თავის თარგმანს ქართული ელფერი, უმატებს ისეთ გამოთქმებს, რომელიც არც ორიგინალშია და არც რუსულ თარგმანში:



„Dire la verité a mon père, c'est le malheur de sa vie et la ruine de la maison... Dire à ma mère ce que je sais, c'est plus affreux encore... Ma mère s'humiliant devant moi, parler à ce monsieur, cela m'est impossible, il me fait horreur, son regard est sale, ses gestes son sales... JI m'inspire un degoût profond. გვ. 11.

«Сказать отцу, значит, погубить мать и фирму... сказать матери что мне всё известно... ещё ужаснее... сказать этому человеку... я не могу он мне гадок ненавистен. В нем всё грязно, отвратительно... и взгляды и жесты». «Живописное обозрение», 1879, № 1, გვ. 12.

„ვუთხრა მამას დედასა და ქარხანას დავლუბამ... ვუთხრა დედას, რომ ყველაფერი ვიცი... უარესია... უთხრა თვითონ ამ კაცს... ღონე არა მაქვს... ღონე, რომ სხა გეეცე. როგორც გველი ისე მეზიზღება, ისე მძულს თავიდან ფეხებამდე სულ ჩირქია... ყოველსფერში საძაგელი რამ არის, ქცევაში, მიზრა-მოხრაში“... ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 8.

„C'est l'agent Boyer qui, en sortant de la geôle de la Conciergerie, avait répondu au greffier qui s'étonnait de l'air honnête et de l'aspect doux de celui qu'on lui livrait comme un assassin:

— Eh bien! il m'a l'air d'un malin et d'un fort“ .გვ.201.

«Полицейский сказавший регистратору в Консьержери, удивлившемуся скромной и честной наружности Мориса Ферана, обвиняемого в убийстве, что он ему кажется ловким негодяем был сыщик Бойе». «Живописное обозрение», № 13, 1879, გვ. 286.

„თუ მკითხველს ახსოვს, მორისს რომ ციხეში სვამდნენ მოხველეს, რომელმაც მორისის სახელი და გვარი დავთარში ჩაჰსწერა, ეოცა მორისის აეკაცობა, რა ნახა ამ ყმაწვილის პატროსანი სახე. მაშინ იქ ერთი პოლიციელი იყო, რომელმაც უთხრა, თქვენ ვერე გგონიათ, დიდი არამზადა უნდა იყოსო. ის პოლიციელი ჩუმად-მაძიებელი ბოიე იყო“. ე. „ივერია“, 1879, № 7, გვ. 154.

ზოგჯერ კი პირიქით, ილია მოკლედ გადმოგვცემს დედანსა და რუსულ თარგმანში უფრო ვრცლად გადმოცემულ აზრს:

1. En effet, C'était le commissaire qui descendit devant la porte du petit hotel, suivi par trois agents de la sûreté. Il frappa; le coup retentit lugubre, portant écho comme dans les maisons vides. Aussitôt la porte s'ouvrit, le commissaire entra avec les gens qui l'accompagnaient, et la porte se referma sur le nez des curieux désappointés. გვ.134.

«Действительно из кареты вышел полицейский комисар с тремя сыщиками. Он постучал в дверь, удар глухо раздался словно в пустом доме дверь немедленно отворилась, комисар с сыщиками вошел и дверь снова захлопнулась под самим носом любопытных». «Живописное обозрение», 1879, № 8, გვ. 174.

„მართლაც ეტლიდამ გადმოვიდა პოლიციის კამისარი და თან სამც ჩუმი-მაძიებელნი შავიდნენ და კარი ისევ მოხურეს. უქმი ცნობისმოყვარე ხალხი სახტად დარჩა, თუმცა კი იწვედნენ შესვლისათვის“. ე. „ივერია“, 1879, № 5, გვ. 99.

2. Lorsque Houdard arriva dans le pays, il faisait presque nuit; il hésitait à avancer lorsqu'il vit à quelques pas de lui une femme vêtue de loq-

ues qui, l'épaule chargée du linge mouillé qu'elle rapportait du lavoir — on peut-êtré du salissoir: la Bievre, — le regardait curieusement; il lui demanda:...“ გვ.524.

«Наступила уже ночь, когда Гудар подошел к первому дому деревни; он не знал, куда идти; туман сгустился до того что трудно было различать соседний дом. К его счастью ему встретила женщина несшая на плече корзину с мокрым бельем». «Живописное обозрение», 1879, № 30, გვ. 79.

„ბინდმორეული იყო, როცა ბოიესათვის დანიშნულ მიკიტანხანასთან მივიდა. აქ ერთი დედაკაცი შეხვდა და ჰკითხა: „... ა. ბუვიე, იზა, 1959, გვ. 286.

3. „Du regard il me fait signe d'eloigner ma femme de chambre; je haussai les épaules; mais il insista, et je priai Justine de s'aller coucher et de nous laisser seuls.

Lorsqu'elle fut sortie, je renouvelai ma question. Alors Houdard ouvrit d'abord la porte du cabinet de toilette, pour s'assurer que personne ne pouvait l'entendre; puis, l'ayant soigneusement fermé, il revint et me dit d'une voix sourde: — c'est fait!“. გვ. 659.

«Взглядом он просил выслать горничную, я пожала плечами, он так как он настаивал я приказала Жюстине идти спать и оставить нас одних. Когда она вышла, я возобновила свой вопрос. Гудар отворил дверь уборной, чтобы увериться, что никто не подслушивает и, тщательно заперев ее, подошел ко мне и произнес глухим голосом: «Сделано!» «Живописное обозрение», 1879, № 36, გვ. 203.

„იმან მანიშნა, გოგო დაითხოვეო. გოგო გავიდა, გუდარმა ყველა კარები გასინჯა, ყურს ხომ არავენ გვიგდებსო, მერე მოვიდა და ყრუდ მითხრა „გავათავეო!“ ა. ბუვიე, იზა, გვ. 365.

რუს მთარგმნელს დაშვებული აქვს საკმაო რაოდენობის უზუსტობანი. როგორც ტექსტის გაგების, ისე ზოგიერთი დეტალის, ფაქტის ან სიტყვის გადმოცემისას. სამწუხაროდ, რუსი მთარგმნელის ეს შეცდომები თუ უზუსტობანი შესაბამისად გადმოსულია ქართულ თარგმანშიაც:

1. „Dire la verité à mon père, c'est le malheur de sa vie et la ruine de la maison...“ გვ.11.

(„მამაჩემისათვის სიმართლის თქმა ნიშნავს მისი სიცოცხლას გამწარებასა და სახლის დაქცევას“).

«Сказать отцу, значит погубить мать и фирму . . .» «Живописное обозрение», 1879, № 1, გვ. 72.

„ვეუთხრა მამას დედასა და ქარხანას დავლუბამ“. ე. „ივერია“, № 3, 1879, გვ. 8.

2. „André Houdard était un solide et grand garçon, comptait trente-cinq ans“, ... გვ.28.

(ანდრე ჰუდარი იყო ოცდათხუთმეტი წლის ახოვანი ვაჟაკი...). ე. „ივერია“, № 3, 1879, გვ. 28.

«Это был здоровенный сильный человек лет сорока . . .» «Живописное обозрение», № 2, 1879, გვ.42.

„გუდარი გახლდათ ერთი ჯანმრთელი, ღონიერი კაცი, ისე ორმოცის წლისა“... ე. „ივერია“, № 3, 1879, გვ. 23.

3. „ . . . le visage, d'un ovale un peu long . . . A. Bouvier, „Isa“ გვ. 29 (ოღნავ მოგზაო ოვალის სახე . . . .“).

«большая голова . . .»—«Живописное обозрение», 1879, № 2, გვ. 42.

“მოდილო თავი“ — ე. “ივერია“, 1879, № 3, გვ. 23.

4. „Son père était un marinier, il demeurait chez ses parents, quai de la Gare“. გვ. 34.

(მამამისი იყო მეზღვაური. ის (არისტიდი) ცხოვრობდა თავის მშობლებთან, სანაპიროზე“).

«Отец его буржуа, имел некоторые средства и Аристид жил в семействе на набережном близ Аустерлицкого моста». «Живописное обозрение», 1879, № 2, გვ. 12.

„მის მამას ცოტაოდენი შეძლება ჰქონდა და დაეყენებინა შვილი ერთს ოჯახში, რომელიც იქვე აუსტერლიცის ხიდთან იდგა. ე. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 26.

5. „Se voyant alors bien dupe, il eut un cri déchirant.“ გვ. 622.

(მიხვდა თუ არა თავის სიბრძოვეს, მას აღმოხდა გულშემზარავი ყვირილი).

«Согласившись наконец, что он был одурачен, он с отчаянием опустил голову . . .» «Живописное обозрение», 1879, № 34, გვ. 170.

... „მიხვდა, რომ გამოასულელეს და დაჰკიდა თავი...“ ა. ბუვიე, იზა, გვ. 343.

საბოლოოდ ირკვევა, რომ ა. ბუვიეს „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი ძირითადად შესრულებულია ჟურნალ «Живописное обозрение-ში» 1879 წლის (იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით) გამოქვეყნებული რუსული თარგმანის მიხედვით, თუმცა ეს არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ ილია ჭავჭავაძე გაეცნობოდა ნაწარმოებში ფრანგულ ორიგინალს. ამასთან იგი ცდილობდა ევროპული ცხოვრების ამსახველი რომანი ქართულ სინამდვილესთან მიესადაგებინა.

М. П. ЯМАНИДЗЕ

О ПЕРЕВОДЕ И. ЧАВЧАВАДЗЕ

„ИЗЫ“ А. БУВЬЕ

Резюме

Для окончательного установления источника перевода Ильи Чавчавадзе на грузинский язык романа А. Бувье «Иза» проведено сравнение текста французского оригинала с русским и грузинским переводами. Выяснено, что перевод Чавчавадзе в основном выполнен согласно русскому переводу, опубликованному в номерах журнала «Живописное обозрение» за январь-сентябрь 1879 года, выходящего в Петербурге. Однако не лишено вероятности предположение, что Илья Чавчавадзе в случае надобности пользовался и французским оригиналом. При этом в процессе перевода он пытался приблизить содержание романа, описывающего европейскую жизнь того времени, к грузинской действительности.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

3. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2

## ნათელა ჩიბაური

 მარიანო ხოსე დე ლარას მოთხრობათა ილია  
 შავჭავჭავიძისული თარგმანების გამო

I. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ესპანურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარიანო ხოსე დე ლარას (1809—1837 წწ.) შემოქმედებას. ლარას სულ 28 წელი იცხოვრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ესპანური ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში. მისმა რომანმა „მეფე ენრიკ სუსტის პაეი“ და დრამამ „მასიასი“ გარკვეული როლი შეასრულეს ესპანური რომანტიზმის ჩამოყალიბებაში. ლარას ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები და თეატრალური რეცენზიები პროფესიული კრიტიკის პირველი ნიმუშებია ესპანურ ლიტერატურაში. მთავარი, რაც დღესაც იპყრობს ყურადღებას ლარას შემოქმედებაში, — ეს არის მისი სატირული პუბლიცისტიკა, რომელიც აქტუალური და მნიშვნელოვანია დღევანდელი ესპანეთისათვისაც, და არა მხოლოდ ესპანეთისათვის. მარიანო ხოსე დე ლარას შემოქმედება საინტერესოა ყოველი ქვეყნის, ყველა ებოქის მკითხველისათვის, რადგან მისი ნაწარმოებები არ არის მხოლოდ მახვილგონივრული შენიშვნები რომელიმე პიროვნების ან მოვლენის შესახებ; მის ნაწარმოებებს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოცემული მომენტისათვის. მწერალი ადამიანთა ისეთ თვისებებს, ადამიანური ურთიერთობის ისეთ მხარეებს წარმოგვიდგენს, რომელნიც იარსებებენ მუდამ, სანამ არსებობს თვით ადამიანი. ამიტომაც ბევრი რამ აქვს საერთო ლარას სატირას მსოფლიო ლიტერატურაში არსებული სატირიკოსების შემოქმედებასთან. სწორედ ამიტომაც შესაძლებელი ლარას შემოქმედების გავება ჩვენი თანამედროვეობის მიერ. მეორე მხრივ, „ლარას შემოქმედება ისევე, როგორც ყოველი პეშმარტი მწერლის შემოქმედება, ძირითადად ჩამოყალიბდა იმ სინამდვილის ზეგავლენით, რომელშიც უხდებოდა მწერალს ცხოვრება. ეს სინამდვილე იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ესპანეთი. შეუძლებელია ლარას შემოქმედების გავება ამ ფაქტის გათვალისწინების გარეშე“<sup>1</sup>.

ესპანეთის ისტორიაში XIX საუკუნის პირველი ნახევარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროისათვის ქვეყანაში დაიწყო ფეოდალური ურთიერთობის რღვევა, ესპანეთის საზოგადოებაში უკვე მომძლავრდა აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო ძალები. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ომმა (1808—1814 წწ.), რომლის დროსაც მოხდა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ (1820—1823 წწ.) უმნიშვნელოდ დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება ქვეყანაში.

ესპანელი ხალხი ძლიერ მკიდროდ იყო დაკავშირებული წარსულის ტრა-

<sup>1</sup> З. И. Плавский, Мариано Хосе де Ларра и его время, Ленинград, 1977, 33. 7.

დღივებთან. 1820—23 წლების რევოლუციამ წარმოშვა მსხვილი ბურჟუაზიული პარტიები. ჩვენ აქ დაწვრილებით არ მიმოვიხილავთ ამ დროისათვის ესპანეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ესპანეთში ერთმანეთს საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ პარტიები. დაკავებებიანი (მოდერადოსები „ზომიერნი“, ექსალტადოსები „მიფენარენი“ და სხვ.); ხელისუფალნი — ფერდინანდ VII, მარიაკრისტინა, დონ კარლოსი — რიგრიგობით ეუფლებოდნენ სამეფო ტახტს; ქვეყანაში ინტერვენტები თარეშობდნენ. პოლიტიკური არეულობა აბნევდა ხალხს. აფერხებდა კულტურის განვითარებას.

ასეთი იყო ლარას ეპოქა. იგი იძლეოდა სატირისა და იმ მხატვრული აზრის მასალას, რაც წარმოდგენილია ესპანელი მწერლის შემოქმედებაში.

მარიანო ხოსე დე ლარა დაიბადა 1809 წლის 24 მარტს ქ. მადრიდში. მისი მამა — მარიანო დე ლარა მეტად განათლებული კაცი იყო. იგი იზიარებდა საფრანგეთის რევოლუციის იდეებს. ამან განაპირობა ლარას მამის — განსწავლული ექიმის შესვლა ნაპოლეონის არმიაში, რომელმაც იმ დროისათვის ესპანეთი დაიპყრო. ოჯახის დანარჩენი წევრები მხურვალე პატრიოტები იყვნენ. 1813 წელს ნაპოლეონის არმიის უკანდახევის გამო ლარას მშობლებს აღარ დაეღვამებოდათ ესპანეთში და ისინი საფრანგეთში გაემგზავრნენ. მათ თან წაიყვანეს მომავალი მწერალიც. 1816 წელს ოჯახი დასახლდა პარიზში. ლარა შეიყვანეს ბორდოს კოლეჯში. აქ მარიანო ლარამ სწრაფად ისწავლა ფრანგული და ასევე სწრაფად დაიფიქვა ესპანური. რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახი დაბრუნდა ესპანეთში. ცხრა წლის ლარას მშობლიური ენის შესწავლა თითქმის თავიდან მოუხდა. ის სწავლობდა მადრიდში, წმ. ანტონის კოლეჯიაში. აქ, დედაქალაქში, ლარამ საკუთარი თვალით იხილა 1820—23 წლების რევოლუციის დღეები. ამ წლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ლარა სწავლობდა ვალიადოლიდის, ვალენსიის, მადრიდის უნივერსიტეტებში, მაგრამ მას სრული ჟურსი არსად არ გაუვლია. 1826 წელს ლარამ რამდენიმე თვე იმსახურა ერთ-ერთი სამინისტროს დაწესებულებაში. იგი მალე მიხვდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება ლიტერატურა იყო. ჯერ კიდევ 12—13 წლის ბავშვმა ფრანგულიდან თარგმნა „ილიადას“ ნაწყვეტები. შემდეგ ლარამ კვლავ სცადა ბედო პოეზიაში, მაგრამ მან მალე მიაგნო ნამდვილ მოწოდებას: ის გახდა ჟურნალისტ-სატირიკოსი.

1828 წელს მადრიდში გამოჩნდა ახალი პერიოდული გამოცემა „თანამედროვეობის სატირული მაქცია“. სათაურის ქვეშ მიწერილი იყო შემდეგი: „გამოცემულია მარიანო ხოსე დე ლარას პირადი ინიციატივით“. ახალგაზრდა ჟურნალისტმა ეპიგრაფად შეარჩია ბუალოს სიტყვები: „ჩემს სიძულვილს მივმართავ ჩვენი საუკუნის უაზრობათა წინააღმდეგ“.

ესპანეთში ამ დროისათვის კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა. ხელისუფლება ფერდინანდ VII-ის ხელში აღმოჩნდა. ქვეყანა წალეკა საშინელი ტერორის ტალღამ. ფერდინანდ VII-ის მმართველობის ბოლო 10 წელი (1823—33 წწ.) საშინელი რეაქციის ეპოქა იყო ესპანეთში: სიკვდილით სჯიდნენ ათასობით პატრიოტს, შავ სამოსელში გამოწყობილი ხალხი სასტიკ ცენსურას ახორციელებდა ყოველგვარი წიგნისა და გაზეთის მიმართ.

აი, ასეთ დროს დაიწყო მოღვაწეობა ახალგაზრდა ლარამ. მან იკისრა სატი-  
რიკოს-პუბლიცისტის მძიმე ტვირთი იმდროინდელ ესპანეთში

მარიანო ხოსე დე ლარა სასტიკ წინააღმდეგობას ხედებოდა ცენზურის  
მზრიდან, მაგრამ მან თავისი ჟურნალის ფურცლებზე მაინც მოგვცა იმდროინ-  
დელი ეპოქის ნათელი დახასიათება, აღწერა უმადლესი კლასების უმიზნო და  
უშინაარსო ყოფა („კაფე“, „მაქციას მიმოწერა“, „ხართა ბრძოლა“).

1829 წელს ცენზურამ თავისას მიაღწია, ჟურნალი დახუტეს.

რეაქციას მაინც არ შეეძლო მთლიანად შეეჩერებინა კაბიტალისტური ურ-  
თიერთობის განვითარება ქვეყანაში. 1832 წელს ფერდინანდ VII-ის მძიმე ავად-  
მყოფობის გამო ხელისუფლება გადავიდა დედოფლის, მარია-კრისტინას ხელში.  
მისი მმართველობის პირველმა ნაბიჯებმა ცოტათი გაამართლა საზოგადოების  
მოწინავე ნაწილის იმედები. შესამჩნევად შესუსტდა ცენზურა. ლარამ არ დაა-  
ყოვნა — 1832 წლის აგვისტოში გამოსცა ჟურნალი „გულწრფელი მოლაყბი“.  
შესავალში ის წერდა: „ვილაპარაკოთ სიმართლე — ასეთია ჩვენი მეთოდი“.

აქ მოთავსებული ნარკვევები ლარამ თვითონ მიაკეთენა ესპანეთში იმ დროს  
გავრცელებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას — კოსტუმბრიზმს (ესპ. Cos-  
tumbre—ჩვეულება). როგორც სახელწოდება ვეჩხვენებს, ამ სახის ლიტერატ-  
ურა აღწერს რომელიმე საზოგადოებრივი ფენის ყოფა-ცხოვრებას. ლარა „კოს-  
ტუმბრისტების“ იმ ნაწილის წარმომადგენელი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა  
საზოგადოების ყოფა-ცხოვრების არა მხოლოდ უბრალო აღწერას, არამედ მის  
კრიტიკასაც. მის ნოველებში იყო ღიმილი, ირონია, მაგრამ არა მშვიდი და  
წყნარი, არამედ მძაფრი.

„გულწრფელი მოლაყბის“ ბევრ მოთხრობაში მარიანო ხოსე დე ლარა გა-  
მოდის რომელიღაც ბატუეკების ქვეყნის მცხოვრების — გულუმბრყვილო ხუა-  
ნა პერესა დე მუნგის ნიღბით. ბატუეკების ქვეყანა ველური და ჩამორჩენილია.  
„მათ საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინიათ, — მოგვითხრობს მუნგია, — კვდებიან  
სიკვდილის შიშის გამო. ისინი უარს ამბობენ იმსჯელონ საკუთარ თავთანაც კი,  
რათა არ გაიჩინონ მტრები; პირფერობენ ხელისუფლების წინაშე. ერთადერთი,  
რაც შეიძლება გავიგონოთ მშვიდობიანი ბატუეკებისაგან, — ეს არის საგანთა  
არსებული განლაგების შექება...“

...პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისათვის უცხო მცენარეა. ენა მისთვის გვაქვს, რომ  
დავდუმდეთ, ნების თავისუფლება იმისათვის, რათა დავეთანხმოთ სხვათა აზ-  
რებს. თვალი იმისათვის, რომ დავინახოთ ის, ვინც სურთ, რომ დაგვანახონ“<sup>2</sup>.  
აღვილი მისახვედრია, რომ ბატუეკების ქვეყანა — ესაა ესპანეთი.

ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნარკვევში აღწერილია არისტო-  
კრატული და ლიტერატურული მადრიდის ცხოვრება: მისი მორალური დაცე-  
მა, პირმოთენობა, წვრილმანი პატიმყოფვარეობა, გონებრივი ჩამორჩენილობა  
(„მთელი სამყარო მასკარადია“, „მობრძანდით ზვალ“ და სხვები).

1833 წელს შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო (ხელისუფლება  
კვლავ ხელში ჩაიგდო ფერდინანდ VII-მ) ლარამ „გულწრფელი მოლაყბის“ გა-  
მოცემა შეწყვიტა.

1833 წ. გარდაიცვალა ფერდინანდ VII. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა  
მარია-კრისტინა. ამ დროისათვის გაძლიერდა ფეოდალურ-კლერიკალური პარ-

<sup>2</sup> Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, Москва, 1956, გვ. 66.

ტია ფერდინანდის უმცროსი ძმის დონ კარლოსის მეთაურობით. ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი ახალი ძალით შეეჭახნენ ერთმანეთს.

ეს იყო ლარას შემოქმედების აყვავების პერიოდი. პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებთან ერთად ლარა აქვეყნებს ისტორიულ რომანს „მეფე ენრიკ სუსტის პაეი“ და დრამა „მასიას“. ორივე ნაწარმოები ადასტურებს ლარას კავშირს იმ დროს ესპანურ ლიტერატურაში განმტკიცებულ რომანტიკულ მიმართულებასთან. თუმცა ლარას რომანტიზმი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. მის პუბლიცისტიკაში ნათლად ჩანს საზოგადოებისა და მწერლის ინდივიდუალურ შემოქმედებას შორის არსებული გათიშულობის რომანტიკული აღქმა.

1823 წლიდან ფსევდონიმით „ფიგარო“ ლარა თანამშრომლობას იწყებს ჟურნალში „ესპანური მიმოხილვა“. ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება შესანიშნავი თხზულებანი: „ჩემი ფსევდონიმი და ჩემი განზრახვანი“, „აი, მეც ჟურნალისტი ვარ“, „ჩვენთან, ესპანეთში“, „გარემოებანი“, „სასიყვდილოდ მსჯავრდადებული კაცი“, „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოეძებნოთ იგი“, „ვაჭებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“, „პოლიცია“ და სხვ.

ამავე პერიოდში იწერება ლარას კარლოსის საწინააღმდეგო ნაწარმოებები. 1834 წლიდან ლარას სატირის ობიექტი ხდება მარია-კრისტიანა თანამზრახველი — იმდროინდელი ხელისუფალი მარტინეს დე ლა როსა. მწერალი ამას შესანიშნავად ახორციელებს ალეგორიული ხერხით („სანამ გაივლიდეთ, მიმართეთ შევიცარს“, „სიტყვები“, „1830—1836 წლები“ და სხვ.).

ამ ნაწარმოებებში ლარა მძაფრი სატირით ესხმის თავს იმდროინდელ საზოგადოებას, აკრიტიკებს მის ჩამორჩენილობას; ცდილობს გააღვივოს მასში სიმშვიდის დარღვევის, ბრძოლის სურვილი; ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ჩვენთან, ესპანეთში“.

«„ჩვენთან, ესპანეთში“ — ჩვენ ამ გამოთქმას მუდამ ვიმეორებთ. იგი ყოველივე იმის ახსნის ვასალებია, რაც ცუდია ჩვენს სამშობლოში. ყოველ არასასიამოვნო მოვლენას ჩვენ შესაძლებლად ვთვლით: აქ ხომ ესპანეთია... დავივიწყოთ ეს გამოთქმა. იგი გვიკარგავს რწმენას საკუთარი ძალებისადმი. ვიყოთ უფრო სამართლიანნი, დავეყრდნოთ ჩვენს ძალებს და ვერწმუნოთ შესაძლებელ ბედნიერებას. დაე, ყველა ესპანელმა შეასრულოს ნამდვილი პატრიოტის ვალი და იმის ნაცვლად, რომ ეძებოს თავისი უმოქმედობის გამამართლებელი უძლური ფრაზა „ჩვენთან — ესპანეთში“, თითოეულმა მოიკრიფოს ძალა... მაშინ უტხოვლებიც აღარ შემოგვხვდებიან დაცინეთა»<sup>3</sup>.

ჩვენ შესავალში აღვნიშნეთ, რომ მარიანო ხოსე დე ლარას ნაწარმოებები არ არის მხოლოდ მახვილკონივრული შენიშვნები რომელიმე პიროვნების, ან მოვლენის შესახებ, მწერალი ღრმად იხედება ადამიანის სულიერ სამყაროში და მას მალამხატვრული ოსტატობით წარმოგვიდგენს. ის ხშირად მიმართავს ალეგორიულ ხერხს. ზოგჯერ მხოლოდ ნაწარმოების დასასრულიდან ვგებულობთ ვის, რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს ესხმის თავს მწერალი, ან რა აქვს მიზნად დასახული, მანამდე კი მრავალ საინტერესო აზრს გამოთქვამს ადამიანის ბუნების, საზოგადოების შესახებ.

<sup>3</sup> Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, гл. 145.

„ადამიანი ბუნებით ბოროტია, — ამბობს ის მოთხრობაში „სიტყვები“, — მაგრამ ადამიანი იმდენად ბოროტი არაა, რამდენადაც უბედური. აზროვნებას-მოკლებული ცხოველებისათვის ყველაფერი ჭკვიანურია. მათ არ შეუძლიათ ლაპარაკი და სწორედ ამიტომ უვებენ ერთმანეთს. ამ მიზნით ძლიერი არ მოა-ტყუებს სუსტს: დაინახავს თუ არა ძლიერს, სუსტი გარბის. ასეთია კანონი, ერთადერთი შესაძლებელი კანონი ცხოველებს შორის. მაგრამ ალაპარაკეთ ცხოველები: ლომი, როგორც ყველაზე ძლიერი, აძვრება ხეზე და დაუწყებს დამტკიცებას უფრო სუსტ ცხოველებს, რომ ისინი შექმნილნი არიან იმისათვის, რათა მას დაემორჩილონ. ის კი არ არის ცუდი, რომ ლომი ამას ილაპარაკებს, არამედ ის, რომ ცხოველები მას დაუჯერებენ. ისინი შეძლებენ მისცენ საგნებს სახელწოდებანი და დაარქმევენ რა ერთს ქურდობას, მეორეს ტყუილს, მესამეს მკვლელობას, კი არ მოსპობენ დანაშაულს, არამედ აავსებენ ტყეს დამნა-შავეებით“<sup>4</sup>.

ლარას, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად აღიზიანებდა ლიტერატორთა პა-ტივიზაცია. ნარკვევში „ღონ ტიმოთეო, ანუ ლიტერატორი“ ლარა ამბობს: „პატივიზაცია ყოველთვის იყო მწერალთა უპირველესი თვისება... არაფერ-ია იმაზე უფრო საშიში, ვიდრე კონტაქტი ისეთ ადამიანებთან, რომელნიც ხაზს უსვამენ თავიანთ უპირატესობას თავისივე მსგავსების წინაშე. არის რაიმე უფრო აუტანელი, ვიდრე ლამაზი ქალის საუბარი და მანერები, რომელმაც იცის, რომ ლამაზია?“<sup>5</sup>.

ლარას ძლიერ აფიქრებდა იმდროინდელი საზოგადოებაში გამეფებული გულგრილობა, უსულგულობა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მოთხრობა „სა-სიკვდილოდ მსჯავრდადებული კაცი“. საზოგადოება შეკრებილია იმის საყურებ-ლად, თუ როგორ დასჯიან ადამიანს, მას აინტერესებს მხოლოდ სერიის ნახვა, და თუ ეს სანახაობა მოაკლდა, ის უკმაყოფილო დარჩება. ლარა მოთხრობის ბო-ლოს ამბობს: „საზოგადოებავ, შენ შეგიძლია იყო კმაყოფილი, ადამიანი უკვე მოკლეს“.

მალე აშკარა გახდა, რომ ესპანეთში თავისუფალი აზრი ვერ გაიმარჯვებდა. 1835 წელს ლარამ ესპანეთი დატოვა. მან 9 თვე გაატარა საზღვარგარეთ. ის ინ-ტერესით ეცნობოდა ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის ცხოვრებას; ამავე დროს დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ესპანეთში მიმდინარე მოვლენებს. „მე ვფიქრობ ჩემს ესპანეთზე უფრო მეტს, ვიდრე ოდესმე“, — წერდა ის ამ დროს. ესპანეთში კი კვლავ ერთმანეთს ცვლიდნენ პარტიები.

1836 წელს ლარა სამშობლოში დაბრუნდა. მისთვის უფრო აშკარა გახდა, რომ ესპანეთი ჩამორჩა მსოფლიო პროგრესს. „კონსტიტუცია ჰგავდა მუნდირს, შეკერილს პატარა ბავშვისათვის. ახლა კი ჰგავს სახვევებს კალთებითა და პალ-სტუხით, რომელშიც სურთ გაახვიონ მოზრდილი ადამიანი“<sup>6</sup>, — წერდა ის ნარ-კვევში „ღამე მშვიდობისა“. ლარასათვის მისაღები იყო სახალხო სუვერენიტეტ-ზე დამყარებული მმართველობა. მას სურდა ხალხში შეეტანა განათლება, შეგ-ნება, რადგან უფიცობა მიაჩნდა ამდენი უბედურების მიზეზად.

1836 წლის რევოლუციამ კვლავ არაფერი მოიტანა ახალი, პროგრესული. ლარამ იმედი დაკარგა. იგი საერთოდაც მეტად ნაღვლიანი და მელანქოლიური

<sup>4</sup> Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, гл. 204.

<sup>5</sup> Там же, гл. 146.

<sup>6</sup> Там же, гл. 324.



განწყობილების კაცი იყო. ნაწილობრივ ამის მიზეზად ალბათ მისი პირადი ცხოვრება, არეული ოჯახური მდგომარეობაც შეიძლება ჩაითვალოს. ლარას არ ახარებდა ის პოპულარობა, რომელიც მას მისმა შემოქმედებამ მოუტანა. იგი ძლიერმა სევდამ მოიცვა. ქვეყნის ბედისადმი საერთო გულგრილობამ, ეგოისტურმა კარიერიზმმა და ცინიკურმა პოლიტიკურმა მორალმა გააძლიერა ლარას პესიმიზმი. ის გრძნობდა, რომ სატირიკოსის კალამი ასეთ საზოგადოებაში ფუჭი და უსარგებლო იყო: „მე წილად მხვდა ჩემს ნაწარმოებებში დავასამარო ჩემი ფიქრები და იდუმალი იმედები“, — წერდა ის მოთხრობაში „1836 წლის შობის ღამე“. ნარკვევში „მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე 1836 წელს“ ლარა მწარედ შენიშნავს: „მადრიდი — ეს არის ფართო სასაფლაო, სადაც თითოეული სახლი საგვარეულო საქვალეა, თითოეული ქუჩა — აკლამა, სადაც დასამარებულია რომელიმე შემთხვევა, თითოეული გული საცსვა გაქარწყლებული სურვილებისა და ილუზიების ფერფლით“<sup>7</sup>.

ფიგარო აუმხედრდა მთელ საზოგადოებას. არა მხოლოდ ესპანეთი, არამედ მთელი ქვეყანა ეჩვენებოდა ლარას საშინელებად. ის დაღალა ბრძოლამ ადამიანის „ეშმაკეულ“ ბუნებასთან. მან ამ სიტყვებით დაიწყო მოღვაწეობა: „მე ვჩქარობ ვაცივებას, რადგან მეშინია, რათა არ მომიწიოს ტირილი“ (ბომარშეს ტრილოგიის „სევილიელი დალაქის“ ეს სიტყვები წამძღვარებული ჰქონდა ლარას ადრეულ მოთხრობას „ჩემი ფსევდონიმი და ჩემი განზრახვანი“<sup>8</sup>).

ლარამ დაასკვნა, რომ სატირელი ბევრი იყო; ამათა ცდა იმისა, რომ ოდესმე ადამიანები გაუგებენ ერთმანეთს. საყვარელ ქალთან განშორება უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც ბოლომდე აავსო მისი გული სასოწარკვეთით. ლარამ საკუთარი მოღვაწეობაც კი ექვემდებარა დააყენა, როგორც უმიზნო და საზოგადოებისათვის უსარგებლო. მისი უკანასკნელი ფიქრები გადმოცემულია მოთხრობაში: „1836 წლის შობის ღამე“. 1836 წლის 26 დეკემბრის ღამეს ის წერდა: „მე ვეზადები გარდაუვალი ტანჯვისათვის, მშვიდად ველოდები უბედურებას...“.

ლარასათვის ამაობად ქცეულა ყოველივე: „საცოდავი კაცობრიობა, — ამბობს ის, — 1836 წლის წინ დაიბადა ქრისტე: დაიბადა ის, ვისთვისაც არ არსებობს დასაწყისი და დასასრული. ის დაიბადა, რათა მომკვდარიყო. ღირს კი ამისათვის მოვაწყობო დღესასწაული? აი, რას პასუხობს ადამიანი: „მოდით, ვკამოთ“, დიახ, ვკამოთ“ და არა „ვიაზროვნოთ“. ადამიანი, როცა მას სურს დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილებანი, სარგებლობს მატერიით“. ლარას მსახურის სიტყვებით მსჯავრი გამოაქვს საკუთარი თავისათვის: „შენ ექებ ბედნიერებას ადამიანთა გულგებში და შენ თვითონ ამ გულგებს ნაკუწებად ფლეთ... მე კი არაფერს არ ვექებ. ამიტომაც არ ვტყუვდები და არც არაფერს ველი. შენ ნასწავლი კაცი ხარ, მწერალი, შენ იტანჯები შენი თავმოყვარეობის გამო. ერთნი გამცირებენ იმით, რომ უბრალოდ არ გამჩნევენ. სხვებს შურთ შენი. შენ მთვრალი ხარ სურვილისა და უღონობისაგან“<sup>9</sup>. ამ სიტყვებით დაასრულა ლარამ მოღვაწეობა და 1837 წლის 13 თებერვალს თავი მოიკლა.

II. მარიანო ხოსე დე ლარას შემოქმედებისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია ლარას მოთხრობათა ილია ქავჭავაძისეულმა თარგმანებმა.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 364.

<sup>8</sup> Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, гв. 121.

<sup>9</sup> Там же, гв. 368, 375, 377.

დღეს ლარას სახელი თითქმის უცნობია ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე თავის დროზე დაინტერესებულა ესპანელი მწერლის შემოქმედებით. მას უთარგმნია მარიანო ხოსე დე ლარას სამი მოთხრობა: „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“, „პოლიცია“, „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოექმნეთ იგი?“.

მოთხრობები „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ და „პოლიცია“ გამოქვეყნებულია ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მე-7—8 ნომრებში (გვ. 196-202, 202—208) და შესულია ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემის III ტომში (გვ. 238—246, 246—254), ხოლო ხელნაწერი ასლის სახით დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდის № 217 კრებულში (გვ. 143—147, 147—153). მოთხრობა „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოექმნეთ იგი“ დაბეჭდილია ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მე-9—10 ნომერში (გვ. 132—138). ხელნაწერი ასლის სახით დაცულია იმავე 217-ე კრებულში (გვ. 457—462), მაგრამ არ არის შესული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში.

ძირითადი საკითხი აღნიშნულ თარგმანებთან დაკავშირებით არის თარგმანის წყაროს საკითხი.

მარიანო ხოსე დე ლარას ნაწარმოებები რუსულ ენაზე პირველად 1877 წელს ითარგმნა, ჟურნალ «Вестник Европы»-ს 1877 წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა მ. ვატსონის ნარკვევი «ლარა—ესპანელი სატირიკოსი» (გვ. 183—198). აქვე დაბეჭდილი იყო ლარას ორი მოთხრობის თარგმანი: „ახალი გაზეთის გამოცემის გამო“ და „ლიტერატურული პოლემიკა“.

მ. ვატსონმა გადაწყვიტა უფრო ფართოდ გაეცნო ესპანელი მწერლის შემოქმედება რუსი მკითხველისათვის. ჟურნალ «Вестник Европы»-ს 1878 წ. მე-5 ნომერში დაიბეჭდა ვატსონის სტატია: „ლარა, 30-იანი წლების ესპანური სატირა“ და მარიანო ხოსე დე ლარას ცხრა მოთხრობის თარგმანი. მათ შორისაა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი მოთხრობებიც: «Что такое публика и где её искать» (გვ. 195—200), «Восхваление, или: не запретят же мне этого» (გვ. 205—210), «Полиция» (გვ. 210—214).

როგორც აღვნიშნეთ, ამ მოთხრობების ილიასეული თარგმანი პირველად ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მე-7—8 და მე-9—10 ნომრებში გამოქვეყნდა. ამ თარგმანთა შედარება ჟურნალ «Вестник Европы»-ს 1878 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ თარგმანებთან ცხადყოფს, რომ ილიას თარგმანის წყარო სწორედ ვატსონისეული თარგმანებია.

ამ დასკვნის სისწორეს ადასტურებს:

1. ვატსონის თარგმანთა შედარება ლარას მოთხრობების სხვა რუსულ თარგმანებთან, კერძოდ, ზ. პლავსკინისეულ რუსულ თარგმანთან<sup>10</sup>. შედარებიდან ჩანს, რომ ვატსონის თარგმანში ზოგიერთი ადგილი გამოტოვებულია (მოთხრობაში „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ გამოტოვებულია ერთი აბზაცი.

<sup>10</sup> ზ. პლავსკინი მარიანო ხოსე დე ლარას შემოქმედების მკვლევარი და მთარგმნელია. მან გამოსცა ლარას ნაწარმოებები რუსულად: Мариано Хосе де Ларра. Сатирические очерки, Москва, 1956. იგი წარმოადგენს ლარას ნაწარმოებების პირველ და უცანასკნელ თანამედროვე რუსულ გამოცემას. ჩვენი აზრით, პლავსკინისეული თარგმანები სრულყოფილია და ამიტომ მას შეეძლო გაეწია ორიგინალის მაგიერობა, რომლის გაცნობის სშუალება ჩვენ არ გვქონდა ვნის უცოდინარობის გამო.

შდრ: «Вестник Европы», 1878, № 5, გვ. 207 და М. Х. де Л а р р а, Сатирические очерки, გვ. 290). ზოგიერთი ადგილი გამოტოვებულია ასევე მოთხრობაში „პოლიცია“ (შდრ. «Вестник Европы», 1878, № 5, გვ. 212, 213 და М. Х. де Л а р р а, Сатирические очерки, გვ. 270). ვატსონისეულ თარგმანში მოთხრობა „პოლიცია“ დაუმთავრებელია. მას აკლია ერთი აბზაცი (შდრ: «Вестник Европы», 1878, № 5, გვ. 214 და М. Х. де Л а р р а, Сатирические очерки, გვ. 272).

ილია ჭავჭავაძისეულ თარგმანთა ტექსტებს ზუსტად ის ადგილები აკლია, რაც ვატსონის თარგმანს. ასევე მოთხრობა „პოლიცია“ ილიას თარგმანში ზუსტად იმ ადგილზე წყდება, სადაც ვატსონის თარგმანი თავდება. შდრ: «Бывают вещи, правда, ещё лучшие, но все-таки и это не дурная вещь» («Вестник Европы», 1878, № 5, გვ. 214), „არის, მართალია, ბევრი რამ სხვაც ამაზედ უკეთესი, მაგრამ არც კი ეგ არის ურიგო“ (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. კრებული, ტ. III, 1892, გვ. 254).

2. მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც: ყურნალ „ივერიაშიც“, ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემის III ტომშიც და ხელნაწერთა ინსტიტუტის № 217 კრებულშიც ლარას ორი მოთხრობა — „ვაჭებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ და „პოლიცია“ გაერთიანებულია პირველი მოთხრობის სათაურის ქვეშ („ვაჭებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“). ლარას შემოქმედების შესწავლამ ცხადყო, რომ პირველი მოთხრობის ტექსტს მოსდევდა მეორე მოთხრობის „პოლიციის“ ტექსტი.

ასეთივე სურათია ლარას მოთხრობათა ვატსონისეულ თარგმანშიც: ყურნალ «Вестник Европы»-ს 1878 წლის მე-5 ნომერში 205-ე გვერდზე იწყება მოთხრობა „ვაჭებ ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ და 210-ე გვერდზე მთავრდება. ამავე გვერდზე იწყება მეორე მოთხრობა „პოლიცია“, სათაურის აღუნიშნავად. ჩანს, ვატსონს ორი მოთხრობა ერთი სათაურის ქვეშ გაუერთიანებია. ამის საფუძველს მას, ალბათ, აძლევდა მოთხრობების საერთო ხასიათი (ორივე მოთხრობაში ლაბარაკია ცენსურის შესახებ). ეს მოთხრობები კი შემდეგ ასეთივე სახით უთარგმნია ილიას. ლარას ნაწარმოებების თანამედროვე რუსულ გამოცემაში ისინი ცალ-ცალკეა დაბეჭდილი (იხ. М а р и а н о Х о с е д е Л а р р а, Сатирические очерки, Москва, 1956, გვ. 267—272, 280—288. მთარგმნელი ზ. პლავსკინი).

მაშასადამე, ლარას მოთხრობების ილია ჭავჭავაძისეული თარგმანის წყაროა ყურნალ «Вестник Европы»-ს 1878 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებული ლარას მოთხრობათა ვატსონისეული თარგმანები. ილია ვაცსონია ყურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებულ ლარას ცხრა მოთხრობას და სათარგმნად ამოურჩევია ორი მოთხრობა, რომელიც სინამდვილეში სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს. თარგმანთა დათარიღება ადვილია: ლარას აღნიშნული მოთხრობები ილიას უთარგმნია 1878 წლის მაისიდან 1879 წლის იელისამდე.

თარგმანის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

ილია ჭავჭავაძე არაფერს არ ტოვებს და არც არაფერს უმატებს რუსულ ტექსტს. იგი ცდილობს, ყველა სიტყვა გასაგები იყოს ქართველი მკითხველისათვის. (მაგალითად, სიტყვებს «Воспоминания», «Записная книжка» თარგმნის ამგვარად: „სახსოვარი“, «Прощение» — „არზა“ და ა. შ.)

უწინააღმდეგველად „ივერიის“ ტექსტიდან უცნობ პირს გადაუწერია სამივე მოთხრობა, ორი სათაურით: „ვაჭებ, ანუ: ამსაც ხომ არ დამიშლიან“ და „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოვებნოთ იგი“. როგორც აღინიშნა, ეს ხელნაწერი ასლები ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდის 217-ე კრებულში. როგორც ირკვევა, ხელნაწერი ასლების გადაწერა მომხდარა ილია ჭავჭავაძის თხულებათა გამოცემის მიზნით. 1892 წლის გამოცემის III ტომში შევიდა ორი მოთხრობა ერთი სათაურით.

„ივერიის“ ტექსტისაგან განსხვავებით, 217-ე კრებულისა და 1892 წლის გამოცემის ტექსტებში აღარ გვხვდება ზედმეტი „ჰაე“. საერთოდ, ტექსტი შესწორებულია ორთოგრაფიული თვალსაზრისით (მაგალითად, „ჰსწერს“, „ჰსჯობია“, „გჰსთქვათ“ — ამათ ნაცვლად არის: „სწერს“, „სჯობია“, „ვსთქვათ“; „იმის გარეთ“ — ამის ნაცვლად არის: „იმის გარედ“, „თანასწორათ“ — „თანასწორად“).

ჩვენ მიმოვიხილეთ მარიანო ხოსე დე ლარას შემოქმედება. აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძეს ლარას მოთხრობები შემთხვევით არ აუღია სათარგმნად. ცნობილია, რომ ილია „საზოგადოდ არაფერს არ წერდა გართობისათვის, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო გამიზნულობის სიცხადე“ (გრ. კიკნაძე).

ილია ჭავჭავაძე ძლიერ დაინტერესებულა ესპანელი მწერლის ნაწარმოებებით. ლარას შემოქმედების გაცნობის შემდეგ ეს არ არის გასაკვირი, რადგან, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, იგი მწერალთა ისეთ რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ნაწარმოებნი სცილდებიან თავისი ეპოქის ჩარჩოებს და საინტერესონი ხდებიან ყოველი ეპოქის მკითხველისათვის.

მარიანო ხოსე დე ლარასა და ილიას ნაწარმოებებს ბევრი რამ აქვს საერთო. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მწერალთა სულიერი ნათესაობა, რაც გამოწვეულია მათი ინტერესების სფეროს ერთიანობით. ლარას ეპოქის სიტუაციები და გარემო არ იყო XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში, მაგრამ იყო ადამიანი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, არსებობდა საზოგადოება, რომელსაც გამოეხიზლება სჭირდებოდა, იყო ცენზურა, სახელმწიფო და, რაც მთავარია, იყო ლარას მსგავსად და უფრო მეტად სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ილია. ასეთი სულიერი ნათესაობის მაგალითები უხვად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში.

ჩვენ ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ხელმეორედ არ განვიხილავთ ლარას შემოქმედებას, მხოლოდ აღვნიშნავთ მკვეთრად გამოხატულ თანმხედრ მომენტებს ესპანელი და ქართველი მწერლის ნაწარმოებებში.

ლარა მძაფრი სატირით დაესხა თავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ესპანეთის საზოგადოების ჩამორჩენილობას, გაუნათლებლობას, მორალურ დაცემას; ამხილა ქვეყნის ხელისუფალთა სიცრუე, დალატი ხალხის მიმართ: გამოამჟღავნა ესპანელი არისტოკრატის ზერელე ყოფა. ყველაფრის ამის მიზეზად მან გაუნათლებლობა, შეუგნებლობა მიიჩნია: „სწავლისადმი გულგრილობისაგან წარმოიშობა უვიცობა, უვიცობისაგან — სიძულვილი წიგნისადმი. ამას

კი ჩვენი ქვეყნისათვის მოაქვს დიდება, სარგებლობა და, რაც მთავარია, სიმშვიდე“ — ირონიულად შენიშნავდა მწერალი.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ ირონიული ტონი, მისი დამცინავი კილო საერთოდ ქართველი საზოგადოების მიმართ, როდესაც ის ლუარსაბის სწავლისადმი დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს.

ლარას სურდა თავისუფალ აზრს გაემარჯვა ესპანეთში. მან მოინდომა გავლევებინა ესპანელ ხალხში ბრძოლის წყურვილი, დაერღვია ირგვლივ გამეფებული სიმშვიდე, ძილი (გავიხსენოთ მოთხრობა „ჩვენთან, ესპანეთში“).

ლარას არ ასვენებდა ფიქრი თავის ხალხზე: „მომისმენენ? გამიგებენ კი? იქნება ვინმე ისეთი ჩემს ქვეყანაში, რომელიც კარგად განეწყობა ჩემდამი ჩემი კეთილი გზარახვისა და იმ აშკარა რისკის გამო, რომელსაც მე ვეწევი?“ — კითხულობს ის მოთხრობაში „ჩემი ფსევდონიმი და ჩემი განზრახვანი“<sup>11</sup>.

ლარას ეს სტრიქონები ალბათ ყველას მოაგონებს ილიას ცნობილ სტრიქონებს „მგზავრის წერილებიდან“: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შევეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. იქნებ მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომმაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულს და აღზრილსა?.. უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშია არ სჩინავს ქვეყნის უბედურებით გულ-ალტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“<sup>12</sup>.

ლარა, ისევე როგორც ილია, თვით სცემდა გაზეთს, მას როგორც ილიას, წინ ეღობებოდა ცენზურა, სახელმწიფო, მაგრამ ესპანელ მწერალს ღრმად ჰქონდა შეგნებული გაზეთის საჭიროება ხალხისათვის. „გაზეთის საქმიანობა შეუფასებელია, კითხულობ მას და იგებ, როდის იწყება თეატრი, რა წარმოდგენაა, გაზეთიდან ჩანს, რა ხდება ნავარაში... ერთი სიტყვით, გაზეთი, ესაა კაცობრიობის ცოდნის დიდი არქივი“<sup>13</sup>, — ამბობს ლარა სტატიაში „ახალი გაზეთის გამოცემის გამო“. ძლიერ მოგვაგონებს ეს სიტყვები ილიას შეხედულებას გაზეთის შესახებ, რომელნიც გამოთქმულია გაზეთ „იფერის“ 1877 წლის 3 მარტის (№ 1) ნომერში: „როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს საზოგადოების აზრი და რწმენა... სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირება და განმარტება — აი, რაში მდგომარეობს გაზეთის დანიშნულება“<sup>14</sup>.

საინტერესოა ისიც, რომ ლარას მოთხრობა „სასიკვდილოდ მსჯავრდადებული კაცი“ მოგვაგონებს ილიას მოთხრობას „საჩოხებელაზედ“. ორივე მოთხრობაში მკვეთრად ჩანს საზოგადოების გულგრილობა ადამიანის ბედისადმი.

დაბოლოს გავიხსენოთ ლარას სატირის შინაარსი და მიზანი. აქვე გავიხსენოთ, რატომ და საითკენ მიმართა ილიამ თავისი სატირის მახვილი: „ეროვნული ღირსების ნამდვილ შეგნებაზე დაფუძნებულმა რეალიზმმა წარმართა ილიას

<sup>11</sup> Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, გვ. 121—122.

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბ., 1950, გვ. 5.

<sup>13</sup> «Вестник Европы», 1877, № 7, გვ. 199.

<sup>14</sup> «იფერია», 3 მარტი, № 1, გვ. 2, 3.

სიტყვა და კალამი საზოგადოებრივ ნაკლთა მზილებსაქენ. სამშობლოს სიყვარული ილიას სატირის ერთადერთი საფუძველი. იგი გულისტკივილით ავსებულ სატირიკოსია და არა საზოგადოებრივ გრძნობათაგან დაცლილი და განზე გამდგარი მკილაფი... მან ნიშანში აწიღო ყველა „ყრუი“, „ცრუი“, „ქვემძრომელი“, „ფლიდი“, „მანკიერი“, შეუტია საზოგადოებრივ გულგრილობას<sup>15</sup>.

როგორც ვხედავთ, ყოველი ეპოქის, ყოველი ქვეყნის მოწინავე ადამიანს ერთი მიზანი აქვს: ამხილოს მისი საზოგადოების მანკიერი მხარეები. ამ ბრძოლის გზაზე კი ხშირად ერთია იარაღიც.

ილია ჭავჭავაძემ ლარას ის მოთხრობები აირჩია სათარგმნად, რომელნიც ყველაზე მეტად გამოხატავდნენ მის საზრუნავს, ქვეყნის ჭირ-ვარამს.

ილიას ძლიერ აწუხებდა საზოგადოების გულგრილობა ქვეყნის ბედისადმი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლარას მოთხრობა „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოვებნოთ იგი?“.

„რა არის საზოგადოება და სად უნდა ვებებოთ იგი? — ასეთ კითხვას სვამს მწერალი. — სწორედ ამ განზრახვით მე ავიკიდე ჩემი გულანაბადი და გამოვედი შინიდან, რომ ქუჩებში დაეუწყო ძებნა საზოგადოებას“. ავტორმა შემოიარა მთელი ქალაქი, შეიხედა სახლებში, სასტუმროში, ყავახანებში, გამომცემლობაში, საბილიარლოში, თეატრში. ამის შემდეგ ასეთი რამ ჩაწერა თავის „სახსოვარში“: „საზოგადოება დაიარება საყდრებში. საზოგადოება ირთვება და იპრანჭება, საზოგადოება აკეთებს ვიზიტებს, რომლის გამოც თვითონაც ბეზრდება და სხვისაც თავს აბეზრებს, მაშასადამე, საზოგადოება ტყუილუბრალოდ ჰკარგავს დროს, ჭარაფშუტაობაში ატარებს თავის ცხოვრებას“. ავტორმა მოუსმინა ხალხის ლაპარაკს და კვლავ გააკეთა შენიშვნა თავის უბის წიგნაკში: „საზოგადოებას უყვარს იმისთანა საგნებზედ ლაპარაკი, რომლებსაც არა გავეგება რა“.

მწერალი ბოლოს დასკვნის: „საზოგადოება მარტო თარდა ყოფილა თითოეული წვერის საკუთარის გამორჩომისათვის. მწერალი ბლაჯნის ქალაღს, საზოგადოებას ფულს. ართმევს იმ მიზეზით, ვითომ იმისათვის ილწვის... თვითონ მთავ... მაგრამ ესე რომ გავყვე, მეტად შორს შემატყობინებს ჩემი ენა, ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი. მე თვითონ საზოგადოებისათვის ვწერ და თუ ენას აღვირი მივუშვი, ჩემს ნაწერს საზოგადოებამდე ვინა მიუშვებს... არ არსებობს ერთიანი, ერთნაირი, დადგრომილი, უცვლელი საზოგადოება. არამედ ყოველი წრე ცალკე საზოგადოებაა... ეს უკანასკნელი საზოგადოება კი ყოველთვის უსამართლოა და წინდაუხედავი, არაფრის შემწყწარებელი და ყოველისფერის ამტანი კია... უმიზეზოდ აბილიღდება და უსაბუთოდ სჯის... არც ის იცის, რად უყვარს, არც ის იცის, რადა სძულს... მოსწონს მარტო გაიძვერა, ხერხიანი, ჩხავანა, შუათანა ყალიბის კაცი, არამყვირალა, ჩუმი, ნიჭით საცხე კაცი კი ან დავიწყებულია მისგან, ან ათვალწუნებულია“<sup>16</sup>.

მოთხრობა „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ თავიდან ბოლომდე მძაფრი სატირაა ცენზურაზე, სახელმწიფოზე: „იმ ქვეყნებში, სადაც ბოროტებად მიაჩნიათ, რომ კაცმა კაცს უთხრას ის, რასაც ჰფიქრობს, საცა კანონად მიღებული აქვთ, რომ კაცმა არ უნდა იცოდეს ის, რაც იცის და სადაც ფეხები იმი-

<sup>15</sup> გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 235, 256.

<sup>16</sup> ქურნალი „ივერია“, 1879, № 9—10, გვ. 134, 135, 137, 138, თარგმანი ილია ჭავჭავაძისა.

სათვის არ აქვთ, რომ იარონ — საცა, ერთის სიტყვით, წინასწარი ცენზურაა — აი, სწორედ ამისთანა ქვეყნებში სწერენ სხვისთვის და ის სხვა ცენზორია და არა სხვა ვინმე“.

სათუური კარგად გამოხატავს მოთხრობის სატირულ, ირონიულ ტონს: „აი, რა არის ნება დართული. ეგ ქების შესხმა... ამიტომაც უნდა გვეყურებინათ, რა კადნიერებით და გულახდილობით ვუკმევდი ხოლმე ქებას ძალის მქონეთა, რა რიგად ვუქმებდი მამობრივს გულს ძლიერთა ამ ქვეყნისათა, რომელნიც თბილ-თბილ ადგილებს ურიგებდნენ ხოლმე თავის მახლობელთ“. ირონიული ტონი თანდათან ძლიერდება: „ეხლა აღტაცება უნდა იყოს ძალად აკიდებული, ნაბრ-ძანები, ერთის სიტყვით, ყრუ-მუნჯი დაბადებითვე; იმისთანა, რომელსაც არ უნდა მოჰყვეს საპატრიოტო ლექსების მღერა, ესე იგი, საყოველთაო მყუდროე-ბის დარღვევა... აი ნაწერი და დაწერილი ყველასათვის, ცენზორის გარდა. ვა-ქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“<sup>17</sup>.

ძლიერ საინტერესოა მოთხრობა „პოლიცია“: „კარგთა საქმეთა შორის ბევ-რია იმისთანა, რომ პოლიციას სჯობდეს? ჯერ პირველი იმას ვიტყვით, რომ პო-ლიციის სათავე ადამიანის ბუნებიდან არის მომდინარე იმიტომ, რომ პოლიცია შიშის შედეგია და შიში კიდევ იმისთანა ბუნებითი გრძნობაა, რომ ქვეყანაზედ ადამიანი არ არის, არ ეგრძნოს, მომეტებული ნაწილი ხომ დღე მუდამ შიშის ქვეშ არის“ ...პოლიცია რომ ლიბერალური დაწესებულებაა, ცხადია, იქიდან ჩანს, რომ საფრანგეთში შემოიღო იგი ბონაპარტემ... იმას ისე ძლიერ უყვარდა თავისუფლება, რომ ყველას ჩამოართვა. წაართვა და მარტო თვითონ დაისაკუ-თრა“. შემდეგ ასეთივე ირონიული ტონით ლაპარაკია ესპანეთის პოლიციისაზე. ბოლოს ავტორი ასკვნის: „პოლიციაში ადგილის მიღებისათვის მარტო ერთი რამ არის სამყოფი: ყრუ არ უნდა იყოს კაცი. განა ძნელია ყრუთ არ ყოფნა? სულაც არა. აი განგებ ყურის მოყრუება ეგ ძნელი რამ არის: მაგას სწორედ იმოდენა მოხერხება უნდა, რამდენადაც საჭიროა, რომ ისპანიის მინისტრობა შეიძლოს“<sup>18</sup>.

ამრიგად, ლარას მოთხრობების ილიასეული თარგმნები კიდევ უფრო ფარ-თო სახით წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითს მოღვაწეობას, მისი ინტერესების სფეროს; ცხადყოფს, რომ ილია დიდი ყურადღებით ადევ-ნებდა თვალს ევროპულ ლიტერატურას, ეცნობოდა სხვადასხვა ქვეყნის მწერ-ლებს, საჭიროსა და ქართველი მკითხველისათვის საინტერესოს არჩევდა და თარგმნიდა. იგი პრაქტიკულად ახორციელებდა თავისსავე შეხედულებებს თარგმნის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა წერილში „ორიოდე სიტყვა თ-რევან შალვას-ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდან „შემოღლის“ თარგმანზედა“ (ყ. „ცისკარი“, 1861, № 4). ამ წერილში ილია მკაცრად აყენებდა დედნის შერ-ჩევის საკითხს, მოითხოვდა ისეთი თხზულების თარგმნას, რომელიც შეესაბა-მებოდა თანამედროვეობას, რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძე თარგმანს მიიჩნე-და ორიგინალური ლიტერატურის განვითარების მონაწილედ.

<sup>17</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, ტ. III, ტფილისი, 1892, გვ. 240, 245.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 248, 251, 252.

Н. Л. ЧИТАУРИ

ПЕРЕВОДЫ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ РАССКАЗОВ МАРИАНО  
ХОСЕ ДЕ ЛАРРЫ

Резюме

В испанской литературе XIX века особое место занимает творчество Мариано Хосе де Ларры (1809 — 1837 гг.).

Основное, что и сегодня привлекает внимание в творчестве испанского писателя — это его сатирическая публицистика.

Оказывается, что сатирическими произведениями Мариано Хосе де Ларры в свое время интересовался Илья Чавчавадзе. Он перевел три рассказа Ларры: «Что такое публика и где ее искать», «Полиция» и «Восхваление, или: не запретят же мне этого».

Как выясняется, источниками этих переводов являются переводы М. Ватсона произведений Мариано Хосе де Ларры, которые были опубликованы в журнале «Вестник Европы» в 5-м номере 1878 года. Те же материалы свидетельствуют, что эти произведения М. Х. де Ларры И. Чавчавадзе перевел с мая 1878 года по июль 1879 года.

Переводы Ильи Чавчавадзе рассказов Мариано Хосе де Ларры более в широком виде представляют переводческую деятельность писателя и подтверждают ту мысль, что переводы И. Чавчавадзе признавал частью развития оригинальной мысли.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა



გონდო არველაძე

საიათნოვა და იონა ხელაშვილი

საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის ლეგენდას საფუძველი დაუდო თბილისელმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ გეორგ ახვერდიანმა, რომელმაც 1852 წელს სომხურ ენაზე მოსკოვში გამოსცა მონოგრაფია „სომეხი აშუღები“. ამ წიგნით საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა და ძიება მართალია, ერთი წლით ადრე, ამ ხანებში თბილისში მცხოვრებმა რუსმა მწერალმა ჩაიკოვ პოლონსკიმ გაზ. «Кавказ-ის» პირველ და მეორე ნომრებში გამოაქვეყნა წერილი საიათნოვას შესახებ, მაგრამ როგორც თვით ი. პოლონსკი აღნიშნავს, მისთვის გ. ახვერდიანს მიუწოდებია მასალები. ასე, რომ გ. ახვერდიანმა პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა საიათნოვას შესახებ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ცნობები. როგორც გ. ახვერდიანი წერს, საიათნოვა ბერად შემდგარა ახპატის მონასტერში: „საიათნოვამ გაიგო თუ არა ალა-მაჰმად-ხანის საქართველოსთან მოახლოება, მაშინვე შეიღებო გაახსენდა (მას ჰყავდა ორი ვაჟი და ორი ქალი: მელიქსედეგი, ოჰანა, სარა და მარიამი) და თბილისს მოაშურა. იგი შეიღებეს მოზდოკში აგზავენის, სადაც ისინი საცხოვრებლად რჩებიან. საიათნოვამ გაისტუმრა თუ არა შეიღები, თბილისში შემოიჭრნენ სპარსები. ახპატის მეტოქის ციხის დიდი ეკლესიის ეზოშიც შევიდა მტერი და ხოცვა-ჟლეტვა და ძარცვა დაიწყო. მათ საიათნოვამდეც მიაღწიეს, რომელიც ლოცვად იღვა ეკლესიაში. სპარსებმა მას გარეთ გამოსვლა და სარწმუნოების გმობა მოთხოვეს, მაგრამ ბერმა უპასუხა:

„ეკლესიიდან არ გამოვალ, არ გადაუდგები იესოსო“.  
სპარსელებმა მახვილით მოკლეს.

ამგვარად, ხალხის ნოქარი სარწმუნოებისათვის მოკლეს, ვითარცა მონაღეთისა — ეს მოხდა 1795 წელს, სექტემბრის თვეს.

სპარსელების თბილისიდან წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ აიღეს მისი გვამი და დასაფლავეს ციხის დიდი ეკლესიის ჩრდილოეთ კარიბჭის წინ. საიათნოვას საფლავს თუმცა ქვა არ ადევს, მაგრამ ასე მოგვეთხრობენ მისი დასაფლავების დამსწრენი“<sup>1</sup>, — წერს გ. ახვერდიანი.

ყველა მკვლევარი, ვინც კი საიათნოვას ბიოგრაფიას შეეხო ძირითადად იმეორებს ამ თქმულებას საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, რა თქმა უნდა, ზოგიერთი გარკვეული შინაარსობლივი ცვლილებით (ი. პოლონსკი<sup>2</sup>, ზ. მთაწმინდელი<sup>3</sup>, ქიშმიშვილი<sup>4</sup>, პოტტო<sup>5</sup>, ოვ. თუმანიანი<sup>6</sup>, ალ. ხახანაშვილი<sup>7</sup>, ვ. ბრუსოვი<sup>8</sup>, ი. გრიშაშვილი<sup>9</sup>, პ. სევაკი<sup>10</sup>, ს. არუთინიანი<sup>11</sup>, ვ. ნალბანდიანი<sup>12</sup> და სხვა.

საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის თქმულების უსაფუძვლობაში ველად ეჭვი შეიტანეს და საპირისპირო მოსაზრებანი გამოთქვეს გ. ლეონიძემ<sup>13</sup> და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა<sup>14</sup>. პირველმა უმოთხრესად ქართული წყაროების, ხოლო მეორემ სომხურ მასალაზე დაყრდნობით გამოთქვეს მოსაზრება, რომ საიათნოვა გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს, ახპატის მონასტერში. მაგრამ ამ მკვლევართა მოსაზრებამ დღემდე საყოველთაო აღიარება ვერ პოვა და ზოგიერთი მეცნიერი დღემდე ჯიუტად იმეორებს ხსენებულ ლეგენდას. ამ მხრივ გამოჩაგის წარმომადგენს აკად. კ. კეკელიძე, რომელიც მის ქართული ლიტერატურის ისტორიის ადრინდელ გამოცემებში ამ თქმულებას იზიარებდა, მაგრამ ამ ნაშრომის უკანასკნელ წლების გამოცემებში პატივცემულმა მეცნიერმა დათმო თავისი ძველი მოსაზრება და აღიარა: „საიათნოვა გიორგის მეფობაშიც (1798—1800) ცოცხალია. ამ მეფობაში მას ახპატის მონასტერში ხვდება იონა ხელაშვილი. უნდა გარდაცვლილიყო ის ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს, როგორც პლ. იოსელიანი აღნიშნავს“<sup>15</sup>. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოსაზრებას მტკიცედ უჭერს მხარს და საფუძვლიანად ასაბუთებს აკად. ალ. ბარამიძე<sup>16</sup>.

პრინციპული თანმიმდევრობა გამოიჩინა თავის მოსაზრების დაცვაში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. მის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა სომხურ ენაზე, ძირითადი დებულებების სახით გაიმეორა 20-იან წლებში გამოთქმული თავისი მოსაზრება საიათნოვას ახპატის მონასტერში გარდაცვალების შესახებ<sup>17</sup>.

ამა თუ იმ მეცნიერული მოსაზრების უარსაყოფად თუ დასამტკიცებლად ძირითადად წერილობითი წყაროებიდან იხმობენ მასალებს. ვფიქრობთ, საიათნოვას ტრაგიკულ ბედს ასახვა უნდა ეპოვნა წერილობით წყაროებში. სომეხი

<sup>1</sup> გ. ახვერდიანი, საიათნოვა, მოსკოვი, 1852, გვ. 12 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ვახ. «Кавказ», 1851, № 1, 2.

<sup>3</sup> ვახ. „დროება“, 1878, № 119, 120.

<sup>4</sup> Походы Надир-Шаха, 1889, გვ. 276.

<sup>5</sup> Легенды старого Тифлиса, Иллюстрированное прибавление к Тифлисскому листку, 1889, № 2.

<sup>6</sup> ოვ. თუმანიანი, საიათნოვას ორი გამოცემა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, 1951, გვ. 640.

<sup>7</sup> Ал. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3—4. М., 1901, გვ. 218—220.

<sup>8</sup> Пoesия Армении, М., 1916, გვ. 60—62.

<sup>9</sup> ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 84—85.

<sup>10</sup> პ. სევაკი, საიათნოვა, ერევანი, 1969, გვ. 135 (სომხურ ენაზე).

<sup>11</sup> ს. არუთინიანი, სიმღერის გენიოსი, 1963, გვ. 80 (სომხურ ენაზე).

<sup>12</sup> Саят-Нова, Стихотворения, вступительная статья В. С. Налбандяна, Ленинград, 1982, გვ. 25—26.

<sup>13</sup> მგოსანი სათნავე, თბილისი, 1930, გვ. 33.

<sup>14</sup> საიათნოვას ვინაობა, თბილისი, 1930, გვ. 134.

<sup>15</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, ტ. II, 1950.

<sup>16</sup> ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 680.

<sup>17</sup> ალ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული წყაროები საიათნოვას შესახებ, ისტორიულ-ფილოლოგიურ-იეტრნალი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო, 1963, № 3, გვ. 18—44 (სომხურ ენაზე).

მწერალი სერობი თავის ნაშრომში „მოკლე ისტორია ალა-მაჰმად-ხანის მიერ დედაქალაქ ფატიკაქარანის (თბილისის. — ბ. ა.) მოხრებისა 1795 წელს 11 სექტემბერს“ კრიტიკაც არ ძრავს საიათნოვას სიკვდილის შესახებ. სერობმა ეს ისტორია დაწერა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან ერთი წლის შემდეგ — 1796 წელს. ასე რომ, ხოჯას შემოსევით თბილისისათვის მიყენებული ჰეროლოზანი მოშუშებული ჯერ არ იყო. თუ მართლაც თბილისში ეგზომ პოპულარული საიათნოვა მოწაინებოვი სიკვდილით დაეცა, წარწოდგენელია სერობს თავისი თანამემამულის ეს ტრაგიკული სიკვდილი გაკვრით მაინც არ მოეხსენებინა. ეს ნაშრომი ხომ უშუალოდ თბილისის აოხრებას ეძღვნება და მწერალი პირდაპირ გოდებს საქართველოს დედაქალაქის თავზე დატეხილი ამ უბედურების გამო. შეუძლებელია წას გამოჩენილია საიათნოვას ამგვარი სიკვდილი, როცა იგი ბოლნისის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ გრიგოლ ტერ-შმაგონიანცის წამებას ზედმიწევნითი სიზუსტით აგვეწერს, რაზეც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი<sup>18</sup>.

საიათნოვას სიკვდილის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდის მეორე სომხური წერილობითი წყარო, რომელიც თბილისის 1795 წლის სპარსთა მიერ აოხრებას აღწერს<sup>19</sup>. მესამე სომხური წყარო (თუმცა საეკვო) არის არტემ არარატელის მემუარები<sup>20</sup>. ამ მემუარებში არსად არ არის ნახსენები ამგვარი რამდენიმე დღის შემდეგ, მეოთხე სომხური წყაროა საიათნოვას შეგარდის, ცნობილი აშუღის ჩამჩი-მელქოს ლექსად გაწყობილი გოდება, „ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის მოხრების შესახებ“<sup>21</sup>. ეს წყაროც საიათნოვას შესახებ აბსოლუტურად დუმს. მხოლოდ ერთგან წერს: „ვარდაპეტები დახოცეს, გვამი ეგდო ტერტერასი“.

საიათნოვა ტერტერა არ ყოფილა, ასე რომ, მას აქ ვერ ვიგულისხმებთ. თუ ვარდაპეტებს შორის საიათნოვაც იყო (საიათნოვას არც ვარდაპეტის ხარისხი ჰქონდა ოფიციალურად); მაშინ სრულიად ბუნებრივია, ჩამჩი-მელქო თუ ფართოდ არა, გაკვრით მოიხსენიებდა თავის მასწავლებელს. განხილული სომხური წყაროები ერთმანდ დუმან საიათნოვას მოწამებობრივი სიკვდილის შესახებ, რასაც სინამდვილეში რომ ჰქონოდა ადგილი, წარმოუდგენელია აქედან ერთ-ერთს მაინც არ მოეხსენებინა<sup>22</sup>. საერთოდ, აღნიშნული სომხური წერილობითი წყაროების განხილვის შედეგად არ შეიძლება არ დავეთანხმობ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს: „ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ. ტფილისის აოხრების არც ერთ აღმწერელს, არც ქართველს და არც სომეხს, საიათნოვაზე არაფერი აქვს ნა-

<sup>18</sup> საიათნოვას ვინაობა, თბილისი, 1930, გვ. 136.

<sup>19</sup> ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, სომხური ხელნაწერთა ფონდი № 20.

<sup>20</sup> Жизнь Артемия Арапатского, уроженца селения Вагаршапат, написанная и переведенная им самим с армянского на русский язык, ч. II, СПб, 1818, გვ. 40.

<sup>21</sup> შ. შინაისაძე, სომხური ლირიკა, პეტერბურგი, 1868, გვ. 564—565 (სომხურ ენაზე).

<sup>22</sup> არსებობს კიდევ ერთი სომხური წერილობითი წყარო — გალუსტ შერმაზანიანცის მემუარები, რომელშიც 1795 წლის თბილისის ამბებია მოთხრობილი, მაგრამ მას სერიოზულ მნიშვნელობას ვერ მიაანიჭებთ, რადგან იგი შედგენილია მოგვიანებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსმენილი ვადმოცემების საფუძველზე და მოაგრდება 1882 წელს. მასში არის გ. ახერდიანისეული თქმულება განსხვავებული ვარიანტით. ნახსენებია სამღვდლო პირები, მაგრამ აქედან არც ერთა არ შეიძლება იყოს საიათნოვა, როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1935—1936, ტ. IX, გვ. 127).

4. მაიცი, ენისა და ლიტერატურის სერია. 1984, № 2

თქვაში, ეს ხომ ცნობილი ამბავია. ქართულ წყაროებს რომ თავი დაეანებოთ, მხოლოდ სომხურ ენაზე ამის შესახებ დღემდე სულ ცოტა 3 წყარო მაინც არის ცნობილი<sup>23</sup>.

ახლა გადავხედოთ ქართულ წერილობითს წყაროებს. როგორც აშუღის ბიოგრაფიიდან ვიცით, საიათნოვა მეფის სასახლეში მიღებული და ფრიად პოპულარული პიროვნება იყო. მას კარგად იცნობდა არა მარტო თბილისის მაშინდელი საზოგადოების დაბალი ფენა, არამედ მაღალ წრეებშიც დიდი სიყვარულით სარგებლობდა. საიათნოვას მეგობრები იყვნენ ბატონიშვილები, რომლებიც მას გარდაცვალების შემდეგაც პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებენ. ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარია, ქართველ ბატონიშვილთა მემუარებსა და შრომებში (რომელთა წრეში საიათნოვა შინაურ კაცად ითვლებოდა) რომ მის მოწამებრივ სიკვდილს გავკრითაც კი არ ახსენებენ, მაშინ როცა ალამაჰ-ხანის შემოსევისას თბილისში მოკლულ უმნიშვნელო და შემთხვევით პირებზეც კი წერენ. ავიღოთ თუნდაც დავით ბატონიშვილი, რომელიც თავის ისტორიულ ნაშრომში წერს: „ამ ტფილისის აღებაზედ (იგულისხმება ალამაჰ-ხანის შემოსევა — ბ. ა.) ეწამა ქრისტესათვის გარგარეთელი (კარგარეთელი. — ბ. ა.) სიმონ, დიაკონი იოანე ოსყოფილი ხარებისა და სხვანიც მომავალნი კაცნი და დედაკაცნი, ვითარცა ქართველნი, აგრეთვე სომეხნიცა. ხოლო რძალი ქიტესა ამბარდნისა წარიყვანეს ტყვედ თავრიზს და აიძულებდეს უარის ყოფას ქრისტესსა, ხოლო მან არა ინება, და ჩასვეს ტომარასა შინა დაჯგვლმითა შუბითათა მოკლეს და დაფლეს მუნვე“<sup>24</sup>. როგორც ვხედავთ, დავით ბატონიშვილი დეტალურად აგვიწერს ქრისტეს სარწმუნოების გულისთვის ვინმე ქიტესას რძლის წამებას, სპარსთა მიერ და სიტყვას არ ძრავს საიათნოვას მოწამებრივ სიკვდილზე. ვფიქრობთ, გამორიცხულია იმის შესაძლებლობაც, რომ დავით ბატონიშვილმა საიათნოვას მოკვლა მოაქცია ჩამოთვლაში „აგრეთვე სომეხნიცა“ და იგულისხმა დახოცილ რიგით ადამიანებში, იმითომ, რომ საიათნოვა არ იყო ჩვეულებრივი უსახელო პიროვნება და რიგითი მოქალაქე. ჩვენი აზრით, სადავო არ არის ისიც, რომ დავით ბატონიშვილი საიათნოვას იცნობდა და რომ საიათნოვა მართლაც მოწამებრივი სიკვდილით დაცემულიყო, ორიოდე სიტყვით მაინც მოიხსენიებდა ამ საოცარი მომღერლის ტრაგიკულ სიკვდილს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ვინმე ქიტესას რძლის წამების ამბავს მთელი გულისხმიერებით გადმოგვეცემს. მეორეც, საიათნოვას მოკვლის შესახებ დავით ბატონიშვილივით რატომ დუმან ვახტანგ ბატონიშვილი თავის „ისტორიების აღწერაში“ და ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც სპეციალურად ეძებდა თბილისის დაცემის მომსწრეებს და მათგან კრებდა ცნობებს, — მართებულად შენიშნავს გ. ლეონიძე<sup>25</sup>.

დაუშვათ ზემოხსენებულ ავტორებს გამორჩათ საიათნოვას სიკვდილის აღწერა ან ცნობის მოწოდება, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილი რატომ დუმს ამ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ. მან ხომ დიდი ამაგი დასდო საიათნოვას პოეტურ მემკვიდრეობის დაცვას და დიდად აფასებდა მის შემოქმედებას. მან დაგვიტოვა აგრეთვე საიათნოვას ბიოგრაფიული ცნობები საბიბლიოთეკო კატა-

<sup>23</sup> იონა ხელაშვილი სომხეთში და საიათნოვა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1935—1936, ტ. IX, გვ. 126.

<sup>24</sup> მოსე ჭანაშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმების 1744—1840 წ. წ., თფილისი, 1905, გვ. 46.

<sup>25</sup> გ. ლეონიძე, ზგოსანი საათნავე, ტფილისი, 1930, გვ. 44.

ლოგში. მას ეკუთვნის თბილისის 1795 წლის დაცემის აღწერა. ასე რომ, თეიმურაზ ბატონიშვილი აუცილებლად მოიხსენიებდა საიათნოვას დაუღუპვას ასეთი რამ სინამდვილეში რომ მომხდარიყო. დაუშვათ მან ვერ შეიტყო თბილისში 1795 წელს საიათნოვას ტრაგიკული სიკვდილი, რაც თითქმის შეუძლებელია, მაშინ საიათნოვას შვილის იოანესაგან ცოტა მოგვიანებით, პეტერბურგში მანც გაიგებდა საიათნოვას მოწამებრივ სიკვდილს, როცა აშუღის ლექსების ჩაწერა შეუკვეთა იოანეს და ამავე დროს თვითონ საიათნოვას ბიოგრაფიულ ცნობებს წერდა. ხოლო შვილზე უკეთესად ვისღა ეცოდინებოდა მამის ტრაგიკული დაღუპვა. თეიმურაზი რომ საიათნოვას შვილს იოანეს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, რადგან თეიმურაზის დაკვეთით შეუდგენია მამის ლექსების კრებული იოანეს, ხოლო ამ კრებულზე 1823 წელს პეტერბურგში თეიმურაზს ჩაუწერია: „ეს წიგნი საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის. საათნავას შვილმა იოანემ დამიწერა თავის მამის საათნამას ლექსები იმის სახსოვრად“<sup>26</sup>.

ამრიგად, საიათნოვას შესახებ ბიოგრაფიული ცნობების შედგენის დროს თეიმურაზს დამხმარედ ჰყავდა აშუღის ცხოვრების უშუალო მოწმე, მისი შვილი იოანე. თუ არა შვილს აბა ვის ეცოდინებოდა მამის მოწამებრივი სიკვდილი, თუ იგი მართლა მოხდა.

ამრიგად, ზემოთ განხილულ სომხურ და ქართულ წყაროებში. სადაც საგულეებელია რაიმე ცნობა იყოს დაცული საიათნოვას მოკვლის შესახებ, ამ ამბის მინიშნების კვალიც კი არ ჩანს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რის საფუძველზე შეიქმნა საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის გ. ახვერდიანიეული თქმულება? ცნობილია, ყოველი თქმულების შექმნას რალაც შემთხვევა უდევს საფუძვლად. დიახ, ამგვარი რეალური ამბავი მოხდა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების დროს. სპარსელებმა წამებით მოკლეს მოლნისის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი გრიგოლ ტერ-შმაგონიანცი. ამ ამბავს მოგვითხრობს სომეხი ქამთა-ალმწერელი სერობა<sup>27</sup>. ვინაიდან გრიგოლ ტერ-შმაგონიანცი მოკლეს თბილისის წმინდა გიორგის ეკლესიაში, ხოლო საიათნოვა თქმულების მიხედვით მოკლეს ციხის დიდ ეკლესიაში, რომელიც ასევე წმინდა გიორგისადმი იყო მიძღვნილი, ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ ტერ-შმაგონიანცის მაგიერ საიათნოვა მიიჩნია მოკლულად. ხალხმა ერთმანეთში აურია და საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის პოეტური ლეგენდა სპარსთა მიერ გრიგოლ ტერ-შმაგონიანცის წამების რეალურ ამბავზე აღმოცენდა<sup>28</sup>. სავსებით შესაძლებელია, ეს ასეც იყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ საიათნოვას მოკვლის თქმულებას საფუძვლად ედოს ერთკლე მეფის სასახლის საზანდრის მანაბელას გმირული სიკვდილი. თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ, როცა ბრძოლის ბედის სასწორი სპარსთა მხარეს გადაიხარა, მაშინ ტფილელი მცხოვრებლები შეკრებილან და აურჩევითა მგოსანი მანაბელა — „მსახიობი, წარჩინებულთა მოსაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკოსი და კომენდიანტი“<sup>29</sup>. ეს

<sup>26</sup> ანის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, H 21 (222) გვ. 21.

<sup>27</sup> ლ. მელ იქს ეთ-ბე გი, საიათნოვას ვინაობა, ტფილისი, 1930, გვ. 136.

<sup>28</sup> გოტტ ალაიანცი, სომხეთის ისტორიის არქივი, X, გვ. 372—379 (სომხურ ენაზე).

<sup>29</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, ტ. I, გვ. 179.

ამბავი უნდა დადებოდა საფუძვლად საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის თქმულებას. „1870-იან წლებში თბილისელებს ჭერ კიდევ ახსოვდათ მაჩაბელას რახმის გმირობა, მაგრამ დროის მიხედვით, ზეპირ გადმოცემაში სამეფო საზანდრის მაჩაბელას ადგილი სასახლის მეორე მომღერალმა საათნავამ დაიჭირა, რაც უკანასკნელის განსაკუთრებული პოპულარობით უნდა იხსენებოდეს“<sup>30</sup>.

საიათნოვას გმირული სიკვდილის თქმულების ამგვარი გზით გავრცელება სავსებით შესაძლებლად მიაჩნია პროფ. მ. ჩიქოვანს<sup>31</sup>.

ქართულ წერილობითს წყაროებს შორის საიათნოვას შესახებ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ი. ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულმა ცნობამ, როცა იონა ხელაშვილი ახპატის მონასტერში ხედება საიათნოვას.

პირველ რიგში უნდა აღენიშნოს, რომ ზოგერთ მკვლევარს იოანე ბატონიშვილის ეს თხზულება („კალმასობა“) მიაჩნია ფაქტების უწყესრიგო გროვად და ამდენად არასანდოდ. ამ მკვლევართა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ი. ბატონიშვილის „კალმასობა“ არის აგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ზუსტ, რეალურ ისტორიულ მასალაზე და ამდენად მასში რაიმე გაუგებრობა ან უზუსტობა გამოირიცხულია. კიდევ უფრო მეტი, ჩვენთვის საინტერესო ცნობის შესახებ (ბერი ხელაშვილის შეხვედრა საიათნოვასთან ახპატში) გ. ლეონიძე გადაჭრით წერს: „კალმასობის“ ავტორს თავის თხზულების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია საათნავაზე, აღებული აქვს მტკიცედ განსაზღვრული ხანა. ეს დროა გიორგი XII-ის მეფობის წლები (1798—1800). პერსონაჟები ნაწარმოებისა ამ დროისათვის ყველა ცნობილია და აქ არავითარ ანაქრონიზმს ადგილი არ აქვს“<sup>32</sup>.

იონა ხელაშვილმა ორჯერ ემოგზაურა სომხეთში. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა იონა ხელაშვილის პირველი მოგზაურობა და მის მიერ ახპატის მონასტრის მონახულება...

როცა ბერი იონა ხელაშვილი გამოეთხოვა მინბამ სოლომონ არღლთაშვილს, „წავიდა ახპატისაკენ, იგიც იხილა, და მუნებური ეკლესია და შენებულობა დია მოიწონა. და მაშინ ბერმან სომეხთაგან მან შეიწვია სენაკად თვისად იოანე და ესეცა გაუყვა. რა სენაკსა შინა თვისასა მიიყვანა ვართაპეტმან მან იოანე, მოიკითხა და მგზავრობის მიზეზიცა გამოკითხა. იოანემ ყოველივე უამბო და მერე დასხდნენ, მცირე იმუსაიფეს და ვართაპეტმან მოართვა საუზმე იოანეს და იწყეს ჭამა, და ამასთან კარგი ღვინოცა მოართო იოანესა და თითონაც კარგად შეეჭა. მაშინ ვართაპეტმან ამან ჩამოიღო ჩონგური და დაუწყო კერა და მერე მოყვა სიმღერას ამას:

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ?  
 ქვეყანაში სასაცილო შეიქენ;  
 სათაე გაიქეც, იქით წაიქეც,  
 ბოლო დროსაც ბედოვლით შეიქენ;  
 რომელს დავაბრალო, რისგან არი?  
 ეს საქმე ჩემის ჭკვისაგან არი...

იოანე: მიბრძანეთ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ვართაპეტი: მე გახლავარ, საბრალო საათლამა, თუ გაგიგონიათ.

<sup>30</sup> გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, ტფილისი, 1930, გვ. 39.

<sup>31</sup> თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბილისი, 1949, გვ. 84.

<sup>32</sup> გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, ტფილისი, 1930, გვ. 45.

იონანე: დიად, მსმენია თქვენი ქება საზანდრობასა და შექცევასა შინა და მიბრძანეთ ვინა იყავ?

საათლაშა: მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზედ გააკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული, და როდესაც მეფემან ირაკლი იწება მეჭლიში, და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა, და ხალატიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს. მე ყოველგან აღვილი მქონდა არათუ მხოლოდ სიმღერით, ხუმრობითაც და სოფლიურს საქმეშიც, რომ მომავალში, განვერთვი. მერე ეს ბერობა აღვიჩიე, და ვარ აქა და ამ ჩემს ბერობაშიაც ნათქვამი ლექსით სიმღერა თქვენც მოგახსენეთ.

იონანე: რადგან სოფელი დაუტყვევთ, საკრავსა და სიმღერაზედაც ხელი უნდა აღოთ.

საათლაშა: ჩემმა წინამძღვარმაც მიბძანა და მე პირობა ასე მივეც, რომ ვინემ ეს სიმეხი ამ ჩონგურს ასხია და არ დაუწყებდა, ხელს არ ავიღებ ამისთვის რომ თდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმეხი უბეში დამრჩომოდა და ესეც ჩემთან აკურთხა და ამ ნაკურთხს სიმეხზე უკრავ ხმებს.

იონანე: და რადგან აღთქმა დაგიცს, შეგენდობათ.

ამ ხუმრობით დაასრულეს საუზმე და უკანასკნელ გამოესალმა საათლაშას და წარვიდა ისევ ბორჩალოსაკენ<sup>34</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია იონა ხელაშვილმა „კალმასობის“ მიხედვით სომხეთში იმოგზაურა ორჯერ. პირველად იმოგზაურა 1798—1800 წლებში (თბილისი-სადახლო-ახტალა-სანაინი-ახპატი და ამავე გზით წამოვიდა უკან), მეორედ კი 1801 წელს<sup>35</sup>.

იონანე ბატონიშვილის მიერ „კალმასობაში“ აღწერილი იონა ხელაშვილის შეხვედრა ახპატის მონასტერში ბერად შემდგარ საიათნოვასთან მოხდა ხელაშვილის სომხეთში პირველი მოგზაურობის დროს, 1800 წლის შემოდგომაზე... ხელაშვილი როცა საიათნოვას გამოეთხოვა, ბორჩალოსაკენ გასწია: «სამხრობის დროს მივიდნენ სადახლე სოფელსა შინა, ნახეს მუნ რაოდენიმე მსახურ-აზნაურნი, ჯარისკაცნი და იკითხა ვინაობა მათი, და უთხრეს: „გიორგი ციციშვილი სარდალი აქ ბრძანდებდა, თანბაკს აპირებს მისვლას იმ ჯარითო“. ბერი და მისი თანამგზავრი ზურაბა ჩამოსხდნენ და ცოტაოდენი დასვენების შემდეგ ი. ხელაშვილი სარდალ გიორგი ციციშვილს ვახშმად ეწვია. „მისრული იონანე სარდალს თავს დაუკრავს და ეტყვის „მშვიდობა, მშვიდობა შენდა სარდალ-მოურავო, მეფის სიმამრო“. მათ შორის გაიმართა საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. ჩვენთვის, ამჯერად საინტერესოა მათი საუბრის ერთი ადგილი, როცა იონა სარდალს ეუბნება: „არეულობა მეტი რაღა უნდა. შინაგან ბრძოლით, გარეგან სხდომანი თქვენებზე წარმოებენ და ახლა ბრძოლა ხანის საომრად მიხვალთ, რომ ამ ბრძოლაგანაც დამარცხდეთ, ესეც ქვეყნისთვის სირცხვილია“<sup>36</sup> (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ა.).

ჩვენი ყურადღება მიიქცია იონა ხელაშვილის უკანასკნელმა ფრაზამ და დავინტერესდით, გამოგვეკრავია სინამდვილეში მართლა თუ არსებობდა იონას

<sup>34</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, თბილისი, 1936, გვ. 225—228.

<sup>35</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული წყაროები საიათნოვას შესახებ, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 1963, №3, გვ. 38. (სომხურ ენაზე).

<sup>36</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, თბილისი, 1936, გვ. 231.

ნახსენები ბრმა ხანი, ვინ იყო იგი და სარდალი გიორგი ციციშვილი იბრძოდა მის წინააღმდეგ თუ არა და როდის?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სარდალი გიორგი ციციშვილი, იონა ხელაშვილი რომ მეფის სიმამრს უწოდებს, ცნობილი პიროვნება იყო გიორგი XII-ის სამეფო კარზე — გიორგი ციციშვილის ქალი მარიაში მეფე გიორგი XII-მ შეირთო 1782 წელს, ე. ი. გიორგი ციციშვილი მეფის სიმამრი გახდა 1782 წელს. ამავე დროს გ. ციციშვილი იყო ფანჯაკის მხარის მოურავი<sup>37</sup>. მას როგორც სარდალს უხდებოდა როგორც ამ პროვინციის, ისე მისი მეზობელი მხარეების დაცვა მომხდური მტრებისაგან. ახლა გადავხედოთ ისტორიულ საბუთებს, მაგრამ პირველ რიგში გაეხსენოთ ის ფაქტი, რომ ხელაშვილის პირველი მოგზაურობა ახაპტ-სანაინის მხარეს 1798—1800 წლებზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ სარდალ გიორგი ციციშვილს 1800 წლის შემოდგომაზე მართლაც უწარმოებია საომარი ოპერაცია ფანჯაკსა და შოროკალში. ამ ლაშქრობის შესახებ ცნობა დაცულია გენერალ კნორინგისადმი გაგზავნილ გენერალ ლაზარევის წერილში. პირველი წერილი დათარიღებულია 1800 წლის 24 სექტემბრით: «Ведомья об отправлении сердаря кн. Георгия Цицианова, 22-го сего сентября, с лезгинами в числе 400 человек, на жалование е. в. царя здешняго состоящих, в провинции Памбак, нужным почелье, осведомиться от е. в. куда предприть подвиг, и сей, на что он изволил ответствовать, что Эрванский Мегмед-хань издвна порываясь возвратить в свое владение провинцию Шорокгали, в подданстве его находящуюся, ныне на оную угрожает нападением, в отвращение чего и назначена памянутая часть войска Лезганскаго, и под команду онаго князя Цицианова туда отправленная»<sup>38</sup>.

როგორც პირველი წერილიდან ვხედავთ, გიორგი XII-ის სიმამრი სარდალი გიორგი ციციშვილი 1800 წლის სექტემბერში მართლაც ყოფილა ფანჯაკისა და შორაკალის პროვინციების დასაცავად, რომელთაც თავს ესხმოდა ნახევეანის ბრმა ხანი ქელბ-ალი-ხანი (ერევნის ხანთან ერთად). ეს არის სწორედ ის ბრმა ხანი, რომელსაც საიათნოვასაგან წამოსული ბერი ხელაშვილი სადახლოში შეხვედრილ სარდალ გიორგი ციციშვილთან საუბარში ახსენებს. ამ ბრმა ხანის წინააღმდეგ სარდალ გიორგი ციციშვილის მიერ ჩატარებული ბრძოლის შესახებ ლაპარაკია კიდევ გენერალ ლაზარევის მეორე რაპორტში, რომელსაც უგზავნის გენერალ კნორინგს.

ამ რაპორტსაც თარიღად უზის 1800 წლის 6 ოქტომბერი. გენერალი ლაზარევი წერს: «Эрванский Магомед-хан для отторжения от власти царя здешняго провинции Шугагели отрядил с несколькими числом эрванцев находившагося при себе Келб-Али-хана, который еще от Ага-Магомед-хана лишен зрения. Сей Келб-Али-хан на сих днях, по прибытии на помощь к реченной провинции сердаря князя Цицианова с частью грузинских войск в 400 человек»<sup>39</sup>.

<sup>37</sup> Акты, т. I, гл. 195. მეფე გიორგი XII-მ გიორგი ციციშვილს ფანჯაკის და ლორის მოურავობა უბოძა 1798 წ. 10 დეკემბერს. იხ. ავ. კლიმენტი, მასალები XV—XVII სს. ქართლისა და კახეთის საღროშოების ისტორიისათვის, XVI—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბილისი, 1964, გვ. 137.

<sup>38</sup> Акты, т. I, гл. 591.

<sup>39</sup> Акты, т. I, гл. 591.



საქართველოს ეს დაუძინებელი მტერი ქელბ-ალი-ხანი მის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს უმრავლეს შემთხვევაში იწყებდა ფანბაკის პროვინციიდან<sup>40</sup>. ეს გამოწვეული იყო აღმათ იმით, რომ ამ პროვინციის მოსახლეობის მეტი ნაწილი მუსულმანები იყვნენ, რაც ქელბ-ალი-ხანის ლაშქრობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მეფის რუსეთის ცნობილი მოხელე კავკასიაში, კოვალევსკი ერთ-ერთ წერილში ასე ახასიათებს ნახიჩევანის ბრმა მმართველს ქელბ-ალი-ხანს: «Келб-Али-хан славится своею предприимчивостию, злой и коварной...»<sup>41</sup>. კნონიგი კი ლაზარევს ასეთ ცნობას აწვდის ქელბ-ალი-ხანის შესახებ: «... Некто Келб-Али-хан человек предприимчивый и готовый безпокоить границы Грузии, наипаче со стороны Памбакъ, быв уже на днях сих порожень тамъ войсками нашими, пра покушением его на Карсскую Турецкую провинцию»<sup>42</sup>.

ვფიქრობთ, მოყვანილი საბუთები კიდევ ერთხელ ნათელყოფენ „კალმასობის“ შინაარსის რეალურობას, განსაკუთრებით კი ზემოთ ციტირებული დიალოგის (ბერი ხელაშვილისა და სარდალ გიორგი ციციშვილის შეხვედრა სადახლოში) სინამდვილეს, რაც თავის მხრივ ექვემოტანელს ხდის საიათნოვას ახპატის მონასტერში ყოფნას 1800 წლის შემოდგომაზე. ეს თარიღი მით უფრო ზუსტია, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სარდალი გიორგი ციციშვილი 1801 წელს უკვე რუსეთშია. ამას ვგებულობთ გენერალ ლაზარევის მიერ გენერალ ლეიტენანტ კნორინგისადმი გაგზავნილ მოხსენებიდან. ლაზარევი თავის უფროსს მოახსენებს რუსეთში გაგზავნილ მეფის ოჯახისა და ბატონიშვილების შესახებ, რომელთაც გაჰყვნენ წარჩინებული ქართველი გვარის წარმომადგენლები: «Список о князьях и дворянах с царевичаы отправившихся в Россию, уехавших и с царевичам Вахтангом едущих, у сего представить честь имею. Сердар же князъ Георгий Цицианов также уехать в Россию...»<sup>42</sup>.

ამ მოხსენებას თარიღი უზის 1801 წლის 22 მარტი, ე. ი. სარდალ გიორგი ციციშვილის მიერ ფამბაკს გალაშქრება ნახიჩევანის ბრმა მმართველის ქელბ-ალი-ხანის წინააღმდეგ გამორიცხულია 1801 წლის გაზაფხულის შემდეგ. „კალმასობის“ ზემოთ მოყვანილი ადგილის მიხედვით იონა ხელაშვილი სარდალ გიორგი ციციშვილს 1801 წლის მარტამდე უნდა შეხვედროდა, ამ დენად ახპატის მონასტერში საიათნოვასთან შეხვედრის შემდეგ გამოგზავრებული ბერი ხელაშვილის სადახლოში შეხვედრა სარდალ გიორგი ციციშვილთან მოხდა არაუგვიანეს 1801 წლის გაზაფხულისა და არა უადრეს 1800 წლის შემოდგომისა.

ჩვენ მიერ მოყვანილი ისტორიული საბუთებით პირდაპირ მტკიცდება, რომ „კალმასობაში“ აღწერილი შეხვედრა ბერი იონა ხელაშვილისა საიათნოვასთან ახპატის მონასტერში რეალურ სინამდვილეს წარმოადგენს და ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჯდება — 1800 წლის შემოდგომა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ საიათნოვამ, თავისი ცხოვრების ბოლო 25 წელი გაატარა ახპატის მონასტერში (თუ მისი სიკვდილის თარიღად 1795 წელს ჩავთვლით). მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა საწი-

<sup>40</sup> Акты, т. I, зб. 404.

<sup>41</sup> Акты, т. I, зб. 119.

<sup>42</sup> Акты, т. I, зб. 309.

ნაღმდევო მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს პ. აკოფიანს<sup>43</sup>. პატივცემული მკვლევარი მხითარისტ პ. ვოსკანიანის მიერ 1965 წელს გამოცემული ქრონიკის — „ახპატელი ბერის ოვ. ყირიმელის ქრონიკის ისტორია ახპატის დიდებული მონასტრის წმ. ნშანისა“ — (სომხურ ენაზე) შინაარსზე და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ახპატის მონასტერი 1749 წლიდან მოყოლებული 1799 წლამდე ლეკებისა და თურქების თავდასხმების გამო გაუქმებული იყო და იქ არავითარი საეკლესიო სამსახური არ სრულდებოდა. თუ იყო საეკლესიო ცხოვრება და საიათნოვა ეწეოდა ბერულ ცხოვრებას ახპეტში, ეს მხოლოდ შეიძლება ყოფილიყო 1778—1784 წლებში, ხოლო მანამდე 1768—1778 წწ. და შემდგომ 1784—1795 წწ. საიათნოვა სხვა ახპატელ ბერებთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, სურფ გეორგის ეკლესიაში. ეს ახალი მოსაზრება არ გაიზიარა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. გრიგორიანმა<sup>44</sup>. მან დაიცვა საიათნოვას ახპატის მონასტერში ყოფნის ტრადიციული შეხედულება და სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროს მეშვეობით შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ხსენებულ პერიოდში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ახპატის მონასტერში საეკლესიო ცხოვრება ძირითადად მაინც მიმდინარეობდა<sup>45</sup>.

რა თქმა უნდა, ლეკების თავდასხმებისაგან ახპატის მონასტერი, ისე როგორც სხვა დანარჩენი, ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობაში იყო და ზოგან მართლაც ჩაკედა სამონასტრო ცხოვრება, მაგრამ არ არსებობს ექვემიუტანელი საბუთი იმისა, რომ ახპატის მონასტერში მთელი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1778—1784 წწ. გამოკლებით) სამონასტრო ცხოვრება ჩამკვდარი იყო და იქ არავითარი საეკლესიო მღვდელთმსახურება არ სრულდებოდა. ყველაფერს, რომ თავი გაეანებოთ, არ შეიძლება არ დაუჭეროთ XIX საუკუნის ცნობილ სომეხ ისტორიკოსს ალ. ერიციანს, რომელიც პირველად საისტორიო წყაროებზედ დაყრდნობით ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად ნათელ და დამაჯერებელ დასკვნას გეთავაზობს: «Со времен нашествия Ага-Магомед-хана в Грузию (1795 г.) на некоторое время здесь перестало жить монашество, пока, наконец, стараниям прибывшего тогда в Грузию архиепископа Иосифа в 1796 г., вновь водворилось духовенство, которое и принялось за обновление ахпатских полуразвалин»<sup>46</sup>.

ასე რომ, საიათნოვას თავისუფლად შეეძლო 1795 წლის ალა-მაჰმად-ხანის მიერ ახპატის მონასტრის მოოხრების შემდეგ სხვა ბერებთან ერთად დაბრუნებულიყო უკან და „ბუნებრივი აღსასრულის სამზადისში განეგრძო თავისი ნოღეაწობა“, — მართებულად შენიშნავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი<sup>47</sup>.

ისტორიკოს ალ. ერიციანისა და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ამ მოსაზრებათა ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად მიგვაჩნია თუნდაც საიათნოვას ნათქვამი სიტყვები, როცა ის ბერ ხელაშვილს ეუბნება: „მე მაინც ვცხონდები.

<sup>43</sup> პ. აკოფიანი, საიათნოვას ახპატის მონასტერში ყოფნის ირველი: ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლი, 1969, № 3, გვ. 209—225 (სომხურ ენაზე).

<sup>44</sup> საიათნოვას ახპატის მონასტერში ცხოვრების შესახებ; ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლი, 1971, № 3, გვ. 95—114 (სომხურ ენაზე).

<sup>45</sup> ამ საკითხის ირველი გამოქვეყნებულ სმეცნიერო ნაშრომებს გამოწვლილვით განვიხილეთ ჩვენ მიერ ამ დისკუსიაში მიძღვნილ სპეციალურ შრომაში.

<sup>46</sup> Ахпатский монастырь, «Кавказская старина», 1873, № 3, გვ. 85.

<sup>47</sup> საიათნოვა, კრიტიკულ-ბიოგრაფიული გეიული, თბილისი, 1930, გვ. 138.

ამისათვის ამ ჩვენს ეკლესიას ორმოცი სამწირველო აქვს და ვინც ჩვენგანი გარდაიცვლება ვინმე, ორმოც დღეს უწირვენ ყოველგან, ათას წირვას იქმს ორმოცე დღეს. და ასეა თქმული, ვინც ორმოც დღეს ათას უწირვინებს თვისსა მიცვალებულსა, უთუოდ ცხონდება, თუ უკანასკნელ ჟამწაიაც არს, აღსარება უთქვამს და ზიარებულა.

იონას ღია გაუკვირდა იმ საყდრის იმდენი სამწირველო, ხელმეორედ კი დევ გაშინჯა და სთქვა: „მართლად ძველნი ხუროთმოძღვარნი საქებელნი ყოფილან, რომ ესეოდენი კარგი ხელოვნება და ნაკვეთები და კიბეები ერთიანი ქვისა და თაღნი თახჩად ჩაწყობილნი იატაკითურთ ყოფილან. მე ესგვარი შენებულობა არა სად მიხილაეს“<sup>48</sup>.

ამ ციტატაში ნათლად ჩანს, რომ ახზატის მონასტერში XVII საუკუნის მიწურულში წირვა-ლოცვა სრულდებოდა და სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა.

როგორც დავადგინეთ, იონა ხელაშვილის შეხვედრა საიათნოვასთან ახზატში მოხდა 1800 წლის შემოდგომაზე. იონა ამ დროს იყო 30 წლის ახალგაზრდა დიაკვანი (რადგან იგი დაიბადა 1770 წელს), საიათნოვა კი უკვე მოხუცი იყო. ეს ფაქტი დასტურდება მათ შორის გამართული დიალოგითაც, როცა იონა და საიათნოვა კარგად შეექცნენ, საიათნოვამ ჩონგური აიღო და დაამლურა ლექსი „შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ?..“ ხელაშვილს გაუკვირდა ბერი საერო ცხოვრების დაკარგვას როგორ მისტირიო:

„იონა: უი, ჩემს თავს, მაგისტვის გლოვო!

ვართაპეტი: ამისთვისაც ვპგლოვ, და შენთვისაც, რომ ყმაწვილი კაცი შემდგარხარო ბერათ.

იონან: ყმაწვილობის სჯობს, რომ კეთილის შეეჩვიოს კაცი: შენც რომ ყმაწვილი შემდგარიყავ ბერად, ახლა ამ მწუხარებაში არ იქნებოდი“.

ამ დიალოგში გარკვევით ჩანს, რომ საიათნოვა ასაკში შესულია: „შენი ხნის რომ ვიყავიო...“ მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა ის, რომ ვერ იონამ ხომ არ იცის ეს უცნობი ნართაპეტი ბერად როდის შედგა, ყმაწვილობაში თუ ხანშიშესულობაში. იონა ხელაშვილის სახით ავტორს — იონანე ბაგრატიონს კარგად მოეხსენება ეს ვართაპეტი ყმაწვილობაში კი არ შედგა ბერად, არამედ მოგვიანებით, თორემ იონა ხელაშვილი ვერ ეტყოდა საიათნოვას: „შენც რომ ყმაწვილი შემდგარიყავ ბერადო“. ასე რომ, ეს დეტალიც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იონანე ბაგრატიონი საიათნოვას პიროვნულ ცხოვრებასაც კარგად იცნობდა და რაიმე გაუგებრობა მისგან გამორიცხვლია.

პატრიცეშული მკვლევარი პ. აკოფიანი სერიოზულად მიიჩნევს საიათნოვას მიერ ზემორობით ნათქვამ სიტყვებს, როცა მისი სიმღერით გაოცებულ ბერ ხელაშვილს ეუბნება: „ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმები უბეში დამარჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხ სიმებზედ უკრამ ხმებს.

იონანე: და რადგან აღთქმა დაგიცავს, შეგენდობათ. და ამა ხ უ მ რ ი თ და ა ა ს რ უ ლ ე ს ა უ ზ მე (ხაზგასმა ჩენია. — ბ. ა.)“. პატრიცეშული მკვლევარი გაკვირვებული კითხულობს: 35 წლის განმავლობაში რა სიმები გაძლებდაო. მას რომ „კალმასობის“ ეს ეპიზოდი გულდასმით წაეკითხა, მაშინ მისთვის უხერხულ კითხვას არ დასვამდა. ი. ბაგრატიონს თითქოს წინასწარ უგრძმენია

<sup>48</sup> ი. ბაგრატიონი, კალმასობა, ტ. 1, თბილისი, 1936, გვ. 225—228.

საიათნოვას ეს მოსწრებული ხუმრობა სერიოზულად არ მიიღონო და იქვე შეუნიშნავს: „და ამა ხუმრობით დაასრულეს საუზმე“.

სამეცნიერო წრეებში ზოგიერთი მკვლევარი რატომღაც უნდობლობას უცხადებს პლ. იოსელიანის „გიორგი XII ცხოვრებაში“ დაცულ ცნობას საიათნოვას გარდაცვალების შესახებ (1801 წ.). პ. მურადიანი ფიქრობს, რომ ვინაიდან პლ. იოსელიანი ბესიკის გარდაცვალების თარიღში შეცდომას უშვებს, ამიტომ მის მიერ მოწოდებული საიათნოვას გარდაცვალების თარიღიც (1801 წ.) სარწმუნო არ არის<sup>49</sup>. დავუშვათ პლ. იოსელიანი ბესიკის გარდაცვალებას შეცდომით ათარიღებს, განა აუცილებელია საიათნოვას გარდაცვალების საკითხშიც ცდებოდეს? თუ პ. მურადიანის მსჯელობის ლოგიკას გავყვებით, მაშინ არც მას უნდა დაეუჯეროთ, რადგან ნ. ბარათაშვილი ხ. აბოვიანის მოწაფედ გამოაცხადა; რახან ერთი შეცდომა დაუშვა, მაშინ მისი კვლევით მუშაობის ყველა შედეგი ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ?

ასე რომ, არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ მივიღოთ პლ. იოსელიანის მიერ მოწოდებული საიათნოვას გარდაცვალების თარიღი, რის შესახებაც სრულიად სამართლიანად წერს აკად. აღ. ბარამიძე: „ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სწორი უნდა იყოს პლატონ იოსელიანის ცნობა საიათნოვას გარდაცვალების შესახებ მე-19 საუკუნის გარიყრაჟზე, 1801 წელს“<sup>50</sup>.

არაერთი პოეტის ბიოგრაფიაა მოცული ლეგენდით. ამ მხრივ არც საიათნოვას ცხოვრება გამოიყურება ღარიბად. მაგრამ იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ მეცნიერულად დადგენილი ბიოგრაფიული ფაქტები დიდად უწყობს ხელს პოეტის შემოქმედების ამა თუ იმ მომენტის გარკვევას. ამდენად, ჩვენ მიერ დადგენილი საიათნოვას ბიოგრაფიის აღნიშნული ფაქტი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს აშული-პოეტის მეცნიერული ბიოგრაფიის შექმნის საქმეს.

ბ. ვ. არველაძე

## СЯТ-НОВА И ИОНА ХЕЛАШВИЛИ

Резюме

Основу легенды трагической смерти Сяят-Новы (1795) заложил Георг Ахвердов, издавший в 1852 году в Москве на армянском языке труд «Армянские ашуги», которую принимали все исследователи биографии Сяят-Новы. Впервые критически об этой легенде отозвались Г. Леонидзе и Л. Меликсет-бек: первый из них опирался на грузинские, второй — на армянские источники.

В данном труде на основе выявления новых материалов научно доказано, что в 1800—1801 годах Сяят-Нова жил и продолжал свою деятельность в Ахпатском монастыре.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

<sup>49</sup> პ. მურადიანი, საიათნოვა ქართული წყაროების მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 91 (სომხურ ენაზე).

<sup>50</sup> საიათნოვა, ქართული ლექსები, თბილისი, 1963, გვ. 104.

რიმა ფიცხალაიშვილი

### „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ

ქართველმა ერმა თავისი მძიმე და გმირული ისტორიის თანამოზიარედ გაიხადა რუსთველის უკვდავი წიგნი, შავზნელ ეპოქებში სისხლიან აგრესიათა ტალღებზე გამოატარა და ახალ დროებამდე, ბეჭდვის საუკუნეებამდე მოიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი. რა იქნებოდა დღეს ჩვენი ყოფა, ან ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩვენი წინაპრების სულიერი ენერგია, საუკუნეთა მიღმა ქართველ კაცს მოწამებრივი თავდადებით რომ არ გადაენუსხა, ან შემთხვევით დაეკარგა სადმე თავის დროზე, ალბათ, ერთადერთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

თაობათა გმირული ღვაწლი, რუღუნება და თავგანწირვა აუსახავს ძველ ხელნაწერებს, რომელთა გადაწერნი ზოგჯერ მოკრძალებულად გვამცნობენ ხოლმე ანდერძებში თავიანთ სახელს: აღიწერა ხელითა მავანისა და მავანისათა... სწორედ მათი ფასდაუდებელი ღვაწლით გახდა შესაძლებელი ქართველი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი უდიდესი სულიერი საგანძურის თუნდაც ნაწილობრივად ჩვენს დრომდე მოტანა. უმეტეს წილად არ ყოფილან დიდად დაღვინებული ჩვენი ისტორიის, კულტურის, მწერლობის ის თავგამოდებულნი და უდიდესი ნებისყოფით აღჭურვილი მუშაკნი — გამმართველნი და გადაწერნი ძველი წიგნებისა. უნებლიეთ გვაგონდება 1710 წელს გადაწერილი ერთ-ერთი წიგნის ანდერძი: „მე, გლახკამან და ყოველთა ხუცესთა უნარჩევებსმან, ყოვლად უღირსმან ეგნატის ძემან მღვდელმან იესემ აღვსწერე წიგნი ესე ბრძანებითა ბატონის კათალიკოზის დომენტისითა. უწყის ღმერთმან, რაც ოდენ შემეძლო, სიმათლეს ვეცადე. დიდი ჰირისა და მწუხარების დღე მქონდა. ძნელი ზამთარი იყო. ერთს ბნელს სახლში ვიჯექი, სიკვდილისაგან შელონებული, დღე და ღამე მტირალი. უწყის ღმერთმან, სულ ღამით, უსკანოთ, კალთაზედ და მუკლზე ფიცარი მეღვა და სანთლით დავსწერე“.

უუქველია, დიდი მიზანდასახულობა, წარმმართველი ყოველი თავდადებისა, შთააგონებდა ძველ მწიგნობართ გმირულ ღვაწლსაც. ჩვენ დღემდე ვალში ვართ არაერთი მათგანის წინაშე, ბევრი ძველი ამაგდარი მწიგნობრის ღვაწლის წარმოჩენა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება. მაგრამ სახელი იმ პირისა, ვის შესახებაც ამჯერად საუბარს ვაპირებთ, გაცილებით ბევრის მთქმელია, ვიდრე რიგითი მწიგნობრისა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ რუსთველოლოგიის ისტორიაში ამაგდებული პირია. მისი დიდი ღვაწლი ჩაქსოვილა „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ პუბლიკაციაში — 1712 წელს ქართველი მეფისა და მწიგნობრის — ვახტანგ მეექვსის თაოსნობით განხორციელებულ გამოცემაში. თავისთავად ეს ღვაწლიც საკმარისი იქნებოდა მიქელის დამსახურების აღიარებისთვის, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ მისი ღვაწლი უკავშირდება ძველი ქართული მწერლობის ორ ისეთ პრობლემატურ საკითხს, როგორცაა ქართული

წიგნის ბეჭდვის ისტორიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქციის ავტორის საკითხები. ვიდრე ქართული სტამბა დღის სინათლეს იხილავდა საქართველოში, მიქელს გადამწერის მძიმე შრომით უმსახურნია ქართული წიგნის გავრცელების საქმისათვის, შემდეგ კი მას ვახტანგ მეექვსის ირგვლივ შემოკრებილ ქართული სტამბის მესაპირკვლევთა წრეში ცხედათ.

თავისი დროის დიდი კულტურტრეგერის ვახტანგ მეექვსის თაოსნობით გამოცემულ რუსთველის წიგნს ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა უწოდა და, თუმცა შემდეგაც გრძელდებოდა რუსთველის პოემის ხელით გადაწერა, მაინც სწორედ ამ გამოცემით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სიცოცხლე, გადამწერთა ხელით მონახაზი ასობიდან — ტექნიკის დონეს მიწოდებული, ბეჭდურ ნიშნებში განსხვავებული სიცოცხლე.

1712 წლის გამოცემას საესებით სამართლიანად ეწოდება ვახტანგისეული არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ვახტანგ მეექვსის ზრუნვითა და რუღუნებით შექმნილ სტამბაში განხორციელდა ვახტანგისავე „შრომითა და წარსაგებელითა“, არც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გამოცემას ერთვის თვით ვახტანგის მიერ დაწერილი რუსთველოლოგიური კომენტარები — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“, და არც იმიტომ მართა, რომ თვით გამოცემაში წარმოდგენილ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, რედაქციას რუსთველის პოემისა, აუსახავს ვახტანგისეული აზრიც (თუმცა ჭერჯერობით საბოლოოდ დადგენილი როდია, რა შეფარდებით ასახავს ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქცია თვით ვახტანგისა და ტექსტის გამმართველის მიქელის აზრებს).

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემას სამართლიანად ეწოდება ვახტანგისეული იმიტომაც, რომ თვით მიქელიც, როგორც რუსთველოლოგი, მთლიანად შთაგონებულია ვახტანგის მიერ. გადაჭარბებული როდია რუსთველოლოგად მიქელის მოხსენიება. რუსთველოლოგობა რუსთველის პოემის მეცნიერული თვალთახედვით კვლევას გულისხმობს, ხოლო თუ მიქელი არის ავტორი ან თანაავტორი ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქციისა, ცხადია, ვახტანგის შემდეგ სწორედ ის იმსახურებს რუსთველოლოგის ტიტულს.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო ძველი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ორი განსაკუთრებული მიზეზის გამო. როგორც ბეჭდური პუბლიკაცია იგი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შენახვასა და გავრცელებას უზრუნველყოფდა, როგორც მეცნიერულ-კრიტიკული რედაქცია კი ახალ ეტაპს ქმნიდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგების საქმეში. ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა ვეღარ პასუხობს რუსთველოლოგიის დღევანდელ დონეს ტექსტის შედგენილობისა თუ წაკითხვათა თვალსაზრისით, ოდნავადაც არ ამდაბლებს ამ გამოცემის მნიშვნელობას თავისი ეპოქისათვის. საესებით მართებულად აღნიშნულია რუსთველოლოგიაში, რომ ვახტანგისეული გამოცემა თავისი დროის წინგადადგმული ნაბიჯი იყო და მან ღრმა კვალი გაავლო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის საქმეში.

<sup>1</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1, 1970, გვ. 24.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის კვლევაში განსაკუთრებულ როლი შეასრულა ა. შანიძის მიერ აღდგენილმა ტექსტმა აღნიშნული გამოცემისა (1937 წ.) და იმ მეცნიერულ-კრიტიკულმა გამოკვლევებმა, რომლებიც აღდგენილ გამოცემას დაერთვის. საბოლოოდ და უეჭვოდ გაირკვა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა წარმოადგენს პოემის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს და არა ერთი რომელიმე ძველი ხელნაწერის უცვლელ განმეორებას. მაგრამ დღემდე რჩება აზრთა სხვაობისა და, მათსადაამე, კვლევის საგნადაც ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი — ვინაა ავტორი ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქციისა, თვით ვახტანგ მეექვსე თუ სხვა ვინმე, კერძოდ, იმავე გამოცემაზე ამადგებული პირი — მიქელ?

აქ ორიოდ სიტყვით უნდა მოვიგონოთ საკითხის კვლევის ისტორია.

იუსტ. აბულაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაში წარმოდგენილი რედაქციის ავტორი ვახტანგ მეექვსე არ უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>.

ა. შანიძე ვახტანგისეული გამოცემის დედნის შესახებ მსჯელობისას საკითხს სუამს იმის შესახებ, თუ „რა მუშაობა გასწია ვახტანგმა (ან მის მიერ გამოყოფილმა კომისიამ) ვეფხისტყაოსნის ტექსტზე“. ვახტანგის კომისიის მოხსენიება ამ კონტექსტში საკვებით ადასტურებს, რომ თვით ა. შანიძეც დასაშვებად თელის აზრს, რომლის თანახმადაც „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილი რედაქციის ავტორი, შესაძლოა, მართო ვახტანგი არ ყოფილიყო. განსაკუთრებით მკვეთრი თვალსაზრისი ამ მიმართებით კ. კეკელიძემ გამოთქვა.

კ. კეკელიძე დაბეჭდილებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტის რედაქტორი არ ყოფილა ვახტანგ მეექვსე, რომ ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა იდეა და ხელმძღვანელობა გამოცემისა, აგრეთვე გამოცემას დართული რუსთველოლოგიური კომენტარები, ხოლო გამოცემის რედაქტორად, ე. ი. ავტორად კრიტიკული რედაქციისა, კ. კეკელიძე მიიჩნევდა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს<sup>3</sup>.

თავისი თვალსაზრისის დამადასტურებლად კ. კეკელიძემ აღნიშნა რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის ისიც, რომ ვახტანგის მიერ დაწერილ „თარგმანში“ არც ერთხელ გაკვრითაც კი აღნიშნული არ არის, რომ ვახტანგმა პოემის ტექსტიც დაამუშავა. არ არის ეს აღნიშნული არც „„ეპიტაფიაში“, რომელიც ვახტანგს „თარგმანის“ შედგენას მიაწერს, ტექსტის დამუშავებას, რედაქციას კი არაა. ამავე აზრის დამადასტურებლად კ. კეკელიძეს მიაჩნდა ა. შანიძის დაკვირვებაც იმის შესახებ, რომ „გამოცემაში კომენტარები გაკეთებული აქვს არა იმ ტექსტს, რომელიც გამოცემაში გვაქვს, არამედ სხვას; კომენტარებში განმარტებულია მთელი რიგი სტროფებისა, რომელთაც პოემის დაბეჭდილ ტექსტში ვერ ვპოულობთ“. კ. კეკელიძისავე აზრით, „„გამართა“ აღნიშნავს არა მართლ იმას, რასაც ჩვენ ახლა „კორექტორობას“ ვეძახით, არამედ უფრო მეტად რედაქტორობასაც, აქედან „გამართველი“ ნიშნავს რედაქტორს».

<sup>2</sup> იუსტ. აბულაძე, ვახტანგ მე-6-ის გამოცემული ვეფხისტყაოსნის რედაქცია, გვ. 23.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., X, 1939, მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., IV, 1957, გვ. 16—21.



ქ. კეკელიძე რუსთველოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხად თვლიდა გარკვევას იმისა, თუ ვინაა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი რედაქციის ავტორი; ხოლო აღნიშნავდა რა მიქელთან დაკავშირებულ ცნობათა უქონლობას, რუსთველოლოგიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანად სახავდა ამ პირის შესახებ ცნობათა მოძიებასაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტის გამმართველად, ე. ი. რედაქტორ-კორექტორად, მიქელს მიიჩნევს ქრ. შარაშიძე<sup>4</sup>. ამგვარივე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ს. ცაიშვილსაც<sup>5</sup>.

ა. ბარამიძე შეცდომად თვლის მიქელის ისეთ პირად აღიარებას, „რომელმაც დაამუშავა და გაასწორა ვეფხისტყაოსანი, საკუთარი შეხედულებისამებრ შემოკლა პოემის სიუჟეტი, თვითონ შეადგინა დასაბეჭდი ტექსტი და კიდევ გამოაქვეყნა იგი თავისი რედაქციით“. მისივე აზრით, „ვახტანგს უნდა ჩაეტარებინა ის რთული ოპერაცია, რასაც ტექსტის დადგენა და პოემის ტექსტის შედგენილობის განსაზღვრა ეწოდება... „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემი ტექსტის შემდგენელი, მისი რედაქტორი და კომენტატორი ვახტანგია. მიქელ დეკანოზისშვილი კი მისი თანამშემწე, მისი თანამშრომელი, მისი დავალბების შემსრულებელი, მის მიერ დადგენილი ტექსტის გამომცემელ-დამბეჭდავი“<sup>6</sup>.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქციის ავტორის საკითხზე რუსთველოლოგიაში ორგვარი თვალსაზრისია გამოთქმული. სავსებით აშკარაა ისიც, რომ აქ საქმე მხოლოდ პიროვნების დადგენას როდი შეეხება. რედაქტორის ვინაობის გარკვევა ამჯერად სარედაქციო სამუშაოთა ხარისხოვნების განსაზღვრასაც უკავშირდება. ვახტანგ მეექვსე, როგორც მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებელი, ყველასთვის ცნობილია, ხოლო მიქელის პიროვნების, მისი მწიგნობრული ღვაწლის, საერთოდ მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

ჩვენ არ ვაპირებთ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის რედაქციულ საკითხებზე მსჯელობას და ამ გზით ფასდადებას მიქელის ღვაწლისა. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი თვით მიქელის პიროვნებაა. მიქელის პიროვნების წარმოჩენა, ბიოგრაფიული პორტრეტის გამოკვეთა უთუოდ მნიშვნელოვანი იქნება მისი მწიგნობრული, საკუთრივ რედაქტორული, ღვაწლის გათვალისწინების თვალსაზრისითაც. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ რუსთველოლოგიამ დააგვიანა. დღემდე თითქმის არაფერი ვიცით იმაზე მეტი, რასაც თვითვე გვაუწყებს, მიქელის — „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაზე მეორე (ვახტანგ მეექვსის შემდეგ) ამავდებულ პირის შესახებ. არ ვიცით მისი გვარი, წარმომავლობა, პიროვნების მიზანდასახულობა და პოტენცია. ვინ გამხდარა ვახტანგ მეფის თანამოსაჯრე ჭეშმარიტად ისეთ საბრძოლო საქმეში, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერულ-კრიტიკული რედაქციის გამოცემა იყო? ვინაა ის პირი, რომელმაც ჯერ ვახტანგისავე გვერდით, მისი მითითებებითა და ხელმძღვანელობით თავჩაღებით იმუშავა, ხოლო ვახტანგის სპარსეთში გაწვევის შემდეგ მართომ საკუთარი მხრებით აზიდა უმძიმესი ჭაბანი რუსთველის პოემის კრიტიკული რედაქციის გამოცემისა?

არცთუ განსაკუთრებით დიდი დრო გვაშორებს ვახტანგისა და მიქელის ხანას, — ორნახევარ საუკუნეზე ცოტათი მეტი. ცნობათა შენახვისათვის ეს არ

<sup>4</sup> ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 14.

<sup>5</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 64.

<sup>6</sup> ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 412, 414.





არის უსაშველო ხანა, მაგრამ ეამთა სიავისა და ისტორიული ქართველების ვითარებებში, ჩვენს ქვეყანას რომ მრავალგზის დასტყდომია თავს, დროთა გაცილებით მცირე მონაკვეთებშიც შეიძლებოდა ძვირფას ცნობათა უკვალოდ დანთქმა. ვინ იცის, რამდენი სანატრელი ცნობა დაგვეკარგა ღვაწლმოსილ წინაპართა შესახებ, ხოლო ბევრი, ჯერ კიდევ ხელუხლებელი თუ გაუშიფრავი. თვლემს ძველი სიგელ-გუჯრების ბუკარებში. ჩვენ მოვალენი ვართ ისტორიული დოკუმენტაციის ოკეანედან ამოვზიდოთ, როგორც ჩამირული განძის ნამსხვრევები, ძვირფასი ცნობები ღვაწლმოსილ წინაპართა შესახებ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ისინი.

ამჟერად უნდა მოვიძიოთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ, გამოკვეთოთ მისი ბიოგრაფიული პორტრეტი, ვნახოთ შემთხვევითი პირია ის მწიგნობრული მოღვაწობისათვის, თუ მისი სახით წარმოჩნდება დიდად განსწავლული ფენა მაშინდელი ქართული საზოგადოებისა, შთაგონებული დიდი მისიით და ამ მისიის თავდადებული მსახური.

ცნობილია, რომ მიქელის სახელი შემოუნახაჯს „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის თავფურცელსა და ამავე გამოცემის ტექსტის დასასრულს დართულ, თვით მიქელის მიერ შეთხზულ, ორ სტროფს. მკითხველს შევასხენებთ მიქელის თვითმოხსენიების ორსავე შემთხვევას.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის თავფურცელი გვაუწყებს: „ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ეამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შეილის მიქელისათა: ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათას შეიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შეიდიათას ორას ოცსა“.

ბოემის დასასრულს გვითხულობთ:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში: პირველ ნაწერი კელისა, უგბილთა ფრიად სასწავლო: გონიერთ გულთა თმენისა, მეფის ვახტანგის ბძანებით: და სიბრძნით კეთილ მქნელისა, და ნაღვაწი მისის მლოცველისა: მესტამბე მიქაელისა. დაესრულა ესე წიგნი: ქორანიეონს უნსა სმულსა ყველაკასა უხაროდა: რიტორსა და კმა უსულსა, სამლთოა და საეროცა: ვისაცა აქუს სმენა გულსა, და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს: გონიერსა გულს უსრულსა.“

რას გვამცნობს მიქელის მიერ შეთხზული ეს ორი სტროფი? პირველ ყოვლისა, ისინი უწყებთა მკითხველთათვის, ქართული საზოგადოებისათვის, რომ მოხდა ქვეყნის ცნოვრებაში დიდად ღირსშესანიშნავი ფაქტი — აწ სტამბური წესით დაიბეჭდა აქამდე „ნაწერი კელისა“ „ვეფხისტყაოსანი“. შემდეგ ლაკონურად შეფასებულია თვით წიგნის მნიშვნელობა („უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა“), შემდეგ აღინიშნება ვახტანგის წარმმართველი ღვაწლი ამ გამოცემაზე („მეფის ვახტანგის ბძანებით...“), ხოლო შემდეგ მიქელი თავმოდრეკილად მოიხსენიებს თავის სახელსაც („ნაღვაწი მისის მლოცველისა: მესტამბე მიქაელისა“).

მიქელის მიერ შეთხზული მეორე სტროფი დიდად საყურადღებო საკითხს ეძღვნება. მასში გამოცემის თარიღის აღნიშვნის შემდეგ წარმოდგენილია შეფასება „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის მნიშვნელობისა. მიქელი გვამცნობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა საყოველთაო საზოგადოებრივი აზ-

რის მოთხოვნილებას შეესაბამებოდა („ყველაქასა უხაროდა...“), შემდეგ აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო და საერო მნიშვნელობა („სამღთოა და საეროცა: ვისაცა აქუს სმენა გულსა“), რითაც რუსთაველის წიგნი უდიდესი სიბრძნის შემცველ უმაღლეს ზნეობრივ ნაწარმოებად არის გამოცხადებული. საესეებით მართებულიად აღნიშნულია რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო და საერო მნიშვნელობის აღნიშვნით მიქელი არ უპირისპირდება ვახტანგის თვალსაზრისს, რადგან ამგვარი ორმხრივი თვალსაზრისი გატარებულია ვახტანგის „თარგმანშიც“<sup>7</sup>.

შემდეგ მიქელი გვაუწყებს „ვეფხისტყაოსნის“ განმანათლებლური მნიშვნელობის შესახებ. რუსთაველის პოემა უშრეტო წყაროა ცოდნისა, რომელიც უსწავლელს განათლებს, ხოლო გონიერსა და განსწავლულს თავის მაღალ გულისთქმათა პასუხს მიაგებს. აქვე დავუმატებთ იმას, რომ მიქელის პირველ სტროფში „ვეფხისტყაოსანი“ „უღბილთა ფრიად სასწავლო“ წიგნადაც არის გამოცხადებული. ეს გამორტმა სავსებით სამართლიანად შეფასებულია, როგორც გამკიცხველი სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივი მხარის უსამართლოდ და ფანატიკურად მგმობართა მიმართ<sup>8</sup>.

სავსებით აშკარაა, რომ მიქელის ორი სტროფი შეთხზულია გამიზნული გეგმით და ლაკონურად გამოხატავს რედაქციის მთავარსათქმელს. სტროფების შინაარსი თავისთავად რუსთაველოლოგის მსჯელობაა; რედაქტორის უბრალო, ტექნიკური თანაშემწე, რომელსაც მეცნიერულად არ ექნებოდა გააზრებული „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა, ვერ შესძლებდა ასე გეგმაზომიერად წარმოეჩინა მისი ბეჭდური გამოცემის მიზანდასახულობა. ტექნიკურ მუშაკს, ცხადია, შეეძლო თავისი ღვაწლი ლექსით აღენიშნა პოემის დასასრულს, მაგრამ თუ მისი ცოდნა და მოვალეობა არ სცილდებოდა ტექნიკურ მხარეს, ცხადია, ვერ გაბედვდა და ვერც შეძლებდა ავტორიტეტული ტონით ფასდადებას გამოცემის მიზანდასახულობისა და მნიშვნელობისა. მიქელის მიერ შეთხზულ სტროფთა პოტენცია აშკარად სცილდება ტექნიკური მუშაკის უფლებამოსილების ჩარჩოებს. იგრძნობა, რომ მათ ავტორს უფლება აქვს და ძალუქს კიდევ რედაქტორის კალმითაც მიეახლოს ტექსტს. მართლაც ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბეჭდვის დამთავრებისას თვით ვახტანგი უკვე ქართლში აღარ იმყოფებოდა. სრულიად აშკარაა, თუ მთელი ტექსტი არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც დაიბეჭდა მხოლოდ მიქელის პასუხისმგებლობით. ჩვენი აზრით, ეს პასუხისმგებლობა რედაქტორის ფუნქციებს უთანაბრდებოდა. მიქელი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობდა და ახორციელებდა ვახტანგის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართ, ამიტომაც სავსებით მართებულიად მიგვაჩნია ა. ბარამიძის შემდეგი შენიშვნა: „ვერ გაეზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს 1712 წლის ბეჭდურ ვეფხისტყაოსანში ვახტანგს ეკუთვნის მხოლოდ „თარგმანი“ და სხვა არაფერი“<sup>9</sup>. ამავე დროს ჩვენ გაცილებით ფართოდ გვესახება მიქელის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაზე, ვიდრე ეს რედაქტორის ტექნიკურ თანაშემწეს მოეთხოვებოდა. ცალკეულ კონკრეტულ ტექსტოლოგიურ საკითხთა გადაწყვეტისას მიქელი უთუოდ სარგებლობდა რედაქტორის უფლებამოსილებითაც. ამას მის მიერ შეთხზულ სტროფთა შინაარსი და ტონაციაც ადასტურებს. საკითხის გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვან-

<sup>7</sup> ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

<sup>8</sup> ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

<sup>9</sup> ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 412.

ნია ნიქელის ბიოგრაფიის გათვალისწინებაც. ქვემოთ წარმოვაჩინო, რომ მიქელის მთელი ოჯახი, ფაქტობრივად, ისტორიული დოკუმენტების შემდგენელია. ძველი წიგნების გადაწერა და გამმართველია, ე. ი. რედაქტორთა ოჯახია. ამდენად მიქელის პროფესია მისივე ოჯახური წრის ტრადიციაა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის მიერ მოწოდებული ცნობებით ჩვენთვის ნათელია მიქელის ორი ტიტული: სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი და თანამდებობრივი — მესტამბე. ვინაიდან მიქელის გვარისა და წარმომავლობის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი, მიქელის მოძიებაც ისტორიულ დოკუმენტაციაში, მისი გამოჩენვა მისივე თანამედროვე ყველა სხვა მიქელისაგან, სწორედ ამ ტიტულებით უნდა მოხდეს.

ძიების დასაწყისშივე საცნაური ხდება საკითხთა კომპლექსური კვლევის აუცილებლობა. კერძოდ, გამოიკვეთა უპირატესად რთული შემხვედრი საკითხი. ძიება მიქელის პიროვნებისა და ლეაწლის წარმოსაჩინად ზედაპირული და უშედეგო იქნება, თუ წინასწარ შესწავლილი არ იქნა ხელმწიფის კარის დეკანოზთა ისტორია. ეს საკითხი კი ქართული ლიტერატურის ისტორიაში თითქმის შეუსწავლელია. გარკვეული უნდა იქნეს კარის დეკანოზთა ვინაობა ცალკეულ ეტაპებზე, გამოიკვეთოს მათი სახელმწიფოებრივ-მწიგნობრული მოღვაწეობის სურათი, წარმოჩნდეს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ქრონოლოგია და დადგინდეს იქნეს მათივე გენეალოგიური შტოს შემადგენლობაც განსაზღვრულ თარიღობრივ რკალში.

ცნობალია, რომ მიქელის სახელი „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ვახტანგის სტამბის კიდევ ორ გამოცემას შემოუნახავს: 1712 წელს დაბეჭდილ „დავითნს“ („გამართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“) და 1713 წელს დაბეჭდილ „კურთხევანს“ („კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მესტამბის მიქელისათა“)<sup>10</sup>. მკვლევართაგან გამოწველილვით არის შესწავლილი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის საკითხები. ამ საკითხთა ირგვლივ შექმნილ დიდძალ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომლის სახელდებით ჩამოთვლას არ შეეუდგებოთ, სათანადოდ მოიხსენიება მიქელის სახელიც. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურა დღემდე მხოლოდ იმ ცნობებს ეყრდნობა, რომლებიც მიქელის მიერვე შეთხზულ ორ სტროფსა და მისივე მონაწილეობით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი სამი გამოცემის სატიტულო ფურცლებზეა წარმოდგენილი. მხოლოდ ქრ. შარაშიძემ მიუთითა 1712 წლის ერთ დოკუმენტზე. კერძოდ, ნაბახტევის მიწის ნასყიდობის წიგნზე, რომელიც „მესტანბეთ უმფროს მიქელს“ დაუწერია<sup>11</sup>. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ ნაბეჭდი წიგნების თავფურცლებისა და ანდერძების გარეშე, ესაა მიქელის შესახებ ერთადერთი ცნობა. ჩვენ დაეუმატებდით — ესაა მიქელის შესახებ ჯერჯერობით მიკვლეული ერთადერთი ცნობა. XVII—XVIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტა-

<sup>10</sup> იხ. ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—199.

<sup>11</sup> იმვე, გვ. 102. პატრივმულ მკვლევარს არც შიფრი აღუნიშნავს დოკუმენტისა და არც მისი ტექსტის ციტირება მოუხდენია. ცხადია, დოკუმენტის შინაარსი მკვლევართა ინტერესს უნდა იწვევდეს, ამიტომაც ეპარკებულაო შემთხვევით და დაინტერესებულ პირთა ცნობას მივყავდით ამ დოკუმენტის შესახებ. ესაა მიწის ნასყიდობის წიგნი, მიკვლეული ავთანდილ დიასამიძისაგან მღვიან ავთანდილისა და მისი შვილებისათვის, დოკუმენტი დატულია კ. კაქელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Hd—1944.

ცია მიქელის შესახებ მრავალ ჯერ კიდევ მიუკვლეველ და გაუშიფრავ ცნობას ინახავს.

ირკვევა, რომ ხელმწიფის კარის დეკანოზთა წრე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მუხრან-ბატონ ბაგრატივანთა უერთგულესი და დიდად განათლებული ფენა ქართული საზოგადოებისა.

მუხრან-ბატონ ბაგრატივანთა შტო, მიუხედავად მათი პოლიტიკის ცალკეული მცდარი მხარეებისა, არაერთი მარცხისა, რომელთა განმაპირობებელი გარე აგრესიასა და ვითარების სიმძიმესთან ერთად, შესაძლოა, ზოგჯერ მათივე შეცდომებიც იყო, მაინც გვევლინებიან ეროვნული პოლიტიკის ბურჯებად XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. სწორედ მათ გარშემო იკრიბებოდა ეროვნულ მოღვაწეთა დასიც, რომელიც ორსავე სფეროში — პოლიტიკურ სარბიელზე თუ მწერლობის ხაზით, ემსახურებოდა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, უტხოეთის აგრესიის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობის დიდ საქმეს.

ცნობილია, რომ ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება მუდამ ეროვნული იდეის აღზევებას ემყარება, რასაც, ჩვეულებრივ, საზოგადოების ყველაზე მოწინავე და განათლებული ფენა უდგას ხოლმე სათავეში ყველა ეპოქაში. მუხრან-ბატონ ბაგრატივანთა, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის, უდიდესი ზრუნვაიც ქვეყნის კულტურულ ძალთა შემოკრების, აღორძინებისა და ეროვნული იდეით შთაგონებისთვის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო და სწორედ ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების სამსახურს ისახავდა მიზნად. მიქელის მრავალრიცხოვანი და დიდად განათლებული ოჯახიც ამ საქმის სამსახურში მდგარა.

თავი მიქელი უერთგულესია ვახტანგისა. მის მიერ შეთხზულ ორა სტროფიდან ერთში იგი ამქლავნებს თავის პოლიტიკურ პოზიციას. „მისის მლოცვლი-სა“, — ნათქვამია აღნიშნულ სტროფში ვახტანგის მისამართით. ამ თქმით მიქელმა გაამხილა, რომ იგი ლოცულობს ვახტანგის საქმის წარმატებისა და მის მეფედ დაბრუნებისათვის ქართლში. მოვიგონოთ როდის იწერება ეს სტროფები, — როცა ვახტანგი სპარსეთშია გაწვეული, მისი ბედი ბურუსითაა მოცული და ქართლში საშინელი ანარქიის აზვავება იგრძნობა. ცნობილია, როგორ აღდგენენ შემდეგ რეაქციული წრეები ვახტანგის წინააღმდეგ, თვით უმაღლესი სასულიერო ფენებიც ნებით თუ უნებლიეთ ჩაბმული აღმოჩნდნენ ვახტანგის საწინააღმდეგო ქმედებაში. მაგრამ ვახტანგს ჰყავდა უერთგულესი ძალებიც როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებშიც და ეს ძალები შეადგენდნენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილს. ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახიც, მიქელის ოჯახურ-ნათესაური წრე, სასულიერო საზოგადოების იმ ფენის ნაწილი ყოფილა, რომელიც თავგამოდებით ერთგულობდა ვახტანგს.

ისტორიულ დოკუმენტთა ცნობების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ხელმწიფის კარის დეკანოზთა წრის გამოკვება საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე — XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან — ვიდრე XVIII საუკუნის ნახევრამდე. მიქელის ოჯახის წევრებს ამ მაღალ სასულიერო პოსტზე როსტომის მეფობის უკანასკნელი წლებიდან ვხვდებით. მიქელის წინაპარი ხელმწიფის კარის, საკუთრივ დედოფლის დეკანოზად მოჩანს 1651 წლიდან. კარის დეკანოზთა და მათ მემკვიდრეთა დიდად განათლებული ოჯახური წრის წევრია

თავისი დროის არაერთი ცნობილი მწიგნობარი. ირკვევა, რომ სწორედ კარის დეკანოზის შვილთა ოჯახის ერთი გვიანდელი წარმომადგენელთაგანია ავტორი ცნობილი მემუარული თხზულებისა, რომელიც ამავე დროს მეტად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს, — იესე ოსეშვილიც. ამ უკანასკნელის ნამდვილი გვარი დღემდე უცნობი დარჩენილა საქართველოს ისტორიისა თუ ქართული მწერლობის მკვლევართათვის და მხოლოდ კარის დეკანოზის შვილთა ისტორიული დოკუმენტაციის მასალათა შესწავლით ხდებოდა შესაძლებელი მისი გამოაშკარავებაც.

საკითხის კვლევას უაღრესად ართულებდა ერთი გარემოებაც. მართალია, მიქელის ტიტული — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი — თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ არც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცლის, არც სხვა რაიმე წყაროს ცნობით ნათელი არ ყოფილა, თუ სახელდობრ რომელი ტაძრის ან ხატის დეკანოზი ასრულებდნენ ხელმწიფის კარის დეკანოზთა დიდად პასუხსაგებ თანამდებობას.

ერთ-ერთი დოკუმენტის ცნობის საფუძველზე ო. კასრაძე აღნიშნავდა, რომ ვახტანგ მეექვსის სამეფო კარზე დეკანოზად ჩანს იესე გარსევანიშვილი და ვინაიდან მიქელი ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილია, მაშასადამე, იგი სწორედ ამ იესე გარსევანიშვილის ვაჟიშვილი უნდა იყოსო. თავისი თვალსაზრისის საბუთად ო. კასრაძეს მითითებული აქვს ვახტანგ მეექვსის წყალობის წიგნი კარის ოქონის ხატის დეკანოზის იესესა და მისი ძმისადმი<sup>12</sup>.

კარის დეკანოზთა საკითხის კვლევისას იესე გარსევანიშვილზე ყურადღების შეჩერება უთუოდ საინტერესოა. აშკარაა, რომ დროის ერთ გარკვეულ მცირე მონაკვეთში ეს პირი მართლაც ასრულებდა კარის დეკანოზის ფუნქციას, მაგრამ საკუთრივ მიქელ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მაშად მისი მიჩნევა სრულიად გამორიცხულია მრავალი ყოველად უეჭოდ მიზნის გამო. ქვემოთ წარმოვაჩინოთ მიქელ დეკანოზის შვილის მრავალ საბუთს. არც ერთ მათგანში იგი იესე გარსევანიშვილის შვილად არ იხსენიება. ამგვარ დაშვებას საეჭვოდ ხდის ის გარემოებაც, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვივარაუდოთ, თითქოს ასაკობრივი შეფარდება ამ ორ პირს შორის იმგვარი იყოს, რომ იესე მიქელს მაშად შეეფერებოდეს. პირიქით რომ აღმოჩნდეს, ე. ი. მიქელი იესეზე უფროსად წარმოჩნდეს დოკუმენტებში მათი მოხსენიების თარიღთა შეფარდების შემდეგ, მაშინ როგორღა უნდა ვერწმუნოთ ამ თვალსაზრისს?

ო. კასრაძე თვითვე აღნიშნავს, რომ მის ვარაუდს ექვის ქვეშ აყენებს და თითქოს აბათილებს კიდევ 1723 წელს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ იესე გარსევანიშვილისა და მისი ძმის გიორგისათვის მიცემული სიგელი. იესეს ძმა გიორგი ვახუშტი ბატონიშვილის გამზრდელი და საღვთო და საერო საგანთა მასწავლებელი ყოფილა. სიგელში სახელდებით ჩამოთვლილია იესესა და გიორგის შვილები (ნიკოლოზ, გრიგოლ, გარსევან, ანდრი), მაგრამ მათ შორის მიქელი არ იხსენიება. მაინც ო. კასრაძე ამ გარემოებას გადაამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი აზრით, მიქელის მოუხსენიებლობა ვახუშტი ბატონიშვილის სიგელში იმით უნდა აიხსნას, რომ მისი. შედგენის ეამს, შესაძლოა, მიქელი ცოცხალი აღარ იყოო. ამგვარი თავისუფალი დაშვებები ისტორიულ

<sup>12</sup> ო. კასრაძე, ვინ იყო ვახტანგ მეექვსის თანამეწიფე? „ლიტერატურული საქართველო“, 1980, № 3.



პირთა ვინაობის დადგენისას ძლიერ სახიფათოა და უმრავლეს შემთხვევაში შეცდომათა საფუძველიცაა.

სავსებით ბუნებრივია, რომ მიქელი არ იძებნება იესე გარსევანიშვილის სიგელში. იგი არც უნდა იძებნებოდეს იქ, რადგან არ ყოფილა იესეს შვილი; იესე გარსევანიშვილი არის ოქონის ხატის დეკანოზი, ხოლო მიქელის ტიტულაციაში ოქონის ხატის დეკანოზის შვილობა არც ერთხელ არ აღინიშნება. ისტორიული დოკუმენტაცია მიქელს წარმოგვიჩენს სწორედ იმ ტიტულით, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელს შემოუნახავს („ველმწიფის კარის დეკანოზის შვილი“).

ოქონის ხატის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს ვახტანგ მეექვსის სიგელი, რომელსაც ო. კასრაძე ეყრდნობა, და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები. იმ ხატით ოქონის დეკანოზი მიუძღვებოდა მეფის ლაშქარს ომისა და ნადირობის უამს. იესე გარსევანიშვილი მემკვიდრეობით მფლობელი ყოფილა ოქონის დეკანოზობისა. ვახტანგ მეექვსის სიგელის თანახმად, როცა ბაგრატ მეფეს რომანოზ კეისრის ქალი უთხოვია ცოლად — დედოფალი ელენე, ამ უკანასკნელს ბიზანტიიდან მზითვად მოჰყოლია ოქონის ხატები. ვახტანგ მეექვსის სიგელში გარკვევით აღნიშნულია, რომ სწორედ იესე გარსევანის შვილის სახლიკაცნი გამხდარან ხელმწიფის ჯვარისა და ოქონის ხატის მტკირთველნი („მუნითგანვე განკუთნილიყავით ხემწიფეთ ჯვარისა და ოქონის ხატის მტკირთველად, ლაშქრობისა და ნადირობისა წინამძღოლად“)<sup>13</sup>.

ოქონის ხატს განსაცდელი ხედობია წილად სვიმონ მეფის დროს: „ოდეს სულით გაბრწყინებული მეფე სვიმონ თფისკედს შებმულიყო დამარცხებულად მეფის ალექსანდრეს მიერ, შენი სახლის კაცი ჩამოეგდოთ, მოეკლათ და წინასასვენ ოქონის ხატი იქ დარჩომოდათ და იყო ეიდრე შანავაზ მეფემდე. აღძრა სურვილმან და სიყვარულმან სასწაულთ მოქმედ ოქონის ხატისამან და განელაშქრა თვით მძღაერსა და არა ოდეს ძლეულსა სახელოვანსა“. ვახტანგ მეხუთემ ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, „თუსის სამკვიდრო და ქართველთა საფიცარი და საესავი წინასასვენი ოქონის ხატი კვალად ეშოვნა, გარდმოესვენებინა, დიდის სურვილით და სასოებით თავის სახლში დაესვენებინა“. ამრიგად, სვიმონ დიდიდან ვახტანგ მეხუთემდე ოქონის ხატი ტყვე ყოფილა და მხოლოდ 70 წლის შემდეგ დაბრუნებია ქართლს. მაგრამ კვლავ განსაცდელი ელოდა ამ ხატს. შემდეგ იგი სამცხეს მოხვედრილა, როგორც წინდი („წინდი ვალი-სათვის მძევალი“ — საბა). საბოლოოდ გიორგი XI-ს დაუხსნია, როგორც ჩანს, 1708 წელს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „მეფემან წარგზავნა იერუსალიმს ორიათასი თუმანი საკსრად გოლგოთისა და ჯვარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი. კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელნი წინდად იყო სამცხეს და მესხმან მან მუნ მიუღო ყოველნი და მეფემან მას მიანიჭნა უზომონი ნიჭნი. ხოლო ვახტანგს რა მოეთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თთუესა იელისსა ლ განუწესა დღესასწაული“<sup>14</sup>.

ხელმწიფის კარის დეკანოზობა მტკიცედ გამოკვეთილი თანამდებობა იყო მაშინაც, როცა საკუთრივ ოქონის ხატი ტყვედ იმყოფებოდა ოდიშში თუ წინდად იყო სამცხეში. ოქონის ხატის ტყვეობის პერიოდში, ცხადია, ოქონის ხა-

<sup>13</sup> Sd—3018.

<sup>14</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 482—483.

ტის დეკანოზის ფუნქცია ქართლის სამეფო კართან თავისთავად გაუქმებული იყო. ხელმწიფის კარის დეკანოზები XVII—XVIII საუკუნეთა ქართულ ისტორიულ დოკუმენტაციაში წარმოჩენილი არიან ოქონის ხატისაგან სრულიად დამოუკიდებლად (მხოლოდ 1717 წლიდან ვხედავთ ხანმოკლე ვადით ხელმწიფის კარის დეკანოზად ოქონის ხატის დეკანოზს).

მიქელის ტიტულაციის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელი და მრავალი ისტორიული დოკუმენტი. არც ერთ ცნობაში არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ მიქელი ხელმწიფის კარის ოქონის ხატის დეკანოზისა და ჯვარის მტვირთველის შვილია. ცხადია, ეს წარჩინება მიქელის ოჯახის სატიტულო უწყებაში არც შედიოდა, თორემ უთუოდ პოვებდა ასახვას ისტორიულ დოკუმენტაციაშიც. მაინც მთავარი ისაა, რომ დოკუმენტთა ცნობებით უეჭვოდ ირკვევა მიქელის მამა-ბიძათა, ძმათა და ბიძაშვილთა ვინაობა; ირკვევა ისიც, თუ სახელდობრ რომელი ხატის დეკანოზებს პქონით სამკვდრო თანამდებობად ხელმწიფის კარის დეკანოზობა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ნახევრამდე.

აღნიშნული პერიოდის ისტორიულ დოკუმენტაციაში კარის დეკანოზები სამგვარად მოიხსენიებიან: დედოფლის კარის დეკანოზები, ხელმწიფის კარის დეკანოზები და კარის ღვთისმშობლის ხატის დეკანოზები. ესაა სამგვარი ფორმული წარმოჩენილი ერთი თანამდებობა. მაინც ძირითადად ისინი ხელმწიფის კარის დეკანოზებად იწოდებოდნენ. ისიც ირკვევა, რომ ხელმწიფის კარის დეკანოზები (მიქელის ოჯახი) სწორედ კარის ღვთისმშობლის ხატის (სიონის) დეკანოზები ყოფილან. მოგვიანებით ზოგიერთი მათგანი საბუთებში უშუალოდ სიონის დეკანოზადაც იწოდება. ზოგჯერაც ისინი „დედოფლის საყდრის კარის ღვთისმშობლის დეკანოზებად“ მოიხსენიებიან. მაგალითად, ამგვარად იწოდება ერთ საბუთში იოკიმე, მიქელის პაპა, რომელიც თავის დროზე სწორედ კარის დეკანონი ყოფილა („მე დედოფლის საყდრის კარის მღთისმშობლის დეკანონის იოკიმეს შვილის თეოდოტეს შვილს მღვდელს მიხაილს დამიწერია“...<sup>15</sup>).

კარის დეკანოზები, როგორც მეფისა და დედოფლის პირადი მოძღვარნი და დიდად განსწავლული პირნი, ცხადია, დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ უმაღლეს სასულიერო წრეებში. უფლებბრივად ისინი საქმაოდ დამოუკიდებელნი ყოფილან. კარის დეკანოზები ტფილელს არ ემორჩილებოდნენ. ტფილელის სამწყსო იყო მთელი თბილისქალაქი მეფისა და დედოფლის სახლის, ე. ი. სამეფო კარის, გარდა. ეს კარგად ჩანს დომენტი კათალიკოსის მიერ ტფილელ მიტროპოლიტ პავლესათვის 1710 წელს მიცემული სამწყსოს გარიგების ერთი წიგნიდანაც; „ქ. ჩვენ ეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოს დიდმან მამათმთავარმან და მკურთხეულმან მეფეთა შარავანდედმან კუხ პატრიარქმან ბატონის შვილმან პატრონმან დომენტიმ ესე წიგნი მოგეცით თქვენ ტფილელ მიტროპოლიტს ბატონს პავლეს ესე რომე დაველაპარაკეთ და ფელთაგანაც ყოფილიყო და წიგნიც გავისინჯეთ ქალაქის სამწყსო მეფისა და დედოფლის სახლის გარდა ქალაქი თქვენი სამწყსო ყოფილიყო“...<sup>16</sup>.

ვისაც ისტორიულ პირთა გენეალოგიური შტოების სქემათა შედგენაზე უმუშავნია, მისთვის სრულიად აშკარაა, რომ ბევრ შემთხვევაში ძიება ქვემო-დან ზემოთ, ე. ი. შტოს ფუძემდებლებიდან უკანასკნელ მემკვიდრეებამდე,

<sup>15</sup> სცხა, ფ. 1448, საბ. № 3905.  
<sup>16</sup> Ad—319.

სრულიად გამორიცხულია, რადგან ძიების დასაწყისში არავითარი ცნობა არა გვაქვს, თუ ვინ იყო დამამკვიდრებელი და პირველი წარმომადგენელი ამა თუ იმ შტოსი; მით უფრო, როცა სამიხბული პირის გვარიც კი უცნობია. ასეთ შემთხვევაში ძიება ზემოდან ქვემოთ, ცნობილი პირიდან უცნობა წინაპრებისაკენ უნდა წარმართოთ. სწორედ ამ მიზეზის გამო მიქელიც ჯერ თავისავე თანამედროვეთა შორის უნდა წარმოვაჩინოთ, სანიშნო ტიტულების მიხედვით ვამოკვეთოთ მისი ოჯახის წევრები და შემდეგ ქვემოთ ჩავყვეთ წინაპართა ხაზს. ამიტომაც მიქელის მოძიებას ვიწყებთ იმ დოკუმენტებში, რომლებიც თარიღობრივად ახლოს დგანან „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემასთან.

სწორედ 1712 წელს მიქელს დაუწერია ერთი ნასყიდობის წიგნი. წიგნის დასასრულს მიქელი თავისთავს მოიხსენიებს იმ ტიტულით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელზეა წარმოჩენილი: „მე ქელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს დამიწერია, ქკს. უ.“<sup>17</sup>

1713 წელს მიქელს შეუდგენია დომენტი კათალიკოსის წყალობის წიგნიც მღვდელ გურიელ მახარებლისადმი. ჩვენამდე მოღწეულა თვით მიქელის შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით შესრულებული დედანი, რომლის დასასრულს ვკითხულობთ: „... დაიწერა კელითა ქელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა ქკს უ“. დოკუმენტი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, ამიტომაც ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მასზე.

ის ფაქტი, რომ მიქელი გვევლინება ვახტანგ მეექვსის ძმის დომენტი კათალიკოსის საბუთის დამწერად 1713 წელს, როცა თვით ვახტანგი უკვე აღარ იმყოფება საქართველოში, საკვებით ნათლად წარმოაჩენს, რომ მიქელი ახლომდგომი პირია უმაღლეს სასულიერო წრეებთან და სამეფო ოჯახის წევრებთანაც. როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმე არ იყო ერთადერთი და, მით უფრო, შემთხვევით დამაკავშირებელი ფაქტორი მიქელისა უმაღლეს წრეებთან.

თვით წიგნი კათალიკოსისა, რომელიც მიქელს დაუწერია, ქვეყნის მეტად საჭირობოროტო, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს შეეხება. უკვე აღენიშნეთ, რა დიდი ანარქია აღიძრა ქვეყანაში ვახტანგ მეექვსის სპარსეთში გაწვევის შემდეგ. რეაქციულ ძალთა მძლავრობამ, რომელსაც ზურგს უკან, როგორც წესია, უცხოეთის აგრესია ედგა, მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა ვახტანგის მიერ განხორციელებულ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებს. ლაკონური და ღრმად გააზრებული შეფასება ვახტანგის ეროვნული ღონისძიებებისა წარმოდგენილია ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში. ვახუშტის ცნობით, ვახტანგს „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდენ კახნი, მოილო მბეჭდველობა ვლახეთიდან და განამრავლნა წიგნნი სამღვთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამღვდელთადა წერილთა იკითხვიდიან, განაწყუნა სპანი როჭითა მცველად თვსად. დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვს ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაილო რუნი და აღაშენნა მრავალნი დაბნები“<sup>18</sup>

უცხოეთის აგრესიასთან შეთანხმებულმა მოლაღატურმა წრეებმა, რომელთაც ხელს არ აძლევდათ ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, იწყეს დასმენა ვახტანგისა ყაენის წინაშე, რათა არ დაეშვათ იგი ქართლის

<sup>17</sup> სესა, ფ. 1450, დავთ. 18, სპ. № 54.

<sup>18</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 462.



სამეფო ტახტზე სპარსეთის ომში დაღუპული ქაიხოსროს ნაცვლად. მათ იერი-  
ში სწორედ ვახტანგის მიერ განხორციელებულ ეროვნულ ღონისძიებებზე  
მიიტანეს და ეს ღონისძიებები გამოიყენეს ვახტანგის სამხილადაც ყაენის წი-  
ნაზე. იწყეს რა „ქუთუამბედელობად ვახტანგისა“, აღადგინეს ტფილისის სპარ-  
სული გარნიზონი ციხისა, „რომელი იყო თოფჩიბაში“, „შეასმენდნენ ყეენის  
წინაშე ვახტანგს“, ბრალად სდებდნენ მას „უჭეროთა“ საქმეთა მაჰმადიანთა ზე-  
და. ყველაზე საოცარი და სავალალო ის იყო, რომ ამ შიდა ლალატს ვახტანგის  
მიმართ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ნებამოწმობა სცეს კათალიკოსმან,  
ეპისკოპოსთა და სამღვდელთამან“. იყო ეს უმაღლეს სამღვდელთაგან გააზ-  
რებული ლალატი ვახტანგის მიმართ, თუ მტრის მიერ შექმნილი ანარქიის ერთი  
ბრმა, მაგრამ ტრაგიკული შედეგი, დღეს ძნელია თქმა. ასეა თუ ისე, თვით  
კათალიკოსი დომენტი, ძმა ვახტანგისა, როცა 1713 წელს ზემოთ აღნიშნულ  
სიგელს აძლევს მღვდელ გურიულ მახარებელს, ვახტანგის მიერ განხორციელებ-  
ულ ეროვნულ ღონისძიებათა დამცველად გვევლინება.

უდიდესი უბედურება, რომელიც ამ პერიოდში თავს დაატყდა ქვეყანას.  
ის იყო, რომ კვლავ გამოცოცხლდა ვახტანგის მიერ უსასტიკესად აკრძალული  
ბოროტქმედება — ტყვის ყიდვა. დომენტი კათალიკოსი ვახტანგის პოზიციიდან  
უდიდესი სიმკაცრით ებრძვის ქვეყნის დამღუპველ ამ უბედურებას. სწორედ  
ამ ფაქტს შეეხება 1713 წელს მის მიერ გაცემული სიგელიც. ამავე დროს დო-  
კუმენტის ენობრივი მხარე, ტონაცია, უთუოდ აელენს წიგნის შემდგენელ-  
დამწერის მიქელის პოზიციასაც („...მაღალაშვილმან იასემ დიად ავი საქმე ქნა  
და ტყვეები დაყიდა. ვეცადენით და ვერას საქსრით და ფასით ტყვეები ვერ  
დავაქსნენვინეთ და სრულიად თავის სახლს სამყოფთაგან და მიწა ნატამალთაგან  
და ყოვლის მისის საცხოვრებლისაგან კვებულ ვყავით, ვითაც ჯერ იყო. ერთსა  
ეგეთსა ძვირისა მოქმედსა ზედა უნამეტნავესად წეს იყო რასაც ოდენ გავსყარო-  
მოდიოთ ანუ თვალთაგან ანუ წელთაგან ანუ ფერკთაგან ანუ ერთი ასოთა მის-  
თაგანი მოგვეკეთა, კნინდა და ვიდრე სიკვდილ მიწვევულ გვექმნა...“<sup>19</sup>).

მიქელი მოიხსენიება 1715—1716 წლების საბუთებშიც თავისსავე ძმებ-  
თან ერთად, მაგრამ იმ საბუთებს მიქელის ძმათა ვინაობის გამოკვეთის შემდეგ  
წარმოვაჩინო.

უკანასკნელად მიქელის სახელს ვპოულობთ დოკუმენტში, რომლის თა-  
რილად 1722—1723 წლებია მიჩნეული. ამის შემდეგ მისი სახელი ქრება წყარო-  
ებში. მიქელის სახელის უკანასკნელ მოხსენიებასა და შემდეგ მოულოდნელ  
გაქრობას ისტორიულ დოკუმენტაციაში კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი  
ძიების ხაზს მივმართავთ ქვემოთ და წარმოვაჩინო მიქელს XVIII საუკუნის  
დასაწყისისა და XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ისტორიულ საბუ-  
თებში. ჯერ შევეხებით იმ საბუთებს, რომლებსაც მიქელის სახელი შემოუნა-  
ხავს ოჯახის წევრების გარეშე, შემდეგ კი შევეცდებით მიქელი წარმოვაჩინოთ  
თავისი მრავალრიცხოვანი და დიდად განათლებული ოჯახის წევრებთან ერთად.

1706 წელს მიქელს დაუწერია ჯავახიშვილების ნასყიდობის წიგნი („...ხე-  
ლითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“<sup>20</sup>), 1701 წელს მასვე  
შეუდგენია შეწირულების წიგნიც მალაღაძისა<sup>21</sup>.

<sup>19</sup> Ad—1733.

<sup>20</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. № 9.

<sup>21</sup> სცსა, ფ. 1449, საბ. № 1877.

ჩვენამდე მოღწეულა დედანი 1697 წელს ერეკლე პირველის მიერ ურბნელ ეპისკოპოს იოსებ ჯავახიშვილისათვის ბოძებული წყალობის სიგელისა. სიგელის დასასრულს ვკითხულობთ: „... დაიწერა ბრძანება და ფარვანი ესე ქქსა ტპე კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისითა“<sup>22</sup>.

ამავე 1697 წელს მიქელს დაუწერია ნასყიდობის წიგნიც ფარსადან ფანსკერტელი ციციშვილისა, მიცემული კათალიკოს იოანე დიასამიძისათვის. წიგნის დასასრულს, ჩვეულებისამებრ, აღნიშნულია: „... დაიწერა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. ქქს ტპე“<sup>23</sup>.

1681 წელს მიქელს ნუსხურად გადაუწერია „დაუჯდომელი“<sup>24</sup>. ხელნაწერს შემოუნახავს თვით მიქელის ანდერძიც. მართალია, ანდერძში მიქელი ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილად არ იხსენიება, მაგრამ როცა ჩვენთვის ცნობილია დაახლოებით ამავე პერიოდში მოღვაწე ყველა მიქელის ქრონოლოგია, სრულიად უეჭვეო ხდება, რომ 1681 წელს მწიგნობრულ ასპარეზზე წარმოჩენილი მხოლოდ მიქელ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილია. ამავე სახელის მქონე სხვა პირნი დოკუმენტებში რამდენადმე გვიან, XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოჩანან. ანდერძი H—98 ხელნაწერისა გვამცნობს, რომ ხელნაწერი მიქელს კათალიკოს ამილახორის შვილის დაკვეთით გადაუწერია. ამავე კათალიკოსის დაკვეთით 1681 წელსვე მიქელს თავის ერთ-ერთ ძმასთან ერთად გადაუწერია გულანიც<sup>25</sup>, უფრო ადრე მიქელის სახელს ვერ ვპოულობთ ისტორიულ დოკუმენტაციასა თუ ხელნაწერებში. ამრიგად, მწიგნობრულ ასპარეზზე, და საერთოდ წყაროებში, ჩვენთვის ცნობილ მასალათა მიხედვით, მიქელი პირველად 1681 წელს წარმოჩნდება, როგორც გადამწერი. აი, მიქელის 1681 წლის მოხსენიებაც, რომელიც მისავე ანდერძს წარმოადგენს. „დაიწერა წნი ესე თვენი სეკდნებერი და ოკდონბერი ვიდრე ნოენბრის იე-მდე ბრძანებითა პატრონის ამილახორის შვილის კათოლიკოსის ნიკოლოზისათა, ქქსა ტპთ, მარტსა იდ, კელითა კელმწიფის დეკანოზის შვილის მიქელისითა“.

ამავე ხელნაწერს შემოუნახავს მიქელის ძმის აბელის ანდერძიც, რომელსაც ტექსტის გარკვეული ნაწილი გადაუწერია: „დაიწერა წმინდა წმიდა(?) ესე თვე დეკენბერი ბრძანებითა ამილახორის შვილის პატრონის კათოლიკოსის ნიკოლოზისითა, ქორანიკონს ტპთ, კელითა ფრიად ცოდვილისა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილისა აბელისითა“.

ისტორიული დოკუმენტაცია წარმოაჩენს ექვს ძმას საკუთრივ მიქელის ოჯახიდან. ასაკობრივად მიქელი ძმათა შორის მესამე ყოფილა. აი, მათი სახელდებითი საი: ნიკოლოზ, აბელ, მიქელ, გაბრიელ, დიმიტრი, იოსებ. გაუყრელ ძმათა საგვარეულო საბუთებში ადრე გარდაცვლილი რომელიმე ძმის ნაცვლად, ჩვეულებრივ, მის უფროს ვაჟიშვილს წარმოაჩენდნენ. რომელიც მამის ნაცვლად ხდებოდა მოწილე საერთო მფლობელობისა. მიქელის ერთ-ერთი ძმა, აბელი, ადრე გარდაცვლილა, ამიტომაც მის ნაცვლად საგვარეულო საბუთებში მისი უფროსი ვაჟიშვილი მელქისედეკი მოიხსენიება. ეს უკანასკნელი აბელის ნაცვლად მიუღია მიქელის ოჯახს და შვილივით შეუთვისებია.

<sup>22</sup> სცსა, ფ. 1448, საბ. № 1845 (იხ. ავრთვე პირი—Ad—1502).

<sup>23</sup> სცსა, ფ. 1449, საბ. № 1190.

<sup>24</sup> H—98.

<sup>25</sup> A — 30.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილებად ისტორიულ დოკუმენტაციაში მხოლოდ და მხოლოდ მიქელი და მისი ძმები იწოდებიან, მაგრამ მამა-ბიძათა მსგავსად ეს ტიტული მიუღია აბელის შვილ მელქისედექსაც.

თვით მიქელს გარდა მწიგნობრულ ასპარეზზე წარმოჩენილი და დამსახურებულნი არიან მისი ძმები: აბელი, გაბრიელი, დიმიტრი, აგრეთვე ძმისწული მელქისედეკი.

შესაძლებელი გახდა მიქელის მამის — ხელმწიფის კარის დეკანოზის მოციებაც ისტორიულ დოკუმენტაციაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია 1696 წლის ერთი სააღაპო წიგნის ცნობა. წიგნის დასასრულს ვკითხულობთ: „... მე დედოფლის კარის დეკანოზის პეტრეს შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი“<sup>26</sup>. როგორც ვხედავთ, დოკუმენტში სახელდება მოხსენიებულია მიქელის მამა. მიქელის მამის, პეტრე დეკანოზის შესახებ უფრო აღრეული ცნობაც იძებნება, მაგრამ მითითებული საბუთი უწინარეს იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ესაა მიქელის თვითმოწმობა თავისი მამის სახელის შესახებ. უფრო აღრე, 1682 წელს მაზიტაშვილები მიწის ნასყიდობის წიგნს აძლევენ კარის დეკანოზს პეტრესა და მის შვილებს ნიკოლოზს, აბელს, მიქელს, გაბრიელს და დემეტრეს<sup>27</sup>.

მიქელი და მისი ძმები, აგრეთვე მათი შვილები, საბუთებში ზოგჯერ მარტივად პეტრეშვილებად იწოდებიან. ეს მათი ქვეშტოს აღმნიშვნელი წოდებაა პეტრეს სხვა ძმათა შემკვიდრებისაგან განმასხვავებელი. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა და XVII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ დოკუმენტაციაში იძებნება მიქელის ძმათა — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა (ან — მარტივად პეტრეშვილთა) მოხსენიების მრავალი შემთხვევა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიქელი თავისავე ძმებთან ერთად ისენიება 1715—1716 წლების დოკუმენტებშიც. აი, ცნობებიც შესაბამისი დოკუმენტებიდან: 1716 წელს როსაფიშვილები ნასყიდობის წიგნს აძლევენ „პეტრეშვილებს მიქელსა, ესაიას, მელქისედექს და იოსებს, შვილებს ნიკოლოზს და მომავალთა სახლისა“ მათისასა<sup>28</sup>. 1716 წელსვე მუჩიძე ზურაბ ნასყიდობის წიგნს აძლევს „მიქელს, ესაიას და მელქისედექს და ნიკოლოზს“<sup>29</sup>.

1715 წელს ნამორაძეებს მიუციათ ნასყიდობის წიგნი პეტრეს შვილ მიქელის, გაბრიელის, დიმიტრისა და მელქისედექსათვის<sup>30</sup>. ამავე პირთ 1712 წელს ნასყიდობის წიგნს აძლევს გიორგი მუჩათიძე<sup>31</sup>.

1704 წელს ალიყულიბეგ და ზაზა ავალიშვილებს მიუციათ ნასყიდობის წიგნი ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილების — მიქელის, გაბრიელის, დემეტრეს, იოსებისა და მელქისედექსათვის<sup>32</sup>.

1703 წელს მიქელისა და გაბრიელის სახელზე გაცემულია ორი ნასყიდობის წიგნი — ყაყასი და შიო მოლოზონიძისა<sup>33</sup>.

<sup>26</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ზერცინეშვილის რედაქციით, თბ., 1940, № 138.

<sup>27</sup> Ad—9602 (იხ. აგრეთვე: სცსა, ფ. 1449, საბ. № 425).

<sup>28</sup> Qd—6908.

<sup>29</sup> სცსა, ფ. 1448, საბ. № 9434.

<sup>30</sup> Qd—6896.

<sup>31</sup> Hd—842.

<sup>32</sup> Qd—9604.

<sup>33</sup> Qd—6892.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ უთარილო დოკუმენტში, კერძოდ, ავალიშვილების ნასყიდობის წიგნშიც, აღნიშნულია: „თქვენ პეტრეს შვილებს მიქელს, გაბრიელს, დიმიტრის, იოსებს და მელქისედეს“<sup>34</sup>.

1691 წელს წინამძღვრისშვილი ყაყა და მისი ვაჟი ათანასე ნასყიდობის წიგნს აძლევენ თავიანთ ბიძაშვილებს — „კემწიფის კარის დეკანოზის შვილს“ აბელს, მიქელს, გაბრიელს და შვილთა და მომავალთა სახლისა მათისასა<sup>35</sup>.

იგივე პირნი იმავე წელს სხვა ნასყიდობის წიგნს აძლევენ აბელს, მიქელს, გაბრიელს და დემეტრეს<sup>36</sup>. ეს საბუთი აღსანიშნავია იმიტომაც, რომ აქ პეტრეს შვილთა ბიძაშვილად იწოდება საბუთის დამწერი იესე („მე თქვენსავე ბიძაშვილს იესეს დამწერია და მოწამეცა ვარ“). სწორედ ეს იესე გვევლინება პეტრეს შემდეგ დეკანოზად.

მიქელის ძმა აბელი 1690 წელს წერს ციციშვილების ნასყიდობის წიგნს<sup>37</sup>. 1686 წელს მასვე დაუწერია სულიმან ბატონიშვილის წყალობის წიგნიც სახლობუცეს რევაზ და სხვა მალაქეთადმი („დაიწერა წიგნი ესე ქს ტოდ კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის აბელისათა“<sup>38</sup>). 1678 წელს აბელს დაუწერია გიორგი XI-ის წყალობის წიგნი მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი: „... მოგძღვანეთ უნდო და მცირე ესე ძღვენი და შესაწირავი მანგლისისა ღთის-მშობელსა და ძელს ცხოველს მყოფელსა. ვიგულეთ და ეიგულს მოდგინეთ, გაადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ ყოველად დიდებულსა და ზესთა აღმატებულსა ტაძარსა და საყოფელსა თქუქმნსა მანგლისის ღთის მშობელსა და ძელსა ცხოველს მყოფელსა სოფელი მეთრეკანა თრიალეთზე... აღიწერა კელითა ფ-დ ცოდვილისა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის აბელისათა“<sup>39</sup>.

იმავე 1678 წელს მასვე შეუდგენია გიორგი XI-ის მეორე სიგელიც — შეწირულების წიგნი ჯვარის მონასტრისათვის<sup>40</sup>.

ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი, რომელიც მიქელის ძმის აბელის სახელს მოიხსენიებს, 1688 წელს შედგენილი შულავერელი ჯანშიარასშვილის ნასყიდობის წიგნია<sup>41</sup>. თარიღიან დოკუმენტებში უფრო ადრე აბელის სახელს ვერ ვპოულობთ, მაგრამ ხელმწიფის კარის დეკანოზ პეტრესა და მის შვილებს — ნიკოლოზს, აბელს, მიქელსა და გაბრიელს მოიხსენიებს ერთი უთარილო დოკუმენტიც — მუჩაიძეების ნასყიდობის წიგნი (Hd—785). ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტთა კატალოგის წიგნში საბუთი XVIII საუკუნით არის დათარიღებული, სინამდვილეში კი მის თარიღად XVII საუკუნის მეორე ნახევარი უნდა აღინიშნოს; წიგნი გაცემულია თვით პეტრე დეკანოზის სახელზე; ეს უკანასკნელი კი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როგორც ქვემოთ წარმოვაჩინო, ცოცხალი აღარ არის.

1673 წელს ვახტანგ V-ს წყალობის სიგელი მიუცია კარის დეკანოზ პეტრესა და მისი შვილების — ნიკოლოზისა და აბელისათვის. უმცროსი ვაჟები

<sup>34</sup> Hd — 839.

<sup>35</sup> Qd — 9672.

<sup>36</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. № 131.

<sup>37</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>39</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, ტფილისი, 1913, გვ. 54—63.

<sup>40</sup> სცსა, ფ. 1449, საბ. № 544.

<sup>41</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. 21, საბ. № 41.

პეტრე დეკანოზისა, მათ შორის აბელის მომდევნო მიქელიც, საბუთში არ მოიხსენიებიან. ცხადია, ისინი ან ჭერ კიდევ არ არიან დაბადებულნი, ან ძალზე მცირეწლოვანნი არიან. ამდენად, ეს წიგნი მნიშვნელოვანია მიქელის დაბადების თარიღის განსაზღვრისთვისაც.

ვახტანგ V-ის წყალობის სიგელში აღნიშნულია, რომ პეტრე დეკანოზის ოჯახი ხელმწიფის წინაშე ერთგულად ნამსახურია. სიგელს ამტკიცებს მარიამ დედოფალიც. ჩვენამდე მოღწეულა დედანი დოკუმენტისა, მცირედ დაზიანებული სახით. აი, ნაწყვეტიც ამ დოკუმენტიდან: „ქ. ნებითა და შეწვევითა ღთისათა ესე უკუნისამდე [გასათა]ვებელი წყალობის წიგნი შევიწყალეთ და [გიბოძეთ] ჩვენ მიეთუ მეფემან პატრონმან შაჰნავაზს [თქვენ ჩვენს კარის დეკანოზ მღვდელს პეტრეს და შვილსა შენსა ნიკოლოზს, აბელს და ყოველთავე... მოხვედით და გვიაჭენით და ვისმინეთ მოხსენება თქვენი: ვითაც ჩვენი ერთგულნი ნამსახურნი იყვენით... წყალობა გიყავით... რომელიც ჩვენად სახსოდ მოგვეხსენა ისიც წყალობა გიყავით ბრეთის ქიქნაძის მიწამდი და ფრონემდი. ამ წესით გიბოძეთ. ეს ჩვენგან წყალობა არაოდეს მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთა]გან. ამისად გასათაგებლად მომიცემია ღთისი და ყოველნი წმიდანი ღთისანი... ქკსა ტნიე შაჰნავაზს“. გვერდის არშიაზე ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ დედოფალმა პატრონმა მარიამ ამავე წესითა წყალობა გიყავით თქვენ ჩვენს კარის დეკანოზს მღვდელს პეტრესა და შვილსა თქვენთა. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან. დიწერა ნიშანი ზძანება ესე ქკსა ტნიე, კელითა მდივან მწიგნობრის ზაქარიისათა. მარიამ“<sup>42</sup>.

მიქელის მამას პეტრე დეკანოზს რამდენიმე ძმა ჰყოლია. საბუთებში იძებნება ექვსი ძმა — მამა-ბიძანი მიქელისა: მოსე, საბა, დავით, პეტრე, ზაქარია და მხატვარი.

ხელმწიფის კარის დეკანოზად პეტრეზე ადრე მისი უფროსი ძმა დავითი მოჩანს. მიქელის მამას პეტრეს ეს თანამდებობა მემკვიდრეობით მიუღია უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ. ხოლო თვით პეტრეს გარდაცვალების შემდეგ დეკანოზობა კვლავ უფროსი ძმის დავითის მემკვიდრეზე გადასულა. ამრიგად, ხელმწიფის კარის დეკანოზთა დიდი ოჯახი ორი ქვეშტოს სახით წარმოჩინდება ისტორიულ დოკუმენტაციაში: დავითის შტო და პეტრეს შტო (პეტრე-შვილები). მაგრამ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა მყარი ტიტულით ისტორიულ დოკუმენტებში მხოლოდ პეტრეს შვილები იწოდებოდნენ; ალბათ იმიტომ, რომ დავით დეკანოზის მემკვიდრე იესე თვით იყო პეტრეს შემდეგ დეკანოზი, დეკანოზად იწოდებოდა საბუთებშიც და, ცხადია, ტიტული „დეკანოზის შვილი“ მას აღარ სჭირდებოდა.

ორივე ქვეშტოს წარმომადგენლებს ვხედავთ ქართული მწიგნობრობის ასპარეზზე და ქართული სტამბის პირველმოღვაწეთა შორისაც. ბუნებრივია, ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი გენეალოგიური შტოს შემადგენლობის წარმოჩენაც (იხ. სქემა).

მიქელის მამა-ბიძათა ყველაზე ადრინდელი ჩვენამდე მოღწეული საბუთი 1651 წლით თარიღდება. ამ პერიოდში ქართლში მეფე ჭერ კიდევ როსტომია. საბუთი ვაცემულია მარიამ დედოფლის მიერ, შემდგომ კი მიქელის ოჯახის წევრებს მრავალგზის წყალობდნენ ვახტანგ V, გიორგი XI და ვახტანგ VI.



მარიამ დედოფლის სიგელიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი ბიძა მიქელისა. ძმა პეტრე დეკანოზისა, მხატვარი ყოფილა. მისი სახელი, სამწუხაროდ, დოკუმენტში აღნიშნული არ არის, იგი თავისი პროფესიული წოდებით იხსენიება. მარიამ დედოფალი მიქელის მამა-ბიძათა ოჯახს მთელი ზემო ქართლის მებალახეობას სწყალობს. „დოკუმენტი მცირედ თვენაკლულია. აი, ეს მნიშვნელოვანი საბუთიც მთლიანად: „[...] დედოფალმა პატრონმა მარიამ ესე საბოლოო გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალებ და გიბოძებ თქვენ ჩვენისა კარის დეკანოზს და ვითოს, ძმისა შენსა პეტრეს, ზაქარიას და მხატვარს. ასრე და ამა პირსა ზედა შენის მამულის ამბრაიულის ბაგა იშხნელის ძმებსა ჩვენგან წყალობად მისცემოდათ. იმაზედ შეიცილებით და სრულა ერთობილთ არადელთაც დაიფიცეს რომე თქვენის მამულის ამბრაიულის იყო. რადგან ჩვენგან მისცემოდა ის ბაგა იმათ აღარ გამოვართვით და იმისად სანაცვლოდ და საბუქოდ შეგიწყალებ და რაც ზემო ქართლს გაღმა გამოღმა სადედოფლო არს სამუდამოდ ყოველს წელიწადს მებალახობა თქვენთვის სამკვიდროდ გვიბოძებია. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთა კელმწიფეთათგან. ყოველმა ჩვენის ბრძანების მორჩილმა კარგად ასაქმეთ და ცხურისა და ღორის საბალახეს კარგად აღებინებდით, დაიწერა ბუბა ესე ქქსა ტლთ და არის ამისი მოწამე და გარდამწყვეტელნი ბატონი ტფილელი, ბატონი მროველი, ჩვენი კარის მდივანი მარტიროზიშვილი შალვა. მარიამ“<sup>43</sup>.

თარიღობრივად შემდეგი დოკუმენტი, რომელსაც მიქელის მამა-ბიძათა სახელი შემოუნახავს, 1667 წელს ფავლენიშვილების მიერ გაცემული ნასყიდობის წიგნია („... ბატონის დედოფლის დეკანოზს და ვითოს, პეტრეს და ზაქარიას“<sup>44</sup>). ამ წიგნში აღარ იხსენიება მეოთხე ძმა მხატვარი; როგორც ჩანს, იგი 1667 წლისთვის ცოცხალი აღარაა.

პეტრეს ძმები წინამძღვარი და საბა აგრეთვე ადრე გარდაცვლილან. პეტრეს შვილებს, მიქელისა და მისი ძმების, საბუთებში, როგორც მათი ბიძა-შვილი, მრავალგზის მოიხსენიება წინამძღვრის შვილი ყაყა. ისიც ირკვევა, რომ წინამძღვრის შვილის ყაყას მამა მოსე ყოფილა. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია მოსეს გვარიც და, ცხადია, მისი გვარი იგივეა, რაც მიქელის მამისა (მიქელის გვარის საკითხს ქვემოთ წარმოვაჩენთ).

პეტრეს შვილებს — აბელსა და მის ძმებს და წინამძღვრის შვილ ყაყას, ე. ი. ბიძაშვილებს, მამულის სარჩელი ჰქონიათ. აბელი ჩივის, რომ ამბრაიულის „ნახევარი წილში მე მერგო და ნახევარი წინამძღვრი შვილებს და ზაქარიას ერგო“<sup>45</sup> (მარიამ დედოფლის ზემოთ მოყვანილი სიგელიდანაც აშკარაა, რომ ამბრაიულის მამული მიქელის მამა-ბიძათა საკუთრებაა). მოსე წინამძღვარი საბუთის შედგენის ქამს გარდაცვლილია. იგი ბიძა ყოფილა აბელისა (ე. ი. პეტრეს შვილებისა). „აბელ კიდევ იჩივლა ბიძაჩემმა მოსემ თავისი წილი უტიურის მიწა მოგეყიდაო. მიწა წინამძღვრის შვილებს უჭირავს და ფასი მოსესო“ (ე. ი. ივულისხმება ფასი მიეცა მოსეს, მაგრამ მიწა კვლავ მოსე წინამძღვრის შვილებს უჭირავთ). მთავარი ისაა, რომ მოსე წინამძღვრის შვილები საბუთის მიხედვით ბიძაშვილებია პეტრეს შვილებისა.

1667 წლის საბუთში, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ (Qd—9611), კარის დეკანოზად ჯერ კიდევ დავითი ჩანს, ხოლო 1673 წელს ვახტანგ V-ის მიერ გა-

<sup>43</sup> Hd — 14688.

<sup>44</sup> Qd — 9611; იხ. პირი: Qd—4142; სცსა, ფ. 1449, სპ. № 428.

<sup>45</sup> სცსა, ფ. 1449, სპ. № 424.



ეროვნული  
საბიბლიოთეკო

ცემულ სიგელში კარის დეკანოზად უკვე პეტრე იხსენიება. სრულიად მიქელის მამას პეტრეს კარის დეკანოზობა 1667—1673 წლებს შუა უნდა მიეღო.

პეტრე დეკანოზი საბუთებში 1682 წლამდე იძებნება. სწორედ ამ წელს პეტრე დეკანოზისა და მისი შვილების სახელზე გაცემულია მაზიტაშვილების წასყიდობის წიგნი, რის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ. ესაა პეტრე დეკანოზის უკანასკნელი მოხსენიება დოკუმენტებში. 1684 წელს დეკანოზად უკვე სხვა პირი, კერძოდ, პეტრეს ძმისწული, დავითის ვაჟი იესე გვევლინება. აშკარაა. მიქელის მამის, პეტრე დეკანოზის გარდაცვალების თარიღი 1682—1684 წლებს შუა უნდა ვეძიოთ.

პეტრე დეკანოზი საბუთებში პირადად ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) დეკანოზადაც იწოდებოდა. ეს ნათლად ჩანს პეტრეს ერთ-ერთი ვაჟის, დიმიტრის თვითმოხსენიებიდან: „...სრულ იქნა... ქართველის ბატონის შანაოზ[ის] დეკანოზის შეილის სწლით დიმიტრისითა“<sup>46</sup>.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

<sup>46</sup> S — 2626. დასასრული შემდეგ ნომერში



პაპაი ზაფიროლია

### ავგუსტინე და საპარტოველო\*

#### III. ავგუსტინეს ლანდი პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში

ავგუსტინეს არაუშუალო როლი პეტრე იბერიის ბიოგრაფიაში პირველად შეუქდება. ქართულ ფილოლოგიაში ეს საკითხი საერთოდ არც დასმულა. ქვემოთ იქნება მოყვანილი ფაქტები, რომლებიც, ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს ქართველ მკითხველში, რამდენადაც იგი ეხება V ს-ის გამოჩენილ ქართველი მოღვაწის ცხოვრების არცთუ უმნიშვნელო ეპიზოდს.

პეტრე იბერიელის „ცხოვრების“ ქართულ ვერსიაში, რომელიც სირიულიდანაა ქართულად თარგმნილ-გადმოკეთებული, ქართლის უფლისწულის კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში ჩასვლასთან (437/438 წწ.) დაკავშირებით ნათქვამია, რომ იქ მათ დახვდათ ორი რომელიც ასკეტი. ა, რამდენიმე პასაჟი ქართული „ცხოვრებიდან“:

„IX. ხოლო იყო ვინმე მეფე პრომიით მოსრული, სახელით პინინოს, და სახელი მეუღლისა მისისა მალენიოს. ამათ აღაშენნეს ორნი მონასტერი, ერთი სამამოი და ერთი სადედოი და მონაზონ იქმნნეს მათ მონასტერთა“<sup>1</sup>.

B რედაქციის იგივე პასაჟი უფრო ვრცელია:

„IX. და ვითარცა მიიწივნეს იერუსალიმდ, შეწყყნარებულ იქმნეს პინინოს ვისგანმე და მეუღლისა მისისა მალენიოს.

ეს კეთილნი მეუღლენი მეფენი იყვნეს პრომისა სამთავროთ; დაუტყვეს ღმრთისათუს, მოვიდეს იერუსალიმდ და მონაზონ იქმნნეს, და აღაშენეს ორი მონასტერი, რომელსა შინა თითოეული მათი იმყოფებოდა“ (იქვე).

ამ პასაჟს მისდევს ცნობები A ვერსიაში, რომლებიც B რედაქციაში მთლიანად არაა განმეორებული და რომელიც შეიცავს „პინინოსა“ და „მალენიოსოს“ დახასიათებას:

„ხოლო პინინოს ზურგითა თუსითა კრებდა შეშასა თუსსა მას მონასტერსა, რამთა სახე სიმდაბლისა ექმნეს ძმათა გონებითა მალალთა. და ეგრე მალენიოს დედოფალი თუსითა კელთ-საქმრითა მოირაწყდა საზრდელსა, რამეთუ ეკსნა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, ვითარმედ: „უქმი იგი ნუცა ჰქან და კელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“ [II თესალ. 3,10].

ამან მალენიოს დედოფალმან იცნა მურვანოს და იოვანე, და მოურავ და მოღვაწე ექმნა მათ, რამეთუ ეხილვნეს იგინი კონსტანტინეპოლეს, და წარგზავნა მონასტერსა პინინოს მეფისასა.

და შეჰვედრა მამასახლისისა კაცსა კეთილსა და მოღუაწესა, ხოლო მამასახლისმან მითუალნა იგინი სიხარულით და წარიყვანა წმიდასა აღდგომასა და აკურთხნა იგინი მონაზონად საფლავსა მას ზედა უფლისა ჩუენისა იესუ

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1984, № 1.

ქრისტესსა და უწოდა მურვანოსს სახელი პეტრე და საკურისსა — იოვანე, და წარიყვანა მონასტრადე“ (გვ. 227—228).

არც ერთ რედაქციაში ხელდამსხმელი „მამასახლისის“ სახელი არაა აღნიშნული.

ვინ არიან ეს „პრომით მოსრული მეფე პინინოს და მისი მეუღლე დედოფალი მალენიოს“? რომის ისტორიაში ასეთი მეფე და დედოფალი ცნობილი არაა.

ქართული „ცხოვრების“ აქ მოყვანილი ადგილები დამახინჯებული და შეკვეცილი განმეორებაა პეტრეს სინკელოსისა და ბიოგრაფის, იოანე რუფუსის Vita Petri-ს, 518 წ. ბერძნულად დაწერილი და სირიულ თარგმანში შემონახული ვერსიის სათანადო ადგილებისა. აქ მოგვყავს ამ „ვიტას“ შესაბამისი ადგილები სირიული ტექსტის გერმანული, რ. რაბესეული თარგმანიდან, ს. ყ ა ხ ი მ ვ ი ლ ი ს მიერ ნაწილობრივ ქართულად თარგმნილი:

„ღმერთს, რომელმაც იმათ (ნაბარსუგსა და მითრიდატეს. — ა. გ.) უპატრონა და იხსნა, მოჰყავდა ისინი (კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში. — ა. გ.), რადგან ისინი უცხონი იყვნენ და ამ წმინდა ადგილებში გამოუცდელნი, კეთილ უცხო მასპინძლებთან, მასწავლებლებთან და მათი წმინდა მოწოდების ხელისშემწყობებთან, იმთავითვე გაუმზადა რა მათ კეთილმეტყუემრე მეგობარი ქალი, მე ვგულისხმობ ნეტარ მეღანას, იმ რომელ ქალს, რომელიც თავის მეუღლესთან, პინიანუსთან, და თავის დედასთან, ალბინასთან ერთად [ცხოვრობდა იქ]; იმათ რომის სენატორებს შორის პირველი ადგილი ეკავათ და მალაღი წარმოშობისა იყვნენ, ჰქონდათ სიმდიდრე, პატივი და ყოველგვარი ბრწყინვალეობა, ასე რომ ისინი თვით სამეფო გვარულობის მონაწილენიც კი იყვნენ, მაგრამ, რადგან მათ ქრისტე ჰეშმარტი სიყვარულით უყვარდათ და მას უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვას, თაყვანსა სცემდნენ და ისინი იმ სიმდიდრეს იგროვებდნენ, რომელიც ურყევია და ხანგრძლივი რჩება, ნაცვლად იმისა, რომელიც წარმავალია, მიუთრევა, იღუპება და დაღუპავს, — აი ეს შეიზოზღეს, იმას (ე. ი. ს ა მ უ ლ ა მ ო ს ი მ დ ი დ რ ე ს) მიემხრნენ და სრულიად უარყვეს ეს სოფელი, გაუნაწილეს რა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი, რამდენადაც ეს ადვილად გასაკეთებელი იყო, დარიბებსა და ხელმოკლეებს ყველგან რომის სახელმწიფოში, აგრეთვე წმინდა სახლებში [ეკლესიებში] და მონასტრებში. ხოლო ყველაფერი დანარჩენი დასტოვეს და არარად მიიჩნიეს, შემოირტყვეს ჩვენი უფლის ჯვარი და მის თაყვანისსაცემად წმინდა ქალაქში (იერუსალიმში. — ა. გ.) წავიდნენ. როდესაც ისინი მივიდნენ ამ ქალაქში და იქ კარგად დაბინავდნენ, ააგეს ორი დიდი, ბევრი ადამიანის დამტევი მონასტერი წმინდა ზეთისხილის მთაზე, წმინდა ამაღლების ეკლესიის მახლობლად: ერთი კაცებისა და ერთიც დედათა მონასტერი და ორივესათვის გაიღეს თანებედი ღვთის საღიძებლად და საქებად და მრავალი სულის საოხად და სახსენებლად. იმათი სულების, ვინც ხსნისათვის მისულიყო იქ, და ცხოვრობდნენ ამათში წყნარად. ეწეოდნენ მშვენიერ ბრძოლას ყოველგვარ ასკეტობასა და სიწყინარეში, თავშეკავებაში და თავმდაბლობაში“<sup>34</sup>.

პინიანუსისა (და არა „პინიანოს“ ან „პინინოს“) და მეღანისა (და არა „მალენიოს“) დახასიათებას მისდევს შემდეგი ცნობა:

„როდესაც მან (მეღანისა?) წმინდა ყმაწვილების პეტრესა და იოანეს იერუსალიმში მისვლა შეიტყო (მაშინ მათ ჯერ კიდევ მათი ქვეყნის ენათა მიხე-

ღვით [nach den Sprachen ihrer Länder] ერქვათ ნ ა ბ ა რ ნ უ გ ი ო ს ი დ ა მ ი თ რ ი დ ა ტ ე) და გამოიკითხა, თუ ვინ იყვნენ ისინი და საიდან მოსულიყვნენ, დიდის სიხარულით შეიხიზნა ისინი. რამეთუ მას კარგად ახსოვდა, რომ, როდესაც ის ოდესღაც კონსტანტინეს ქალაქში ჩავიდა, იქ ნახა ნეტარი პეტრე, როცა მას, როგორც ახალგაზრდა ყმაწვილს, მეფურად ზრდიდნენ და მასში მას ძალიან შეუყვარდა ის, რადგან ის ხედავდა, რომ მასში დაბინავებულია ახალგაზრდობიდანვე წყალობა ქრისტესი“<sup>35</sup>. ძეგლში შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორი გავლენა ჰქონდა ამ წმინდა მელანიას კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე, როგორ მოაქცია ერთი რომელი, მისივე გვარის-ნათესავი (საყუთარი ბიძა ველუზიენი) ქრისტიანობაზე და „ბევრი სხვა“<sup>36</sup>. მელანიას აღუქვრია პეტრეში სურვილი—მიებაძა მისთვის, ხოლო თვითონ იერუსალიმში დაბრუნებულა. ბიოგრაფი დასძენს, რომ ეს მელანია მეორე, უფრო ახალგაზრდა და „პანიანუსის მეუღლე და ალბინას ქალიშვილი იყო“, „რომელმაც ის წმინდანები (ნაბარნუგი და მითრიდატე.—ა. გ.) სიხარულით მიიღო, როგორც საყვარელი ვაჟიშვილები, როდესაც იმათ მასთან იპოვეს საფარი“<sup>36</sup>.

ზემოთ მოყვანილი ადგილები გაცილებით მეტ შუქს ჰფენენ, ქართულ „ცხოვრებასთან“ შედარებით, პანიანუსისა და მელანიას ვინაობას: ისინი არიან არა „რომის მეფენი“, არამედ სამეფო გვარეულობის მდიდარი წარმომადგენელი, ყოფილი სენატორნი, რომელთაც ასკეზის გზა აღრჩევიათ, იერუსალიმში ჩასულან და იქ მონაზვნურ ცხოვრებას შედგომიან. კერძოდ, მელანიას ნაბარნუგი და მითრიდატე გაუცენია ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ, 437/438 წწ. ეს ორი ქართველი თვითონ შეუფარებია იერუსალიმში ამათი ჩასვლისთანავე.

ნეტარ მელანიას ვინაობას რ. რააბე მოკლედ განმარტავს შენიშვნაში, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი ზუსტად თარგმნის:

„Stadler-ით („წმინდანთა ლექსიკონი“) მელანია 382 წელს დაიბადა. მის მამას ერქვა Publica. დიდხანს იყო აფრიკაში (Tagaste-ში), 417 წელს წავიდა იერუსალიმში, სადაც გარდაიცვალა 439 წელს“<sup>37</sup>.

მაგრამ უშუალოდ ვინ აყურთხა ნაბარნუგი და მითრიდატე მონაზვნებად, ამაზე ქართულ „ცხოვრებაში“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი და მოკლედ აღნიშნული, რომ ისინი მონაზვნებად ხელდასხა „უფლის საფლავსა ზედა“ ვინმე „მამასახლისმა“. მაგრამ იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრება“ გვაძლევს ზუსტ ცნობებს ამ „მამასახლისის“ შესახებ. მასში ნათქვამია, რომ მელანიასთან „საყვარელი ვაჟიშვილებივით“ დაბინავებულია ორი ქართველი და „როდესაც იმათ მასთან იპოვეს საფარი, ისინი, იმ მამათა მონასტერში იყვნენ ასკეტური ცხოვრების ნიმუშად მიჩნეული. ამავე დროს ისინი შემოსა მონაზონის სამოსელით წმინდა ხელებმა, (სახელდობრ) წმინდა და სახელგანთქმულმა გერონტიოსმა, რომელიც წმინდა ზეთის ხილას მთაზე იყო ზუცესად და მონასტრის წინამძღვრად. რამეთუ ეს გერონტიოსიც, რომლის სახელიც ფართოდაა განთქმული და რომელიც წარმოშობით იერუსალიმელი იყო, თავის დროზე, როდესაც ის ყმაწვილი იყო, წმინდა მელანიამ და მისმა ქმარმა შეიფარეს და მოუარეს მას. და როდესაც ის მათთან გაიზარდა წმინდანად და ღვთისნიერად, ის იმის ღირსადაც ჩათვალეს, რომ მონაზონის წმინდა სამოსელს ზიარებოდა, მით უმეტეს რომ ის თავისი ქცევით და თავისი აზრებით ამას შეეფერებოდა“<sup>38</sup>.

გერონტიოსის ვრცელ დახასიათებას მისდევს დასკვნა:

„ამ კაცის ხელებმა მისცეს ჩვენს მამებს პეტრეს და იოანეს (მონაზონის) შესამოსელი და მან დაარქვა მათ ეს სახელები, ნაცვლად იმ სახელებისა, რომლებიც მათ თავიანთ ქვეყანაში ჰქონდათ“<sup>39</sup>.

აი, ყველაფერი ის, რაც ჩვენმა ფილოლოგიამ იცის პინიანუსის, მისი მეუღლის, შემდეგში წმინდან მელანიას, ამ მელანიას დედის ალბინას და პეტრეს ხელდამსხმელის, აგრეთვე „საყოველთაოდ განთქმული წმინდანის“ გერონტიოსის შესახებ. როგორც ცნობილია, იოანე რუფუსმა (იგივე ქრისტიანი არაბი პეტრუფინა), რომელიც პეტრესთან მივიდა მაიუმის მონასტერში (ქ. ლაზის ახლოს) V-ის 80-იან წლებში (როგორც ეს ზუსტად დაადგინა გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ედ. შვარცმა)<sup>40</sup>, პეტრეს იერუსალიმში ჩასვლის ამბები აღწერა თვითონ პეტრეს ნამშობის მიხედვით. ამრიგად, მელანიას, მისი მეუღლის პინიანუსის და გერონტიოსის შესახებ Vita Petri-ს ცნობები მომდინარეობს უშუალოდ პეტრე იბერისაგან, რაც, საფიქრებელია, სხვა პირთა ნამშობობითაც შეუესია ავტორს (რუფუსს). ესაა ოღონდ—რუფუსის თხრობიდან მკაფიოდ არ ჩანს, რომ მელანია ორჯერ იყო კონსტანტინოპოლში—პირველად 424 წელს, როცა იმპერატორ თეოდოსი II-ისა და ავგუსტა ევდოკიას (ათენიდან) 2 წლის ასული, აგრეთვე ევდოკია, რომის მომავალ იმპერატორ და მცირეწლოვან ვალენტინიანე III-ზე (დაიბ. 419 წ.) იქნა დაწინდებული, მეორედ კი 437 წელს, მათი ქორწინების გამო. ნაბარუნგისა და მითრიდატე ლაზის იერუსალიმში მელანიას დაბრუნების ხანას, ე.ი. 437 წლის ბოლოს ან 438 წლის დასაწყისს, როგორც ეს ზუსტად გაარკვია პოლ დევომ<sup>41</sup>.

რა შეიძლება მიემატოს ამ ცნობებს ჩვენს თემასთან დაკავშირებით? საკმაოდ ბევრი, რომელთაგან მხოლოდ აუცილებელ მასალას გამოვეყოფთ და ისიც — საკითხის უფრო ნათლად გასაშუქებლად.

არსებობს „წმინდა მელანიას ცხოვრების“ ტექსტის ბერძნული ორიგინალი და მისი უძველესი ლათინური თარგმანი<sup>42</sup>, აგრეთვე ავგუსტინეს წერილები მელანიას დედის ალბინასა, თვითონ მელანიასა და პინიანუსისადმი<sup>43</sup>. იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრებაში“ მათ შესახებ დაცული ცნობები (სხვა ცნობებთან ერთად) ავსებენ დასახელებულ წყაროებს და ქმნიან სრულ სურათს იმ ადამიანის ცხოვრებისა, რომელმაც იერუსალიმში ჩასულ ორ ქართველს მისცა თავშესაფარი. დადგენილია ის ფაქტი, რომ „წმინდა მელანიას ცხოვრების“ ავტორია მელანიას მეორე აღზრდილი გერონტიოსი, პეტრე იბერიელის ხელდასახმელი, რომელსაც რუფუსი „სახელგანთქმულს“ უწოდებს და რომელიც მელანიას სიკვდილის (439 წ.) შემდეგ თვითონ აგრძელებს თავისი ხელდამსხმელის მოღვაწეობას იერუსალიმში, სადაც იგი მონასტერს ედგა სათავეში 45 წლის მანძილზე<sup>44</sup>. გერონტიოსიც წმინდანადაა შერიცხული.

მოკლედ იმ ფაქტების გამოც, რომელიც წინ უძღოდა მელანიას აფრიკიდან იერუსალიმში ჩასვლას.

მელანია, ახალგაზრდად წოდებული, იყო წარჩინებული და მდიდარი რომელების ალბინასა და ვალერიუს პუბლიკოლას ასული. იგი დაიბადა 382

წელს. მისი მეუღლე პინიანუსი (დ. გორსით — პინიენი) იყო ძე ვალერიუს სევეროსის (ანუ ვალერიუს პინიანუს სევეროსის), სამეფო გვარეულობის წარმომადგენლისა და მდიდარი რომაელისა. 410 წელს მელანია, მისი მეუღლე პინიანუსი და ალბინა ჩადიან ჩრდილო აფრიკაში (ნუმიდია), პატარა ქალაქ თავასტაში, სადაც მათ უნდოდათ პირადად ენახათ სახელგანთქმული ავგუსტინე, რომელიც უკვე 395 წლიდან მშობლიურ თავასტადან დაშორებულ, ხმელთაშუაზღვისპირა რომაული სტილის ქალაქის ჰიპონის („ჰიპო რეგიუს“) ეპისკოპოსად ითვლებოდა. ავგუსტინე თვითონ არ ჩასულა თავასტაში რომელი სტუმრების სანახავად, რასაც ჩვენი ვტყობილობთ მისი ბარათიდან ალბინასა, პინიანუსისა და მელანიასადმი. აქ მოგვყავს ავგუსტინეს ამ ეპისტოლეს ქართული თარგმანი.

„ავგუსტინე მის სანახავად აფრიკაში მოსულ და თავასტაში გაჩერებულ ალბინას, პინიანუსსა და მელანიას პოდიუმს უხდის, რომ იქ მათ სანახავად მისვლის ნებას ვერ აძლევს თავს არა იმდენად ზამთრის სისასტიკის, რამდენადაც ჰიპონის ეკლესიის მერყევი მდგომარეობის გამო.“

უფლის მიერ გამოჩენილ ბატონებს, სიწმინდით უძვირფასეს და მონატრებულ ძმებს, ალბინას, პინიანუსსა და მელანიას, ავგუსტინე უფლის მიმართ სალამს უძღვნის.

1. თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ჩემივე ბუნების გამო სიცვი ატანა არ ძალმიძს, მაინც არასოდეს შემძლება ისეთი დიდი მღვდვარების გადატანა, როგორც ამ საშინელ ზამთარში გადავიტანე; ამიტომაც თქვენთან, რომლებიც ასე შორს ხართ და რომლებთანაც მოსასვლელად ფრნით ზღვები იყო გადასალახავი, ასე შორიდან ჩვენი ნახვისთვის მოსულებთან ვერ ვახერხებ გამოგზავრებას, ხოლო ფრენა არ შემიძლია. და შეიძლება თქვენმა უწმინდესობამ მხოლოდ ეს ზამთრის სისასტიკე მიიჩნიოს ჩემი ტანჯვის მიზეზად. ნუ იქნება ასე, უძვირფასესო. მართლაც და ბნელსა და მძიმეს, თუნდაც სახიფათოს რას შეიცავს ეს თავსება წვიმები, რასაც გადავიტანდი და გადავლახავდი, რომ თქვენთან მოვსულიყავი, ამოდენა ნუგეშო ჩვენს ამოდენა უბედურებაში, ამ არეულ და უკულმართ ხანაში უზენაესი სინათლით ასე მგზნებარედ ანთებულნო ნათელნო, უზენაესი სიმდაბლით შობილნო, უფრო ცხადნო უბადრუკ სიცხადეზე! ამასთან, კიდევ გავიხარებდი ჩემი ზორციელი საშობლოს ასეთი სულიერი ბედნიერებით, რომ მან თქვენთან ყოფნაც დაიმსახურა; და თუმცა თქვენ აქ არა ხართ, როცა მან ისმინა, რომ შობილნი ხართ და ქმნილნი ქრისტეს გულისათვის, თუმცა [თქვენი] სიყვარული დაიჭერა, მაინც, იმის შიშით, რომ მას ვერ გაუბედავდნენ, ამბის მოყოლას(?), შესაძლოა, ეჭვობდა კიდევ(?).

2. მაშ, გეტყვით, რატომ ვერ მოვალ და რა უბედურების გამო ვამბობ უარს ამოდენა სიკეთეზე; გეტყვით, რათა არა მხოლოდ თქვენგან მივიღო პატიება, არამედ, თქვენი ლოცვების შემწეობით, იმისაგანაც, ვინც თქვენშია და ვისთვისაც ცოცხლობთ, დავიმსახურო შეწყალება. ჰიპონელი ხალხი, რომელსაც უფალმა ჩემი თავი მისცა მსახურად, ისედაც მნიშვნელოვნად, თუ მთლიანად არა, ისე უძლურია, რომ მსუბუქი ტანჯვის მიხლოებითაც მძიმედ ავადმყოფობს; ახლა კი ისეთ ტანჯვაშია, რომ თუნდაც არ ყოფილიყო ასე უძლური, მაინც გაუჭირდებოდა, რაიმე ხსნით გადაერჩინა სული. და იგი [ხალ-

ხი], როგორც კი დაებრუნდი, ყველაზე უფრო სახიფათო ცდუნებაში ჩაეარდნილი ვნახე ჩემი არყოფნით; თქვენთვის კი, რომელთა სულეერი ძალისაც უფლისა მიმართ გვიხარია, ჯანმრთელთათვის, ცნობილია, როგორც ითქვა: „ვინ უძლურ არნ, და მე არა უძლურ ვიყვი? ვინ დაპბრკოლდებინ და მე არა ვკურვიდი“ (2 კორ. XI, 29)? მით უმეტეს, რომ შრავალი აზიან აქ, რომლებიც ჩვენს არყოფნაში, ჩვენი მოყვარული ზოგიერთი სულის ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებას ცდილობენ, რათა მათში ადგილი მოუპოვონ ეშმაკს. როცა კი გვიბრახდებიან [ისინი, ვის] ხსნაზედაც ვზრუნავთ, მათში იმარჯვებს მოთხოვნა ან სურვილი სიკვდილისა, ოღონდ არა სხეულში, არამედ გულში. სადაც სიკვდილი ფარული ღობით უფრო ადრე იგრძნობა, ეადრე მას ჩვენი აზროვნება გამოიცნობს. ამ ჩემს მღელვარებას, ექვეგარეშეა, თავაზიანად მპატიებთ; მით უმეტეს, რომ თუკი განრისხდებით და ჩემს დასჯას მოინდომებთ, შესაძლოა, უფრო მძიმე ვერაფერი მოიგონოთ, ვიდრე ისაა, რასაც მე თავად განვიციდი, როცა თქვენ თავასტაში ვერ გხედავთ. იმედი კი მაქვს, თქვენი ლოცვების შემწეობით, რომ თქვენთან, როცა კი აფრიკაში იქნებით, მოსკლა სულ მალე შემეძლება, როცა ეს, რაც ახლა მათერჩებს, გაივლის; ან იქნებ ქალაქი, რომელშიც ვიღვწით, ღირსი არ არის, მე თვითონაც ხომ ვერ ვბედავ. ღირსად მივიჩნო, რომ თქვენი აქ, ჩვენთან ერთად ყოფნით გაიხაროს“<sup>45</sup>.

ავგუსტინე თავასტაში არ ჩასულა ალბინასა, პინიანუსსა და მელანიასთან შესახვედრად. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, წარჩინებულ და მდიდარ რომაელებს კი მიზნად ჰქონდათ უშუალოდ ენახათ რომის მთელ იმპერიაში ეგზომ სახელგანთქმული ადამიანი. სატახტოდან გამომგზავრებისას გზად არსად გაჩერებულან და ხმელთაშუა ზღვის გადალახვამდე არც ერთ ქალაქსა და ნავსადგურში არ დაუყოვნებიათ. თავასტაში ისინი გამოცხადდენ ავგუსტინეს მეგობარ ეპისკოპოს ალიპიუსთან 410 წელს. პინიანუსსა და დედამისსა ალბინამ უხვად დააჯილდოეს თავასტის ეკლესია, რამაც ხალხის სიყვარული მოუპოვა მათ. ავგუსტინესაგან მიღებული ბარათის შემდეგ პინიანუსი 410 წელს გაემგზავრა თავასტადან არცთუ შორს მდებარე ქალაქ პიპონში ადგილობრივ ეპისკოპოს ალიპიუსთან ერთად ავგუსტინეს სანახავად. ნუმიდიის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქში მის ჩასვლასთან დაკავშირებული ეპიზოდები ჩვენთვის ცნობილია უმთავრესად ავგუსტინეს სამი (124, 125 და 126) ეპისტოლეს მიხედვით (ალბინასა, პინიანუსისა და მელანიასადმი. ალიპიუსისადმი და ალბინასადმი. იხ. შენიშვნა, № 43).

თავასტაში გამოჩენილი გულუხვობის ამბავი პიპონის მცხოვრებლებმა უკვე იცოდნენ და მათ გადაწყვიტეს ესარგებლათ პინიანუსის მათს ქალაქში ჩასვლით. ხალხი სთხოვდა ავგუსტინეს, ძალით ეკურთხებინა პინიანუსი, რომელსაც სასულიერო კარიერაზე არასოდეს არ უფიქრია. ამის წინააღმდეგი იყო დედამისი ალბინაც. ესაა ეპოქა, როცა ქრისტიანული თემი თავისუფლად ირჩევდა თავის პრესბიტერებს. მაგრამ ავგუსტინეს დროს ხალხი თავის ნებასურველს შემტევი ფორმით გამოხატავდა. ამგვარი ხასიათი მიიღო პინიანუსის მღვდლად არჩევამაც. ავგუსტინეს შესახებ ერთ-ერთი საუკეთესო რუსული მონოგრაფიის ავტორის ვ. გერიეს აზრით, პინიანუსის მღვდლად კურთხევის ფაქტში აირეკლა მაშინდელი აფრიკული ქალაქების მუნიციპალური ცხოვრების ჩვეულება: მოსახლეობა დაინტერესებული იყო, მიეზიდა ისეთი მდიდარი პირები სასულიერო სამსახურში, რომლებიც ეკლესიებისა და ქალაქების კეთილმოწყობაზე და სამღვდლოებისა და ღარიბთა სარჩენად იზრუნებდნენ.

ამასთან, გარდაცვალების შემდეგ მათი ქონება ადგილობრივი ეკლესიის საკუთრებად რჩებოდა<sup>45</sup>.

მაგრამ პინიანუსს არც პრესბიტერად კურთხევა უნდოდა, არც საცხოვრებლად ჰიპონში დარჩენა. ავგუსტინეს ეპისტოლეებიდან კარგად ჩანს, რომ პინიანუსის მხრივ უარს ჰიპონელების უკმაყოფილება გამოუწვევია. ისინი ეკვობდნენ, რომ ალიპიუსსაც პინიანუსის მხარე ეჭირა, რადგან ფიქრობდნენ, თითქოს, ალიპიუსის აზრით, რომაელი მდიდრის ჰიპონში დარჩენა თავასტას ეკლესიისათვის საზიანო იქნებოდა. ხალხის უკმაყოფილება გავრცელდა ავგუსტინეზედაც, როცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იგი ძალით არ აკურთხებდა პინიანუსს პრესბიტერად და, თუ მაინც მღვდლად აირჩევდნენ, თვითონ უარს იტყობდა ეპისკოპოსობაზე. „იცოდა რა აფრიკული მოსახლეობის ველურობა და თავშეუკავებლობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ სანამდე მიაღწია ბრბოს მძვინვარებამ, თუ თვით ავგუსტინე იძულებული გახდა საკურთხეველში შესულიყო და თავისი ტახტი დაეკავებინა, რათა ბრბოს განშორებოდა“<sup>46</sup>.

ამ ეპიზოდის დანარჩენ დეტალებს კარგად ვადასტურებ ვ. გერიე. უშუალოდ ავგუსტინეს ეპისტოლეებზე დაყრდნობით.

ხალხი მძვინვარებდა და ალიპიუსს უშვერი სიტყვებით მიმართავდა. ასეთმა ვითარებამ ავგუსტინე შეაკრთო, უფრო ცუდს რასმე მოელოდა, ამიტომ ფიქრობდა, სულ დაეტოვებინა ტაძარი. იგი ალიპიუსთან ერთად გამოვიდა ხალხში და როცა ორ რიგად მჭიდროდ მდგარ ხალხში მიდიოდა, შიშობდა ვინმეს ხელი არ აღემართა მის მეგობარ ეპისკოპოსზე. მართა რომ გამოსულიყო, ეს ემგვანებოდა ლალატს — თითქოს მეგობარს ტოვებდა გამძვინვარებულ ბრბოს ხელში!

მაგრამ ამ სახიფათო ვითარებიდან ავგუსტინე გამოიყვანა პინიანუსმა: თავდაპირველად მან განაცხადა, რომ თუ მისი სურვილის წინააღმდეგ აირჩევდნენ პრესბიტერად, იგი აფრიკას დატოვებდა. მაგრამ ავგუსტინემ ამ მუქარაში დაინახა ახალი საშიშროების საბაბი და არაფერი უპასუხა. პინიანუსი გონს მოეცოდა თქვა, რომ ჰიპონში დარჩებოდა საცხოვრებლად თუ მღვდლად არ აირჩევდნენ. თავის ეპისტოლეში ავგუსტინე აღიარებს, რომ პინიანუსის სიტყვებმა მას შვება მოჰგვარეს და ამის შესახებ ალიპიუსისათვის უცნობებია. მაგრამ ალიპიუსს უთქვამს, რომ ეს არ მოეწონებოდა პინიანუსის ელას და უთხოვია რჩევისათვის არ მიემართა ალბინისათვის. ხალხმა კი პინიანუსის სიტყვები თანხმობად მიიჩნია და მოსთხოვა მას პირობასთან ერთად დაეღო ფიცი: თუ ოდესმე სასულიერო წოდებას მიიღებდა—მხოლოდ და მხოლოდ ჰიპონში! ავგუსტინემ, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა ხალხსა და პინიანუსს შორის, ამ უკანასკნელის თანხმობა მიიღო და გახარებულმა ჰიპონელებმა მოითხოვეს აღთქმული ფიცის დადება. მაგრამ აღნიშნული კონფლიქტი ამით არ დამთავრებულა. პინიანუსმა გადაიფიქრა თავისივე დაპირება და განაცხადა, რომ შეიძლება მას დაეტოვებინა ჰიპონი, თუ განსაკუთრებული ვითარება, მაგ. მტრის შემოსევა, წარმოიშობოდა. მისი ცოლი მეღანია თავის მხრივ მიუთითებდა მაღარიით და ავადებაზე, მაგრამ ამით ქმრის უკმაყოფილება გამოიწვია. პინიანუსის დასამშვიდებლად ავგუსტინემ შენიშნა, რომ მტრის შემოსევის ყამს ჰიპონის სხვა მცხოვრებლებიც დატოვებდნენ ქალაქს და ურჩია ამის შესახებ არაფერი ეთქვა ხალხისათვის, რომელსაც შეეძლო ავის მუწყებელ ამბავად მიეჩნიათ იგი. ბოლოს პინიანუსმა გაიმეორა ფორმულა, რომელიც წაიკითხა ტაძრის მსახურმა. ხალ-

ხმა უპასუხა მას მართლმადიდებლური შეძახილით: Deo gratias! (ნაცვლად ღონატიტების ფორმულისა: Deo laudas!) და მოითხოვა პინიანუსს თავისი ფიცი ხელმოწერითაც დაედასტურებინა. მეტიც: მოითხოვნენ ეპისკოპოსებსაც (ავგუსტინესა და ალიპიუსს) მოეწერათ ხელი ფიცის წერილისათვის. ავგუსტინეს ის-ის იყო უნდა მოეწერა თავისი სახელი სიგელზე, მაგრამ მელანიამ შეაჩერა. ავგუსტინემ გაიფიქრა: რატომ? მისი ხელმოწერა თითქოს ძალას უკარგავდა აღთქმულ ფიცს! — მაგრამ ავგუსტინემ შეასრულა მელანიას წადილი და მისი სახელი ბოლომდე არაა დაწერილი ფიცის სიგელზე.

ავგუსტინესათვის ეგზომ მძიმე სცენა ამით დამთავრებულა. ავგუსტინე თავს იმართლებს ალბინასა და ალიპიუსის წინაშე ყოველივე მომხდარის შესახებ მათ მიერ გამოთქმული საყვედურების გამო თავის 125-ე და 126-ე ეპისტოლეებში. ეს ბარათები ჩინებულად გვიხატავენ ავგუსტინეს დიად პიროვნებას წმინდა საეკლესიო საქმეების მართვის პირობებშიაც.

მიუხედავად მიცემული ფიცისა, პინიანუსი მაინც დაბრუნდა თავასტაში. ჩვენამდე არ შენახულა ავგუსტინეს ბარათი, რომელიც ვაგეითვალისწინებდა ჰიპონელთა რეაქციას პინიანუსის ნაბიჯის გამო. უ. გერიე მართალი უნდა იყოს, როცა წერს, რომ ავგუსტინეს უნდოდა დაემშვიდებინა თანამოქალაქენი და მათ ხელი არ უნდა შეეშალათ პინიანუსისათვის „საჭიროებისამებრ“ ჰიპონიდან გამგზავრების გამო. მაგრამ ასე როდი უყურებდნენ აღნიშნულ ნაბიჯს პინიანუსის მეგობრები: ისინი უარყოფდნენ, რომ პინიანუსს ევალებოდა ჰიპონში დაბრუნება. ავგუსტინემ მისწერა თავასტაში მყოფ დედამისს ალბინას შემდეგი პასუხი კითხვაზე — თელის თუ არა იგი ან ჰიპონის ხალხი, რომ იძულებით მიცემული ფიცის შესრულება აუცილებელია? „შენ თვითონ როგორ ფიქრობ? მივაჩნია თუ არა, რომ ქრისტიანს შეუძლია მოუხმოს ღმერთს სიცრუის მოწმედ თვით გარდუვალი სიკვდილის საშიშროების შემთხვევაში, რისიც ამოდ ეშინოდა პინიანუსს?“<sup>47</sup>.

ასევე მშვერმეტყველურად განუმარტავს ავგუსტინე თავისი საქციელის შინაარსს თავასტის ეპისკოპოს ალიპიუსს, თავის ერთგულ მეგობარს<sup>48</sup>.

უკვე გაქრისტიანებული და ასკეზით შეპყრობილი პინიანუსი და მისი ჯალაბი თავასტაში 7 წელიწადს დარჩენა<sup>49</sup>. გერონტიოსი „მელანიას ცხოვრებაში“ აგვიწერს მთავარი პერსონაჟის სათნოებით აღსავსე ცხოვრებას თავასტაში, რის შემდეგ მელანია გადაწყვეტს წასვლას პალესტინაში თავისიანებთან ერთად. იერუსალიმი მელანიას ხედება მლოცველებით აღსავსე, წმინდა ეტიენის ძელების (რელიკვიების) აღმოჩენით გახარებული, მწველებელ ორიგენეს მოძღვრების ირგვლივ პაექრობით გართული და სხვ. მოულოდნელად იგი ესპანეთიდან ღებულობს თანხას, მოგზაურობს ეგვიპტეში, რაზედაც ჩვეულებრივ ოცნებობდნენ ასკეტები და იქიდან დაბრუნებული საბოლოოდ მკვიდრდება იერუსალიმში, ზეთის ხილის მთის მონასტერში ასკეტად აღკვეცილი, აარსებს დედათა მონასტერს (როგორც ავგუსტინე ჰიპონში!), აგრეთვე მამათა სავანეს და კიდევ ერთ საბერმონაზვნო გაერთიანებას. მისი ქმარყოფილი პინიანუსი არ იყო ასე მიდრეკილი შავი სამღვდლოებისადმი, უკმაყოფილება-საც გამოსთქვამდა, მაგრამ ამიერიდან წმინდა მელანიას ეს „სულიერი მამა“ ყოველმხრივ ეხმარება მას იერუსალიმში. ყოფილმა ცოლ-ქმარმა აღზარდეს „საკუთარ შეილად“ გერონტიოსი, შემდეგში მელანიას ბიოგრაფი<sup>50</sup>.



ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ 424 წელს მელანია პირველად ჩავიდა კონსტანტინოპოლში, როცა 2 წლის ევდოკია, იმპერატორ თეოდოსი II-ის და ათენაიდა-ევდოკიას ასული დაინიშნა რომის იმპერატორის კონსტანტ III და პლაციდიას ძე ვალენტინიანეზე (შემდეგში — იმპერატორი ვალენტინიანე III), მეორედ კი მათი ქორწინების წელს, 437 წ. 6 აპრილს (ქორწინება შედგა 29 ოქტომბერს). 40 დღის შემდეგ მელანია ბრუნდება იერუსალიმში. 437—438 წწ. შუალედში ნაბარსუგი და მითრიდატე ლაზი გაიპარებიან კონსტანტინოპოლიდან და იერუსალიმში ჩასულნი უწინარესად მელანიასთან პოულობენ თავშესაფარს. გერონტიოსი მათ ბერებად აღკვეცს და სახელებს უცვლის. ამ ორ ქართველს ალბინა და პინიანუსი ცოცხლები არ დახვედრიათ: ალბინა გარდაიცვალა 431 წელს, 436 წელს პინიანუსი ცოცხალი არაა, ხოლო მელანია 439 წ. 31 დეკემბერს გარდაიცვალა.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ სამეფო საგვარეულოს წევრები, მდიდარი და წარჩინებული რომაელები ალბინა, პინიანუსი და მელანია ავგუსტინეს სანახავად ჩავიდნენ თავასტაში 410 წელს. წარმართ მელანიას მოქცევა ქრისტიანობაზე, მისი ასკეტიზმი — ავგუსტინეს ზეგავლენითაა გამოწვეული.

ასკეტმა ნეტარმა მელანიამ თავისი მოწყალების კალთა გადააფარა კონსტანტინოპოლიდან ლტოლვილ და იერუსალიმში ჩასულ ორ ქართველს — ნაბარსუსსა და მითრიდატეს.

და ბერად აღკვეცილ და სახელებზეცვლილ პეტრესა და იოანეს არასოდეს არაფერი სმენიათ ავგუსტინეზე უშუალოდ მელანიასაგან? ან საერთოდ იმ გიგანტზე, რომელსაც ჯერ კიდევ 430 წელს ნაბარსუგის აღმზრდელმა, ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსი II-ემ მოუწოდა — კონსტანტინოპოლში ჩასულიყო და თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 431 წელს?

პეტრე იბერიელს შეეძლო ამ კრებაზე თვითონ დაენახა ჰიპონის ტაძრის საჰიმნაპრობელი, ერთ-ერთი უდიადესი პიროვნება მსოფლიო კულტურის ისტორიაში. მაგრამ ავგუსტინე გარდაიცვალა 430 წელს ვანდალებისაგან გარშემორტყმულ ჰიპონში.

ასე თუ ისე, ავგუსტინეს ლანდი ლიბრედად მაინც ირხევა პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში.

#### IV. ავგუსტინელები საქართველოში

კარგად ცნობილია, რომ XVII საუკუნეში რომი აქტიურად ცდილობს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში. ყველაზე თვალსაჩინო ფაქტი ამ მოვლენისა იყო ქართლის მეფის გიორგი მეფეთრემეტის (მოკლეს 1709 წ. ყანდაარში) მიერ პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაციის აღებისა კათოლიკურ ევროპაზე, აგრეთვე მისი აღზრდილისა და გაკათოლიკებული სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია რომსა და საფრანგეთში. ჯერ კიდევ ამ საუკუნის 30-იან წლებში რომის პაპი ურბანო VIII საქართველოში აგზავნის მისიონერთა ჯგუფს, რომლის წევრები სისტემატურად წვრილ ვრცელ მოხსენებებს („რელაციონებს“) და აგზავნიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან რომში. ამ ვრცელი მიმოწერიდან აღნიშნავთ უმთავრეს მომენტებს.

1626 წ. 5 იანვარს საქართველოდან რომში მისიონერების მიერ გაგზავნილ წერილებში მოთხრობილია ავგუსტინელ მონაზონთა ამბროზიოსა და პეტრე ავიტაბილეს მიერ სპარსეთიდან თეიმურაზ I-ის დედის ქეთევან დედოფლის გვამის ნაწილების ჩამოტანის შესახებ. თვით თეიმურაზის დახასიათების შემდეგ ნათქვამია, რომ „როდესაც თეიმურაზი შეურიგდა სპარსეთის მეფეს, სთხოვა, გაეგზავნა მისთვის ქეთევან დედოფლის გვამი, რომელიც დიდის პატივით ინახებოდა ისპაჰანს ავგუსტინიანთ მონაზვნების მონასტერში. იმ მონაზვნებმა რა შეიტყეს თეიმურაზის ესეთი სათხოვარი, 1627 წ. მაშინვე სამნი მონაზონნი წამოვიდნენ საქართველოს, რა წამოიღეს თან ნაწილი ქეთევანისა, მაგრამ გზაში დასნეულდნენ და ერთი ამხანაგიც მოუკვდათ. ამის გამო ისევ უკან დაბრუნდნენ. მეორედ კიდევ სცადეს მგზავრობა, მაგრამ კვალად დასნეულდნენ გზაში. ხოლო მესამედ რომ დაადგენ ორნი გზას, დიდის შეწუხების შემდგომ, თეათინელების ჩამოსვლის ცოტა წინათ, 1628 წლის ივნისის პირველს, გორში მოვიდნენ წმინდა ავგუსტინეს წესის მონაზონნი პატრი ამბროზიო და შმა პეტრე, რა თან მოიტანეს ქეთევან დედოფლის ნაწილი. თეიმურაზმა დიდის პატივით მიიღო პატრი ამბროზიო, თავის სასახლეში დააყენა, თავის დიდებულებით, მის წირვას დიდის მოწიწებით დაესწრო. რა შეიტყო, იმ პატრს თან მოეტანა დედამისის ნაწილი, დიდათ გაეხარდა და თვითვე ახარა დედოფალს ეს ამბავი. პატრი ამბროზიომ მესამე დღეს დასასრულ წირვისა, რომელსაც დაესწრნენ მეფე-დედოფალთან ერთად ყველა დიდებულნი, სპარსულად სიტყვა წარმოთქვა და ბოლოს ჩააბარა წმინდა ნაწილი თეიმურაზს. მეფემან დიდის პატივით, სასოებით გულმხურვალეებით მიიღო თავისი დედის ძვირფასი ნაწილი, ჩაასვენა ძვირფას კუბოში და შემდგომ დიდის ამბით წაასვენეს სამიტროპოლიტო ეკლესიაში, სადაც ასაფლავიან მეფენი და შესაფერს ადგილს დაასვენეს. მეფემა და დედოფალმა დიდი მადლობა გადაუხადეს პატრი ამბროზიოს და უთხრეს, მზად ვართ, რაც გინდა, გვთხოვე და ავისრულებთო. პატრი ამბროზიომ მხოლოდ ესა სთხოვა, გორში ერთი ადგილი გვიბოძეთ, სადაც შეგვექლოს დადგომა და თქვენთვის და თქვენთა ქვეშევრდომთათვის სამსახურითო. მეფემ დიდის სიამოვნებით შეიწყნარა თხოვნა და უბოძა ის ადგილი, რომელიც თვით პატრმა აირჩია, ავრეთვე მისცა რამდენიმე სოფელი და ყმა. პატრი ამბროზიომ მაშინვე დროებით პატარა სახლი და ეკლესია გაიკეთა. შემდგომ ინდოეთს გაგზავნა თავისი ამხანაგი მორჩილი შმა პეტრე, რომელმაც მალე მოიტანა საქირო ფული; ამითი მალე ააშენეს ეკლესია, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ეკლესიად ითვლებოდა. დიდი ხალხი დაიარებოდა თურმე ამ ეკლესიაში და კვირე-უქმეობით თვით მეფეც (როსტომი. — ა. გა.) ხშირად ესწრებოდა წირვას თავისი დიდებულებითურთ<sup>51</sup>.

პატრი პიეტრო ავიტაბილე 1632 წლის 7 ივლისს მეორედ ჩაზოღის საქართველოში ექვს თეათინელ ბერთან ერთად, რომელთა შორის იმყოფებოდა მხატვარი დონ ქრიოტიოფორო დე კასტელი. 1635 წლამდე ავიტაბილე გორში ცხოვრობდა და შემდეგ გურიაში წასულ კასტელის თან არ გაჰყოლია. 1635 წელს ალგოში მიემგზავრება. ამ ქალაქიდან 1634 წ. 24 ნოემბრის თარიღით იგი სწერს წერილს რომში, სადაც სხვათა შორის იძლევა ცნობებს გორში მცხოვრებ პატრ ავგუსტინელებისა და მათი ეკლესიის შესახებ; აღნიშნული აქვს, რომ „ჩვენი წმინდა სარწმუნოების მიმართ საქართველოში მყოფი პატრი ავგუსტინელები კეთილგანწყობას აღვენუნო<sup>52</sup>. გორში ავგუსტინელთა ეკლესიისა და მისი პოპულარობის შესახებ ავიტაბილე შემდეგ ცნობ-

ებს გვაწვდის: „... პატრი ავგუსტინელების ეკლესიის გარდა, სხვა მრავალი საყდრისა არც ერთი არ იყო ღია. ქართველების ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო მოთავსებული, მაჰმადიანების მეჩეთებად იყო გადაკეთებული, უფრო უარესი, სომხების ეკლესია ცხენების თავლად იყო გამოყენებული“<sup>53</sup>. როსტომ მეფეზე (1630—1657) კი ნათქვამი აქვს: „ეს მეფე დიდ თავმოწონებასა და ფუფუნებაშია. როსტომ-ხანს სამართლიანობა უძღვის წინ. მას სამართლის საქმეში თხუთმეტი წელი უმსახურია სამეფო ჭაღაქ ისპაანში. იგი მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს. ამ მიზნით ხშირად შედის პატრი ავგუსტინელების ეკლესიაში წირვის მოსასმენად. პატრმა ამბროსიომ მას გადაუკრა სიტყვა—ეკლესია სასერიანო ადგილი არ არისო. ამის შემდეგ როსტომ-ხანი აღარც შემოსულა, მაგრამ როცა ზარის ხმის მოსმენა მოუხდა, მონასტრის ეზოში დააკრევენა. აქამდე ეკლესიისა ჯერ არაფერი დაუკავებია, გარდა ერთი სოფლისა, რომელიც აქ მდებარეობს და Genrabe-ს სახელი აქვს შენარჩუნებული. უფალმა იწებოს და მას გონება ისე განუნათლოს, რომ სრულყოფილი კათოლიკე გახდეს. მაგრამ ეს სპარსეთის შაჰზეა დამოკიდებული და ძალიან ძნელია“<sup>54</sup>.

გორის ავგუსტინელთა ეკლესიისა და საერთოდ ამ დროს საქართველოში მოღვაწე ავგუსტინელების შესახებ ცნობები დაუცავს აგრეთვე 1631 წელს პალეოსა და არზრუმის გზით ქართლში ჩამოსულ თეათინელ პატრ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელს (იგი პატრ არქანჯელო ლამბერტი ნეაპოლიტანელთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში 1631 წელს, როცა აქ როსტომი მეფობდა). ჯუდიჩე სხვათა შორის წერს: „გორში ერთი პატრი ავგუსტინელია დარჩენილიყო, რომელიც იცავდა მისიონსა და სახლს, სადაც მან წმინდა სარწმუნოება დააარსა. რადგან მან ისპაანის ადგილსამყოფელში წასვლა გადაწყვიტა, ჩვენ დავგვიტოვა სახლი ეკლესიითურთ და ორი კომლი ყმა“<sup>55</sup>. ეს ცნობა ამოღებულია წერილიდან, რომელსაც მისიონერი სამეგრელოდან აგზავნის რომში 1640 წ. 20 სექტემბრის თარიღით<sup>56</sup> და რომელშიაც 1634—1640 წწ. ამბებია აღწერილი და უმთავრესად სამეგრელოსა და გურიას ეხება (ლამბერტი და ჯუდიჩე ქართლიდან სამეგრელოში გაემგზავრნენ 1633 წ.<sup>57</sup>).

ქეთევან დედოფლის წამების ამბავს აგვიწერს რომელი პატრიციუსი, პოეტი და ლიტერატორი პიეტრო დე ლავალე (დაიბ. 1586 — გარდ. რომში 1652 წ.) თავის „ინფორმაციონში“<sup>58</sup>, რომელიც მას 1627 წელს გაუგზავნია ურბანო VIII-სადმი (რომის პაპი 1623—1644 წწ.). დე ლავალეს ცნობით, ქეთევანი უწამებიათ ქ. შირაზში 1624 წ. 22 სექტემბერს. იგი „დიდი წვალებით მოუკლავთ“. დედოფალს გამრუტად აუტანია წამების საშინელებანი. ავტორი დასძენს, რომ ამის „საფუძვლად მე ვასახელებ ღირსის პატრის ფრა გრეგორიო ორსინო დომინიკანელის მოხსენებას“, „პირველად მან მიამბო ეს ამბავი, გარდა ამისა, მან ამის შესახებ რომში მიიტანა ვრცელი მოხსენება“ („ივერია“, 1879, № 3, გვ. 53).

მაშასადამე, მოგზაური თვითონ არ დასწრებია დედოფლის წამებს. რაც შეეხება გრიგორიო ორსინოს, მ. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ „იმავე დომინიკანელმა გრიგორიო ორსინომ აგრეთვე აღწერა სპარსელებისაგან საქართველოს აოხრება და ქეთევან დედოფლის წამება, რადგან იმ დროებში, ესე იგი 1624 წ., ორსინო სპარსეთში იყო“<sup>59</sup>.

აღწერის ლათინური(?) ტექსტი ან მისი ქართული თარგმანი მ. თამარაშვილს არ გამოუქვეყნებია. არსებობს მხოლოდ მისი ინგლისური (გამოუკრეველია — სრული თუ ნაწილობრივი) თარგმანი.

რამდენიმე სიტყვა ამ გამოცემის გამოც (ვრცლად იმიტომ არ ვეხებით, რომ ჩვენი მონოგრაფიის თემასთან იგი უშუალოდ არაა დაკავშირებული, ხოლო შინაარსის მხრივ განმეორებაა ქეთევან დედოფლის წამების შესახებ სხვა იტალიელი მისიონერების ცნობებისა).

ქეთევანის მოწამებრივ თავგადასავალზე 1633 წელს ინგლისურად დაბეჭდა ცალკე გამოცემად ბერძნულიდან თარგმნილი „წერილი“, რომლის სრული სათაურია:

„A Letter, Relating the Martyrdome of Ketaban, Mother of Teimurases Prince of the Georgians, withall A notable Imposture of the Iesuites vpon that occasion: Sent From Gregorius Monke and Prief; Agent for the Patriarke of Antioch into the most holy and learned Abbot Sophronius.

Written first in Greeke, and now done in English.

Oxford,

Printed by Iohn Lichfield, An. D. 1633.

შემოკლებით:

„წერილი წამებულ ქეთევანზე, საქართველოს პრინცის თეიმურაზის დედაზე... გაგზავნილი ბერისა და მღვდლის გრიგორიუსისაგან, ანტიოქიის პატრიარქის მაცნისაგან. [მოვალეობის აღმსრულებლისაგან] უწმინდეს და უგანათლებულეს აბატ სოფრონიუსისადმი.

დაწერილი ჯერ ბერძნულად და ამჟამად გადაღებული ინგლისურად.

ოქსფორდი

დაბეჭდილი ჯონ ლიჩფელდის მიერ

ქრ. შ. 1633“.

გრიგორიუს ბერი ის „გრიგორიო ორსინია“, რომლის ცნობებს იმეორებს პიეტრო დე ლავალე. „წერილის“ ბერძნული დედანი ხელთ ჰქონია ინგლისელ მთარგმნელს. ამ ინგლისური დოკუმენტის შესახებ ცნობა ქართულად პირველად გამოვაქვეყნეთ 1954 წელს<sup>60</sup>.

აქვე დავუმატებთ, რომ ქეთევან დედოფლას წამების შესახებ არსებული უცხოეთის ლიტერატურის შესახებ პ. იოსელიანი 1846 წელს წერდა წიგნში „კახეთში მოგზაურობას ჩანაწერება“: «Из западных писателей вкратце пишет об ней Аббат Флерй в своей Церковной истории. Подробнее же можно читать и у других современных»<sup>61</sup>.

მეორე სქოლიოში კი მოჰყავს ცნობა (გვ. 85):

„[\*\*]. Histor Eccles. Tom. LIV. pag. 964. Вот его слова:..... Hujus gentis (Georgianorum) Christiani, praecipue nobiles, relicta patria, fortunsque suis, potius exilium subire, quam a vera fide deficere maluerunt. Nes minus in fide constantes sese exhibuerant hujus gentis matronae, quos inter praecipue eminuit Catharina [Керезань] Gurginorum Regina, quae a Chachaba Tyranno comprehensa, soto regio deturbata, ad religionis defectionem impulsa minis et poenis, illecta blanditiis, ac denique crudelissimis lacerata tormentis, animantibus ipsam Eremitis Augustinianis, martyrii coronam accipere promoverit.“

პირველი სქოლიო მე-86 გვერდზე;

„[\*] Appam. in annal. 1616, n. 9. Bisel. Med. Hist. Sept. III“

მეორე სქოლიოს (85 გვ.) ქართული თარგმანი:

[\*\*]. საეკლ. ისტორია. ტომი IV, გვ. 964. აი მისი სიტყვები:  
... ამ ტომის (ქართველთაგანნი) ქრისტიანები, ვანსაკუთრებით წარჩინებულნი, შენარჩუნებული აქვთ რა სამშობლო და თავიანთი სიმიდრე, ამჟობინებენ დაითმინონ დევნილობა, ვიდრე განუდგნენ ჰემმარიტ სარწმუნოებას. არანაკლები სიმტკიცე გამოუჩენიათ სარწმუნოების დაცვაში ამ ტომის ქალებს; რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამორჩეულ იქმნა კათარინა [ქეთევანი], გურგინელთა დედოფალი, მეფე შაჰ-აბასმა რომ შეიპყრო, მის სამეფოს მოსწყვიტა. აიძულა სარწმუნოებისაგან განდგომა სხვადასხვა სასჯელით, ლიქნით წააქეზა და ბოლოს ყოვლად უღმობელი საწამებელი იარაღით დაფლითა; ქეთევანი განაცხოველეს ავგუსტინელმა ერემიტებმა და წამების გვირგვინი დაედგა“<sup>62</sup>.

რაც შეეხება 86 გვერდის პირველ სქოლიოში მითითებულ წყაროს, იგი დასაძებნია.

საქართველოში ავგუსტინელების მისიონერულ მოღვაწეობაზე, კერძოდ ქეთევან დედოფლის თავგადასავლთან დაკავშირებით, მოგვიხსრობს ფრანგი მოგზაური-პროტესტანტი უან შარდენი (1649—1713). დასაუღეთ საქართველოდან იგი გორში ჩამოდის 1672 წ. 14 დეკემბერს და იმავე წლის 26 იანვრიდან 28 თებერვლამდე თბილისშია. შარდენი წერს: „გორი პატარა ქალაქია. გაშენებული ორ მთას შორის გაშლილ ვაკეზე, მდინარე მტკვრის ნაპირზე, ზორცვის ძირში, რომელზედაც ციხე-სიმაგრე დგას და რომელსაც სპარსელები იცავენ. იგი ააშენა სპარსეთის ჯარის მხედართმთავარმა როსტომ ხანმა გურჯისტანის უკანასკნელი ბრძოლების დროს, ორმოცი წლის წინათ. ერთმა ავგუსტინელმა მისიონერმა, რომელიც იმხანად გორში იმყოფებოდა, მისი გეგმა აიღო“<sup>63</sup>. თეიმურაზ I-ის მიერ შაჰ აბას I-თან ზავის დასადებად გაგზავნილი თავისი დედის ქეთევანის შესახებ შარდენი ამბობს, რომ „მისი მოწამებრივი ტანჯვის ამბავი აღწერილი აქვთ ავგუსტინელ ბერებს, რომლებიც ისტაპანში ცხოვრობდნენ“<sup>64</sup>. შარდენი თვითონაც მოგვიხსრობს წამების საშინელ დეტალებს.

იტალიელ მისიონერთა ინფორმაციებს ქეთევან დედოფლის წამებაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ევროპელებზე. ამას მოწმობს გრიგორი ორსინის „წერილის“ ინგლისური თარგმანი და XVII ს-ის გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია „ქეთევან ქართველი“, რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი<sup>65</sup>.

ასეთია, ძალიან მოკლედ, ავგუსტინელთა მოღვაწეობა საქართველოში<sup>66</sup>.

#### შენიშვნები

<sup>62</sup> ცხობრება პეტრე ქართველისა, იხ. ძველი ქართული ავოკრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბ., 1967, გვ. 227—228.!

<sup>63</sup> [იოანე რუფუსი], წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოსის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება, იხ. გორგოჯია, 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 265.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 266—267.

<sup>66</sup> იქვე, 266 შენ. 1. S. Petrus der Iberer. Herausg. u. übers. Richard Raabe. Lpz., 1895, გვ. 34, შენიშვნ. 1.

<sup>38</sup> გეორგიკა, 2, გვ. 267.

<sup>39</sup> იქვე, 268. შდრ. რუფუსის „ცხოვრება“. რააბეს გამ. გვ. 33—38.

<sup>40</sup> E. d. Schwartz, Iohannes Rufus, ein monophysitischer Schriftsteller, Heidelberg, 1912, გვ. 1—28.

<sup>41</sup> Paul Devos, Quand Pierre l'Îbère wint-il à Jérusalem? „Analecta Bollandiana“, 1968, Tome 86—Fasc. 3—4, გვ. 337—350. შემოკლებული ქართული თარგმანი ამ გამოკვლევისა იხ. ე. „ცისკარში“, 1983, № 3, გვ. 157—159: პოლ დევოს, როდის ჩავიდა პეტრე იბერი იერუსალიმში?

<sup>42</sup> D-r D. Gorse, Vie de sainte Melanie, P., 1962, Sources chretiennes, № 90. წიგნი დაბეჭდილია Vita-ს ბერძნული ტექსტი პარალელური ფრანგული თარგმანითურთ. თვითონ „ცხოვრების“ ბერძნული და ძველ-ლათინური თარგმანების აღმოჩენების, რეკონსტრუქციების და პუბლიკაციების ისტორია იხ. იქვე, გვ. 45—54. მელანიას ეწოდებოდა კარდინალ რამპოლას უზარმაზარი შრომა (M. Card. Rampolla del Tindaro. Santa Melania Cioniore, sinatrice Romana, Roma, 1905. „ლოკუმენტები და შენიშვნები“). მელანიას შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია იხ. დ. გორსის შემჯამებულ მონოგრაფიაში, გვ. 119—122 (დ. გორსისა და რამპოლას შრომები ზელოგიდან ჩამოგვიტანა პროფ. შიშელ ვან ესბროკმა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ).

კრძოლ იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“ (რომელიც 1912 წლამდე „ანონიმის“ თხზულებად ითვლებოდა) შესახებ დ. გორსი წერს, რომ მისი რუფუსისადმი კუთვნილება დაამტკიცა ე. დ. შვარტცმა (იხ. გვ. 60: „ეს გახლავთ ედ. შვარტცი, რომელმაც 1912 წ. დამტკიცა (a démoitire) ორივე ტექსტის („ცხოვრებისა“ და „პლერიფორიების“). ავტორის იდენტურობა და დაზუსტება მათი ქრონოლოგია“). „ბიბლიოგრაფიაშიც“ (გვ. 119) „პეტრეს ცხოვრება“ (რააბეს გამოცემა) შეტანილია, როგორც „იოანე რუფუსის ანუ ბეტ-რუფინას (იოანე მაიუმელის)“ თხზულება. ქართული მკითხველისათვის ედ. შვარტცის ექვემოთხაზული აღმოჩენის ხელახალი დამტკიცება კი ჩვენ დაგვიბრდა 70-იან წლებში (იხ. ჩვენი „არჩეული ნაწერები“, ტ. 1. თბ., 1977). დ. გორსის შრომა გვიან მივიღეთ, ბიბლიოგრაფიულად კი მის ვიცნობდით მხოლოდ პოლ დევოს ზემოთ ნახსენები ნარკვევის მიხედვით.

<sup>43</sup> Ep., XXIV და XXVI (Patrologiae Latina, t. 33; შდრ. დ. გორსი, გვ. 119; ჩვენს ხელთა ავეუსტინეს „ეპისტოლეთა“ სრული კრებულის შემდეგი გამოცემა: Sancti Aurelii Augustini Hipponensis Episcopi Opera Omnia... Tomus secundus, Parisiis, 1841 (შესულია სურამში Patrologiae cursus completus. Series prima, Patrologiae tomus XXXIII. S. Aurelii Augustini, tomus secundus, Parisiis, 1813, სვეტი 471—474; Epistola CXXIV(a)-აღბინასა, პინიანუსისა და მელანიასადმი. სვეტი 471 — 473; Epistola CXXVI(a)—აღბინასადმი. ორივე ეპისტოლე მიეკუთვნება 411 წ. აღბინას, პინიანუსსა და მელანიას ეხება ავეუსტინეს მიერ თავის მეგობარ ალიპიუსისადმი გაგზავნილი ეპისტოლე (იქვე: Epistola CXXV, სვეტი 474 — 476. ბარათების თარიღისა და შინაარსის მოკლე ანოტაცია იხ. ამ გამოცემის შესავალში, გვ. 36. ავეუსტინეს ეპისტოლეთა გამოცემების შესახებ დაწერ. Henri Marrou, Saint Augustin..., გვ. 174 და შენ. № 11. არასრული რუსული თარგმანი ავეუსტინეს ორი ეპისტოლესი აღბინასა, პინიანუსისა და მელანიასადმი იხ. В. Герье, Блаженный Августин, М., 1910, გვ. 220—223.

<sup>44</sup> დ. გორსი, დასახ. თხზ., გვ. 54—56: „ავტორი. იდენტიფიკაცია“; გვ. 56—60: „ავტორ-ტელისი, მონოფიზიტი“; გვ. 60—62: „ავტორ-ტელისი და მელანია“ (დ. გორსის ვერონტელის შესახებ დამატებით მასალად მოჰყავს ცნობები რუფუსის თხზულებებიდან „პეტრეს ცხოვრება“ და „პლერიფორიები“).

<sup>45</sup> Epistola CXXVI(a). ქართული თარგმანი ლ. ბ — ისა.

<sup>46</sup> В. Герье, Блаженный Августин, გვ. 216.

<sup>47</sup> იქვე, 217.

<sup>48</sup> იქვე, 218—223.

<sup>49</sup> M. Proujoulat, Histoire de Saint Augustin, Paris, 1845, t. I—II (t. II გვ. 130—136; Affaire de Pinien a Hippone).

<sup>50</sup> მელანიას ცხოვრების დაწერ. ვასაენობად იხ. დ. გორსის და კარდინალ რამპოლას ზემოთ დასახ. შრომები.

<sup>51</sup> შიშელ თამარაშვილი იხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 102—103. შდრ. იქვე ლათინური ტექსტი, გვ. 618—619. ვორში ავეუსტინეს

თა ეკლესიის სურათი-ჩანახატი ეკუთვნის 1624—1638 წწ. საქართველოში მოღვაწე, იტალიელ მისიონერ ღონ ქრისტოფოროს დე კასტელის და შესულია მის ვანთქმულ ალბომში (იხ. ღონ კრ. ს. ტოფოროს დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გამოცემა, თბ., 1977, გვ. 170; ეკლესიის სურათი. აქვს იტალიური წარწერა: „ნეტარ ავგუსტინის ეკლესია“ (გვ. 437). მთელი პანორამის წარწერა: „ჰორის ციხე და მისი მიდამო“ (გვ. 437). ავგუსტინეს ეკლესია ძალიან მკრთალად ჩანს (კასტელის მოღვაწეობის ვრცელი დახას. იხ. იქვე, გვ. 5—73).

აღსანიშნავია, რომ ავგუსტინელ ამბროჯო დელი ანჯელოს (ამბროზიოს) 1626 წელს შეუდგენია მოხსენება ქეთევან დედოფლის ტრაგიკული დასასრულის, მისი ნეშტის ნაწილის შირაზიდან კახეთში ჩამოტანისა და თეიმურაზ მეფესთან და დედოფალთან შეხვედრაზე (იქვე, გვ. 14).

ავგუსტინეს ეკლესიის სურათი დაუბეჭდილია აგრეთვე იტალიელი მისიონერის ჯუღიჩე მილანელის „წერილების“ ქართულ თარგმანში (იხ. ღონ ჯუღიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე იტალიური ტექსტი თარგმანით, წინასიტყვი გამოცემა და შენიშვნები და ურთო ბეჯან გიორგაძემ, თბ., 1964; დამატება-სურათი — გვ. 5. განმარტებანი — იქვე გვ. 126. კასტელი ჯუღიჩესთან იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში 30—40-იან წლებში.

პატრ ამბროზიოს შესახებ იხ. აგრეთვე M. Tamarati, L'Eglise georgienne des origines jusqu'à nos jours; Romae, 1910, გვ. 482 და შშდ.

<sup>52</sup> ღონ პეტრო ავტობიოგრაფიკული ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჯან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 39.

<sup>53</sup> იქვე, 57.

<sup>54</sup> იქვე, 57—58.

<sup>55</sup> ჯუღიჩე მილანელი, წერილები..., გვ. 58.

<sup>56</sup> იქვე, 79.

<sup>57</sup> შტრ. Tamarati, Op. cit., გვ. 527—531.

<sup>58</sup> დე ლავალეს მოხსენების სრული სათაური ფიქვია: *Informatione della georgia data alla santità de nostro signore Papa Urbano VIII da Pietro della Valle il piligrino l'anno 1627. [Roma].* შეტანილია წიგნში: Melchisedek Thevenot, *Relation de divers voyages curieux*, P., 1661, V. 1. აქედან უნდა იქნას აღიარებული სათაურით: „ამსილა საქართველოს ისტორიისათვის, მოგზაურის პეტრო დე ლავალეს მოხსენება საქართველოზე, პაპის ურბანო მერვესადმი, 1627“ („დღისი“, 1879, № 3, 29—64). რუსული თარგმანი გ. ვახუშტისა (იხ. Г. Казбек, *Италияныи о Кавказе «Кавказ», 1867 და 1868*). დე ლავალეს შესახებ უფრო დაწერ. იხ. М. А. Подиенков, *Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу*, Тиф., 1935, გვ. 189—190.

<sup>59</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიციზმისა... გვ. 8. შტრ. იქვე ცნობა პეტროს დე ლავალეს შესახებ, გვ. 87—88. აგრეთვე: კასტელი, ცნობები..., გვ. 9.

პეტროს დე ლავალეს „ინფორმაციონი“ გამოიყენა ვოთემ თავის „დასავლურ-აღმოსავლური დღიანი“ განმარტებებში (იხ. Goethe, *West-Ostlicher Divan*, 2. Noten und Abhandlungen, 1952. Academia-Verlag, Brln, გვ. 166). დე ლავალე ისაბანსა და შირაზში იყო 1618—1622 წწ. აქ გაეცნო იგი ქართველ ქალს თინათინ დი ციბას, შეირთო და მარიუჩა უწოდა (დაწერ. იხ. კასტელი, ცნობები..., გვ. 9. შტრ. Tamarati, Op. cit., გვ. 485).

<sup>60</sup> იხ. ჩვენი „ჩრდიული ნაწერები“, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 458—461: „უცნობი წერილი ქეთევან დედოფალზე“. იქვეა სხვა ბიბლიოგრაფიული ცნობებიც.

<sup>61</sup> Платон Иоселиани, *Путевые записки по Кавказу*, Тиф., 1846, გვ. 85.

<sup>62</sup> თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა.

<sup>63</sup> თან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), დრანგულიდან თარგმანი, გამოკლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1973, გვ. 295. შარდენის შესახებ. იხ. აგრეთვე: М. Подиенков, *Европ. путеш.*, გვ. 90—95.

<sup>64</sup> შარდენი, დასახ. შრ., გვ. 307.

<sup>65</sup> Andreas Gryphius [1616—1664], *Katharina von Georgien* (1657). ანდრეას გრიფიუსი, ქეთევან ქართველი. ანუ გაუტყვეული სიმტკიცე. გერმანულიდან თარგმანი ა. გელოვანმა, თბ., 1975.

<sup>66</sup> მონოგრაფიის ეს თავი უკვე დაწერილი გვქონდა, როცა 1982 წ. ე. „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია, № 4) გამოქვეყნდა ილია ტაბახაძის წერილი „ესპანელი“

ავტორი საქართველოში ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ“ (გვ. 148—156). იგი ეხება 1978 წელს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში ესპანურად დაბეჭდილ კარლოს ალონსოს წიგნს „ავგუსტინელი მისიონერები საქართველოში (XVII საუკუნე)“. კარლოს ალონსოს შრომა, როგორც ეს „მაინეში“ დაბეჭდილი სტატიდან ჩანს, დიდად ავსებს ჩვენს წარმოდგენას ავგუსტინელთა ჰოლანდიაზე XVII ს-ის საქართველოში, შეიქცავს ქოივეან დედოფლის ტრაგედულ ბეღზე უაღრესად საყურადღებო ცნობებს და სხვ. სტატიაში შეტანილი ბიბლიოგრაფიული ცნობებიც მდიდარია და ჩვენს თემასთან დაკავშირებით მკითხველის მიერ მისი გაცნობა აუცილებელია.

გვ. „კომუნისტის“ 1983 წლის 13 მარტის ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე საინტერესო სტატია ზურაბ აბაშიძისა და ილია ტაბაღაძისი — „კიდევ ერთი საბუთი ქოივეან დედოფლის შესახებ“ (გვ. 4). წერილში გადმოცემულია ავგუსტინეს ორდენის ბერების ურთიერთობა შირაზში მყოფ ქოივეან დედოფალთან, ამ უკანასკნელის წამება 1624 წელს, პორტუგალიელი ავგუსტინელების, აგრძოდ მამა ვილერმოსა და ჯერ კიდევ მ. თამარაშვილის წიგნით კარგათ ცნობილი ავგუსტინელი ამბროზიუსის (ამბროსიუსი), შესახებ და სხვ. ამბროზიუსი დასახელებულ სტატიაში მოხსენებულია „ამბროჯიო დე ლოს ანჭელესად“. აქვე დავემტკებთ, რომ ამ ამბროჯიოს შესახებ ცნობებს შეიქცავს მე-17 ს-ის I ნახევრის გერმანელი მოგზაურის ოლვარის (ოლვარიუსის) წიგნ რუსესისა და სპარსეთში მოგზაურობის შესახებ (Подробное описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, составленное секретарем посольства Адамом Олеарием. Перевел с немецкого Павел Барсов, Москва, 1870). ამ წიგნის 548 და 551 გვ.-ზე. აღნიშნულია თუ როგორ იხატულა შამახში ვერობელი ელჩი ერთმა კათოლიკე ბერმა, ავგუსტინეს ორდენის წევრმა ამბროსიუსმა: «Амвросий дос Анюс (Ambrosius dos Anios), родом Португалец, из Лиссабона» (გვ. 548). იგი თბილისიდან ჩასულა შამახში და იქ შეხვედრია ვოლშტინის საელჩოს წევრებს. ამბროსიუსის სკოლანია, გარდა მშობლიური, იტალიური და ლათინური ენებისა, ჭარბი თურქული და სპარსული (გვ. 548). ამბროსიუსი მოსწონებიათ საელჩოს წევრებს, რომლებთან მისი გამოთხოვების გამო ოლვარიუსი წერს: «...отец Амвросий, слезами на глазах распростился с нами и поехал из Шемахи в Тифлис к своей братии» (გვ. 551).

#### დამატება

მკითხველსათვის ავგუსტინეს პიროვნებისა (ცხოვრებისა) და მისი ძირითადი ნაწერების კრონოლოგიის გასათვალისწინებლად გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოსტილუსი, Vita Augustini, PL, 32 (გვარგველობით ლ. კაცაბაძის ქართული თარგმანით, ხელნაწერი).
2. Henri Marrou, Augustin et l'augustinisme, P., 1956, გვ. 21.
3. John J. O' Meara, The Young Augustine, London and New-York, 1980. 2-ed. (პირველხარისხოვანი ანალიზი „აღსარებებისა“).
4. Жизнь и творения Бл. Августина, Киев, 1855.
5. В. Герье, Блаженный Августин, М., 1910.
6. В. В. Попов, Личность и учение Бл. Августина, т. I, ч. I—2, Сергиев-Посад, 1915.
7. P. Brown, Augustine of Hippo. A Biography. L., 1967.
8. Roy W. Battenhouse, The Life of St. Augustine (კრებულში: Battenhouse. A Companion to the Study of St. Augustine. Oxford, 1955, გვ. 15—16 (მაბლიოგრაფიითურთ, გვ. 56).
9. Carl Andresen, Bibliographia Augustiniana, Darmstadt, 1973, გვ. 255—265.

ავგუსტინეს ცხოვრების ძირითადი თარიღები

354 (13 ნოემბერი) — დაბადება ქ. თავანტაში (ნუმიდია, ახლანდელი სუკარასი, ჩრდ. აფრიკა, ლივანდელი ალჟირის ტერიტორია). მამა პატრიციუსი, წარმართი, ქალაქის საბჭოს (მუნციპალიტეტის) წევრი, დეკურაონი; დედა — ქრისტიანი ქალი მონიკა. ავგუსტინე — მათი უფროსი ვაჟი.

ავგუსტინეს გარდა პატრიციუსს ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი — ნავიციუსი და ქალიშვილი.

361 (დაახლ.) — სწავლა ქ. თავანტის სკოლაში. ლათინურის გარდა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კურსის გაღვა (ლათინური ისწავლა ძიძისაგან); მეგობრობა ალიპსთან (ალიპუსი, შემდეგში ნუმიდიის არქიეპისკოპოსი).



369—370 — თავასტაში უქმად ყოფნის წლები.

370 (შემოდგომა) — გამგზავრება ქ. კართაგენში, მაშინდელი აფრიკის მთავარ აღმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში რიტორიკის (შქვერმეტყველების) შესასწავლად და სწავლების კურსის დასამთავრებლად.

371 (შემოდგ.) — მიმის პატრიციუსის გარდაცვალება. კავშირის გაბმა ხასასთან, რომლის სახელი უცნობია.

372 (ზაფხული) — უკანონო ვაჟის აღფოდატის დაბადება. ავგუსტინეს დიდად უყვარდა იგი. 16 წლის აღფოდატი ფიჯურირებს, როგორც მამასთან მოსაუბრე, ტრაქტატ-დილოგში „მასწავლებლის შესახებ“ (389 წ.) (იხ. „აღსარებანი“, IX, 6, 14).

372—373 — ციცერონის ტრაქტატის „პორტენზიისი“ კითხვა. ფილოსოფიით დაინტერესება. მანიქეველობისადმი მიქცევა (ორდენში ეყავა დაბალი რანგი: ავგუსტინე — *audito*). 9 წელიწადი ეკუთვნოდა მანიქეველთა წრეს.

373 — რიტორიკის პროფესურა კართაგენში. ასწავლეს მჭერმეტყველებას, ალბი — მისი ერთ-ერთი მსმენელი. დაბრუნება თავასტაში.

373—384 (შემოდგ.) — პროფესურა თავასტაში. ასწავლის გრამატიკას. დროებით გამგზავრება კართაგენში.

383 — შეხვედრა მანიქეველ ფავსტუსთან კართაგენში. პაექრობანი. ავგუსტინე თავს აღწევს მანიქეველობას. გამგზავრება რომში.

383—384 — პროფესურა რომში. ავგუსტინე — რიტორიკის მასწავლებელი.

384 — პროფესურა მედიოლანინში (მილანში). არქიეპისკოპოს ამბროსი მედიოლანელის გაცნობა. ავგუსტინე იმგნის მის ქადაგებებს მილანის ბაზილიკაში.

385 — ავგუსტინე — ოფიციალური ორატორი. შინა პაექრობანი.

385 — ზაფხული. დედის მონიას ჩასვლა მილანში.

386 — ავგუსტინე აღმოაჩინს ნეოპლატონისტურ ფილოსოფიას. „ენეადების“ კითხვა. პლოტინეს თვის პლატონის მოძღვრების უშუალო გამგრძელებლად.

386 (ივლისი) — პაველ მოციქულის ეპისტოლევა კითხვა. ღრმა შთაბეჭდილება.

386 (აგვისტო) — სცენა ბაღში. ავგუსტინე ცრემლებს ღერის საკუთარ შეცოლებათა გამო და იმგნს ბავშვის ხმას, რომელიც მოუწოდებს: „აიღე, წაიკითხე! აიღე, წაიკითხე“; სახლში მიბრუნებული ავგუსტინე ვადაშლის ვეანველეის და კითხულობს: „13. და, როგორც დღისით, მოვიქცეთ თავდაქრივლად, არა მსუნჯობით და ლოთობით, არა ლოკინებითა და თავამევეულობით, არა ჩხუბით და შურით. 14. არამედ შეინოსეთ უფალ ქრისტესად და ხორცზე ზრუნვა არ აქციეთ გულისთქმებად“ (რომ. XIII, 13, 13—14; „აღსარებანი“, VIII, 12, 29). მიდრეკილება სარწმუნოების გამოცვლისადმი.

386 (აგვისტოს ბოლო) — არდადეგები. გამგზავრება კასიციკუმში (მილანის შემოგარენი) დედა მონიასთან, ვე აღფოდატთან და რამდენიმე მეგობართან ერთად.

386 (შემოდგომა) — წარმართობიდან (პავანოზმიდან) ოფიციალური განდგომა. შრომები: „აკადემიკოსების წინააღმდეგ“ (3 წიგნი), „ნეტარი ცხოვრების შესახებ“ (1 წიგნი) და „წესრიგის შესახებ“ (2 წიგნი).

387 — მილანში დაბრუნება. კურთხევისათვის შხადება.

387 (24/25 აპრილი) — ავგუსტინეს ქრისტიანად კურთხევა ამბროსის მიერ მილანში. ავგუსტინესთან არიან აღფოდატი და ალბი. ამთავრებს წიგნს (დაწყ. 386 წ.) „Soliloquia“ („საუბარი თავისთავთან“); წერს შრომას „სულის უკვადავების შესახებ“ („დე იმპორტალიტატე ანიმე“, 1 წიგნი).

387 (ზაფხული—შემოდგომა) — მილანიდან გამგზავრება დედასთან ერთად. ჩასვლა ოსტიაში (ნავსადგური რომის ახლოს, ხელოთა შუა ზღვის სანაპიროზე).

387 (შემოდგომა) — დედის მონიას გარდაცვალება ოსტიაში. ღრმა სულიერი სიმძიმილი. რომში დაბრუნება.

388 — აფრიკაში დაბრუნება. თავასტაში ჩასვლა. ქონების გასაჩუქრება. მონასტრული ცხოვრებისათვის შხადება.

388—389 — ავგუსტინე წერს შრომებს: „სულის რკოდნობის შესახებ“ (1 წიგნი, 388 წ.); „მასწავლებლის შესახებ“ (1 წიგნი, 389 წ.); „მუსიკის შესახებ“ (4 წიგნი, 389 წ.); „თავისუფალი ნების შესახებ“ („დე ლიბერო არბიტრიო“, 3 წიგნი. დაწყ. 388 წ.—დათმ. 395 წ.); „კათოლიკურ

და მანიქეურ ეკლესიათა ჩვეულებათა შესახებ" (2 წიგნი, დ წყ. 388 წ.—დამთ. 389—390 წ.წ.); „მანიქეველთა წინააღმდეგ შესაქმნეს შეახებ" (2 წ. 383—389 წ.წ.); „83 სხვადასხვა კითხვის შესახებ" (1 წიგნი, 388—395/6 წ.წ.).

389 — აღმოსავლეთის გარდაცვალება.

388—391 — მონასტრული ცხოვრება თავისთვის ახლოს რამდენიმე მეგობართან და მოწაფესთან ერთად.

391 — გამგზავრება ქ. ჰიონში („პიო რევიუს", სამეფო ქალაქი), თავისტიდან რამდენიმე კლომეტრზე (დღევანდელი ალიკირის ტერიტორია). ჰიონის ეპისკოპოსის ვალერიუსისა და მოქალაქეთა თხოვნით ავეუსტინეს აყრუბთებენ მღვდლად (პრეპიტერად). ავეუსტინეს მოღვაწეობა ჰიონში, როგორც ვალერიუსის თანამეგობრისა და ლათინურ ენაზე მჭიდროდ მსახურობისა (ვალერიუსმა ლათინური არ იცოდა).

395 — ავეუსტინე — ჰიონის ეპისკოპოსი, გარდაცვლილ ვალერიუსის მემკვიდრე. 394—423 წწ. — ჰონორიუსი — რომის იმპერატორი.

396 — დონატისტ ეპისკოპოსთან ბეჭობა.

397 — იწყებს წერას გენიალური წიგნისა „აღსარება ი" („კონფესიონეს").

401 — ამოაგრებს „აღსარებებს".

404 — იწყებს წერას წიგნისა „ბაპტიზმის შესახებ" („დე ბაპტიზმო", დონატისტების წინააღმდეგ).

404—412 — წერს მრავალ პოლემიკურ-თეოლოგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებს. მათ შორის წიგნს „სულსა და ასოს შესახებ" („დე სპირიტუ ეტ ლიტერა", 412 წ.).

408—450 — თეოდოსი II, ბიზანტიის იმპერატორი.

410 — რომის ალბა ვუტების მიერ აღარბის მეთაურობით.

413 — იწყებს წერას თავისი უმათიური და მონუმენტური შრომისა „საღმრთო სოფლის შესახებ" („დე ცივიტატე დეი").

413—430 წ.წ. — შრომები და ეპისტოლეები სხვადასხვა მწველებლობის (პელაგიანობა, დონატობა, არიანობა, იულიანობა და სხვ.) წინააღმდეგ. კომენტარები რამდენიმე ვენეციურზე, ფსალმუნთა განმარტებანი, ლოცვათა კრებულები და სხვ. ბიბლიოლოგიის, ეთიკის, ცოლქმრული ცხოვრების და სხვა პრობლემათა შესახებ.

415 — წერს წიგნს „ბუნების და მადლის შესახებ" („დე ნატურა ეტ გრაცია").

419 — მოეწყო კართაგენის ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელიც მოწვეული იყო იმპერატორ ჰონორიუსის მიერ. ჰიონის ეპისკოპოსი ავეუსტინე და მისი სიყრძივანე ქუიანია, ნუ მილდის არქიეპისკოპოსი ალიბი — კრების ავტორიტეტული მონაწილენი (ი. ქართული აღაღა სჯულის კანონი").

425 — წერს წიგნს „მადლისა და თავისუფალი ნების შესახებ" („დე გრაცია ეტ ლიბერო არბიტრიო", 1 წიგნი).

426—427 — საკუთარ თხზულებათა რედაქცია. წერს უბრწყინვალეს შრომას „შესწორება ი" („რეტრაქტაციონეს", 13 წიგნი).

427 — ამოაგრებს გრანდიოზულ შრომას „საღმრთო სოფლის შესახებ" (22 წიგნი).

430 (ავგუსტო) — ჰიონის გარემოცვა ვანდალების მიერ ვენეციის მეთაურობით.

430 (28 აგვისტო) — ავეუსტინეს გარდაცვალება ჰიონში. ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი II-ის ემისარების ჩასვლა ჰიონში ავეუსტინეს მისაწვევად ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (431 წ.) დასაწერებლად (ამ კრებაზე გაიკვირა ერეტყისი ნესტორი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი). ემისარებს ავეუსტინე გარდაცვლილი დახვალა.

386—430 — ეპისტოლეები (შეიცავს მსჯელობებს თეოლოგიის, ეკლესიის, მორალის, ფილოსოფიის, ისტორიის და სხვ. საკითხებზე. ზოგი ეპისტოლე მთელ გამოცვლევას წარმოადგენს, მაგ. სამების ტრინიტეტის) და სხვადასხვა ერეტყელ მიმდინარეობათა შეხება).

## АКАКИЯ ГАЦЕРЕЛИА

## АВГУСТИН И ГРУЗИЯ

### Резюме

В монографии собраны материалы по следующим вопросам: I) Предысторическая Грузия в сочинениях Августина. Феномен Медея; II) Августин и августинизм в грузинской литературе; III) Тень Августина в биографии Петра Иверя; IV) Августиницы в Грузии.

I. Крупнейший представитель латинской патристики Августин (354—430) в своем монументальном труде «О Божьем граде» (413—426/7 гг.), в кратком обзоре античной мифологии упоминает (кн. XVIII, гл. 13) «О Фриксе и его сестре Гелле, которые летали на овне». Это свидетельствует о том, что Августин хорошо знал сказания об аргонавтах, прибывших в Колхиду (Зап. Грузия). Относительно же Медее в сочинениях «Самособеседование» («Soliloquia», 486/7 гг., кн. II, гл. 15) и «Исповедь» (397—401 гг., кн. III, гл. 6), вспоминая о своем увлечении манихейством, Августин замечает, что он «часто декламировал стихи об улетевшей на колеснице [запряженной крылатыми драконами] Медее, но не верил в истинность самого события, а манихейским басням поверил» (Августин имеет в виду (?) традицию, идущую от финала знаменитой трагедии Еврипида). Вполне вероятно, что Августин таким же образом сочувствовал Медее, как и своей любимой Дидоне — героине «Энеиды» Вергилия.

II. Эхо августинизма часто звучит в древнегрузинской литературе в отдельных образцах и переводах из византийской теологической литературы, особенно в той части духовной письменности, которая известна под названием «полемики». В этой главе данной монографии дается краткий обзор частично изданных в наше время памятников. В первую очередь следует упомянуть трактат «О врожденном и предопределенном добре и зле», переведенный с греческого на грузинский «не раньше X века» (К. Кекелидзе) и ошибочно приписываемый Иоанну Златоусту. В этом сочинении рассмотрено и отвергнуто учение Августина о свободной воле человека, не способного без помощи и благодати Бога сотворить добро, — вопрос, который всесторонне рассмотрен иппонским епископом в своих книгах: «О свободной воле» (388—394/5 гг.) и «О благодати и свободной воле» (425 г.). Грузинский перевод анонимного византийского автора опубликовал И. Джавахов (И. Джавахишвили) в 1914 г. в журн. «Христианский Восток» (т. I, вып. II, с. 275—280).

Общий обзор августинизма в древнегрузинской литературе принадлежит К. Кекелидзе (см. его «Историю древнегрузинской литературы», т. I) В последнее время в печати появились публикации древнегрузинских переводов отдельных фрагментов из сочинений Августина. Так, в одном антимонашеском сборнике приводятся цитаты Августина о двух естествах Христа. Арсен Икалтойский (XI—XII вв.) перевел трактат и диалоги христианского писателя-араба Абукуры (VIII—IX вв.), в которых, между прочим, процитированы те места из произведений Августина, где ведется рассуждение о троичной природе бога. Особенно важное значение имеет книга «Великий номоканон» (883 г.), «канонический кодекс православной христианской церкви», переведенный тем же Арсеном Икалтойским в конце XI в. (книга издана в Тбилиси в 1978 г.). В этом монументальном памятнике перечисляются 138 канонов Карфагенского местного церковного Собора, на котором выступал иппонский епископ Августин, утверждавший силу принятых законов. В вышеназванном сочинении имя Августина часто упоминается наряду с именами других африканских епископов, приехавших в Карфаген из Нумидии, например, Валентин, Посидий (друг и биограф Августина), Алиний (епископ Тагасты и друг Августина с юношеских лет) и др. В переводе книги часто цитируются высказывания Августина по различным вопросам церковной дисциплины.

В 1944 году проф. И. Абуладзе опубликовал (вторичная публикация 1946 года принадлежит К. Кекелидзе) агиографическое сочинение VII века «Чтения для празднеств» (перевод с греческого), содержащее слова Августина о дате рождения Христа, а также о крещении и рождестве Христа. Вопросы о свободной воле касаются «Житие Феодана Эконома», помещенное в грузинском переводе сборника сочинений агиографа XI в. Иоанна Ксифилина.

В превосходном очерке «Сведения о Сибилле и о ее книгах в древнегрузинской литературе» («Этюды», т. II) К. Кекелидзе указывает на известное место в сочинении Августина «О божьем граде» (гл. XVIII, 23), где упоминается о Сибилле Еритрейской и ее пророчествах.

В конце данной главы настоящей монографии дается общий обзор остальных сведений об Августине и приведен перечень сочинений тех представителей грузинской литературы и философии, которые так или иначе касались произведений Августина или вопросов его мировоззрения в XVIII, XIX и XX веках.

III. Глава «Тень Августина в биографии Петра Ивера» посвящается вопросу отношения Августина к св. Мелании и ее мужу Пиниену, представлявших высшую римскую аристократию и прибывших в Африку, в родной город Августина Тагасту, для свидания с прославленным святым — иппонским епископом. В Иппоне муж Мелании, богатый римлянин Пиниен, был крещен пресвитером (священником), после чего супруги отправились в Иерусалим, где основали монастырь, а Мелания становится христианской святой. В 437 г. Мелания приезжает в Константинополь (6 апреля) во время обручения дочери императора Феодосия II Евдокии с молодым римским императором Валентинианом III. В Константинополе Мелания встречается с 25-летним грузинским царевичем Набарнутом и его другом Митридатом Лазом, которые после возвращения Мелании в Иерусалим отправляются туда же (в конце 437 г. — начале 438 г., как это точно установил известный болландист Поль Дево). В Иерусалиме их радушно принимает св. Мелания, а священник-монофизит Геронтий (Геронтиос) постригает в монахи прибывших царевича и его друга — первый из них принимает имя Петра, а второй — Иосифа (Иоани Евиух). Таким образом, великая поклонница Августина Мелания становится покровительницей впоследствии известного аскета Востока Петра Ивера и его крестного отца Митридата-Иоанна.

IV. В главе «Августинцы в Грузии» дается краткий обзор миссионерской деятельности августинцев и других итальянских священников-монахов, а также путешественников в Грузии в XVII—XVIII вв. (августинцы-монахи: Амброзио, Пиетро Ави-табилле, патер Джудиче Миланский, Пиетро де Лавалле, художник Кристофоро де Кастели и др.). В труде приведены сообщения о церкви августинцев в гор. Гори (XVII в.) и другие материалы из специальных грузинских и иностранных источников и исследований.

В конце монографии помещен хронологический указатель жизни и творчества Августина (на основе трудов Г. Марру, П. Броуна, К. Андерсена, О'Меара, Баттенгауза и др.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
 ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის გან-  
 ყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის აკადემიკოსმა ა. ზარამიძემ

დავანა მელიქიძის მიერ

ზომი სპავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის  
წარმოშობისათვის ძველ ქართულში

1. ძველი ქართული ენის ძეგლებში, განსაკუთრებით, ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში, ხშირად უხედებით სპეციალურ საკავშირებელ სიტყვებსა თუ ნაწილაკებს, როგორცაა: ვ ი ნ ა მ / ვ ი ნ ა მ ე ე / ვ ი ნ ა მ ც ა, ვ ი - დ რ ე მ ე, უ კ უ ე, მ ა შ ა<sup>1</sup>. მათი დანიშნულებაა ლოგიკური კავშირის დამყარება წინამძველ მსჯელობასთან, დასკვნითი დებულების დაკავშირება წინამძღვრებთან, წინამძველი აზრის დადასტურება, განვითარება ან ახსნა, ან კიდევ მსჯელობის ერთი საგნიდან მეორეზე გადასვლას ჩვენება-მინიშნება. ისინი შეესაბამება ძველ ბერძნულ *μαζ, ζε, μεν, ουν, εν, ουν* საკავშირებელ ნაწილაკებს და თანამედროვე ქართულში მათ ნაცვლად იხმარება *ამ გ ვ ა რ ა დ, მ ა შ, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ა ს ე, ა ს ე რ ო მ, ა მ ი ტ ო მ, ა ს გ და ა მ - რ ი გ ა დ და სხვა*.

ზემოთ ჩამოთვლილ ბერძნულ ნაწილაკებს ძველ ქართულ ძეგლებში შეესაბამება აგრეთვე შემდეგი ნაწილაკები: *ს ა დ ა მ ე / ს ა დ მ ე / ს ა მ ე, ნ უ უ კ უ ე, ნ უ უ მ ე*. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილაკები ზოგჯერ საერთოდ გამოტოვებულიცაა თარგმანში, რადგანაც ისინი ხშირად დაცლილნი არიან გარკვეული მნიშვნელობისაგან, თუ შეიძლება ითქვას, „ცარიელი ნაწილაკებია“ და მათ გამოყენებას მხოლოდ ფორმალური, სტილური დანიშნულება აქვს<sup>2</sup>. ამიტომ მათი ამოღებით აზრს „დაშლა და ენება არ შეემთხვევა“: *Πηξ οιν ε να; αχινε; Μοι τειε; λρυειε; τειτσειε... Omnis e r g o, qui eudit verba Mea haec et facit ea... И т а к, всякого, кто слышает слова Мои сию и исполняет их... ყოველმან, რომელმან ისმინეს სიტყუანი ესე და ყენეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა მას გონიერსა... (მ., 7,4)*.

როგორც ვხედავთ, ეს ნაწილაკი ქართულ თარგმანში გამოტოვებულია და მისი საჭიროება არც იგრძნობა. სხვა მაგალითი: *Τη σπατα;μαςουις μεταν; λ;χρηται, τβ μεν ε παρβ; μαρτυ; τβ μεν ε αχρυφισαν (Dial. 1; 86)*.

ეფრემი

ნართალის ორ სახედ ითქუმის:  
პირველად გუამოვნებით და  
მეორედ — შესმენით (დიალ. 10,1)

არხენი

ორ-სახედ ითქუმის ქუედმდებარე:  
ერთი ვიდრე მე მყოფობით, ხოლო  
სხუად-იგი — შესმენით.

<sup>1</sup> დ. მელიქიძის მიერ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968, 133—142.

<sup>2</sup> სწორედ ასეთ კავშირებს უწოდებს ანტონი „მეტნობით“ კავშირებს: „რომელიმე ითქმინა მეტნობით აღ, რამეთუ არა რაღვესა დაწინაშენ სიტყუათა შინა, რომელიცა კავშირებენ, ვარსა არცა დაისმინა განრჩეულადრე სჯარებად, არამედ მეტნობით აღ, ანუ ჩტ-სულებსათეს, ანუ კეთილ-შეწრლ-მეტყულებისათეს, და ანუ თუ ადგილ დაწყებისათეს სიტყუათა შემდგომით: უკუმ... მცა, რე... და სხუანი“ (იხ. ქართული ლრამბტიკა, 1885, გვ. 112).

ფერემ მცირეს, როგორც ვხედავთ, საერთოდ არ უთარგმნია *ქან* ნაწილაკი, არსენი იუალთოელს კი მის შესატყვისად ვიდრე მე ნაწილაკი უხმარია, *მე* საწილაკი ორივე მთარგმნელს გამოუტოვებია.

ერთსა და იმავე კონტექსტში ხმარებულ რამდენიმე ამგვარ ნაწილაკთან ზოგი შეიძლება დატვირთული იყოს გარკვეული მნიშვნელობით, ზოგი კი საჭიროების გარეშე, ფორმალურად იყოს ნახმარი. ავიღოთ მაგალითი ეფთჳმე მთაწმიდლის „წინამძღვრიდან“: იმის დასამტკიცებლად, რომ ბუნება და პირი ერთი და იგივე არ არის, მწვალბებელთა წინააღმდეგ მოყვანილია მთელი რიგი მაგალითებისა, მათგან გამომდინარე დასკვნებითურთ, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწყება უკუე ნაწილაკით („ამგვარად, მაშასადამე“). მაგრამ იქვე ეს ნაწილაკი უფუნქციოდაცაა ნახმარი:

„ოდეს ნოვე დაწყება ქამ, ძე მისი, სამთავე ძეთა ბუნება დაწყება, ანუ ერთი იგი პირი ქამისი? ცხად არს, ვითარმედ ერთი იგი პირი ქამისი დაწყება. ჩანს უკუე. ვითარმედ არა ერთ არს ბუნება და პირი. ოდეს ენუქი მიიცუალა, ყოველი ბუნება კაცთა მიიცუალა, ანუ ერთი იგი პირი? ცხად არს უკუე. ვითარმედ ერთი იგი პირი ენუქისი. ჩანს უკუე, ვითარმედ არა ერთ არს ბუნება და პირი“ (A 240, 126v).

დასახელებული ნაწილაკები ზოგჯერ წყვილ-წყვილადაც იხმარება, ჰენდიადისის სახით, შესაძლებელია, მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნითი დებულების უფრო მეტად ხაზგასმის მიზნითაც:

„უკუეთუ ბოროტი იგი მათი ბუნებითი არს, ღმერთი დამბადებელი ვიდრე მე არს ბოროტისაჲ! და უკუეთუ ბოროტი ნებითა მათითა არს, ცხოველნი ვიდრე მე უკუე არიან იგინი და აქუს მათ ნებაჲ და იძრვიან იგინი კელმწიფებითა თავისა თვისსაჲთა?! (ექუსთა, უძვ., 87, 7—10); „ხოლო უკუეთუ ნესით განბოროტდებიან, პირველად უკუე ვიდრე მე არიან იგინი ცხოველნი მნებებელნი“ (ექუსთა, უძვ., 72, 9); „და კუალად, უკუეთუ დაწყებაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ არა ჩუნგან არს, არამედ უნებლებით ზედა გუაც ჩუნ შობითგანვეო, ტყუვა ვიდრე მე უკუე შკულმან, რაჟამს იგი განასაზღვრა და თქუა, ვითარმედ კეთილი და ბოროტი ჩუნგან არსო“ (ექუსთა, უძვ., 87, 25—27); „ვიჩაჲცა ნათესავი ვიდრე მე და სახე რაჲარსობით შეისმინებინ“ (დიადი, II, 2); „ვიჩაჲცა ეგერა განწვალებულისა ნათესავისაგან განსაზღვრელობითი გამოირჩევს საქმართა განსაზღვრებისა მიმართ“ (S 2562, 120r).

ასევე, ერთი მხრივ, მაშა და მეორე მხრივ სადამე ნაწილაკები გვხვდება ცალ-ცალკე და სინონიმური წყვილის სახითაც. მაშა, ჩვეულებრივ, კორელატი სიტყვის როლს ასრულებს პირობითი დამოკიდებული წინადადების მიმართ მთავარ წინადადებაში:

„აწ უკუეთუ თითოვეული მცენარეთაჲ მათ იზარდების ნოტიისაგან და ქუეყანისა,... მაშა რაჲსა საკრველ არს სიტყუაჲ ჩუნნი აღდგომისათუს ყოველთა კაცთაჲსა“ (კაც. აგ. 212, 25—29); „მაშა, უკუეთუმცა იბოვა ვინმე კაცი, რომელმან იცოდნა წიგნი პირველნი, რაჲ არს შეტყუებაჲ მისი და სიცრუვისა მისისაჲ?“ (ბალავ., 74, 10); „თუ ესე ესრეთ, ვითარცა ზენა იჩუნა, მაშა იყოს შემდგომად ერთისა ყოველი სიმრავლე“ (ი. პეტრ., II, 27, 27).

-მე ნაწილაკდართული სად(ა) ზმნიზედა ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება:

ა) -მე ნაწილაკს შეიძლება კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია ჰქონდეს და

ს ა დ ა მ ე ასეთ შემთხვევაში კითხვითი სიტყვის (ზმნიზედის) როლს ასრულებს კითხვითს წინადადებაში:

„ს ა დ ა მ ე არს ადამ, რაათა მილხინოს მე კირთა ამათ შინა ჩემთა? (ცხ. აღამ., 5).

ბ) -მე ნაწილაკს შეიძლება განუსაზღვრელობითი ფუნქცია ჰქონდეს და მაშინ ს ა დ ა მ ე სიტყვა „ს ა დ მ ე, ო დ ე ს მ ე, ზ ო გ ჯ ე რ“ განუსაზღვრელი ზმნიზედის მნიშვნელობის მატარებელია. სწორედ ამ მნიშვნელობით ვხვდებით მას იოანე პეტრიწის ნაწერებში:

„რომელთამე შორის საზღვარი დაუძლიერდების შესაზღვრებასა შორის, ხოლო ს ა დ ა მ ე — უსაზღვრობაჲ“ (ი. პეტრ., I, § 159, 96, 8--9); „ამათ მიერ ორკერძოვე სწორებით ს ა დ მ ე ვინმე აქოს დიდი ბასილი“ (ი. პეტრ. II, ბოლოს., 225, 28).

ძველი ქართული ენის ძეგლებიდან მსგავსი მნიშვნელობით ს ა დ ა მ ე სიტყვის მაგალითები საკმაოდაა დამოწმებული ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“.

გ) -მე ნაწილაკიანი ს ა დ ა ზმნიზედა (ს ა დ ა მ ე, ს ა დ მ ე, ს ა მ ე) ზემოხსენებული საკავშირებელი სიტყვის როლს ასრულებს წინადადებაში. ამ ფუნქციით მას ძალიან ხშირად ხმარობს ამონიოს ერმიასის მთარგმნელი:

„საჲმარ ს ა დ მ ე არს ფილოსოფოსობისასა განსაზღვრებისა თქუმაჲ“ (S2562, 71v); ზეἰ τοῖναισ ἡμετέροις; ἡμεῖς ἄριστοι (Ammon. 1,10); „სათანადო ს ა დ მ ე არს ფილოსოფოსობისასაცა განსაზღვრებისა სწავლაჲ“ (S 2562, 71r); ზეἰ οἷν κχι ἡμῖ; ἡμεῖς ἄριστοι; ἄνθρωποι ἡμεῖς ἄριστοι (Ammon, 1,15); უწყებად ჭერ არს, ვიდრემე ვითარმედ სხუანი ს ა დ მ ე ზედმიწევნულობანი და გელოვნებანი კერძობითთა რათთვსმე შთამოვლენ“ (S 2562, 71v).

ეფთვემ მთაწმიდელიც საკმაოდ ხშირად ხმარობს მას საკავშირებელი ნაწილაკის ფუნქციით:

„უკუეთუ ვნებული ოდენ არს, არა ს ა დ ა მ ე ღმერთი არს ქრისტე, და უკუეთუ უვნებელ ოდენ არს, არა ს ა დ ა მ ე კაცი არს ქრისტე“ (A 240, 158v).

იოანე პეტრიწის ნაწერებში კი ამ ფუნქციით ნახმარი ს ა დ /ა/ მ ე ნაწილაკის მოძებნა ძალიან გაჭირდა: „უკუეთუმცა ს ა დ მ ე საჲმარ მისდა იქმნა ესევეთარი აღმთხზველობაჲ“ (ი. პეტრ. II, ბოლოს., 224, II).

უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებშიც შედარებით იშვიათადაა იგი ამ მნიშვნელობით დადასტურებული (უფრო ს ა მ ე ფორმა გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ფუნქციით): „და აწ უკუეთუ ბირველისა მიზეზისათეს ჰყავ ესე, უკუე გიცნობიეს ს ა მ ე იგი საქმით, რამეთუ მადლითა ღმრთისათა შეურაცხვეთვ ყოველსა სიკუდილსა, რომელი სიყუარულისა მისისათეს იყოს“ (მამ. ცხ. 130, 29--32); „აწ სთქუა ს ა მ ე, რაჲ-მე არს სიტყუაჲ ესე ხარებისათეს თქუმული“ (კაც. აგ. ძვ., 178, 1).

სწორედ ამ მნიშვნელობის ს ა დ ა მ ე და მ ა შ ა ნაწილაკების მრჩობელი ხმარების შემთხვევებს ვხვდებით ეფთვემ მთაწმიდლისეულ „წინამძღვარში“:


„უკუეთუ ერთი ბუნება არს ქრისტესი, შეზავებული ღმრთეებისაგან და კაცებისა, ხოლო ქრისტე თანა-არსი მამისა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე მამასაცა შე-

ზავებულსა იტყუთ ღმრთაებისაგან და კაცებისა“ (A 240, 56v); „უკუეთუ ერთი ბუნება აქუს ქრისტესა, ღმრთაებისა და კაცებისაგან შემზადებული, მაშა არა სადამე ერთ-არსება არს მამისა თანა და ერთი ბუნება, ვითარცა თქუნ იტყუთ“ (A 240, 152r).

ამგვარად, მაშა და სადამე ნაწილაკთა ერთად ხმარების შედეგად წერწყმის გზით ჩანს მიღებული საკავშირებელი სიტყვა მაშასადამე, რომელიც დამკვიდრდა კიდევაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვათაგან თანამედროვე ქართულში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ავტორთან ან ამა თუ იმ ძეგლში ეს ნაწილაკები მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება. ასე, მაგალითად, „ემქუსთა დღეთას“ და „კაცისა შესაქმისათჳს“ ძველი ქართველი მთარგმნელი ხშირად იყენებს როგორც უკუე, ისე ვიდრემე ნაწილაკებს; ეფთჳმე მთაწმიდელი, ჩვეულებრივ, უკუე ნაწილას ხმარობს, მასთან ვხვდებით აგრეთვე სადამე ნაწილასაც; ეფრემ მცირესთან ძალიან ხშირად ვხვდებით უკუე ნაწილას, იშვიათად — ვინაჲს; არსენი იყალთოელიც ძირითადად უკუე ნაწილას იყენებს, მაგრამ მასთან ვხვდებით აგრეთვე ვიდრემე და ვინაჲცა ნაწილაკებსაც; იოანე ტარიჭისძე ხშირად ხმარობს როგორც უკუე, ისე სადამე ნაწილაკებს, იშვიათად მასთან ვიდრემესაც შეხვდებით; იოანე პეტრიწი თანაბრად ხშირად იყენებს უკუე, ვიდრემე, ვინაჲ (ვინაჲმე) ვინაჲვე ნაწილაკებს. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნაწილაკები აღრიხდელ ორიგინალურ ძეგლებში შედარებით იშვიათად იხმარება. მათი მოხშირება დაკავშირებულია ბერძნულიდან უფრო გვიან (X—XIII სს-ში) ნათარგმნ ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიური ხასიათის ძეგლებთან, რაც ამ უკანასკნელთა ეანრობრივი სპეციფიკით აიხსნება.

ლოგიკური კავშირის დასამყარებლად წინამავალ მსჯელობასთან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვებისა, იოანე პეტრიწის რამდენიმეჯერ აქვს ნახმარი ნუუმი ნაწილაკი, რომელიც სხვა ავტორებთან თითქოს არ ჩანს. თავისი „განმარტების“ I თავში, განიხილავს რა არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებულ „სიტყვიერების“ (ლოგიკურ) კანონებს, იოანე პეტრიწი გეთავაზობს სილოგისმის სქემას (იხ. ტ. II, გვ. 11):



ეს სქემა შემდგენიარად იკითხება:

<sup>2</sup> ხელნაწერშია „თვთომღრეკისათჳს“, რაც ლაფსუსია.



1. ყოველი ცხოველი არსება  
ყოველი კაცი ცხოველია.

2. ყოველი თვითმობრავი უკვდავია  
ყოველი სული თვითმობრავია.

მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა

მაშასადამე, ყოველ სული უკვდავია.

საშუალო ტერმინებით (ცხოველი, თვითმობრავი) ერთმანეთთან დაკავშირებულია ორგორი კიდურა ტერმინი (კაცი—არსება და სული—უკვდავი) და წინა ორი წანამძღვრისაგან გამომდინარეობის გზით მიღებულია ახალი მსჯელობა-დანასკვი, რომელსაც წინ უძღვის ლოგიკური გამომდინარეობის მაჩვენებელი სიტყვან უუმე. იგი ბერძნული ჰჰ ნაწილაკის ბადალია, რაც ჩანს ამონიოს ერმიასის თხზულების შემდეგი ადგილიდან: (რომელიც, თავის მხრივ, პლატონის „ფედროსიდან“ ამოღებული მსჯელობაა და, ისევე, როგორც პეტრიწთან, სილოგიზმის სახითაა წარმოდგენილი): Ἡ ψυχὴ ἀμῶναιαυται, τὸ ἀμῶναιαυτὸν ἀμῶναιαυται, τὸ ἀμῶναιαυτὸν — ἀμῶναιαυτὸν, ἢ ψυχὴ ἄρα ἀμῶναιαυτὸς (Ammon. 35): „სული თვითმობრავია, თვითმობრავი—მარადმობრავი, მარადმობრავი—უკვდავი, მაშასადამე სული უკვდავია“.

ნუ უუმე ნაწილაკი ამავე მნიშვნელობით კიდევ სამიოდეჯერ გვხვდება იოანე პეტრიწის „განმარტებაში“. ამასთან, ერთხელ — სინონიმურ წყვილში ვინაა ნაწილაკთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას:

ყოველსა შედგმულსა მარტივნი ეწინაებთან და ყოველსა სიმრავლესა ერთი დაუპირველდების, ვინაა ნუ უუმე პირველი შედგმული ერთთაგან (ი. პეტრ., II, § 6, 30—34); შედგმული პირველი ერთთაგან პირველთა, ხოლო ერთნი პირველნი ერთისაგან უპირველოსა და თვთ ყოველთა პირველისა, ნუ უუმე და პირველი შედგმული ერთისა მიერ წესთაჲსა (ი. პეტრ., II, § 6, 30, 25); ხოლო რიცხუნი ერთისა მიერ, ნუ უუმე და ყოველნი თხზვანი და რთვანი ერთისა მიერ (ი. პეტრ., II, § 2, 19, 19).

ნუ უუმე ფორმატ შედგენილი ჩანს ორი ნაწილაკისაგან: უარყოფითი ნუ და განუსაზღვრელობითი მუ ნაწილაკისაგან, რომელიც ჩვეულებრივი შემადგენელი კომპონენტია ამგვარი საკავშირებელი სიტყვებისა (ვიდრე-მე, ვინაა ე-მე, სად-ამე, ნუ-უმე) და ისევე ხელოვნურადაა შედგენილი ბერძნული ნაწილაკების შესატყვისად, როგორც ისინი\*. თითქოს აუხსენია ის, რომ ეს უარყოფითი ნუ ნაწილაკის შემცველი ფორმა უარყოფითობის გააგებისაგან დაცლილია, მაგრამ იგი ამ მხრივ მარტო არა დგას. ანალოგიურადაა შედგენილი ნუ უკუმე ნაწილაკი, რომელსაც ასევე არა აქვს უკუმე-მითი გაგება. იგი ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში შესაძლებელ-სავარაუდებელი მნიშვნელობით („ეგების, შესაძლოა, იქნებ, ალბათ, ვითუ“): მაგ.: „ნუ უკუმე უკვრდეს მრავალთა ვითარ მყის დაედუმენ“ (ექუსთა დღ. წაჯ, может быть); „და იწყეს ვზასა მიმოსლვად, ნუ უკუმე უბადრუთა ღონე რამე ყონ გზისა მის მიმავალ-მომავალთათეს“ (მამ. ცხ., 130, 23—24); მან შეიძლება შეითავსოს „ხოლო“, „კი“ კავშირის მნიშვნელობაც: „ხოლო ამას გუასწავებს ჩუენ არა თითითა მსუენებელი, ვითარმედ ესე უკუმე ძელი, ხოლო ესე ნუ უკუმე ქუაჲ არს, არამედ კმათა რათმე მიერ“ (S 2562, 243r).

აღსანიშნავია, რომ ნუ უკუმე ნაწილაკს იოანე პეტრიწი ჩვენთვის საინტერესო, ლოგიკური (მაშასადამე) კავშირის მნიშვნელობითაც ხმარობს:

\* თუმცა არის შესაძლებლობა მისი ნუ-უმე („იქნებ“) ნაწილაკთან დაკავშირებისაც. ამ ფორმას ნემსიოს ემესელის პეტრიწისავე თარგმანში ვხვდებით: არამედ და ნუ-უმე და თქუას ვინმე, ვითარმედ... (ნემს., 19, 17). მაგრამ უფრო აშკარაა და ნათელი მისი ნუ-უმე ნაწილაკთან ანალოგია, რასაც ნუ და მუ ნაწილაკებს შორის შემაკავშირებელი უ ხმოვანი (ნუ-უმე) უნდა ადასტურებდეს.

„თუ ასაკი ცხოველთაა წელიწადისადა არს დამოკიდებულ, ხოლო წელიწადი ყოველი წამია, ნ უ უ კ უ ე ასაკი ყოველი წამისადა დამოკიდებულ არს და განიზომების მის მიერ (ი. პეტრ., II, 109, 10—12). ნ უ უ კ უ ე ფორმა ამ შემთხვევაში ერთ მთლიანობას წარმოადგენს, დაუნაწევრებელია: ნუ და უ კ უ ე ნაწილაკებს აქ დაკარგული აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ისინი შერწყმულადაც უნდა იწერებოდეს, რასაც ვერ ვიტყვით სახარების შემდეგს მაგალითზე, რომელშიც ნ უ და უ კ უ ე ნაწილაკების დამოუკიდებელი მნიშვნელობა ექვს არ იწვევს და ისინი ცალ-ცალკე უნდა დაწეროთ: „ნუ უკუე გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს“ (მ. 10, 26). *Μη οὖν φοβῆσθε· ἄνθρωποι γὰρ ἴσασιν τὰ κρυφά, ἀλλὰ ἐγὼ οὐκ ἴσασιν.* Ne ergo timueritis eos: nihil enim est opertum, quod non revelabitur. И так, не бойтесь их: ибо нет ничего сокровенного, что не открылось бы.

საინტერესოა ნ უ უ მ ე ნაწილაკის საბასეული განმარტება, საიდანაც ჩანს, რომ დიდ ლექსიკოგრაფს იგი ისეთივე შედგენილობისა და მნიშვნელობისად მიაჩნია, როგორც არამედ: „ნ უ უ მ ე—არა უ კ უ ე არს, არამედ მაგავსი რამე მისი, ვითარცა არამედ ი“... ლექსიკონის ერთ-ერთ ნუსხაში კი წყაროცაა მითითებული (ნემესისი), საიდანაც ჩანს, რომ საბას ეს სიტყვა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას“ პეტრიწისეული თარგმანიდან ამოუღია. აი ეს კონტექსტებიც: „რამ ვინაჲმე არს წინააღრჩევამ? ნ უ უ მ ე და ნ ეფსითად ვინაჲმე არს: 134,5 *τί ἄρα ἐστὶν ἡ πρόαιρέσις; Ἄρα τὸ ἐκείνου* Quid ergo est electio? An, quod sponte fit... (Patr. gr. t. 40, c. XXXIII); И так, что такое выбор? Может быть тоже, что и произвольное? (Влад. 154) არამედ ნუ უ მ ე და წაიღო არს წინააღრჩევამ? 134, 20 *Ἄρα ἴσῃς ἡρέσις ἐστὶν ἡ προαιρέσις; An igitur appetitus est electio?* (იქვე); Но может быть выбор есть желание? (Влад., 154).

საბა შემთხვევით არ უნდა აკავშირებდეს ნ უ უ მ ე ნაწილაკს არამედ ფორმასთან: მის შემჩნეული და გააზრებული აქვს მათი მაგავსი აებულება: უარყოფითი ნაწილაკები ნუ და არა + მე კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკი. ოღონდ მეორე შემთხვევაში ნაწილაკი ვითარებითი ბრუნვის ფორმაშია: არამედ.

მაგრამ ზემოთ მოყვანილ კონტექსტებში ნ უ უ მ ე ნაწილაკს არა აქვს არც ლოგიკური კავშირის (უკუე, ვიდრემე, ვინაჲმე-მამასადამე, ამგვარად) მნიშვნელობა, როგორც ეს ვნახეთ „განმარტების“ ზემოთ მომობილ მაგალითებში და არც ამის მაგავსი არამედ-ს“ მნიშვნელობა, როგორც ამას საბა განმარტავს. ამ კონტექსტებიდან აშკარად ჩანს, რომ ნ უ უ მ ე ნაწილაკი ნ უ უ კ უ ე ნაწილაკია ერთ-ერთი მნიშვნელობით არის ნახმარა, კერძოდ, მას აქ აქვს „იქნებ, ეგების“ მნიშვნელობა და აქედანვე ნათელი ხდება, რომ ნ უ-უ-მ ე ფორმაში ნუ-უკუე ნაწილაკის ანალოგიითაა ჩართული ნუ და მე ნაწილაკების შემთავრებელი უ ხმოვანი. როგორც ვნახეთ, ბერძნულ დედანში ნ უ უ მ ე ნაწილაკის შესაბამისად ნახმარია *ἄρα* კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკი, რომელსაც ლათინურში შეესატყვისება *an*, ხოლო რუსულში—*может быть, неужели*. საუბრე ისაა, რომ ბერძნულ *ἄρα* ნაწილაკს შემოსილი მახელით კითხვით-განუსაზღვრელობითი შინაარსი აქვს („ეგების, იქნებ“) ხოლო ამავე *ἄρα* ფუძეს მკვეთრი მახელით კი ლოგიკური კავშირის ფუნქცია აქისრია (ამგვარად, მამასადამე, ძე. ვინაჲმე, ვიდრემე, უკუე), რასაც კარგად ვეჩივრებებს ზემოთ მოყვანილი ბერძნული კონტექსტი: *τί ἄρα ἐστὶν ἡ προαιρέσις; Ἄρα τὸ ἐκείνου...*

\* შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 109.

ამგვარად, ნათელი ხდება, თუ რატომ იყენებს იოანე პეტრიწი ნუ უმე ფორმას ერთ შემთხვევაში კითხვითი ნაწილისა (ეგების, იენებს) და მეორე შემთხვევაში—ლოგიკური საკავშირებელი სიტყვის (ამგვარად, მამასადამე) მნიშვნელობით.

#### დამოწმებული ძეგლები და შემოკლებანი

- ბლაგ. — ბლაგარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957.
- დიალ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული ტექსტის თარგმანი გამოსცა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო მიაი რაფაელმა, თბილისი, 1976.
- ექუსთა, კაც ავ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და „კაცისა ავგბულუმბისთჳს“, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.
- ი. პეტრ., — იოანე პეტრიწი იწმრომები, II, განმარტება პროკლესთჳს დიალოზოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსთჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.
- მ. — მათე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1960.
- მამ. ცხ. — მამთა ცხორებანი, ტექსტი გარდაცემდ მომზადა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.
- ცხ. ადამ. — ცხორებაჲ ადამისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.
- A 240 — წინამძღუარი, თქმული იოანე დამასკელისა, ეფთჳმე აონელის თარგმანი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 240 ხელნაწერი კრებულ. 1791 წლისა.
- S 2562 — ამონიოს ერმის ძე, „მოსაკსენებელი ხუთთა კმთადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, „მოსაკსენებელი ათთა კატეხორიათადმი არისტოტელისათა“, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 2562 ხელნაწერი, XIII ს.
- Amm on. — Ammonius in Porphyrii Jsaogen vive V voces. éd. Adolfus Russe, Berolini, Commentaria in Aristoteli Graeca, vol. IV.
- Dial. — Bonifatius Kotter, Die Schriften des Ioannes von Damaskos, Berlin, 1969.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

### К ПРОИСХОЖДЕНИЮ НЕКОТОРЫХ СОЮЗНЫХ СЛОВ И ЧАСТИЦ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

#### Резюме

В статье рассматривается происхождение союзных частиц *საღამე*, *მამასაღამე* (←*მამასაღამე*), *ნულუმე* (*ნულ-უმე*) «итак», «таким образом», «поэтому».

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
 შ. ძიძიგურმა

## კობე პრელაზვილი

## წოვათუშური ზმნის უღვლილების სისტემა

წოვათუშური ენის ზმნათა უღვლილების სისტემა ხასიათდება დრო-კილოთა ფორმების სიუხვით. ეს ცენტრალური პრობლემა კი, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ არის სათანადო სისრულით შესწავლილი.

ჩვენ ამჯერად შემოვიფარგლებით გარდამავალ ზმნათა თხრობითი კილოს მწკრივთა ფორმების დადგენით. საანალიზოდ კი ვიღებთ ისეთ ზმნებს, რომელთაც გააჩნია საკუთარი მყოფადის ფორმები (რიგი ზმნები აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ვერ განარჩევს, მათი სემანტიკური სხვაობა მხოლოდ კონტექსტით ხერხდება). აღნიშნული რიგის ზმნები ქმნიან უღვლილების ფორმათა სრულ და მწყობრ სისტემას. ეს გარემოება კი შესაძლებლობას მოგვცემს სრულყოფილად წარმოვადგინოთ საკვლევი ენის უღვლილების სისტემა.

ჩვენ ამოვიღებთ იმ ზოგადი დებულებიდან, რომლის მიხედვითაც ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის კვლევისას მთავარია „ზმნის საუღვლებელ ფუძეთა (ნაკვთთა) სისტემის დადგენა-დაზუსტება“ (არნ. ჩიქობავა).

უღვლილების სისტემის შიგნით გამოვყოფთ მწკრივთა სამ ჯგუფს, რომელთაც, მიღებული ტრადიციის მიხედვით, სერებებს ვუწოდებთ. თითოეული სერიის მწკრივებს აერთიანებს საერთო საყრდენი (ამოსავალი) ფუძე. საყრდენი ფუძეებია აწმყოს, მყოფადისა და აორისტის (ნამყო ძირითადის) მწკრივთა ფორმები.

მწკრივებთან დაკავშირებით თავს იჩენს ტერმინოლოგიური ხასიათის სიძნელეები, კერძოდ კი, რა შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ მწკრივს (ნაკვთს). ეს სიძნელე განსაკუთრებით ხელშესახებია ისეთი მწკრივების მიმართ, რომელთა ანალოგიაც სხვა ენებში ვერ დასტურდება. ჩვენ ამ ტექნიკურ სირთულეს იმით დავაღწიეთ თავი, რომ საჭირო ტერმინების წარმოებისას გამოვიყენეთ საყრდენი მწკრივის სახელწოდება. მაგალითად, აწმყოს სერიის მწკრივებს, რომლებიც უნახავ მოქმედებას გამოხატავს, ვუწოდეთ აწმყოს თურმეობითი I, აწმყოს თურმეობითი II და ა. შ. ასევე აორისტის სერიის ანალოგიური სემანტიკის მწკრივებს ვუწოდეთ აორისტის თურმეობითი I, აორისტის თურმეობითი II და ა. შ.

რა თქმა უნდა, ისე როგორც ყოველი ტერმინი, აქაც ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინები, პირობითია, მთავარი მაინც სათანადო ცნების დადგენაა. ამიტომ შესაძლებელია, ზოგი ტერმინი შემდგომში დაზუსტდეს კიდევ.

უღვლილების სისტემის შემადგენელ სერებებს სახელები დავუქვა ამოსავალი (საყრდენი) მწკრივის მიხედვით. ამისდა კვალობაზე გვექნება: 1. აწმყოს სერიის მწკრივები, 2. მყოფადის სერიის მწკრივები, 3. აორისტის სერიის მწკრივები.

## I. აწმყოს სერიის მწკრივები

## A სისტემა

1. აწმყო
2. ნამყო უსრული
3. აწმყოს თურმეობითი I

**B ს ის ტ ე მ ა**

4. აწმყოს თურმეობითი II
5. აწმყოს თურმეობითი III
6. აწმყოს თურმეობითი IV

**II. მყოფადის სერის მწკრივები**

**A ს ის ტ ე მ ა**

1. მყოფადი\*
2. მყოფადის ნამყო
3. მყოფადის თურმეობითი I

**B ს ის ტ ე მ ა**

4. მყოფადის თურმეობითი II
5. მყოფადის თურმეობითი III
6. მყოფადის თურმეობითი IV

**III. აორისტის სერია**

**A ს ის ტ ე მ ა**

1. აორისტი
2. აორისტის წინარეწარსული
3. აორისტის თურმეობითი I

**B ს ის ტ ე მ ა**

4. აორისტის თურმეობითი II
5. აორისტის თურმეობითი III
6. აორისტის თურმეობითი IV

**C ს ის ტ ე მ ა**

7. აორისტის ზოგადი
8. აორისტის პირობითი
9. აორისტის თურმეობითი V

**II ს ის ტ ე მ ა**

10. აორისტის თურმეობითი VI
11. აორისტის თურმეობითი VII
12. აორისტის თურმეობითი VIII

ქვემოთ წარმოვადგენთ სამი გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმას მოცემული სერიებისა და მწკრივების მიხედვით. როგორც ცნობილია, საკვლევ ენაში პირის კატეგორია ახალია, მეორეულია. პირის ნიშნები მომდინარეობენ შესაბამისი ნაცვალსახელებისაგან. ზმნა შეიძლება უპირისნიშნოდაც ვიხმართ, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ზმნას, როგორც წესი, წინ უძღვის სათანადო პირის ნაცვალსახელი. პირის ნიშანი სუბიექტსაც გააჩნია და ობიექტსაც (პირდაპირს). ოღონდ ისინი ერთდროულად არასდროს არა გვხვდება ზმნაში, ან ერთია წარმოდგენილი, ან მეორე. ზმნის სტრუქტურაში პირის ნიშნები პოსტპოზიცივაში გვხვდება. მესამე პირი ნულვანი აფიქსითაა წარმოდგენილი.

რადგანაც ჩვენი ამ გამოკვლევის უპირველესი მიზანია, უღვლილების პარადიგმის ერთეულთა (მწკრივთა) დადგენა, ამიტომ საილუსტრაციო ზმნებს უპირისნიშნოდ მოვიყვანთ. ასეთ ფორმებში უფრო ნათლად გამოჩნდება თითოეული მწკრივის მორფოლოგიური სტრუქტურა, ხოლო პირისნიშნების დართვა კი იწვევს რიგ რთულ ფონეტიკურ პროცესებს, რომელთა ანალიზი ამ მოკლე სტატიაში ვერ მოხერხდება (თუმცა საჭირო კია ამ ფონეტიკურ პროცესებზე მსჯელობაც), უამისოდ კი გაუგებარი იქნებოდა ზოგი მწკრივის მორფოლოგიური აგებულება.

უპირისპირი ზმნური ფორმები სამივე პირში იდენტურია. თითოეულ მწკრივში წარმოდგენილი ზმნური ფორმა გამოხატავს როგორც პირველს, ისე მეორესა და მესამე პირს (მხოლოდითა და მრავლობითში). ისე რომ, პირის-ნიშნის მწკრივის 12 ზმნურ ფორმას (მხოლოდითა და მრავლობითში) აქ ერთი ფორმა შეესაბამება (უკლასნიშნო ზმნებისა).

ასეთ ვითარებაში მწკრივი გამოგვივა ერთწევროვანი, მაშინ როდესაც ამ ტერმინით აღნიშნული ცნება რთულია და გულისხმობს მრავალწევროვან პარადიგმას. მაგრამ ჩვენ მას მაინც ვიყენებთ, რადგანაც იმავე ზმნათა პირიანი ფორმები მწკრივის მიღებულ ცნებას საეხებით შეესაბამება.

ამოვადვიართ რა ჩვენი ამოცანის გადაწყვეტის სიმარტივისა და ეკონომიის პრინციპიდან, არც პირის ნაცვალსახელებს წარმოვადგენთ, რადგანაც, სულერთია, ისინი ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურას არ ცვლიან. ამავე აზრით თარგმანებს ვიძლევიტ მხოლოდ აწმყო მწკრივისა. საილუსტრაციოდ ვიღებთ სამ ზმნას: ხეტოარ „კითხვა“, ხერცარ „ცვლა“, ლეხკარ („რეკვა, გარეკვა“).

1. აწმყო სერია. აწმყო სერია ორ ქვესისტემას ანუ ორ ფრაგმენტულ სისტემას შეიცავს. მათ პირობითად ვუწოდებთ A სისტემასა და B სისტემას. ორივე მათგანს აერთიანებს ერთი საყრდენი ფუძე — აწმყო ფუძე, მაგრამ განსხვავებით A სისტემისაგან B სისტემის მწკრივები იწარმოება მეშველი ზმნის დანო („ყოფილა“) დართვით.

#### A სისტემა

1. აწმყო: აწმყო მწკრივის მაწარმოებელია -რ, -უ, -წ, -ბ სუფიქსები. მათ შორის ყველაზე პროდუქტულია -რ: ხეტო-რ „კითხლობს“, ხერც-რ „ცვლის“, ლეხკ-რ „ერეკება“...

2. ნამყო უსრული: ნამყო უსრული იწარმოება აწმყო ფორმაზე -რ სუფიქსის დართვით: ხეტო-რ, ხერცო-რ, ლეხკო-რ...

3. აწმყო ს თურმეობითი I. აწმყო თურმეობითი I იწარმოება ნამყო უსრულის ფორმაზე (ხეტოორ...) -ალო სუფიქსის დართვით: ხეტო-ალო (←ხეტოორ-ალო), ხერც-ალო (←ხერცო-ალო), ლეხკ-ალო (←ლეხკო-ალო)...

#### B სისტემა

1. აწმყო ს თურმეობითი II. აწმყო თურმეობითი II იწარმოება აწმყო ფორმაზე (ხეტო-რ, ხერც-რ, ლეხკ-რ) მეშველი ზმნის დანო („ყოფილა“) დართვით. თავად ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს და („არის“) მეშველი ზმნის თურმეობითის ფორმას: ხეტო-დანო (←ხეტო-დანო), ხერც-დანო (←ხერცო-დანო), ლეხკ-დანო (←ლეხკო-დანო)...

2. აწმყო ს თურმეობითი III. აწმყო თურმეობითი III იწარმოება აწმყო თურმეობითი II-ის ფორმაზე (ხეტოდანო...) -რ სუფიქსის დართვით: ხეტოდანო-რ, ხერცდანო-რ, ლეხკდანო-რ...

3. აწმყო ს თურმეობითი IV. აწმყო თურმეობითი IV იწარმოება აწმყო თურმეობითი III-ის ფორმაზე -ალო სუფიქსის დართვით: ხეტოდანო-ალო, ხერცდანო-ალო, ლეხკდანო-ალო...

**II. მყოფადის სერია.** ზმნათა გარკვეულ ჯგუფს საკუთარი მყოფადის ფორმები გააჩნია. ეს ფორმები აწმყოფს ფორმებს უპირისპირდება ძირეულ ზმნავანთა აბლაუტით ან ფუძეთა მონაცვლეობით. ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მაგალითები აბლაუტიან ზმნათა ჯგუფს განეკუთვნება. მათ მყოფადში იგივე სუფიქსები დაერთვის, რაც აწმყოფში. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მყოფადის სერიის მწკრივები აწმყოფს სერიის გამონაყოფება.

მყოფადი სერიის მწკრივები სრული ასპექტისანი არიან, ხოლო აწმყოფ სერიის მწკრივები კი — უსრული ასპექტისანი.

მყოფადის სერიაში ზმნურ ფორმათა წარმოების მიხედვით გამოიყოფა მწკრივთა ორი ქვეჯგუფი (A და B სისტემები). თითოეული ჯგუფი შეიცავს სამ-სამ მწკრივს. ჯგუფის შიგნით მწკრივთა წარმოება ემყარება მკაცრად დაცულ იერარქიულ პრინციპს. ყოველი მომდევნო მწკრივი ფუძედ იყენებს წინა მწკრივის ფორმას. ეს წესი უგამონაკლისოა და თანაბრად ვრცელდება სამივე სერიაზე.

### A სისტემა

1. მყოფადი: ხატო-რ, ხარცო-რ, ლახკო-რ...

2. მყოფადის ნამყოფი. მყოფადის ნამყოფი იწარმოება მყოფადის ფორმაზე -რ სუფიქსის დართვით: ხატო-რ, ხარცო-რ, ლახკო-რ...

3. მყოფადის თურმეობითი I. მყოფადის თურმეობითი I იწარმოება ნამყოფი მყოფადის ფორმაზე -ალო სუფიქსის დართვით: ხატო-რ-ალო (-ხატო-რ-ალო), ხარცო-რ-ალო (-ხარცო-რ-ალო) ლახკო-რ-ალო (-ლახკო-რ-ალო)...

### B სისტემა

B სისტემა A სისტემისაგან იმით განსხვავდება, რომ ისე, როგორც აწმყოფს სერიის B სისტემაში, აქაც მწკრივთა საწარმოებლად გამოყენებულია მეშველი ზმნა დანო („ყოფილა“).

1. თურმეობითი II. მყოფადის თურმეობითი II იწარმოება მყოფადის ფორმაზე (ხატო-რ, ხარცო-რ, ლახკო-რ...) დანო „ყოფილა“ მეშველი ზმნის დართვით. ფუძის აუსლაუტისეული -რ იკვეცება: ხატო-რ-დანო, ხარცო-რ-დანო, ლახკო-რ-დანო...

2. მყოფადის თურმეობითი III. მყოფადის თურმეობითი III იწარმოება მყოფადის თურმეობითი II-ის ფუძეზე -რ სუფიქსის დართვით: ხატო-რ-დანო-რ, ხარცო-რ-დანო-რ, ლახკო-რ-დანო-რ...

3. თურმეობითი IV. თურმეობითი IV იწარმოება თურმეობითი III-ის ფორმაზე (ხატო-რ-დანო-რ...) -ალო სუფიქსის დართვით: ხატო-რ-დანო-რ-ალო, ხარცო-რ-დანო-რ-ალო, ლახკო-რ-დანო-რ-ალო...

**III. აორისტის სერია.** აორისტის სერია, შედარებით აწმყოფსა და მყოფადის სერიასთან, უფრო მდიდარია მწკრივთა წარმოების ფორმებით. ის ოთხი ქვეჯგუფისაგან შედგება, სადაც წარმოდგენილია თორმეტი მწკრივი.

### A სისტემა

1. აორისტი (ნამყოფი ძირითადი). აორისტი იწარმოება ზმნის ძირზე (უსრული ან სრული ასპექტისა)-ის ან -ეს სუფიქსების დართვით. ფრჩხილებში აქაც და ქვემოთაც მოცემულია სრული ასპექტის ფორმები, ხოლო ფრჩხილებს გარეთ — უსრულისა: ხეტო-ის (ხატო-ის), ხეტო-ის (ხარცო-ის), ლეტო-ის (ლახკო-ის)...



2. აორისტის წინარეწარსული. ეს მწკრივი იწარმოება აორისტის ფორმაზე -რ სუფიქსის დართვით. აორისტის მაწარმოებელი ნაზალური ხმოვნები -იე და -იე -რ სუფიქსის წინ მარტივდებიან: იე→ი, ეე→ე; ხეტეი-რ (ხატეი-რ); ხერცი-რ (ხარცი-რ), ლეხეი-რ (ლახეი-რ).

3. აორისტის თურმეობითი I. აორისტის თურმეობითი I იწარმოება აორისტის წინარეწარსულის ფორმაზე-ალო სუფიქსის დართვით, რის შედეგადაც ფუძეში ხდება გარკვეული ფონეტიკური პროცესი: ხეტეი-რ-ალო (ხატეი-რ-ალო), ხერცი-რ-ალო (ხარცი-რ-ალო), ლეხეი-რ-ალო (ლახეი-რ-ალო).

### B სისტემა

1. აორისტის თურმეობითი II. ამ მწკრივის საყრდენი ფუძეა აორისტის ფორმა. მასზე -ო სუფიქსის დართვით იწარმოება აორისტის თურმეობითი II. აორისტის მაწარმოებელი ნაზალური ხმოვანი იშლება: იე→ინ; ხეტეინ-რ (ხატეინ-რ), ხერცინ-რ (ხარცინ-რ), ლეხეინ-რ (ლახეინ-რ).

2. აორისტის თურმეობითი III. ამ მწკრივის საყრდენი ფუძეა თურმეობითი II-ის ფორმა. მასზე -რ სუფიქსის დართვით იწარმოება აორისტის თურმეობითი III. ზმნის ფუძეში ხდება ხმოვანთა გარკვეული ფონეტიკური პროცესი: ხეტეინო-რ (ხატეინო-რ), ხერცინო-რ (ხარცინო-რ), ლეხეინო-რ (ლახეინო-რ)...

3. აორისტის თურმეობითი IV. ეს მწკრივი იწარმოება აორისტის თურმეობითი III-ის ფორმაზე -ალო სუფიქსის დართვით: ხეტეინო-რ-ალო (ხატეინო-რ-ალო), ხერცინო-რ-ალო (ხარცინო-რ-ალო), ლეხეინო-რ-ალო (ლახეინო-რ-ალო)...

### C სისტემა

აორისტის სერიის C სისტემაში ვაერთიანებთ ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც იწარმოება აორისტის მწკრივის ფორმაზე (შესაძლებელია ნამყოფი მიმღებობის ფორმაზე) და „არის“ მეშველი ზმნის დართვით. ამგვარად ნაწარმოები ფრაგმენტული სისტემაც სამი მწკრივისაგან შედგება. ისე რომ. სხვა სერიებში დადასტურებული სამწვევროვანი სისტემა აქაც მეორდება, რაც მთავარია, ამ ფრაგმენტული სისტემის წარმოების გრამატიკული პრინციპიც იგივეა, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ.

1. აორისტის ზოგადი. ეს მწკრივი გამოხატავს წარსულ დროში ჩადენილ ჩვეულებრივ, ზოგადად დამახასიათებელ მოქმედებას. ამიტომ ამ მწკრივს შეიძლება ვუწოდოთ აორისტის ზოგადი: ხეტეინ-და (ხატეინ-და) ხერცინ-და (ხარცინ-და), ლეხეინ-და (ლახეინ-და)...

2. აორისტის პირობითი. აორისტის ზოგადის მწკრივის ზმნურ ფორმაზე -რ სუფიქსის დართვით იწარმოება ახალი მწკრივი, რომელიც გამოხატავს პირობით მოქმედებას წარსულში. რა თქმა უნდა, კონტექსტის მიხედვით მას შეიძლება სხვა სემანტიკური ნიუანსებიც აღმოაჩნდეს. ეს გამონათქვამი ეხება სხვა მწკრივებსაც. ამ მწკრივს ჩვენ ვუწოდებთ აორისტის პირობითს: ხეტეინდა-რ (ხატეინდა-რ), ხერცინდა-რ (ხარცინდა-რ), ლეხეინდა-რ (ლახეინდა-რ)...



3. აორისტის თურმეობითი V. ეს მწკრივი იწარმოება აორისტის პირობითი მწკრივის ფორმაზე -ალო სუფიქსის დართვით. მისი სემანტიკა თურმეობითის შინაარსს უახლოვდება. მაგალითად, „ჯერ ნაუბისტი ცო ბახკენ ბარალო დაითლენ“, ნიშნავს — „ჯერ ამხანაგები არ მოსვლეს და თურმე დაითლეს“ (ივ. ბუჭურაულის ტექსტიდან, 1925 წ.): ხეტოინდარ-ალზ (ხატოინდარ-ალზ), (ხერცინდარ-ალზ), (ხარცინდარ-ალზ), ლეხკინდარ-ალზ (ლახკინდარ-ალზ)...

### D სისტემა

აორისტის სერიის D სისტემაში ვერთიანებთ უღვლილების იმ ზმნურ ფორმებს, რომლებიც იწარმოება აორისტის მწკრივის ფორმაზე (ან ნამყო მიმღეობის ფორმაზე) დანზ „ყოფილა“ მეშველი ზმნის დართვით. D სისტემაში, ისე როგორც ზემოთ მოცემული ანალოგიური ფრაგმენტული სისტემები, სამწვეროვანია. სისტემის შიგნით მწკრივთა წარმოების მორფოლოგიური პრინციპიც იგივეა, ე. ი. დაცულია ფრაგმენტული სისტემის მწკრივთა წარმოების იერარქიული პრინციპი, რაც იმას ნიშნავს რომ ყოველი მომდევნო მწკრივის ფორმა ფუძედ იყენებს წინა მწკრივის ფორმას, რამდენადაც ამ D სისტემაში შემავალი მწკრივები აგრეთვე თურმეობითის შინაარსს გამოხატავენ, ამიტომ მწკრივთა სახელების ზემოთ უკვე გამოყენებული რიგის პრინციპის მიხედვით, მათაც ვუწოდებთ აორისტის თურმეობით VI, აორისტის თურმეობით VII, აორისტის თურმეობით VIII. რა თქმა უნდა, ივარაუდება, რომ ეს მრავალრიცხოვანი თურმეობითები თავისი სემანტიკური ნიშან-თვისებით ვარიირებენ. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კი შემდგომი ამოცანაა. ამჟერად კი, როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, მთავარი უღვლილების სისტემის წევრების დადგენაა.

1. აორისტის თურმეობითი VI. ეს მწკრივი იწარმოება ზმნის სათანადო ფუძეზე დანზ „ყოფილა“ მეშველი ზმნის დართვით. აქ, ისე როგორც C სისტემის მწკრივებში, დასაზუსტებელია ფუძის წარმომავლობა, ე. ი. ის აორისტის ფორმაა თუ ნამყოს მიმღეობისა. ამაზე საჭიროა ცალკე სპეციალური მსჯელობა, ამჟერად კი მხოლოდ სათანადო მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილებთ: ხეტოინდ-დანზ (ხატოინდ-დანზ), ხერცინდ-დანზ (ხარცინდ-დანზ), ლეხკინდ-დანზ (ლახკინდ-დანზ)...

2. აორისტის თურმეობითი VII. ეს მწკრივი იწარმოება წინა მწკრივის ფორმაზე -რ სუფიქსის დართვით: ხეტოინდანო-რ (ხატოინდანო-რ) ხერცინდანო-რ (ხარცინდანო-რ), ლეხკინდანო-რ (ლახკინდანო-რ)...

3. აორისტის თურმეობითი VIII. ეს მწკრივიც ფუძედ იყენებს წინამავალი მწკრივის ფორმას, რომელსაც დაერთვის -ალო სუფიქსი: ხეტოინდარ-ალზ (ხატოინდარ-ალზ), ხერცინდარ-ალზ (ხარცინდარ-ალზ).

წოვათუშური ზმნის უღვლილების სისტემა სქემატურად ასეთ სურათს იძლევა:

#### I. აწყოს სერია

A სისტემა	B სისტემა
1. ხეტა-ზ	ხეტა-დანზ
↓	↓
2. ხეტო-რ	ხეტო-დანო-რ
↓	↓
3. ხეტარ-ალზ	ხეტოდანო-რ-ალზ



A სისტემა

1. ხატ-რ
- ↓
2. ხატო-რ
- ↓
3. ხატორ-ალრ

II. მყოფადის სერია

B სისტემა

- ხატდანრ
- ↓
- ხატდანო-რ
- ↓
- ხატდანორ-ალრ

III. აორისტის სერია

A სისტემა

1. ხეტ-რის  
(ხატ-რის)
- ↓
2. ხეტორ-რ  
(ხატორ-რ)
- ↓
3. ხეტორ-ალრ  
(ხატორ-ალრ)

B სისტემა

- ხეტინრ  
(ხატინრ)
- ↓
- ხეტინო-რ  
(ხატინო-რ)
- ↓
- ხეტინორ-ალრ  
(ხატინორ-ალრ)

C სისტემა

- ხეტინდა  
(ხატინდა)
- ↓
- ხეტინდარ-რ  
(ხატინდარ-რ)
- ↓
- ხეტინდარ-ალრ  
(ხატინდარ-ალრ)

II სისტემა

- ხეტინდანრ  
(ხატინდანრ)
- ↓
- ხეტინდანო-რ  
(ხატინდანო-რ)
- ↓
- ხეტინდანორ-ალრ  
(ხატინდანორ-ალრ)

ამგვარად, ჩვენ წარმოვადგინეთ წოვათუშური ზმნის უღვლილების სისტემის ძირითადი ერთეულები (მწკრივები) თხრობით კილოში (გარდამავალი ზმნებისა). უღვლილების მთლიანი პარადიგმა შედგება 24 ერთეულისაგან, რომლებიც ფორმათა წარმოების მიხედვით გავაერთიანეთ სამ სერიაში: აწმყოს, მყოფადსა და აორისტში. თითოეული სერიის შიგნით ზამოიყოფა ფრაგმენტული სისტემები, რომელთაც A, B, C, D სიმბოლოებით აღვნიშნავთ. ეს ე. წ. ქვესისტემები შედგება სამ-სამი წევრისაგან, რომლებიც ფორმათა წარმოების მიხედვით მეტად თანმიმდევრულ ზუსტ იერარქიას ქმნიან. ისე რომ უღვლილების მთლიან სისტემას საფუძვლად უდევს ფორმათა წარმოების სამ წევროვანი პრინციპი, სადაც პირველი მწკრივის ფორმა გამოყენებულია მომდევნო მწკრივის ფუძედ, ხოლო მეორე მწკრივის ფორმა კი — მესამე მწკრივის ფუძედ. მწკრივთა წარმოების ეს ფორმალური პრინციპი უღვლილების მთელ სისტემაში უგამონაკლისოდ მოქმედებს.

რა თქმა უნდა, ზმნათა უღვლილების თვალსაზრისით საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, დასადგენია კავშირებითი და ბრძანებითი კილოთა ფორმები. ეს ენა კი მდიდარია ამ მხრივ. საკვლევი აგრეთვე ხოლმეობითის ფორმების ჩამოყალიბების ტენდენცია, რომელიც „ლათერ“ ნაწილაკის მორფოლოგიზაციის გზით ვითარდება (ხეტალათის — ლათის ხეტათ). ცალკე შესწავლას მოითხოვს სტატკური და გრძნობა-აქტის გამომხატველი ზმნები. ჩვენ გამოვტოვებთ კაუზატივისა და ენებითის ფორმათა უღვლილებს. თუმცა ისინი მთლიანად იმეორებენ ზემოთ წარმოდგენილ უღვლილების პარადიგმას.

როგორც აღვნიშნეთ, სტატიაში წარმოვადგინეთ უპირისპიშნო და უკლასნიშნო ზმნათა უღვლილების სისტემა. ეს გზა ჩვენს მიზანს ამჯერად სავსებით აკმაყოფილებს. ჩვენი მიზანი კი იყო ზმნის საუღვლებელ ფორმათა რაოდენობის დადგენა და მათი სისტემის სახით წარმოდგენა. როგორც ვნახეთ, წოვათუშური ენის ზმნა ამ მხრივ მეტად მწყობრ, სიმეტრიულ სისტემას ქმნის.

ბუნებრივია, პირიან ფორმათა უღვლილება სისტემაში შემავალ ზმნურ ფორმათა რიცხვს გაზრდის, თუმცა მწკრივთა რაოდენობა იგივე დარჩება, ე. ი. უღვლილების პარადიგმის წევრთა შინაგანი მიმართება არ შეიცვლება.

К. Т. ЧРЕЛАШВИЛИ

СИСТЕМА СПРЯЖЕНИЯ БАЦБИЙСКОГО  
(ЦОВАТУШИНСКОГО) ГЛАГОЛА

Резюме

В настоящей работе выявлен характер системы спряжения (изменения временных форм) бацбийского глагола, что схематически можно представить следующим образом:

I. Серия форм настоящего времени

система А

1. Наст. вр. — хеџџბ «читает», «спрашивает».
2. Прош. вр. — хеџџო-г
3. Загл. I наст. вр. — хеџџ-აღბ

система В

1. Загл. II наст. вр. — хеџџაღბ
2. Загл. III наст. вр. — хეџџაღბო-გ
3. Загл. IV наст. вр. — хეџџაღბორ-აღბ

II. Серия форм будущего времени

система А

1. Буд. вр. — ხაჟჟბ
2. Буд. обусл. — ხაჟჟო-გ
3. Загл. I буд. — ხაჟჟ-აღბ

система В

1. Загл. II буд. вр. — ხაჟჟაღბ
2. Загл. III буд. вр. — ხაჟჟაღბო-გ
3. Загл. IV буд. вр. — ხაჟჟაღბორ-აღბ

III. Серия форм аориста

(в скобках даны формы совершенного вида

ქ | ჟ "      система А

1. Аорист — ხეჟი<sup>ქ</sup> (ხაჟი<sup>ქ</sup>)
2. Давнопр. аор. — ხაჟი-გ (ხაჟი-გ)
3. Загл. I аор. — ხიჯერ-აღბ (ხაჟერ-აღბ)

система В

1. Загл. II аор. — ხეჟინბ (ხაჟინბ)
2. Загл. III аор. — ხიჟინო-გ (ხაჟინო-გ)
3. Загл. IV аор. — ხიჟინორ-აღბ (ხაჟინორ-აღბ)

система С

1. Аорист общего — ხეჟინდა (ხაჟინდა)
2. Аорист условн. — ხეჟინდა-გ (ხაჟინდა-გ)
3. Загл. V аорист — ხეჟინდარ-აღბ (ხაჟინდარ-აღბ)

система Д

1. Загл. VI аориста — ხეჟინდანბ (ხაჟინდანბ)
2. Загл. VII аориста — ხეჟინდანო-გ (ხაჟინდანო-გ)
3. Загл. VIII аориста — ხეჟინდანორ-აღბ (ხაჟინდანორ-აღბ)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა  
წარმოადგინა საკართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტმა

ბ ა რ ი ე ლ ბ უ რ ზ ე ნ ი მ ი

მ რ ა ვ ლ ო გ ი თ ო ზ ი ს კ ა ტ მ ო რ ი ა პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ხ ე ლ ზ ო ზ ი დ ა მ ი ს ი  
წ ა რ მ ო მ ბ ი ს ჴ ო ზ ბ ა დ ი პ რ ი ნ ც ი კ ი მ ბ ი

მეტყველების აქტში მონაწილეობა-არმონაწილეობა და ის როლი, რასაც ასრულებენ სამეტყველო აქტში მონაწილეები, განსაზღვრავს პირის ნაცვალ-სახელთა შემდეგნაირ დაყოფას:

პირველი (ანუ მოლაპარაკე) პირი; ჩვენ მას პირობითად  $a$  სიმბოლოთი აღვნიშნავთ;

მეორე (ანუ მსმენელი) პირი, რომელსაც  $b$  სიმბოლოთი აღვნიშნავთ;

მესამე (ანუ ერთდროულად არც მოლაპარაკე და არც მსმენელი) პირი, რომელიც ჩვენთან პირობითად  $c$  სიმბოლოთი იქნება აღნიშნული.

$a, b$  და  $c$  ამოსავალ სიმბოლოებს წარმოადგენენ; მათი საშუალებით აღნიშნულია შესაბამის პირის ნაცვალსახელთა მხოლოდითი რიცხვის ფორმები.

სიმრავლე, რომლის ელემენტებია ამოსავალი  $a, b$  და  $c$  სიმბოლოები, აღვნიშნოთ  $Q^1$ -ით:  $Q^1 = \{a, b, c\}$ .

$Q^1$  სიმრავლეში გვაქვს სამი ელემენტი და თითოეული მათგანი ერთი წევრისაგან შედგება, ე.ი.  $Q^1$  არის ერთწევრელემენტებიანი სიმრავლე.

ამოსავალი  $a, b$  და  $c$  სიმბოლოები შესაძლებელია დავაკავშიროთ ერთმანეთთან  $\Lambda$  („და“) ოპერატორით. მაგ.:  $a\Lambda b, a\Lambda c, b\Lambda c$ . შემოკლებული ჩაწერით, ე.ი.  $\Lambda$  სიმბოლოს გამოტოვებით გვექნება:  $ab, ac, bc$ ;  $\Lambda$  ოპერატორის კომპუტატურობის თვისებიდან გამომდინარე:  $a\Lambda b = b\Lambda a, a\Lambda c = c\Lambda a, b\Lambda c = c\Lambda b$ .

ქვევივალენტური ელემენტების გამეორების თავიდან აცილების მიზნით შემოვიფარგლებით ლათინური ანბანის მიხედვით მოწესრიგებული სიმბოლოების თანმიმდევრობებით:  $ab, ac, bc$ .

თეორიულად დასაშვებია ამოსავალი სიმბოლოების თავის თავთან დაკავშირება  $\Delta$  ოპერატორის მეშვეობით:  $aa, bb, cc$ . ამ სამი შესაძლებლობიდან პირველი, ანუ  $aa$ , გამოირიცხება იმთავითვე, ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის მონაწილეობა დაუშვებელია. რაც შეეხება ე.წ. მეორე პირს (ანუ მსმენელს), ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ამ როლში ერთზე მეტი ადამიანიც შეიძლება მოგვევლინოს. ხოლო მესამე პირის მიმართ, რომელიც მეტყველების აქტში არ მონაწილეობს, მით უმეტეს, არავითარი შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს ამ მხრივ.

გამეორებული სიმბოლოები რეალურად ერთმანეთის იდენტურნი არ არიან, ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა ასეთნაირად ჩაგვეწერა ისინი:  $b'b'', c'c'',$  ვინაიდან  $b' \neq b'', c' \neq c''$ ; რიგ ბუნებრივ ენებში  $b'$  და  $b''$  (resp.  $c'$  და  $c''$ ) ერთი და იმავე ფორმით გადმოიცემა; არის მთელი რიგი ენები, სადაც  $b'$  და  $b''$  (resp.  $c'$  და  $c''$ ) განსხვავებული ფორმებითაც გადმოიცემა. განსხვავებული ფორმები, რომლებიც გვაქვს ბუნებრივ ენებში მხოლოდითი რიცხვის მესამე (უფრო

იშვიათად, მეორე) პირის ნაცვალსახელებისთვის, გამოწვეულია განსაზღვრულობის, კლასის (სქესის...) და სხვა გრამატიკული კატეგორიების თანაარსებობით და ჩვენი მსჯელობის პირველ ეტაპზე მათ მხედველობაში არ მივიღებთ. ამრიგად, შევიწინარჩუნებთ რა ჩაწერის ასეთ ფორმას:  $bb, cc$ , ელებულობთ ორწევრ-ელემენტებიან  $Q^2$  სიმრავლეს:  $Q^2 = \{ab, ac, bb, bc, cc\}$ .

$Q^2$  სიმრავლე შედგება ხუთი ელემენტისაგან და თითოეული მათგანი შეიცავს ორ წევრს.

სამწევრ-ელემენტებიან  $Q^3$  სიმრავლეში გვექნება 7 ელემენტი:  $Q^3 = \{abb, abc, acc, bbb, bbc, bcc, ccc\}$ .  $n$ -წევრ-ელემენტებიან  $Q^n$  სიმრავლეში გვექნება  $2n+1$  ელემენტი (იგულისხმება, რომ  $n$  არის ნებისმიერი ნატურალური რიცხვი).

აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ  $Q^n$  სიმრავლეს, იმაში მდგომარეობს, რომ მასში არ უნდა გვექონდეს ეკვივალენტური ელემენტები (ანუ, არ უნდა გვექონდეს არც ერთი დამთხვევა).

$Q^n$  სიმრავლეში გამოვყოფთ  $A^n, B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეებს.

$A^n$  -ში გაერთიანდება  $Q^n$  სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც შეიცავენ  $a$  სიმბოლოს. ეს უქანასწელი კი  $Q^n$  -ის არც ერთ ელემენტში არ გვხვდება ერთზე მეტად.  $A^n$  ქვესიმრავლეში გვექნება  $n$  ელემენტი.

$C^n$  ქვესიმრავლეში შევა  $Q^n$  სიმრავლის ერთადერთი ელემენტი, რომელიც მხოლოდ  $c$  სიმბოლოებს შეიცავს.

$Q^n$  სიმრავლის ის დანარჩენი ელემენტები, რომლებიც არ შევიდნენ  $A^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეებში, გაერთიანდება  $B^n$  ქვესიმრავლეში.  $B^n$  ქვესიმრავლე (ისევე, როგორც  $A^n$ ) შეიცავს  $n$  ელემენტს.

ცხადია, რომ  $Q^n$  სიმრავლე ამგვარად დაიყო ურთიერთარაგადამკვეთ  $A^n, B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეებად.  $Q^n$ -ში არ რჩება არც ერთი ისეთი ელემენტი, რომელიც არ შევა რომელიმეში ზემოთ გამოყოფილ ქვესიმრავლეთაგან. მაშასადამე,  $Q^n$ -ში გვაქვს  $n+n+1 = 2n+1$  ელემენტი.

ამრიგად, შეგვიძლია ჩაწეროთ:  $Q^n = A^n \cup B^n \cup C^n$ .

(აქ დამატებით შემოტანილია სიმრავლეების ჯამის აღმნიშვნელი  $U$  სიმბოლო).

$Q^n$  სიმრავლის მიღების ერთ-ერთი შესაძლო გზაა  $n-1$ -წევრ-ელემენტებიან  $Q^{n-1}$  სიმრავლის თითოეულ ელემენტზე ამოსავალი  $a, b$  და  $c$  სიმბოლოების დამატება თითო-თითოდ. ზემოთ მოცემული აკრძალვის გათვალისწინებით,  $a$  სიმბოლოს ვერ დავუმატებთ  $Q^{n-1}$  სიმრავლის იმ ელემენტებს, რომელთა შემადგენლობაში უკვე შედის  $a$  სიმბოლო, ე.ი.  $A^{n-1}$  ქვესიმრავლის ვერც ერთ ელემენტს ვერ დავუმატებთ  $a$  სიმბოლოს. ჩატარებული ოპერაციების შედეგად ვიღებთ ( $Q^n$ )' სიმრავლეს, რომელშიც  $n-2$  ელემენტი მეორდება სამჯერ,  $n+1$  ელემენტი მეორდება ორჯერ, ხოლო ორი ელემენტი არ მეორდება; ე.ი. სულ გვექნება:  $3(n-2) + 2(n+1) + 2 = 5n-2$  ელემენტი. ამგვარად მიღებულ ( $Q^n$ )' სიმრავლეში გვაქვს  $(n-2) + (n+1) = 2n-1$  დამთხვევა.

თუ გამეორებული ელემენტებიდან დავტოვებთ ლათინური ანბანის მიხედვით მოწესრიგებული სიმბოლოების თანმიმდევრობებს, მივიღებთ საძიებელ  $Q^n$  სიმრავლეს, რომელიც  $2n+1$  ელემენტს შეიცავს. როგორც ვხედავთ, ( $Q^n$ )' სიმრავლეში  $3n-3$  ელემენტით მეტი გვაქვს  $Q^n$ -თან შედარებით:

$$(5n-2) - (2n+1) = 3n-3.$$

შევამოწმოთ  $Q^n$ -ის მიღების პირველი გზა  $n$ -ის ზოგიერთი მნიშვნელობისთვის:  $Q^1 = \{a, b, c\}$ ...  $n=1$ . ჯერ განვიხილოთ  $n=2$  შემთხვევა:  $(Q^2)' = \{ab, ac, ba, bb, bc; ca, cb, cc\}$ .

$(Q^n)'$ -ში უნდა გვქონდეს  $5n - 2$  ელემენტი.  $5 \times 2 - 2 = 10 - 2 = 8$ . ე.ი.  $(Q^2)'$ -ში გვაქვს 8 ელემენტი:  $ab = ba, ac = ca, bc = cb$ .

როგორც ზემოთ ვთქვით,  $(Q^1)'$ -ში  $n - 2$  ელემენტი სამჯერ მეორდება;  $2 - 2 = 0$ ; ე.ი.  $(Q^2)'$ -ში არც ერთი ელემენტი არ მეორდება სამჯერ.  $n + 1$  ელემენტი მეორდება ორჯერ:  $2 + 1 = 3$ ; ე.ი. სამი ელემენტი მეორდება ორჯერ; გვაქვს აგრეთვე ორი ელემენტი,  $bb$  და  $cc$ , რომლებიც არ მეორდება.

დამთხვევების რიცხვი ტოლია  $(2n - 1)$ -ისა;  $2 \times 2 - 1 = 4 - 1 = 3$ ; ე.ი. გვაქვს სულ სამი დამთხვევა.

$(Q^n)'$ -ში  $3n - 3$  ელემენტით მეტი უნდა გვქონდეს  $Q^n$ -ის ელემენტებთან შედარებით:  $3 \times 2 - 3 = 6 - 3 = 3$ .

$(Q^2)'$ -ში გვაქვს რვა ელემენტი,  $Q^2$ -ში კი ხუთი ელემენტი; მართლაც,  $8 - 5 = 3$ .

თუ ისე მოვიქცევით, როგორც ზემოთ ვთქვით, ე.ი. გამეორებული ელემენტებიდან დავტოვებთ ლათინური ანბანის მიხედვით მოწესრიგებული სიმბოლოების თანმიმდევრობებს, მივიღებთ  $Q^2$  სიმრავლეს:  $Q^2 = \{ab, ac, bb, bc, cc\}$ . ვნახოთ, რა სურათს მივიღებთ, როცა  $n = 3$ :

$(Q^3)'$  =  $\{abb, abc, acb, acc; bba, bbb, bbc; bca, bcb, bcc; cca, ccb, ccc\}$ . უნდა გვქონდეს  $5n - 2$  ელემენტი:  $5 \times 3 - 2 = 15 - 2 = 13$ ; მართლაც,  $(Q^3)'$ -ში გვაქვს 13 ელემენტი.  $abc = acb = bca$ ;  $abb = bba$ ;  $acc = cca$ ;  $bbc = bcb$ ;  $bcc = ccb$ .

$n - 2$  ელემენტი სამჯერ მეორდება;  $3 - 2 = 1$ ; ე.ი. ერთი ელემენტი სამჯერ გამეორდა,

$n + 1$  ელემენტი ორჯერ მეორდება:  $3 + 1 = 4$ ; ე.ი. ოთხი ელემენტი ორჯერ გამეორდა,

გვაქვს კიდევ ორი ელემენტი,  $bbb$  და  $ccc$ , რომლებიც არ მეორდება; დამთხვევების რიცხვი ტოლია  $(2n - 1)$ -ისა:  $2 \times 3 - 1 = 6 - 1 = 5$ ; ე.ი. სულ გვაქვს ხუთი დამთხვევა.

$(Q^n)'$ -ში  $3n - 3$  ელემენტით მეტი უნდა გვქონდეს  $Q^n$ -ის ელემენტებთან შედარებით:  $3 \times 3 - 3 = 9 - 3 = 6$ ;

$(Q^3)'$ -ში გვაქვს 13 ელემენტი,  $Q^3$ -ში კი შვიდი ელემენტი. მართლაც,  $13 - 7 = 6$ .

თუ ეკვივალენტური ელემენტებიდან თითო-თითოს დავტოვებთ, მივიღებთ  $Q^3$  სიმრავლეს:  $Q^3 = \{abb, abc, acc, bbb, bbc, bcc, ccc\}$ .

ვანვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა, როცა  $n = 4$ :  $(Q^4)'$  =  $\{abbb, abbc, abcb, abcc; acbb, accb; bbbb, bbbb, bbcb; bbea, bbcb, bbcc; beca, becb, becc; cccc, cccb, cccc\}$ . უნდა გვქონდეს  $5n - 2$  ელემენტი:  $5 \times 4 - 2 = 20 - 2 = 18$ ; ე.ი.  $(Q^4)'$ -ში გვაქვს 18 ელემენტი;  $abbc = abcb = bbca$ ;  $abcc = acbb = beca$ ;  $abbb = bbbb$ ;  $abcc = ccca$ ;  $bbbc = bbcb$ ;  $bbcc = becb$ ;  $becc = cccb$ .

$n - 2$  ელემენტი სამჯერ მეორდება:  $4 - 2 = 2$ ; ე.ი. ორი ელემენტი მეორდება სამჯერ.

$n + 1$  ელემენტი მეორდება ორჯერ:  $4 + 1 = 5$ ; ე.ი. ხუთი ელემენტი ორჯერ მეორდება.

გვაქვს კიდევ ორი ელემენტი,  $bbbb$  და  $cccc$ , რომლებიც არ მეორდება.

გამეორებების რიცხვი ტოლია  $(2n - 1)$ -ისა:  $2 \times 4 - 1 = 8 - 1 = 7$ ; ე.ი. სულ გვაქვს შვიდი დამთხვევა.

როგორც უკვე ვთქვით,  $(Q^n)'$ -ში  $3n-3$  ელემენტით მეტი უნდა გვქონდეს  $Q^n$ -ის ელემენტებთან შედარებით:  $3 \times 4 - 3 = 12 - 3 = 9$ .

$(Q^4)'$ -ში გვაქვს 18 ელემენტი,  $Q^4$ -ში კი ცხრა ელემენტი. მართლაც,  $18 - 9 = 9$ .

თუ ეკვივალენტური ელემენტებიდან თითო-თითოს დავტოვებთ, მივიღებთ  $Q^4$  სიმრავლეს:  $Q^4 = \{abbbb, abbc, abcc, accc, bbbb, bbbc, bbcc, bccc, cccc\}$ . ამდენად,  $Q^n$  სიმრავლის მიღების ეს გზა, ვფიქრობთ, არ გამოგვადგება.

მეორე გზა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, არის  $Q^n$  სიმრავლის  $A^n$ ,  $B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეების მიღება ცალ-ცალკე. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო გამართლებულად შემდეგი ორი ვარიანტი გვესახება:

$$\begin{array}{ll}
 \text{ა) } \left\{ \begin{array}{l} A^n = A^{n-1}A(bVc); \\ B^n = B^{n-1}A(bVc); \\ C^n = C^{n-1}Ac; \end{array} \right. &
 \text{ბ) } \left\{ \begin{array}{l} A^n = aA(B^{n-1}VC^{n-1}); \\ B^n = bA(B^{n-1}VC^{n-1}); \\ C^n = cAC^{n-1}. \end{array} \right.
 \end{array}$$

აქ დამატებით შემოტანილია  $V$  („ან“) ოპერატორი.

თუ ა) წესს გამოვიყენებთ, მაშინ მივიღებთ  $A^n$  და  $B^n$  სიმრავლეებს, სადაც თითოეულ მათგანში გვექნება  $n-2$  ელემენტი, რომლებიც ორ-ორგვრად მეროდება, და კიდევ ორი განსხვავებული ელემენტი, რომლებიც არ მეროდება.

$C^n$  სიმრავლე ყოველთვის ერთელემენტანია; ამიტომ აქ თავიდანვე გამოირიცხულია ყოველგვარი დამთხვევა:  $C^n \equiv \underline{C}^n$  ( $\equiv$  სიმბოლო ნიშნავს, რომ  $n$ -ის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის ადგილი აქვს ტოლობას  $C^n = \underline{C}^n$ ); ე. ი. ა) წესით მიღებულ  $Q^n$ -ში გვექნება  $2n-4$  დამთხვევა:  $(n-2) + (n-2) = 2n-4$ , შესაბამისად, ელემენტების რიცხვი  $Q^n$ -ში იქნება  $4n-3$ :  $[2(n-2) + 2] + [2(n-2) + 2] + 1 = 4n-3$ ; ხოლო  $Q^n$ -ში საძიებელ  $Q^n$ -თან შედარებით გვექნება  $2n-4$  ელემენტით მეტი:  $(4n-3) - (2n+1) = 2n-4$ ;

როგორც ვხედავთ,  $(Q^n)'$ -თან შედარებით, სადაც გვქონდა  $2n-1$  დამთხვევა,  $Q^n$ -ში სამით შემცირდა დამთხვევების რიცხვი. აქ უკვე  $2n-4$  დამთხვევა გვაქვს:  $(2n-1) - (2n-4) = 3$ .

$Q^n$ -ის ელემენტების რიცხვის სხვაობა  $Q^n$ -ის ელემენტებთან, ამ უკანასკნელთან  $(Q^n)'$ -ის ელემენტების რიცხვის სხვაობასთან შედარებით შემცირდა  $(n+1)$ -ით:  $(5n-2) - (4n-3) = n+1$ ;  $(3n-3) - (2n-4) = n+1$ . ე. ი.  $Q^n$ -ის მიღების ა) ვარიანტი ამ თვალსაზრისით უკეთესია, ვიდრე ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებული პირველი გზა.

თუკი ბ) წესს გამოვიყენებთ  $Q^n$ -ის ქვესიმრავლეების ასაგებად, მაშინ  $A^n$  და  $B^n$  ქვესიმრავლეებში არც ერთი დამთხვევა აღარ გვექნება. სწორედ ამიტომ ჩვენ ვარჩევთ  $A^n$  და  $B^n$  სიმრავლეების მიღების ბ) ვარიანტს, ხოლო შესაბამის ფორმულებს ვუწოდებთ ზოგად რეკურენტულ თანაფარდობებს. იმისათვის, რომ შევავსოთ ეს თანაფარდობები  $n=1$  შემთხვევისათვის, შემდეგნაირად განვსაზღვროთ  $A^1$ ,  $B^1$  და  $C^1$  სიმრავლეები:  $A^1 = \{a\}$ ;  $B^1 = \{b\}$ ;  $C^1 = \{c\}$ .

ახლა, როცა  $n=2$ , ორივე ვარიანტი დასაშვებია:

$$\begin{array}{ll}
 \text{ა) } \left\{ \begin{array}{l} A^2 = A^1A(bVc); \\ B^2 = B^1A(bVc); \end{array} \right. &
 \text{ბ) } \left\{ \begin{array}{l} A^2 = aA(B^1VC^1); \\ B^2 = bA(B^1VC^1). \end{array} \right.
 \end{array}$$

მაშასადამე,  $A^2 = A^2$ ;  $B^2 = B^2$ .

როცა  $n=1$ , მაშინ ზოგადი ფორმულის ა) ვარიანტის გამოყენების შემთხვევაში ვიღებთ თ უაზრობას, შეცდომას:

$$a) \begin{cases} \underline{A}^1 = A^\circ \wedge (bVc) = bVc; \\ \underline{B}^1 = B^\circ \wedge (bVc) = bVc. \end{cases}$$

$A^\circ$ ,  $B^\circ$  და  $C^\circ$  ცარიელი სიმრავლეებია. თითოეული მათგანი არც ერთ ელემენტს არ შეიცავს; ცარიელი სიმრავლე ერთადერთია და აღინიშნება  $\emptyset$  სიმბოლოთი.

თუკი ბ) ვარიანტს გამოვიყენებთ ზოგადი ფორმულისათვის, მაშინ  $n=1$  შემთხვევისათვის გვექნება:

$$b) \begin{cases} A^1 = a \wedge (B^\circ V C^\circ) = a; \\ B^1 = b \wedge (B^\circ V C^\circ) = b. \end{cases}$$

ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ მეტყველებს ზოგადი ფორმულის ბ) ვარიანტის სასარგებლოდ, სადაც  $n$  არის ნებისმიერი ნატურალური რიცხვი. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ  $n=1$  შემთხვევისთვის რეკურენტული ფორმულა ჩვეულებრივ არ მოწმდება; იგი წინასწარი განსაზღვრით შემოაქვთ იმდაგვარად, როგორც ეს ჩვენ შემოთ გავაკეთეთ.

შევამოწმოთ  $A^n$  და  $B^n$  სიმრავლეების მიღების ა) და ბ) ვარიანტები  $n$ -ის ზო-გიერთი მნიშვნელობისათვის:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როცა  $n=2$ , მაშინ  $\underline{A}^2 = A^2$  და  $\underline{B}^2 = B^2$   
 $A^2 = a \wedge (bVc) = abVc$ ;  $B^2 = b \wedge (bVc) = bbVc$ ; ხოლო  $C^2 = c \wedge C^1 = cc$ .

ახლა  $n=3$  შემთხვევისათვის შევამოწმოთ ა) ვარიანტი:  $\underline{A}^3 = A^2 \wedge (bVc) =$   
 $= (A^2 \wedge b) V (A^2 \wedge c) = [(abVc) \wedge b] V [(abVc) \wedge c] = (abbVc) V (abcVc) =$   
 $= abbVc b V abcVacc;$

$$acb = abc.$$

$\underline{B}^3 = B^2 \wedge (bVc) = (B^2 \wedge b) V (B^2 \wedge c) = [(bbVc) \wedge b] V [(bbVc) \wedge c] =$   
 $bbbVc b V bbcVbcc;$

$$bcb = bbc.$$

როგორც ზემოთ ვთქვით,  $\underline{A}^n$  და  $\underline{B}^n$  სიმრავლეებში გვექნება  $n-2$  ელემენტი, რომლებიც ორჯერ მეორდება:  $3-2=1$ ; მართლაც,  $\underline{A}^3$  და  $\underline{B}^3$  სიმრავლეებში თითო ელემენტი მეორდება ორჯერ.

ვნახოთ, რა სურათს იძლევა ბ) ვარიანტი  $n=3$  შემთხვევისათვის:

$$A^3 = a \wedge (B^2 V C^2) = (a \wedge B^2) V (a \wedge C^2) = [a \wedge (bbVc)] V (a \wedge cc) = abbVc b V acc;$$

$$B^3 = b \wedge (B^2 V C^2) = (b \wedge B^2) V (b \wedge C^2) = [b \wedge (bbVc)] V (b \wedge cc) = bbbVc b V bcc.$$

როგორც ვხედავთ, აქ ელემენტების განეორგნან ადგალი არა აქვს. შევამოწმოთ ა) ვარიანტი  $n=4$  შემთხვევისათვის:

$$\underline{A}^4 = A^3 \wedge (bVc) = (A^3 \wedge b) V (A^3 \wedge c) =$$

$$= [(abbVc b V acc) \wedge b] V [(abbVc b V acc) \wedge c] =$$

$$= (abbbVc b V accb) V (abbcVaccVacc) =$$

$$= abbbVc b V accb V abbcVaccVacc;$$

$$abcb = abbc; accb = abcc.$$

$$\underline{B}^4 = B^3 \wedge (bVc) = (B^3 \wedge b) V (B^3 \wedge c) =$$

$$= [(bbbVc b V bcc) \wedge b] V [(bbbVc b V bcc) \wedge c] =$$

$$= (bbbbVc b V bccb) V (bbbcVbbccVbcc) =$$

$$= bbbbVc b V bccb V bbccVbbccVbcc;$$

$$bbcb = bbcc; bccb = bbcc.$$




როგორც უკვე ვთქვით,  $A^n$  და  $B^n$  სიმრავლეებში გვექნება  $n-2$  ელემენტი, რომლებიც ორჯერ მეორდება:  $4-2=2$ ; მართლაც,  $A^4$  და  $B^4$  სიმრავლეებში ორ-ორი ელემენტი მეორდება ორჯერ. როცა  $n=3$ , მაშინ  $C^3 = aAC^2 = cAcc = ccc$ . ვნახოთ, რა სურათს მოგვცემს ბ) ვარიანტი  $n=4$  შემთხვევისათვის:

$$A^4 = a\Lambda(B^3VC^3) = (a\Lambda B^3)V(a\Lambda C^3) = [a\Lambda(bbbVbbcVbcc)]V(a\Lambda ccc) = = abbbVabbcVabccVacc;$$

$$B^4 = b\Lambda(B^3VC^3) = (b\Lambda B^3)V(b\Lambda C^3) = [b\Lambda(bbbVbbcVbcc)]V(b\Lambda ccc) = = bbbbVbbbcVbbccVbbcc. \text{ როგორც ვხედავთ, აქ ელემენტების გამეორებას ადგილი არა აქვს.}$$

a, b და c სიმბოლოები იერარქიულ სტრუქტურას ქმნიან.

იერარქიაში უმაღლეს საფეხურს იკავებს a სიმბოლო. თუკი ის შეგვხვდა Q<sup>n</sup> სიმრავლის რომელიმე ელემენტის შემადგენლობაში, მაშინ ეს ელემენტი აუცილებლად A<sup>n</sup> ქვესიმრავლეში შევა.



სურათი N1


(n=3)

შემდეგი (შუალედური) საფეხური უჭირავს  $b$  სიმბოლოს. თუკი ის შეგვხვდა  $Q^n$ -ის რომელიმე ელემენტის შემადგენლობაში, სადაც არ შედის  $a$  სიმბოლო, მაშინ ეს ელემენტი აუცილებლად  $B^n$  ქვესიმრავლეში შევა.

იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება  $c$  სიმბოლო. თუ  $c$  სიმბოლო შეგვხვდა  $Q^n$  სიმრავლის რომელიმე ელემენტის შემადგენლობაში, რომელშიც არ შედის  $a$  და  $b$  სიმბოლოები, მაშინ ეს ელემენტი აუცილებლად ერთელემენტიანი  $C^n$  ქვესიმრავლის ერთადერთი ელემენტი იქნება.

მაშასადამე, იერარქიულ სტრუქტურას ასეთი სახე ექნება:  $a > b > c$ .

მთელი რიგი ენებისათვის ნაცვალსახელთა კლასიფიკაცია  $A^n$ ,  $B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეებში შესვლის თვალსაზრისით არასაკმარისად ასახავს რეალურ ენობრივ სიტუაციას. ამიტომ  $Q^n$  სიმრავლის ელემენტების დასახსიათებლად შემოგვაქვს სამეტაპიანი ბინარული დაყოფა ელემენტში  $a$ ,  $b$  და  $c$  სიმბოლოების შე-



სვლა-არშესვლის თვისების მიხედვით. ვინაიდან სამი ნიშნის მიხედვით ხდება დახასიათება, ამიტომ პირველ ეტაპზე სამი ვარიანტია შესაძლებელი; მეორე ეტაპზე თითოეული ვარიანტისათვის ორ-ორი შესაძლებლობა გვაქვს, ხოლო მესამე ეტაპზე ერთი შესაძლებლობაა გვრჩება; ე. ი. სულ გვექნება  $3 \times 2 \times 1$ , ანუ ექვსი ვარიანტი (იხ. სქემა № 1). ამათგან მხოლოდ I ვარიანტში ხერხდება  $A^n$ ,  $B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეების ერთმანეთისაგან მკაცრად გამოჯენა. ეს ის დაყოფაა, რომელიც ითვალისწინებს იერარქიას  $a > b > c$ . უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დაყოფის I ვარიანტი (იხ. სქემა № 2).

პირველ ეტაპზე  $a$  სიმბოლოს შესვლა-არშესვლით ხასიათდება  $Q^n$  სიმრავლის ელემენტები. გამოიყოფა  $a$ -ს შემცველი ელემენტებიანი  $A^n$  ქვესიმრავლე, რომელიც  $n$  რაოდენობის ელემენტებისაგან შედგება, და აგრეთვე  $a$ -ს არშემცველი ელემენტებიანი  $D^n$  ქვესიმრავლე, რომელშიც გვექნება  $n+1$  ელემენტი.

მეორე ეტაპზე ვაგრძელებთ ბინარულ დაყოფას პირველ ეტაპზე გამოყოფილ  $A^n$  და  $D^n$  სიმრავლეებში, რომელთა ელემენტების დახასიათება ხდება  $b$  სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით.

$A^n$ -ში გამოიყოფა  $b$ -ს შემცველი ელემენტებიანი  $A_1^n$  (ინკლუზივი) და  $b$ -ს არშემცველი ელემენტებიანი  $A_2^n$  (ექსკლუზივი) ქვესიმრავლეები, ხოლო  $D^n$ -ში გამოიყოფა  $b$ -ს შემცველი ელემენტებიანი  $B^n$  და  $b$ -ს არშემცველი ელემენტებიანი  $C^n$  ქვესიმრავლეები.  $A_1^n$  და  $C^n$  ერთელემენტანი სიმრავლეებია.  $A_2^n$  ქვესიმრავლე  $n-1$  ელემენტს შეიცავს, ხოლო  $B^n$  ქვესიმრავლეში  $n$  ელემენტი გვექნება.

მესამე ეტაპზე კიდევ ერთ ბინარულ დაყოფას ვახდენთ მეორე ეტაპზე გამოყოფილ ქვესიმრავლეებში, რომელთა ელემენტებს ვახასიათებთ  $c$  სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით.

$A_1^n$ -ში გამოიყოფა  $c$ -ს შემცველი ელემენტებიანი  $(A_1^n)^c$  და  $c$ -ს არშემცველი ელემენტებიანი  $(A_1^n)^e$  ქვესიმრავლეები.

$B^n$ -ში გამოიყოფა  $c$ -ს შემცველი ელემენტებიანი  $(B^n)^c$  (ინკლუზივი) და  $c$ -ს არშემცველი ელემენტებიანი  $(B^n)^e$  (ექსკლუზივი) ქვესიმრავლეები.

$(A_1^n)^e$  და  $(B^n)^e$  ერთელემენტანი სიმრავლეებია.  $(A_1^n)^c$  სიმრავლეში გვაქვს  $n-2$  ელემენტი, ხოლო  $(B^n)^c$  სიმრავლე  $n-1$  ელემენტისაგან შედგება.

$A_2^n$  და  $C^n$  ერთელემენტანი სიმრავლეებია, ამიტომ მათი შემდგომი დაყოფა მხოლოდ ცარიელ სიმრავლეს გამოგვაცოფინებს.

$A_2^n$ -ში მესამე ეტაპზე გამოიყოფა  $c$ -ს შემცველი ელემენტანი  $(A_2^n)^c$  და  $c$ -ს არშემცველი ელემენტანი  $(A_2^n)^e$  ქვესიმრავლეები.  $n=1$  შემთხვევაში  $(A_2^n)^c$  ცარიელი სიმრავლეა, ხოლო როცა  $n > 1$ , მაშინ ის ყოველთვის ერთი ელემენტისაგან შედგება;  $n=1$  შემთხვევაში  $(A_2^n)^e$  სიმრავლე ერთადერთ  $a$  ელემენტს შეიცავს, ხოლო როცა  $n > 1$ , მაშინ ის ცარიელ სიმრავლეს წარმოადგენს.

ქვემოთ მოგვყავს ზოგადი რეკურენტული თანადარობანი ჩვენ მიერ დამატებით გამოყოფილი ქვესიმრავლეებისათვის:

$$\begin{aligned} A_1^n &= a\Lambda B^{n-1} & \dots (n > 1); & & A_2^n &= a\Lambda C^{n-1} & \dots (n > 1); \\ (A_1^n)^c &= a\Lambda (B^{n-1})^c & \dots (n > 2); & & (A_1^n)^e &= a\Lambda (B^{n-1})^e & \dots (n > 1); \\ (B^n)^c &= b\Lambda [(B^{n-1})^c \vee C^{n-1}] & \dots (n > 1); & & (B^n)^e &= b\Lambda (B^{n-1})^e & \dots (n > 1). \end{aligned}$$

ჩვენ ზემოთ შევეცადეთ შეგვემუშავეთ პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპი. სქემა № 2, რომელიც წარმოადგინეთ, ვფიქრობთ, უნივერსალურია ამ თვალსაზრისით. იგი მოიცავს თეორიულად დასაშვებ ყველა შესაძლო კომბინაციას პირის ნაცვალსახელებისა ნების-

მიერი ბუნებრივი ენისთვის. ცალკეულ ენებში რეალიზებული იქნება ამ სქემის რაღაც ვარკვეული ნაწილი. ნებისმიერი კონკრეტული ბუნებრივი ენის ნაცვალსახელური სისტემა გამოიყენება ამ სქემიდან მასზე რაღაც შეზღუდვების დადებით. არის ენები, რომლებშიც გამოხატულია პირის ნაცვალსახელებში ორობითი, სამობითი (იშვითად ოთხობითი) და მრავლობითი რიცხვი. დადგენილია ზოგიერთი უნივერსალური მიმართება, რომელიც მათ შორის არსებობს. როგორც სქემა № 2-დან ჩანს, რომელიმე ენისათვის მაქსიმალური რიცხვი ერთმანეთისგან განსხვავებული ორობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმებისა უდრის ხუთს (ვინაიდან  $Q^2$  სიმრავლე ხუთი ელემენტისაგან შედგება), ხოლო მაქსიმალური რიცხვი ერთმანეთისაგან განსხვავებული სამობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმებისა უდრის შვიდს, რადგანაც  $Q^3$  სიმრავლეში შვიდი ელემენტი შედის.

სქემა № 2-ის ზოგიერთ გრაფაში ერთზე მეტი ელემენტი მოთავსებული. მაგ.:  $(A^n)^i$ -ის შესაბამისი სვეტის გრაფებში, როცა  $n > 2$ , ერთზე მეტი ელემენტია მოთავსებული.  $n$ -ე სვეტის გრაფებში, როცა  $n > 3$ , აგრეთვე  $(B^n)^i$ -ით აღნიშნული სვეტის გრაფებში, როცა  $n > 2$ , ერთზე მეტი ელემენტია მოთავსებული რამდენიმე ელემენტი განსხვავებული ფორმებით გადმოიცეს ამა თუ იმ ენაში.

როცა  $n > 4$ , მაშინ ერთმანეთის ქვეშ მყოფ გრაფებში მოთავსებული ელემენტები ყოველთვის ერთი ფორმით იქნება გამოხატული. მაგ.:  $C^5, C^6, C^7, \dots, C^n$  ერთელემენტაინი სიმრავლეები თითოეულ ენაში ერთი და იმავე ფორმით იქნება გამოხატული.

გვინდა ვავაქეთოთ ტექნიკური ხასიათის ერთი შენიშვნა: რაიმე სიმრავლის აღმნიშვნელ ფორმაში ქვემოთ მიწერილი  $i$  (resp.  $e$ ) სიმბოლო ნიშნავს  $x$ -ს ჩართვას (resp. ჩაურთველობას), ხოლო ზემოთ მიწერილი  $i$  (resp.  $e$ ) სიმბოლო კი ნიშნავს  $x$ -ს ჩართვას (resp. ჩაურთველობას) შესაბამის სიმრავლეში.

ჯონ ლაიონზი, მსჯელობს რა პირისა და რიცხვის კატეგორიების შესახებ, შესაძლებლად მიიჩნევს გამიჯნოს ერთმანეთისაგან „ინკლუზიური“ და „ექსკლუზიური“ ხმარება „მეორე პირის მრავლობითი რიცხვისა“ (ავტორისავე სიტყვებით, „ინკლუზიური“ vs. „ექსკლუზიური“ ტერმინების რამდენადმე განსხვავებული აზრით, ვიდრე ეს გვაქვს „პირველი პირის მრავლობითი რიცხვთან“). „ექსკლუზიური“ განეკუთვნება მხოლოდ მსმენელს, ხოლო „ინკლუზიური“ მიემართება ერთდროულად მსმენელს ან მსმენელებს სხვა პირთან ან პირებთან ერთიანობაში (იხ. Джон Л. а й о н з, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978, გვ. 293—4). ლაიონზი თვლის, რომ „მესამე“ პირი უნდა განირჩეს „პირველი“ და „მეორე“ პირისაგან რიგი თავისებურებებით და კიდევაც მოჰყავს სათანადო არგუმენტაცია თავისი მასალით, მაგრამ იგი ბოლოს მაინც დაასკვნის, რომ პირველადი „პირველი“ პირის და „არაპირველი“ პირის გამიჯვნა, ხოლო „მეორე“ და „მესამე“ პირების გამიჯვნა მეორეულია. ავტორის აზრით, „პირველი“ პირი წარმოადგენს პირის კატეგორიის გაბატონებულ წევრს (იხ. იქვე).

თუ სქემა № 2-ზე დავეყვირდებით  $Q^1$  სიმრავლის შესაბამის სტრუქტურას, ვნახავთ, რომ პირების ანალოგიურ დაყოფასთან გვაქვს საქმე. ჯერ გამოიყოფა  $a$  სიმბოლო, ხოლო შემდეგ  $b$  და  $c$  სიმბოლოები. ამავე სქემაზე კარგად ჩანს  $B^n$  სიმრავლის ანალოგიური დაყოფა  $(B^n)^e$  და  $(B^n)^i$  ქვესიმრავლეებად.

ბენვენისტს მიაჩნია, რომ არ არის საკმარისი ვუწოდოთ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის განსხვავებულ ფორმებს „ინკლუზიური“ და „ექსკლუზიური“. ტერმინი გულისხმობს „თქვენ“ ელემენტის ჩართვას ან გამორიცხვას, მაგრამ „ისინი“ ელემენტის მიმართ აღნიშვნა სწორედ რომ შებრუნებული იქნებოდა,

თუმცა ძნელია მოიძებნოს უფრო შესაფერისი ტერმინი (იხ. Э. Бенвени-  
ს т, *Общая лингвистика*, М., 1974, გვ. 267).

თუ განვიხილავთ ისეთ ენას, სადაც პირველი პირის მრავლობითი რიცხვი-  
სთვის ორი განსხვავებული ფორმა გვაქვს, მაშინ  $n=2$  შემთხვევისთვის ავტო-  
რის მსჯელობა დამატებელი მოგვეჩვენება, ვინაიდან  $A^2$  სიმრავლე ორი ელ-  
ემენტისგან შედგება:  $A^2 = \{ab, ac\}$  და ლოგიკურად გამართლებულია ორივე  
შესაძლებლობა.

საკმარისია განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა  $n > 2$ , რომ გამოაშკარავ-  
დეს ამგვარი მსჯელობის ნაკლოვანი მხარე. მაგალითისათვის განვიხილოთ შემთ-  
ხვევა, როცა  $n=3$ :  $A^3 = \{abc, abb, acc\}$ .

თუ აღნიშნულ ტერმინებს გამოვიყენებთ  $c$  ელემენტის მიმართ ისე, როგორც  
ეს ბენვენისტმა მიიჩნია დასაშვებად, მაშინ გამოვა, რომ „იკლუზიური“ ფორ-  
მებია  $abc$  და  $acc$ , რომლებიც გამოხატულების პლანში განსხვავდებიან „ექს-  
კლუზიური“  $abb$  ფორმისაგან; ეს კი ეწინააღმდეგება ენობრივ მონაცემებს. ვი-  
ნაიდან იმ ენებში, სადაც პირველი პირის მრავლობითი რიცხვისთვის ორი გან-  
სხვავებული ფორმა გვაქვს, ერთმანეთს უპირისპირდება  $b$ -ს შემცველი ( $abc$ ,  
 $abb$ ) და  $b$ -ს არშემცველი ( $acc$ ) ელემენტები.

თუ აღმოჩნდა ენა, სადაც პირველი პირის მრავლობითი რიცხვისთვის სამი  
განსხვავებული ფორმა გვაქვს (ეს კი ნაკლებსააღბათია), მაშინ ბენვენისტის მსჯე-  
ლობა ძალაში დარჩება ამგვარი შემთხვევისათვის, ვინაიდან ლოგიკურად აქ უკ-  
ვე ორივე შესაძლებლობაა გამართლებული; თუმცა ამ შემთხვევაში ვაპირებდნენ  
 $B^n$  და  $C^n$  ქვესიმრავლეების ერთმანეთისაგან გამოიყვანა, რაც სერიოზულ დაბრკო-  
ლებელ გვესახება (იხ. სქემა № 1, II ვარიანტი).

ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ უნდა ვილაპარაკოთ  $c$  ელემენტის ჩართვაზე  
არა  $A^n$  სიმრავლეში, არამედ ზემოთ მოცემული დაყოფის მეორე ეტაპზე გამო-  
ყოფილ  $A^n$  და  $A^n$  ქვესიმრავლეებში (იხ. სქემა № 2).

ჩვენ მიერ  $A^n$ ,  $A^n$ ,  $A^n$ ,  $(A^n)^n$ ,  $(A^n)^n$  სიმრავლეებისათვის ზემოთ მოყვანილი ზო-  
გადი რეკურენტული თანადარობანი, სადაც წინა პლანზე ყველგან  $a$  სიმბოლოა  
წამოწეული, ნათელი დადასტურებაა ბენვენისტის შემდეგი გამონათქვამისა:  
„მე“-ს არსებობა იმ ფაქტს წარმოადგენს, რის საფუძველზედაც არსებობს „ჩვენ“  
(იხ. იქვე).

ახლა ისეთი შემთხვევები განვიხილოთ, როცა ცალკეული ამოსავალი სიმ-  
ბოლოებისათვის ერთზე მეტი განსხვავებული ფორმა მოგვეპოვება.

დავუშვათ,  $c$  სიმბოლოსთვის ორი განსხვავებული ფორმა გვაქვს. აღენი-  
შნოთ ისინი  $c_1$  და  $c_2$  სიმბოლოებით. შესაძლებელია  $c_1$  და  $c_2$  დავაკავშიროთ  $\Lambda$   
(„და“) ოპერატორით:  $c_1 \Lambda c_2$ ; შემოკლებული ჩაწერით, ე. ი.  $\Lambda$  სიმბოლოს გა-  
მოტოვებით, გვექნება  $c_1 c_2$ . შესაძლებელია კიდევ ორი კომბინაცია:  $c_1 c_1$  და  $c_2 c_2$ .

$c_1 c_1$ -ის შესატყვისი ფორმა აღენიშნოთ  $C_1$ -ით;  $c_2 c_2$ -ის შესატყვისი ფორმა  
კი  $C_2$ -ით აღენიშნოთ.

თუ აღმოჩნდა, რომ  $c_1 c_2$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა არის  $C_1$ , მაშინ  
ვიტყვი, რომ  $c_1 > c_2$  (ე. ი. იერარქიაში  $c_1$  უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება,  
ვიდრე  $c_2$ ); თუ აღმოჩნდა, რომ  $c_1 c_2$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა არის  $C_2$ ,  
მაშინ ვიტყვი, რომ  $c_2 > c_1$ . თუკი  $c_1 c_2$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა არ და-  
ემთხვევა არც  $C_1$ , არც  $C_2$  ფორმებს, მაშინ ვერ ვიტყვი, თუ რა იერარქია არ-  
სებობს  $c_1$  და  $c_2$  სიმბოლოებს შორის.

ფრანგულ ენაში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელისათვის ორი ფორმა მოიპოვება:  $c_1 = il$  („ის“ მამრ.),  $c_2 = elle$  („ის“ მდედრ.). მრავლობითი რიცხვისთვის მესამე პირში ასევე ორი განსხვავებული ფორმა გვაქვს.  $ils$  („ისინი“ მამრ.) და  $elles$  („ისინი“ მდედრ.).

$elles$  წარმოადგენს მდედრობითი სქესის ნაცვალსახელს იმ აზრით, რომ ყველა სახელი ან საგანი, რომლებსაც ის მიემართება, ეკუთვნის მდედრობითი სქესის სახელებს;  $ils$  წარმოადგენს მამრობითი სქესის ნაცვალსახელს იმ აზრით, რომ სულ ცოტა ერთი მონც იმ საგნებიდან ან სახელებიდან, რომლებსაც ის მიემართება, არის მამრობითი სქესის სახელი. ე. ი.  $C_1 = c_1c_1 = ils$ ,  $C_2 = c_2c_2 = elles$ ; ხოლო  $c_1c_2 = C_1 = ils$ . აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ  $c_1 > c_2$ , ე. ი. ფრანგულ ენაში მამრობითი სქესი გაბატონებული წევრია სქესის სისტემისა.

თანამედროვე ქართულში გვაქვს „ის“ და „ეს“ ნაცვალსახელები. „ის“  $\Lambda$  „ის“ = „ისინი“; „ეს“  $\Lambda$  „ეს“ = „ესენი“.

იმის მიხედვით, თუ რას მოგვეცემს „ის“  $\Lambda$  „ეს“ კომბინაცია, გაირკვევა მის შემადგენელ ელემენტებს შორის არსებული იერარქია.

თუ აღმოჩნდა, რომ „ის“  $\Lambda$  „ეს“ = „ისინი“, მაშინ ვიტყვი, რომ „ის“  $>$  „ეს“; თუკი აღმოჩნდა, რომ „ის“  $\Lambda$  „ეს“ = „ესენი“, მაშინ ვიტყვი, რომ „ეს“  $>$  „ის“.

თანამედროვე რუსულ ენაში ამოსავალი  $c$  სიმბოლოსთვის სამი განსხვავებული ფორმა მოიპოვება:  $c_1 = он$ ;  $c_2 = она$ ;  $c_3 = оно$ . მრავლობით რიცხვში კი ერთი ფორმა გვაქვს  $они$ .

ძველ რუსულში მრავლობით რიცხვშიც სამი განსხვავებული ფორმა არსებობდა:  $они$ ,  $она$ ,  $оны$  (მხოლოდით რიცხვში გვექონდა  $онѣ$  ფორმა, რომელიც თანამედროვე რუსულის  $он$  ფორმის შესატყვისია).

ვფიქრობთ, რომ ძველ რუსულში ასეთი სურათი უნდა გვექონოდა:

$$\begin{matrix} он \Lambda он = \\ он \Lambda она = \\ он \Lambda оно = \end{matrix} \left\{ \begin{matrix} они = C_1; \\ она \Lambda она = \\ она \Lambda оно = \end{matrix} \right. \left\{ \begin{matrix} оны = C_2; \\ оно \Lambda оно = она = C_3. \end{matrix} \right.$$

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ვიტყვი, რომ ძველ რუსულში ასეთი იერარქიული სტრუქტურა არსებობდა:  $он > она > оно$ .

განვითარების შემდეგ ეტაპზე რუსულში მრავლობით რიცხვში უკვე ორი განსხვავებული ფორმა გვაქვს:  $они$ ,  $онѣ$  ( $оне$ ). დაიკარგა  $она$  ფორმა. მისი შესაბამისი კომბინაციის გამოხატვა იკისრა  $они$  ფორმამ. რაც შეეხება  $оны$  ფორმას, ის შეიცვალა  $онѣ$  ( $оне$ ) ფორმით. ამ ეტაპისთვის გვექნება:  $он > она$ ,  $она > оно$ .

რა მიმართება ივარაუდება „ $он$ “ და „ $оно$ “ ფორმებს შორის? აქ თუ შემოვიტანთ ტრანზიტულობის თვისებას, მივიღებთ:  $он > она > оно$ , ე. ი.  $он > оно$ .

იმავე შედეგს მივიღებთ ნეიტრალიზაციის მომენტის გათვალისწინებითაც:  $C_1 = они$  და  $C_3 = она$  ფორმების დაპირისპირების ნეიტრალიზაციის დროს გამოვლინდა ამ დაპირისპირების ერთ-ერთი წევრი, კერძოდ,  $C_1$  ფორმა ( $C_1 = c_1c_1$ ). ამიტომ ვიტყვი, რომ  $c_1 > c_3$ , ე. ი.  $он > оно$ .

თანამედროვე რუსულში მრავლობით რიცხვში ერთი ფორმაღა შემოგვრჩა  $C_1 = они$ ; ე. ი. მოიშალა დაპირისპირება  $C_1 = они$  და  $C_2 = онѣ$  ფორმებს შორის. ნეიტრალიზაციის დროს გამოვლინდა ამ დაპირისპირების ერთ-ერთი წევრი, კე-

რძოდ,  $C_1 = c_1 c_1$  ფორმა. აქ უკვე შეუძლებელი ხდება  $c_1$ ,  $c_2$  და  $c_3$  სიმბოლოებს შორის იერარქიის დადგენა იმ მეთოდით, რომელიც ჩვენ ზემოთ გამოვიყენეთ რუსული ენის განვითარების ადრეული ეტაპებისათვის. დამატებითი არგუმენტების მოშეკლება დაგვიკვირდება იმის დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე რუსულშიც  $c_1 > c_2 > c_3$ ; თუმცა, ის ფაქტი, რომ შემორჩა  $C_1 = c_1 c_1$  ფორმა, თავისთავად უკვე მეტყველებს  $c_1$  სიმბოლოს გაბატონებულ მდგომარეობაზე დანარჩენი ( $c_2$ ,  $c_3$ ) სიმბოლოების მიმართ.

არის ენები, სადაც  $c$  სიმბოლოსთვის ოთხი განსხვავებული ფორმა გვაქვს:  $c_1$ ,  $c_2$ ,  $c_3$ ,  $c_4$ ; დავუშვათ, სამზე მეტი განსხვავებული ფორმა გვაქვს მრავლობით რიცხვშიც.  $c_1 c_1$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა აღვნიშნოთ  $C_1$ -ით.  $c_2 c_2$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა აღვნიშნოთ  $C_2$ -ით.  $c_3 c_3$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა  $C_3$ -ით აღვნიშნოთ,  $c_4 c_4$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა კი  $C_4$ -ით.

თუ ამ ტიპის რომელიმე ენაში ერთდროულად მოქმედებს შემდეგი წესები:

$$\left. \begin{aligned} c_1 c_1 &= \\ c_1 c_2 &= \\ c_1 c_3 &= \\ c_1 c_4 &= \end{aligned} \right\} C_1; \quad \left. \begin{aligned} c_2 c_2 &= \\ c_2 c_3 &= \\ c_2 c_4 &= \end{aligned} \right\} C_2; \quad \left. \begin{aligned} c_3 c_3 &= \\ c_3 c_4 &= \end{aligned} \right\} C_3; \quad c_4 c_4 = C_4,$$

მაშინ ვიტყვით, რომ ამ ენაში ასეთი იერარქიული სტრუქტურა გვაქვს:  $c_1 > c_2 > c_3 > c_4$ .

ზოგიერთ ენაში  $c$  სიმბოლოსთვის გამოყენებული განსხვავებული ფორმების რიცხვი შეიძლება ოთხზე მეტიც იყოს.

თუ რომელიმე ენაში მესამე პირის ნაცვალსახელის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვისთვის თანაბარი რაოდენობის განსხვავებული ფორმები არსებობს (მაგალითად, ძველი რუსული, თანამედროვე ფრანგული, ანდიური და სხვა), მაშინ, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი დაგვეხმარება იერარქიის გამოვლენაში.

შესაძლებელია ერთზე მეტი განსხვავებული ფორმა გვექონდეს ამოსავალი  $b$  სიმბოლოსთვისაც. დავუშვათ, ასეთი ფორმების რიცხვი ორის ტოლია; აღვნიშნოთ ისინი  $b_1$  და  $b_2$  სიმბოლოებით.

რაც ზემოთ ვთქვით, იგივე შეიძლება გავიმეოროთ იმ შემთხვევისთვისაც, როცა მრავლობითი რიცხვისთვის მეორე პირში ასევე ერთზე მეტი განსხვავებული ფორმა მოგვეპოვება. შემოვიტანოთ აღნიშვნები:  $b_1 b_1 = B_1$ ,  $b_2 b_2 = B_2$ .

თუ აღმოჩნდა, რომ  $b_1 b_2 = B_1$ , მაშინ ვიტყვით  $b_1 > b_2$ ; თუ  $b_1 b_2 = B_2$ , მაშინ დავსაყენით, რომ  $b_2 > b_1$ ; თუკი  $b_1 b_2$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა არ დავამთხვა არც  $B_1$ , არც  $B_2$  ფორმებს, მაშინ ვერ ვიტყვით, თუ რა იერარქია არსებობს  $b_1$  და  $b_2$  სიმბოლოებს შორის.

სამეტყველო აქტში მონაწილე მეორე (მსმენელი) პირი ყოველთვის ადამიანია. ამიტომ,  $b_1$  და  $b_2$  ფორმები, ჩვეულებრივ, ენებში ბუნებრივი სქესის მიხედვით დაპირისპირებას ასახვენ. ასეთივე დაპირისპირება შეიძლება აისახოს პირველ პირშიც ( $a_1$ ,  $a_2$ ), ოღონდ აქ იერარქიას (თუკი ამაზე საერთოდ შეიძლება ლაპარაკი პირველ პირში)  $a_1$  და  $a_2$  სიმბოლოებს შორის ჩვენი მეთოდით ვეღარ დავადგენთ უზბოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ მათი დაკავშირება  $\Lambda$  ("და") ოპერატორით გამორიცხულია.

დაპირისპირება ბუნებრივი სქესის მიხედვით შესაძლებელია სამივე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელში გვექონდეს:  $a_1$  (მამრ.) და  $a_2$  (მდედრ.),  $b_1$

(მაზრ.) და  $b_2$  (მდღერ.),  $c_1$  (მაზრ.) და  $c_2$  (მდღერ.); როგორც ზემოთ ვნახეთ,  $c_1 > c_2$ . ვფიქრობთ, იგივე იერარქია უნდა გვქონდეს მეორე პირშიც:  $b_1 > b_2$ .

ბუნებრივი სქესის მიხედვით დაპირისპირებული ადამიანის აღმნიშვნელი სახელები რიგ თავისებურებებს ამქადაგებენ ენის სხვადასხვა ქვესისტემაში. შესაძლებელია ეს სახელები თვითონ არც კი იყვნენ გაფორმებული ბუნებრივი სქესის აღმნიშვნელი სპეციალური გრამატიკული ნიშნებით (მორფემებით), მაგრამ ასეთი ნიშნები (ფორმალური მახასიათებლები) შეიძლება გააჩნდეს მათ სუბსტიტუტებს (პირის ნაცვალსახელებს), ატრიბუტულ მსაზღვრელებს (ზედსართავ სახელებს), რიცხვით სახელებს და აგრეთვე ზმნაშიც შეიძლება გვქონდეს. დანარჩენი სახელები (არაადამიანის აღმნიშვნელი) თავისი ქცევით შეიძლება დაიყოს ორ ისეთ ნაწილად, რომლებიც იმეორებენ ადამიანის აღმნიშვნელი სახელების ქცევას. მაგალითად, ფრანგულ ენაში არაადამიანის აღმნიშვნელი სახელების ერთი ნაწილი იმეორებს მამრობითი სქესის აღმნიშვნელ სახელთა ქცევას, ხოლო დანარჩენები (მეორე ნაწილი) კი ისევე იქცევა, როგორც მდღერობითი სქესის აღმნიშვნელი სახელები. ამრიგად, ფრანგულში არსებითი სახელები ორ ნაწილად დაიყო, რომლებიც ერთმანეთს გრამატიკული სქესის მიხედვით უპირისპირდებიან. აღენიშნოთ ისინი  $K_1$  და  $K_2$  სიმბოლოებით.

შესაძლებელია, არაადამიანის აღმნიშვნელი სახელებიდან ზოგიერთმა თავისებური ქცევა გამოავლინოს და არ შევიდეს არც მამრობითი და არც მდღერობითი გრამატიკული სქესის აღმნიშვნელ სახელთა ქვესიმრავლეში. მაშინ ასეთი სახელები ცალკე ( $K_3$ ) ქვესიმრავლეს შექმნიან და დაუპირისპირდებიან ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა სიმრავლეს (მაგალითად, ზუნძურში, რუსულში და სხვ). ამ ენებში არსებით სახელთა სიმრავლე სამ ნაწილად გაიყო. აღენიშნოთ ისინი შესაბამისად  $K_1$ ,  $K_2$  და  $K_3$  სიმბოლოებით.

შესაძლებელია ზოგიერთ ენაში არაადამიანის აღმნიშვნელ სახელებში ერთზე მეტი ისეთი ქვესიმრავლე გამოიყოს, რომლის ელემენტებიც ერთმანეთისგან განსხვავებულად იქცევიან და აგრეთვე არ იმეორებენ ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა ქცევას. მაშინ ვიტყვით, რომ ამ ტიპის ენებში ოთხი კლასი გვაქვს:  $K_1$ ,  $K_2$ ,  $K_3$ ,  $K_4$ . თითოეული კლასის ნებისმიერი ელემენტი შეიძლება ჩავანაცვლოთ შესაბამისად  $c_1$ ,  $c_2$ ,  $c_3$ ,  $c_4$  ნაცვალსახელებით.

$a_1$  და  $b_1$  (resp.  $a_2$  და  $b_2$ ) ნაცვალსახელებით შეიძლება ჩავანაცვლოთ  $K_1$  (resp.  $K_2$ ) კლასის ის ელემენტები, რომლებიც ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა სიმრავლეში შედიან.

არსებით სახელთა კლასებად დაყოფის სემანტიკური საფუძველი განსხვავებულია ენების მიხედვით, ზოგჯერ გაურკვეველი და დაუდგენელიც; ფორმალური კრიტერიუმი კი ყველა ენაში არის ის თავისებური ქცევა, რითაც განსხვავდებიან გამოყოფილ ცალკეულ ქვესიმრავლეთა ელემენტები სხვა დანარჩენი ქვესიმრავლეების ელემენტებისაგან. შესაძლებელია არაცარიელი თანაკვეთაც კი ჰქონდეს კლასებად დაყოფის შედეგად მიღებულ ქვესიმრავლეთა ზოგიერთ წევრს, ე.ი. ერთი და იგივე სახელი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქცეოდეს იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნება იგი.

დავეუშვათ თეორიულად, რომ რომელიმე ენაში ერთდროულად გვაქვს:  $a_1$ ,  $a_2$ ,  $b_1$ ,  $b_2$ ,  $c_1$ ,  $c_2$ ,  $c_3$ ,  $c_4$  ნაცვალსახელები. ზემოთ ჩვენ დავადგინეთ შემდეგი სახის იერარქიები:  $a > b > c$ ;  $c_1 > c_2 > c_3 > c_4$ ;  $b_1 > b_2$ . თუ პირობითად ჩავთვლით, რომ  $a_1 > a_2$ , მაშინ თეორიულად დაშვებული ენისათვის იერარქიული სტრუქტურა ასეთ სახეს მიიღებს:  $a_1 > a_2 > b_1 > b_2 > c_1 > c_2 > c_3 > c_4$ .



ენახოთ, რა ელემენტებისაგან შედგება  $Q^2$  სიმრავლე:

$a_1 b_1,$	$a_2 b_1,$	$b_1 b_1,$					
$a_1 b_2,$	$a_2 b_2,$	$b_1 b_2,$	$b_2 b_2,$				
$a_1 c_1,$	$a_2 c_1,$	$b_1 c_1,$	$b_2 c_1,$	$c_1 c_1,$			
$a_1 c_2,$	$a_2 c_2,$	$b_1 c_2,$	$b_2 c_2,$	$c_1 c_2,$	$c_2 c_2,$		
$a_1 c_3,$	$a_2 c_3,$	$b_1 c_3,$	$b_2 c_3,$	$c_1 c_3,$	$c_2 c_3,$	$c_3 c_3,$	
$a_1 c_4,$	$a_2 c_4,$	$b_1 c_4,$	$b_2 c_4,$	$c_1 c_4,$	$c_2 c_4,$	$c_3 c_4,$	$c_4 c_4.$

შევამოწმოთ მოცემული იერარქიული სტრუქტურის „რეალურობა“ ქვემოთ მოყვანილი წესების თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით:

1. თუ  $a_1$  სიმბოლოს შემცველი ნებისმიერი კომბინაცია ერთი და იმავე  $A_1$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $a_1 > b_1, a_1 > b_2, a_1 > c_1, a_1 > c_2, a_1 > c_3, a_1 > c_4.$

2. თუ  $a_1$ -ის არშემცველ კომბინაციაში შედის  $a_2$  სიმბოლო და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $A_2$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $a_2 > b_1, a_2 > b_2, a_2 > c_1, a_2 > c_2, a_2 > c_3, a_2 > c_4.$

3. თუ  $a_1$  და  $a_2$  სიმბოლოების არშემცველ კომბინაციებში შედის  $b_1$  სიმბოლო და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $B_1$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $b_1 > b_2, b_1 > c_1, b_1 > c_2, b_1 > c_3, b_1 > c_4.$

4. თუ  $a_1, a_2$  და  $b_1$  სიმბოლოების არშემცველ კომბინაციებში შედის  $b_2$  სიმბოლო და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $B_2$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $b_2 > c_1, b_2 > c_2, b_2 > c_3, b_2 > c_4.$

5. თუ  $a_1, a_2, b_1$  და  $b_2$  სიმბოლოების არშემცველ კომბინაციებში შედის  $c_1$  სიმბოლო და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $C_1$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $c_1 > c_2, c_1 > c_3, c_1 > c_4.$

6. თუ  $c_2$ -ის შემცველ კომბინაციებში არ შედის  $a_1, a_2, b_1, b_2$  და  $c_1$  სიმბოლოები და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $C_2$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $c_2 > c_3, c_2 > c_4.$

7. თუ კომბინაციებში მხოლოდ  $c_3$  და  $c_4$  სიმბოლოები შედის და ყველა ასეთი კომბინაცია ერთი და იმავე  $C_3$  ფორმით გადმოიცემა, მაშინ ვიტყვი, რომ  $c_3 > c_4.$

8.  $c_4 c_4$  კომბინაციის შესატყვისი ფორმა აღენიშნეთ  $C_4$ -ით.

5., 6., 7., 8. წესები ზემოთაც მოვიყვანეთ, ოღონდ სიტყვიერი ფორმულირების გარეშე.

რამდენი განსხვავებული ფორმაც-გვაქვს მხოლოდ რიცხვში, მინიმუმ იმდენი განსხვავებული ფორმა ივარაუდება მრავლობით რიცხვშიც (თუ მხედველობაში მივიღებთ  $i/e$  ტიპის დაპირისპირებებს, მაშინ მრავლობით რიცხვში თეორიულად მოსალოდნელ განსხვავებულ ფორმათა რიცხვი ბევრად უფრო მიატებეს). ამგვარ სისტემას ეწოდოთ სრული პიროვან-კლასოვანი სისტემა.

რამდენი განსხვავებული ფორმაც გვაქვს სრულ პიროვან-კლასოვან ნაცვალსახელურ სისტემაში, მინიმუმ იმდენივე განსხვავებული ფორმა ივარაუდება ზმნაშიც (ჩვენ მიერ თეორიულად დაშვებულ ენაში სრული პიროვან-კლასოვანი ნაცვალსახელური სისტემა მინიმუმ 16 განსხვავებულ ფორმას შეიცავს; 8 ფორმა გვაქვს მხოლოდით რიცხვში, მინიმუმ 8 ფორმა კი მრავლობითში; ამდენივე ფორმა, ე.ი. 16 მაინც განსხვავებული ფორმა, უნდა ქონდეს ზმნას ამ ენაში). ეს არის მოდელი იმ

უნივერსალური (ზოგადი) სისტემისა, საიდანაც შეიძლება მივიღოთ ნებისმიერი ბუნებრივი ენის სისტემა.

თუ მოიშალა ყველა ოპოზიცია კლასების მიხედვით, მივიღებთ ოდენ პიროვან სისტემას.

თუ მოიშალა ყველა ოპოზიცია პირების მიხედვით, მივიღებთ ოდენ კლასოვან სისტემას.

სრული ნეიტრალიზაცია ვუწოდოთ რაიმე ნიშნის (მაგ. კლასის, პირის) მიხედვით არსებული ყველა ოპოზიციის მოშლას.

ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია გვაქვს, თუ ერთი ოპოზიცია მაინც შემოგვრჩა ისეთი, რომლის წევრებიც ამ ნიშნის (მაგ. კლასის, პირის) მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს.

სრულ პიროვან-კლასოვან სისტემაში ნაწილობრივი ნეიტრალიზაციის შედეგად ვღებულობთ პიროვან-კლასოვან სისტემას.

ნაცვალსახელურ სისტემაში (სტრუქტურაში) შესაძლებელია სრული (resp. ნაწილობრივი) ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა კლასების მიხედვით; შესაძლებელია აგრეთვე ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირების მიხედვით. სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირების მიხედვით გამოიწვევს ნაცვალსახელური სისტემის გაქრობას.

ზმნურ სისტემაში (სტრუქტურაში) შესაძლებელია სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირების მიხედვით, თუკი არ არის მომხდარი სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა კლასების მიხედვით და პირიქით. ასევე შესაძლებელია ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირების ან კლასების მიხედვით.

ქართულში მომხდარია სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა კლასების მიხედვით; აქ გვაქვს ოპოზიციები მხოლოდ პირის მიხედვით (როგორც ნაცვალსახელურ, ასევე ზმნურ სტრუქტურებში).

ხუნძურში ზმნურ სისტემაში მომხდარია სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირის მიხედვით; აქ გვაქვს მხოლოდ ოპოზიციები კლასის მიხედვით.

თანამედროვე რუსულში აორისტში ზმნურ სისტემაში მომხდარია სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირის მიხედვით, გვაქვს მხოლოდ ოპოზიციები კლასის (სქესის) მიხედვით; სამაგეროდ აწმყოში სახეზეა ოპოზიციები პირის მიხედვით, ხოლო კლასის (სქესის) ნიშნის მიხედვით ოპოზიციებში სრული ნეიტრალიზაციაა მომხდარი.

თუ ჩვენ მიერ ზემოთ თეორიულად დაშვებულ ენაში მოხდა სრული ნეიტრალიზაცია ოპოზიციებისა პირის მიხედვით, მივიღებთ:  $a_1 = b_1 = c_1$ ;  $a_2 = b_2 = c_2$ . შემოვიტანოთ ასეთი აღნიშვნები:  $K_1 = a_1 = b_1 = c_1$ ;  $K_2 = a_2 = b_2 = c_2$ ;  $K_3 = c_3$ ;  $K_4 = c_4$ .

ამგვარად მიღებულ კლასოვან სისტემაში გვექნება მხოლოდ  $K_1$ ,  $K_2$ ,  $K_3$ ,  $K_4$  სიმბოლოები.

სრული პიროვან-კლასოვანი სისტემისთვისაც შესაძლებელია ზოგადი რეკურენტული თანათარღობების მოცემა, თუ შევიტანთ სათანადო ცვლილებებს ნაშრომის პირველ ნაწილში მოყვანილ ანალოგიური ხასიათის ფორმულებში.

Т. Н. ГУРГЕНИДЗЕ

## КАТЕГОРИЯ МНОЖЕСТВЕННОСТИ В ЛИЧНЫХ МЕСТОИМЕНИЯХ И ОБЩИЕ ПРИНЦИПЫ ЕЕ ОБРАЗОВАНИЯ

Резюме

В работе дана попытка формулировки общего принципа образования множественного числа личных местоимений в терминах рекурсивного исчисления. Выделен ряд новых классификационных подтипов личных местоимений и приведены соответствующие рекуррентные соотношения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## ზურაბ კარბოზია

 სიბილანტთა შესატყვისობის დარღვევათა ახსენსათვის  
 ქართველურ ენებში

ქართულის შიშინა სიბილანტებს (აფრიკატებსა და ყრუ სპირანტს) მეგრულ-ლაზურსა და სვანურში შეესატყვისება კომპლექსები — სიბილანტი + ველარული ხშული. კომპლექსის პირველ წევრად მეგრულ-ლაზურში, ქართულის შესაბამისად, ან სპირანტია, ან აფრიკატი, სვანურში კი — ყოველთვის ყრუ სპირანტი. ზოგ ფუძეში მათი შიშინა ვარიანტია წარმოდგენილი. ზოგში კი — სისინა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართულის შიშინა სიბილანტს ზანურ-სვანურში ხან შიშინა კომპლექსი შეესატყვისება, ხან — სისინა. ასე რომ ვვაქვს შესატყვისობათა ორი რიგი:

ა) ქართ. შ: ზან. შქ: სვან. შკ

ქართ. ჯ: ზან. ჯგ

ქართ. ჩ: ზან. ჩქ: სვან. შკ

ქართ. ჭ: ზან. ჭკ: სვან. შკ

ბ) ქართ. შ: ზან. სქ: სვან. სკ

ქართ. ჯ: ზან. ძგ: სვან. სკ

ქართ. ჩ: ზან. ცქ

ქართ. ჭ: ზან. წქ<sup>1</sup>.

ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ქართულის შიშინა სიბილანტებისა და ზანურ-სვანური კომპლექსების ურთიერთდამოკიდებულების, საერთო-ქართველურ არქეტიპთან მათი მიმართების თაობაზე.

ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი:

1. ზანურ-სვანური შიშინა და სისინა კომპლექსები და, შესაბამისად, მათი შესატყვისი ქართული შიშინა სიბილანტები სხვადასხვა არქეტიპისაგან მომდინარეობენ;

2. ზანურ-სვანური შიშინა და სისინა კომპლექსები ერთი და იმავე არქეტიპის რეფლექსებია. შესაბამისად, მათი შესატყვისი ქართული შიშინა სიბილანტებიც წარმოშობით ერთგვაროვანნი არიან.

პირველ თვალსაზრისს ავითარებენ ა. ჩიქობავა და კ. პ. შმიდტი, რომელნიც, ამასთან, საცემბით განსხვავებული შეხედულებისანი არიან საერთო-ქართველური არქეტიპის აღდგენის საკითხში.

ა. ჩიქობავას ([1], 7—9) აზრით, ზანურის კომპლექსები მეორეული წარმოშობისაა: უყანაენისმიერები გვიან არის განვითარებული სიბილანტებთან; ამასთან, ზანური კომპლექსების პირველი წევრი უცვლელად იმეორებს ამოსა-

<sup>1</sup> მეგრულ-ლაზურში (განსაკუთრებით ლაზურის ათინურ კილოში) ყრუ სპირანტებთან ქს-ენაცვლება კ: გვაქვს პარალელური შქ/შკ, სქ/სკ კომპლექსები. ათინურში აფრიკატების სპირანტიზაცია ხდება: ჩქ>შკ, ჭქ>შკ, ძგ>სკ, ცქ>სკ. სვანურის ლენტეხურ კილოში კომპლექსის მეორე წევრად მუდამ კ გვევლინება: შკ, სკ.

ვალ შიშინა ან სისინა სიბილანტს<sup>2</sup>, მაშინ როცა ქართულში უცვლელად დაცულია მხოლოდ შიშინა სიბილანტი, სისინა კი სახეცვლილია — გაშიშინებულია. სხვანაირად: ქართულის შიშინა სიბილანტისათვის საერთო-ქართველურ არქეტიპად ზოგ ფუძეში შიშინა სიბილანტია ნავარაუდევია, ზოგში კი — სისინა, იმისდა მიხედვით, როგორი კომპლექსი შეესატყვისება ზანურში — შიშინა თუ სისინა.

კ. ჰ. შმიდტს ([3], 61), პირიქით, ზანურ-სვანური კომპლექსები მიიჩნია პირველად, ქართულის ცალი თანხმონეები კი — ამ კომპლექსებისგან მიღებულიად. ქართულის შიშინა სიბილანტები კ. ჰ. შმიდტის მიხედვითაც სხვადასხვა წარმოშობისაა: ზოგისთვის შიშინა კომპლექსია ამოსავალი, ზოგისთვის — სისინა.

მეორე თვალსაზრისი — ზანურ-სვანური შიშინა და სისინა კომპლექსების ერთგვაროვანი წარმოშობის ვარაუდი — ეკუთვნით ვ. პოლაკს და თ. გამყრელიძეს.

ვ. პოლაკი ([4]; რ. აგრ. [5]) ქართულის შიშინა სიბილანტებს და ზანურის შიშინა და სისინა კომპლექსებს საერთო-ქართველურის ძლიერი (გრძელი) შიშინა სიბილანტებისაგან მომდინარედ თვლის. არ ჩანს, თუ როგორ ხსნის მკვლევარი შიშინა და სისინა სიბილანტების მონაცვლეობას ერთნაირი წარმომავლობის კომპლექსებში.

თ. გამყრელიძე [6], იზიარებს რა მოსაზრებას ზანურ-სვანური კომპლექსების მეორეულობის შესახებ, ფიქრობს, რომ ქართულში საერთო-ქართველური შიშინა სიბილანტები უცვლელად არის დაცული, ზანურ-სვანურ კომპლექსებში კი შიშინა და სისინა სიბილანტების მონაცვლეობა კომბინატორული ხასიათისაა: სისინა სიბილანტები შიშინებისგან არის მიღებული კომპლექსის მომდევნო  $\frac{1}{2}$  ფონემის გავლენით:

ს.-ქართვ. \*შჷ > ზან.-სვან. \*შჷჷ > ზან. სჷვ, სვან. სგჷ  
ს.-ქართვ. \*ჷჷ > ზან.-სვან. \*ჷგჷ > ზან. ძგვ, სვან. სგჷ.

ასევე შიშინა ჩჷ კომპლექსისგან არის მიღებული სისინა ცჷ ზანურში, მაგრამ ფშვინეური აფრიკატის გასისინებას სულ სხვა ფაქტორი აპირობებს, სახელდობრ, წინამავალი რ ფონემა: ს.-ქართვ. \*რჩ > ზან. \*რჩჷ > რცჷ.

კომპლექსში შიშინა და სისინა სიბილანტების მონაცვლეობის კომბინატორულ ნიადაგზე ახსნა დამაჯერებელი ვარაუდია და ემყარება სანდო მასალას. განსაკუთრებით ფასეულია სვანურის რიგი ჩვენება, კერძოდ, ზოგ ფუძეში ქართულის შიშინა სპირანტისა და ზანურის შიშინა კომპლექსის შესატყვისად სისინა კომპლექსის წარმოჩენა (შდრ. ქართ. ვ ა შ ლ-ი: მეგრ. უ შ ქ უ რ-ი, ლაზ. ო შ ქ უ რ-ი/უ შ ქ უ რ-ი/უ შ ქ ი რ-ი: სვან. უ ი ს გ ჯ/უ ს გ ჯ: ქართ. შ უ ა: ზან. შ ქ ა: სვან. ი-ს გ ა, ნ ე-ს გ ა) და მეორეული წარმოშობის შგ კომპლექსის სგ-დ ქცევა ჷ-ს წინ (შდრ. ი-ს გ ჯ ე-ა < \*შ გ ჯ ე < \*შ დ ჯ ჯ ე „თქვენი“; უ ს გ ჯ ა < \*უ შ გ ჯ ა < \*უ ქ შ ჯ ა „ექვსი“).

შემდგომი კვლევით მოაოვებულ იქნა თ. გამყრელიძის წესის დამადასტურებელი დამატებითი მასალა. კერძოდ, გამოვლინდა შქვ > სქვ, ჯგვ > ძგვ გადასვლათა ახალი მაგალითები; განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბ. გიგი-

<sup>2</sup> ანალოგიურ ვითარებას ვარაუდობს სვანური კომპლექსებისთვისაც ვ. როვაკა ([2], 43—48), რომელმაც გაარკვია, რომ ქართ. ჯ, ჩ, ჰ-ს შესატყვისი სვან. სგ, შგ, შკ კომპლექსები მეორეულია და მიღებულია ძგ, ჩჷ, ჰჷ-საგან აფრიკატთა სპირანტიზაციის შედეგად.

ნეიშვილის [7] დაკვირვებას, რომ მომდევნო  $\frac{1}{3}$  ლაბიალის გავლენით გასისინებას განიცდის გლოტალიზებული აფრიკატი:  $\text{ჩკვ} > \text{წკვ}$  (შდრ. ქართ.  $\text{ჩ ა - ჭ ბ - ი}$ : მეგრ.  $\text{ძ ე წ კ ვ - ი}$ ).

შიშინა კომპლექსის გასისინების დადგენილი წესი ზოგ შემთხვევაში დარღვეულია. დარღვევები ორი რიგისაა:

1) კომპლექსს ლაბიალური ფონემა არ მოსდევს, გასისინება კი მაინც გვაქვს:

2) კომპლექსს ლაბიალური ფონემა მოსდევს, მაგრამ გასისინება არ მომხდარა.

პირველი რიგის დარღვევებს თ. გამყრელიძე ლაბიალური  $\frac{1}{3}$  ფონემის გვიანდელი დაკარგვით ხსნის, მეორე რიგის დარღვევათა მიზეზად კი სხვადასხვა ფაქტორია მიჩნეული, სახელდობრ: ფონეტიკური ანალოგია, ფუნქციონალური ან მადიფერენცირებული ანალოგია, ამისაველი შ სპირანტის ადრეული აფრიკატიზაცია.

$\frac{1}{3}$  ლაბიალის დაკარგვა ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული პროცესია, ამდენად რიგ ფუძეში  $\frac{1}{3}$ -ს აღდგენა სულაც არ აღიქმება ნაძალადევად, მით უფრო, რომ თითქმის ყველა  $\frac{1}{3}$ -დაკარგულ ფუძეს ერთ-ერთ ქართველურ ენაში მაინც ეძებნება  $\frac{1}{3}$ -დაცული შესატყვისი. ამასთან, ლიტერატურაში შემოთავაზებული ზოგი დაკავშირება არასარწმუნოა და ამიტომ რიგ ფუძეში  $\frac{1}{3}$  ფონემის აღდგენის აუცილებლობა თავისთავად იხსნება. ამგვარ საექვო დაკავშირებათა მაგალითებია:

ა) ქართ. შ ა რ დ-ი: სვან. ს გ ო რ / ს გ ა რ „caccare“ ([3], 64, 142). მოყვანილ სვანურ ფორმებში, ისევე როგორც სვან. ლ ა - ს გ ა რ „საპირფარეშო“ სიტყვაში, გამოიყოფა ს გ - < \* ს გ ჭ - ძირი, რომელსაც ლიტერატურაში მართებულად უკავშირებენ ქართ. ჯ ჭ -: ზან. ძ გ ვ - „caccare“ ფორმებს ([6], 27; [3], 160; [8], 268). ქართ. შ ა რ დ- ფუძე აქ არაფერ შუაშია.

ბ) ქართ. შ უ შ - < \* ლ უ შ - „შუშვა“: სვან. ზ ე ს კ ი < \* ლ უ ს კ ი „შშრალი“ ([3], 57, 88, 146). როგორც ეს დაკავშირება, ისე საერთო-ქართველური არქეტიპის ანლატში დ თანხმოვნის აღდგენა საექვოა. სვანური ფორმის ს კ კომპლექსი (მეორე წევრად გლოტალიზებული თანხმოვნით) ქართულში შესატყვისად ყრუ სპირანტს ვერაფრით ვერ გვევარაუდებინებს. ქართ. შ უ შ - ფუძეს სვანურში არა, მაგრამ ზანურში კი მართლაც ეძებნება შესატყვისი. ეს არის ლ ა - ზური შ უ შ ჭ - (შდრ. სარფული შ უ შ ჭ უ ფ ს „შუშვას“, ო შ უ შ ჭ უ „შუშვა“, შ უ შ ჭ ე ი „მოშუშული“...), რაც ქართულ ფორმაში თავიკიდური შ-ს აღრინდლობას მოწმობს.

გ) ქართ. შ ი ნ - „შიში, შინება“: მეგრ. რ - ს ჭ ი ნ - / რ - ც ჭ ი ნ - „მუქარა, დამუქრება“ ([9], 101). ამ შეპირისპირების საფუძველზე ამ ფუძეშიც დაკარგულად თვლიან ჭ -ს ([8], 217).

არც ეს დაკავშირება უნდა იყოს მართებული. ქართ. შ - (შ ი შ - ი < \* ს ი შ - ი), შ - ი ნ - და ზან. შ ჭ - უ რ - ფუძეთა დაცილება გავირდება<sup>3</sup> (შდრ. მსგავსი შესატყვისობა — ქართ. მ შ - : ლ ა ზ. მ შ ჭ - ო რ - / შ ჭ - ი რ -, მეგრ. შ ჭ - ი რ -). ამასთან,

<sup>3</sup>  $\text{ჩკვ} > \text{წკვ}$  გაღასვლის საილუსტრაციოდ მიითვებული სხვა მაგალითები სარწმუნო არ არის.

<sup>4</sup> ამ ფუძეთა შესახებ დაწერილებით ცალკე.

ვფიქრობთ, მეგრ. რსქინ-/რცქინ- უკავშირდება ქართ. კსინ- ფუძეს. შდრ. ქვ. ქართ. მქსინვარე „განრისხებული“, მქსინვარება „რისხვა, წყრომა“ ([10], 256). „რისხვა“ და „მუქარა“ ერთმანეთთან ახლო მდგომი მნიშვნელობებია. შდრ. რუს. грозный „მრისხანე“ და грозить „მუქარა“.

მეგრ. რსქინ- < \*ქსინ- (თანხმოვანთა გადასმით და ანლაუტში რ-ს განვითარებით). \*ქს > სქ პროცესი ანალოგიურია მიგრ. სხხუნ- < \*ქსნ „ხსნა, რჩევა“ ფუძეში მომხდარი \*ქს > სხ პროცესისა ([11], 75).

რაც შეეხება სიბილანტა შესატყვისობის დარღვევათა მეორე რიგს, აქაც ყველა მითითებული მაგალითი როდია სარწმუნო. აქაც ზოგიერთი დაკავშირება უკუსაგდებია ან სხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. დანარჩენი უმეტესი შემთხვევები კი, ვფიქრობთ, შეიძლება ერთიან, ფონეტიკურ, საფუძველზე აიხსნას.

ჭერ განვიხილოთ საეპეო დაკავშირებანი.

ა) ქართ. ე-შ ფი: მეგრ. ჩქვა < \*შქვა „ეშვი“ ([12], 71; [6], 73) დაკავშირება მიუღებელია. დამაჯერებელია ვარაუდი, რომ ქართ. ე შ ფი- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. \*ასქ ფი, რომელიც დაცულია წარმოქმნილ სახელში ოსქუ < \*ო-ასქ ფი-უ „სალორე“ ([8], 81). მეგრ. ჩქვა „ეშვი“ კი, ვფიქრობთ, ქართ. შუ ა-ს უნდა დაუკავშიროთ.

შოვ ა/შუ ა/შუ ე ა ძველ ქართულში პოლისემიური სიტყვაა. გარდა ძირითადი, ჩვეულებრივი, მნიშვნელობისა („საშუალო, შორის, შუაში“), იგი აღნიშნავდა „წელს (სხეულის ნაწილს)“ და „ნადირის კბილს“ ([10], 508).

ამ ფუძის შესატყვისი \*შქოვ ა/ \*შქუ ა ფორმიდან, \*შქ ფი საფეხურის გავლით, არის მიღებული ზანური შქა ([6], 53)<sup>5</sup>. როგორც ჩანს, \*შქ ფი და შქა ფორმები ზანურში ერთმანეთის გვერდით არსებობდა. ამ პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა ერთი ნაწილი ერთ ვარიანტულ ფორმას დაუკავშირდა, მეორე ნაწილი — მეორეს. კერძოდ, შქა ფორმას შერჩა მნიშვნელობები: „შუა, საშუალო“ და „წელი“, შქვა კი „ეშვის, ნადირის კბილს“ აღსანიშნავად იქნა გამოყენებული. პირველი ფორმა თავისი მნიშვნელობებით ორივე ზანურმა დიალექტმა შემოინახა, მეორე კი მხოლოდ მეგრულს დაუცავს, ოღონდ ფონეტიკურად ცვლილი სახით — სპირანტის აფრიატიზაციით: \*შქვა > ჩქვა<sup>6</sup>.

<sup>5</sup> თ. გამყრელიძის აზრით, \*შქუ ა > \*შქ ფი იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა შქვა > სქვ გადასვლა ზანურში აღარ მოქმედებდა. იმავე \*შქ ფი (> \*შქ ფი) ფორმამ რომ სვანურში გაისინება განიცადა (შდრ. ისგ ა, ნესგ ა „შუა“), ეს, მკვლევრის აზრით, იმიო აიხსნება, რომ მომდევნო ლაბიალის გავლენით შიშინა კომპლექსის გასისინება სვანურში „უფრო რეგულარულად არის გატარებული შედარებით გვიანდელ პერიოდშიც“ ([6], 53).

<sup>6</sup> ლაზურში შქა, ჩვეულებრივ, „წელის“ მნიშვნელობით იხმარება, „შუის, საშუალოს“ მნიშვნელობით კი სპირანტულად გვეხდება ზოგ კომპოზიტსა და შესიტყვებაში. მაგ., შქა-გურ ი „შუაგული“ ([13], 208), შქა ში ოლა „შუა თათბი (ლაზურ სახლში)“ ([14], 147გ). შდრ. აგრ. შქა-საგან ნაწარმოები ოშქენანი ოშქენანი ოშქენანი „შუათანა“ ([13], 155; [1], 61). მეგრულში, პირიქით, „შუა, საშუალო“ ძირითადი მნიშვნელობებია ამ ფორმისათვის, „წელის“ მნიშვნელობით კი დაცულია გამოთქმებში: შქა შ ე შ ე „წელზევით“, შქა შ გ ი მ ე „წელსაქვევით“. მაგ., ჭოლორეფქ ქიმეთხეს შქა შ გ ი მ ე კიბიო ([15], 299<sub>23</sub>) „ძალდებმა ჩააწელს წელზევით კიბევაში“. შდრ. სვან. ისგგნე ი/ისგუნე ი „წელზევით“. ისგგნე რუ/ისგუნე რუ „წელსაქვევით“ ([6], 54).

<sup>7</sup> დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც. მეგრ. ჩქვა-ში ვ შეიძლება მიორებული წარმოშობისა იყოს. არ არის გამოსარიცხი შესაძლებლობა, რომ (\*შქუ ა > \*შქ ფი >) შქა ფუძეს

ბ) ქართ. შჭ-: ზან. შქვ-: სიან. შგტან- „გაშეება“<sup>8</sup>.

ეს დაკავშირებაც საეპოქოდ გვეჩვენება. ამის საფუძველს გვაძლევს სემანტიკურად მსგავს ფუძეთა შესატყვისობა — ქართ. ციქჭი-: ზან. ჩქვ-/შქვ- „გაგზავნა“ ([1], 379). ზანურის პარალელური ფორმებიდან ჩქვ- მეგრულსა და ლაზურის ხოფურ კილოს ახასიათებს, შქვ — ლაზურის ვიწურ-არქაზულსა და ათინურ კილოებს. შდრ. მეგრ. მიღწეუ (<\*მიღწე-ო-ჩქვ-უ), ხოფ. მეღწეოჩქუ (<\*მეღწე-ო-ჩქვ-უ), ვიწ-არქ., ათინ. მეწადოშქუ (<\*მეწად-ო-შქვ-უ) „გაგზავნა“. შქვ- მიღებულია ჩქვ-საგან აფრიკატის სპირანტიზაციის გზით. ჩვენი აზრით, ასეთივე წარმოშობისა უნდა იყოს ქართ. შტ-ს შესატყვისად მიჩნეული ზანური შქვ- ფუძეც. შქვ- და ჩქვ- ფუძეები ერთმანეთზე დაიყვანება. საქმე იმაშია, რომ ისინი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან: ჩქვ- გვაქვს ო-პრეფიქსიან ზმნურ ფორმებში, შქვ- კი — ა- და ი-/-უ- პრეფიქსიანებში. ივარაუდება გარდამავალი ზმნის ის ფორმები, სადაც ო- კალზატის მანქანობები არ არის, ი-/-უ- პრეფიქსები კი საბიექტო ქვეყის გაგებას არ შეიცავენ<sup>9</sup>.

თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ ჩქვ- და შქვ- ფუძეთა მნიშვნელობები მეგრულსა და ხოფურში.

I. ჩქვ-ს მნიშვნელობები —

a. მეგრულში:

1) გზავნა (გაგზავნა, გამოგზავნა, ჩავგზავნა...)

„ეშვის, ნადირის კბილს“ მნიშვნელობით სპირანტის აფრიკატიზაციასთან ერთად კომპლექსთან ხელახლა განვითარებინა ვ ლაბიალი: შქა>ჩქვა. მეგრულ კომპლექსში სპირანტის აფრიკატიზაციისა და მასთან ვ-ს განვითარებისათვის შდრ. შესატყვისობა — ქართ. ლაშ-ი: ლაზ. ლეშქ-ი, მეგრ. ლეჩქვ-ი „ტუჩი“ ([6], 19). შქა>ჩქვა გადასვლა მეგრულში შესაძლებელია ორგვარი თანმიმდევრობითი განხორციელებულიყო: ა) ჭერ განვითარებულიყო ვ და შემდეგ ქველყო სპირანტი აფრიკატად; ბ) ჭერ მომხდარიყო სპირანტის აფრიკატიზაცია, შემდეგ კი — ვ-ს განვითარება. პირველი შესაძლებლობის სასარგებლოდ გამოდგება ლეჩქვ-ფუძის პარალელურად მეგრულშივე დადასტურებული ლეფშქვ-ი ([16], 167<sub>1</sub>, 168<sub>2</sub>), სადაც კომპლექსთან ვ კი განვითარებულა, მაგრამ შ>ჩ გადასვლა არ მომხდარა. მეორე შესაძლებლობისათვის შდრ. ლაზურში შქა-ს გვერდით ნ. მარის მიერ შენიშნული ჩქა ფორმა ([13], 208), რომელშიც სპირანტი აფრიკატიზებულია, მაგრამ კომპლექსთან ვ-ს განვითარებას ადგილი არა აქვს.

8 ქართული და ზანური ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა ა. ჩიქობავამ ([1], 366—367). სიანურ შესატყვისზე მიუღიოთა ვ. კლიმოვა ([8], 214). საინტერესოა, რომ ე. პ. შმიდტი ამ ფუძეთა ურთიერთკავშირზე არაფერს ამბობს.

9 ამ უკანასკნელი შემთხვევის მგალითებია: მეგრ. დჷშქუ „დაუშვა“, მუშქვანს „მოუშვებს“, ლაზ. ოხუშქუ „გაუშვა, მიატოვა“. გაუშქუ „ჩაუშვა“ („ჩაუშვა“).

თურმეობითების, კალზატის, საბიექტო და სასუბიექტო ქვეყის, ენებითა გვარისა და პოტენცილისთვის, აგრეთვე მასდარისა და მიმღობის წარმოებისას შესაბამისად ის ფუძე გამოიყენება, რაც არაკალზატური გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქვეყის ფორმებში გვაქვს. შდრ. მეგრ.

მი-ო-ჩქვან-ს „მიავზავნის“ — მეუჩქუმალე „მიუგზავნია“. მიოჩქუმალეფუანს „მიავზავნივს“, მეუჩქვანს „მიუგზავნის“, ქიმმაჩქვი (>\*ქი მე-ა-ჩქვი) „მიმგზავნა“, ეემიოჩქვე „ვერ მიავზავნის“, მეჩქუმალა „მიგზავნა“, მეჩქუმალირი „მიგზავნილი“.

მი-ა-შქვან-ს „მიუშვებს“ — მეუშქუმალე „მიუშვია“, მიოშქუმალეფუანს „მიუშვებინებს“, მრშქვანს „თავისთან მოუშვებს („მიუშვებს“), ეემიოაშქვე „ვერ მიუშვებს“, მეუშქუმალა „მიშვება“, მეუშქუმალირი „მიშვებული“.



მა მიღგარენ ნაყიდური კოჩი ვო ჩქეცია ([15], 201 ა) „მე ვილაც ნაყიდი კაცი ვაგვზა-  
ნეოა“; ჩქიმი სქუას მიღვო ჩქეცია ([15], 221) „ჩემს შვილს ვაგვზაენი“; შიღაა ჩქუ  
(<\*შიღა-ო-ჩქე-უ) ხენწიფექ კამბეფეფი ([17], 84) „ვაგვზაენა ხელშეფემ კამბეჩენა  
ურშიანად“; ჩქიმი ენი ქუეფით: თიქე შო ლ მო ჩქუ-შო (მუ შო ჩქუ-შო) ([17], 31) „ჩემზე  
უთხარით: იმან გამომგვანა-თქოა“; ხენწიფექ მუშეფი შო ლაა ჩქუ (<\*შო ლა-ო-ჩქე-უ)  
([17], 7122) „ხელშეფემ მუშეზი გამოგვანა“; ართ ღიხას ინვა ქობირეს დო ათაქ ათე უკუ-  
ლაში ჯიმა გენა ჩქეცეს (<\*გა-ი-ნო-ო-ჩქე-ე-ს) ([15], 1341) „ერთ აღგილას ჰა ნახეს  
და აქ ეს უმცროსი ძმა ჩაგვანეს“.

2) გადაქცევა, გახლომა<sup>10</sup>.

უსამართლობაქ გო მო ჩქუ ნეტრეფიში სანწყალთო ([17], 1527) „უსამართლობამ გამხდა  
მტრების შესაბარლისად“; ვარა ველო გო მო ჩქეცას ჯგირი მეღუქე ზანანდარო ([17],  
12931) „ან მთლად გამხდა ვარგ მეღუქე საზანდარად“; ტვერიშორო გო ვო ჩქეცანქია  
([17], 4011) „მტრად (ამტვერივით) გაქცევო“; ჩქენი გენაქადა ხინჯი ხეთე ვა ჩქე (<\*გო-  
ო-ჩქე-უ) ტვერი-ცალო ([15], 34621) „ჩვენი ვანაქედი ხილი მაშინვე მტრად აქცია“; კუჩხი  
ვარჩანდე — კუჩხაშო გუ გო ჩქეცანქია ([15], 18737) „ფეხი რომ არ გაბია, (იმას)  
ფეხიას ვაგხდო“; მათე ძალა ქომუჩასი, სი გუ გო ჩქეცა დელოფალო ([19], 48, 85) „  
მეფის ძალა მომცეს, შენ ვაგხდი დელოფლად“; ეოსურქე ნდემი პანდო გააჩქუ  
(\*გო-ო-ჩქე-უ) ([17], 602) „ამ ქალმა დევი ბუზად აქცია“; დოჰუჰუვა დო გააჩქუ ჩე  
წიაროვა ([17], 7717) „დაწყველო და გადააქცია თერი მწვერალო“.

b. ხოფურში:

1) გზანა (ვაგვანა, გამოგვანა, მიგვანა...), ვაშევაბა.

ხოჯაშო კოჩი ო ჩქეცეს ([14], 1303) „ხოჯასთან კაცი ვაგვანეს“; დიდი ჯუმა-ნა-ენ ქი-  
ტა ჯუმა ოხოშია თოკიშენი მე ნდო ჩქუ ([20], 8716) „უფროსმა ძმამ უმცროსი ძმა შინ თო-  
კისთვის ვაგვანა“; მა ემუშენი შო მო ჩქეცეს-ქი, ართული თემელი ბგოლუ ([14], 384) „მე  
იმიტომ გამოგვანეს, რომ ერთ ზარმაცს ვეძებ“; მანაგე მუშოშო ოხოჯა ქო ნო ჩქუ ([14],  
1132) „თავის მეზობელთან ცოლი მიაგვანა“; ია, ნანა მუშე-ნა ვა ო ჩქე მტუ ბექე, ბელ-  
დუჩინდე მატუანი ბეეს ქომეჩუ ([14], 804) „დღეა რომ არ უშეგბდა, იმ ბაქეშა მწყურები  
შეორე ბაქეშს მისცა“; ჰიტა და-ჩქიშის ბეე აყენი და შო ჩქეცა გინონდა ([20], 101)  
„ჩემს უმცროს დას ბავშვი უნდა ეყოლოს და უნდა გაიშვილო“.

2) შეწმინდვა, მიშევაბა, მოშევაბა, გამოშევაბა.

ოხოშია ქა მო მო ჩქეცია ([20], 1328) „სახლში შემოშვიო“; ფათიშიქ უწუ-ქი: „ქა-  
მო ჩქეცით აა, ბოია, მი ვენაა“ ქა მო ჩქეცეს აა კოჩი ([21], 1771-17) „ხელშეფემ  
უთხარა“; „შემოშვიოთო, ვენაო, ვინ არისო“ შეუშეეს ეს კაცი“; მუში ქოთუშეშეშა მანაგეში  
მამული ვა ნო ჩქუ მესს ([14], 16432) „თავის ქათმეზთან მეზობლის მამალს არ უშეგბს“;  
იაა ძაბუნობა ბაშქას-თი ალოდენ დო მუსტაფა მურადიში აანიშა ვა ნო ჩქეცა-იაა ([14],  
11127) „ეს სენი სხვაოქ შეეყრება და მუსტაფა მურადთან არ მიუშევაო“; ართული კოჩი  
მეწუშე აინის ვა მე მო ჩქუ ([20], 10513) „ერთმა კაცმა მზესთან არ მიიშევა“; ნამუთხანის  
მარქვალე ვარ დვასქეას (წიასქეას), ია მედრესეშა ვა მო ო ჩქუ მე-შო, თქეი ([14], 214)  
„ვინე კვერცხს ვერ დადებს, იმას მედრესეში არ მოვეშეგბ-თქო, თქეი“; თის ხე გელამისუ  
დო ვალუ ქა აა გო მო ჩქუ ([14], 10722) „თავზე ხელი ვადამისვა და გარეთ გამოშევა“;  
ფათიშიქ აა ბიქი ხაფისიშენ ქა აა გო ჩქუ ([20], 2918) „ხელშეფემ ეს ვეჩი ციხიდან  
გამოშევა“.

3) აყვანა, ჩამოყვანა, გამოყვანა.

დარალაქიშა ქა ო ჩქეცეს ([20], 7021) „სახარობელაზე აიყვანეს“; ხოჯა ვიინიშენ ქა-  
გეხთუ, ბეთი ქა გო ჩქუ ([20], 1428) „ხოჯა ვირიდან ჩამოვიდა, ბავშვი ჩამოიყვანა“;

<sup>10</sup> „გადაქცევის, გახლომის“ მნიშვნელობით ხმარებული მეგრ. ჩქე- ფუძეა მიჩნევა  
ქართ. ქეც/ქც- ფუძის შესატყვისად ([8]. 200) სარწმუნო არ არის. ქართ. ქეც/ქც-  
(<\*ქეც-ო-ქეც-ო) ფუძის ზანური შესატყვისია ლაზ. ქეც- და მეგრ. რ-ო- (<\*ქეც-ო) ([1], 334-  
335). „ვაგვანის, წარვლინების“ მნიშვნელობის მქონე ქართ. ციქ-ტუ- ფუძის [1], 379; [18],  
199) შესატყვისი მეგრ. ჩქე-ს „გადაქცევის, გახლომის“ მნიშვნელობად მიიღია. სემანტი-  
კური ვალისვლისათვის — „ვაგვანა, წარვლინება“ > „გადაქცევა, გახლომა“ — შლრ. ძვ. ქართ.  
განქადა „განავლინა“ ([10], 81) და ახ. ქართ. გახალა „გადააქცია“.

ანუ მეტრომა ქაგაოჩქუ ([20], 137<sub>30</sub>) აქვეს მეტრამდე ჩამოიყვანა; ზეჲ გიმიჲქ ბულდუ-  
 ჯინოჲ მინე მჟუვი გავოჩქუშეტუ ([14], 80<sub>10</sub>) „იქ გიშერას მწყურის შავგერად თავგო-  
 გამოჰყავდა“.

## II. შქვეს მნიშვნელობები —

### ა. მეგრულში:

#### 1) შექმნა, ჩაშვება, მიშვება, მოშვება, ამოშვება.

მინმაშქვითია — თხუ შუღრქჲ ([15], 86<sub>22</sub>) „შემიშვითო, — სთხოვა მოსულმა“; უჩა.  
 ჯოღორი ჯარც გეჲან, ვართ შინგაშქვანც, ვართ გაჩამუ ([16], 174, 49<sub>2</sub>) „შავი ძალი  
 კართან წევს, არც შევიშვებს, არც გიკბენს“; სინჯათ გამნუვაშქვათი ([17], 7<sub>2</sub>) „სი-  
 ძელ შემოვუშვით“; წყაროშა) ლავეფი ვენაშქვა (<ვ ა ინო-ა-შქვა. ([15], 102<sub>13</sub>)  
 „წყალში ლავეფი არ ჩალუშა“; კარიშ კათაქ ხოლოშა ვეშიაშქვეს ([15], 86<sub>22</sub>) „კარის-  
 კაცებმა ახლოს არ მიუშვეს“; მუმა დო დიდაქ ჟღღეშა ვა შააშქქუ (<შო-ა-შქვე-უ) ([17],  
 46<sub>27</sub>) „დღღ-შამამ შინ არ მოუშვა“; დიდაქჲ ქიმიოსხაუ კიღებანიშა დო ელააშქქუ პანდი  
 ([17], 60<sub>25</sub>) „დღღა შიაბტა კიღობანს დო ამოუშვა ბუხი“.

#### 2) აშვება, ახსნა.

გეიაშქვეღღაბი ([15], 150<sub>29</sub>) „აუშვა (ახსნა) ეს გოგო“; ათე კვათილა კუჩხის მო-  
 შირდნქჲ დო, გიგაშქვანქია ([17], 51<sub>1</sub>) „ამ მოყვითლ ფეხს იუ წამომიზრდი, აგიშვე-  
 ბო“.

#### 3) მოშვება, მოფონება.

ქიქეს იშენი მუშქვანსი გურს — გვიირს დო ნაგარენს ([19], 90<sub>6</sub>) „ცოტას შინც  
 მოუშვებს გულს, მოკლულს დო ნატირებს“.

#### 4) დაშვება.

გვრგქ დოუშქუ ჟუჯი ფირა ([17], 170<sub>27</sub>) „ვირმა დაუშვა ფართო ყური“; [რაშიქ]  
 ქიმერთე ართ ღობორჲმ ხოლოშა დო დუშქვე კუჩხის ([15], 123<sub>14</sub>) „[რაში] მივიღა ერთი  
 სასახლის ახლოს დო სვლა შეინელა („დაუშვა ფეხს“)“.

#### 5) დარტყმა, დაკვრა.

არგუნი მიირქუ დო გუღას ქიგიაშქუ ([17], 91<sub>1</sub>) „ნაჭახი მოიქნია დო ვუღას დაკრა“;  
 ქიგიაშქვესე მართახი ([17], 103<sub>32</sub>) „გადაკერეს მართახი“; თიჭგუა ოსხაბური ქიგო-  
 აშქვე, ნამდა... ([15], 200<sub>6</sub>) „იმისთანა საცეკვაო დასცხო, რომ...“

#### 6) დაცემა.

ქუღღეშაშქუ ურწმუნოქუ — მუ აწუღირთ ღურუსია ([19], 161, 221<sub>1</sub>) „ძირს დამცა  
 ურწმუნომ — წინ რა დაუღებდა სიკვდილსო“; ჩქიმი მარკინეჲ ვარენო ქუღღაშქუ (<ქო  
 დო-ა-შქვე-უ) სქანი მარკინევადა... ხე იოღი სქანი სახენწიფოსია ([15], 11<sub>3</sub>) „ჩემმა მოკიდა-  
 ვემ თუ დასცა შენი მოკიდავგო... ხელი აიღე შენს სახელმწიფოზეო“.

#### 7) მოყრა (მუხლისა).

ბირგულე აშქვანს, ხვამულენს ([19], 203<sub>20</sub>) „მუხლს იყრის, ლოცულობს“; ბირგული  
 ქღღაშქუ (<ქო დო-ა-შქვე-უ) ([15], 219<sub>23</sub>) „მუხლი მოიყარა“.

#### 8) მოგება, დაბადება (ნაშვირისა).

ცხენქ ფაშატი ქღღაშქუ ([15], 181<sub>10</sub>) „ცხენმა კვიცი მოიგო“.

#### 9) სობა, რქობა.

[ოღდგისი] ოჭიშის ქიღნაშქვე (<ქო დინო-ა-შქვე-უ) ღემს ([15], 80<sub>10</sub>) „[საღდგისი]  
 წელში ჩაასო დვეს“; შიკაშქვე (<შიკო-ა-შქვე-უ) ეშვი-ეშვი თე ბოშიქ თე საღღელი ეთი  
 ჯიხას ([15], 210<sub>14</sub>) „შიასო ზევით-ზევით ამ ვაჟმა ეს სოლები იმ ციხეს“.

### ბ. ხოფურში:

#### 1) გაშვება, გაგზავნა, გამოშვება.

ნანა, გაღე შექაშქვითი ([14], 102<sub>7</sub>) „დღღა, გარეთ გაგვიშვი“ მონქვა დო ჰუჰუ-  
 ლუღე ართიკათის ქონჯიუ დო დუღის ნაშქუ ([14], 37<sub>6</sub>) „კრუხი დო წიწილებუ ერთმანეთა  
 გადაბა დო მინდორში გაუშვა“; სუმ თანე ზეე არქაღში დიყვეს დო ჰუმანიში ბულდუქინიშა.

ილასინტეს. ართი-ნა ენ, ნანა მუშიქ ვა ნაშქუ მეტუ ([14], 79<sup>ა</sup>) „სამი ბავშვი შეამბანავდა და დილას მწყერზე უნდა წასულიყვნენ. ერთს დედა არ უშვებდა“; ოხო მინქე ი-ა. ამუს ოხო უქუ ([14], 10<sup>ა</sup>-<sup>ბ</sup>) „გამიშვიო. ეს გაუშვა“; აია ჭოლო დო ძამული დარა მოგაფუშენი მეაშქვათ ([14], 26<sup>ბ</sup>) „ეს ძალი და მამალი ფულის საშოვნელად გავგზავნოთ“; აშუი ელსავუშენი კოჩეფ ნაშქუ ([20], 44<sup>ა</sup>) „ამის გასაგებად კაცები გავზავნა“; დლის ბაბაქ ზოჯეფ ქა ნაშქუ არაბაშენ ([14], 96<sup>ა</sup>) „ტყუა მამამ ხარები გამოუშვა ურმიდან“, ხათისშენ ქამეგაშქუ მეტრ ([20], 29<sup>ა</sup>) „ციხიდან გამოვიშვებ“.

## 2) მიშეება.

[მონჭეაქ ჰუქუღეფს] გეჩადს, აინი მუშია ვა ნაშქუ მეტს ([14], 16<sup>ა</sup>) „ტრუხი წიწილესს] ურტყამს, თავისთან არ უშვებს“.

## 3) გაშეება (ხელისა).

მა ხე მეაშქე ი-ნა თოკიზა, ქოგოქაქეა ([20], 33<sup>ბ</sup>) „მე თუ ხელი გავუშვა თოკსო, ჩაბეჭყებოთ“; კაბულას ნა მობუნ ბეეს ხე ნაშქუ ([20], 69<sup>ა</sup>) „ზურგზე რომ ჰკიდია, (იმ) ბავშვს ხელი გაუშვა“.

## 4) დატოვება, მიტოვება.

ობოს ჩილი დო ოგრო წანეი სქიი ნაშქუ ([20], 50<sup>ბ</sup>) „შინ ცოლი და რვა წლის შვილი დატოვა“; ბერეფქ ოსთერამუ ნაშქეეს ([14], 107<sup>ა</sup>) „ბავშვებმა თამაში მიატოვეს“; დიეჭ დულა-მუშის ოხო უქუ ([20], 46<sup>ა</sup>) „დეგმა თავისი საქმე შიატოვა“.

## 5) ჩაყლაპვა, გადაყლაპვა.

დლიშ დოლოზე დიდი ჩხომი ტუ დო თეჭმილი ქაგაშქუ ([21], 162<sup>ა</sup>) „მღინარეში დიდი თეჯი იყო და მთლიანად ჩაყლაპა“; ბეეჭ იშოლუ უშქი დო ქოჭეჭუ. ქოსეჭქო ამიტოჩუ დო გავუქუ ([21], 165<sup>ბ</sup>) „ბიჭმა ამოიღო ვაშლი და მისცა. ქოსამაც ჩაიგდო პირში და გადაყლაპა“.

წარმოდგენილ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩქე- და შქე- ფუძეები რიგ შემთხვევაში ენაცვლებიან ერთმანეთს. შენაცვლება დასტურდება როგორც დიალექტების მიხედვით, ისე ერთი დიალექტის ფარგლებშიც.

მაგ., „შეშვების“, „მიშვების“, „მოშვების“... მნიშვნელობით მეგრულში აპრეფიქსიანი ფორმები იხმარება და, შესაბამისად, შქე- ფუძე გამოიყენებული, მაშინ როცა ხოფურში ამ მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, აპრეფიქსიანი ფორმებია და, მაშასადამე, ჩქე- ფუძე გამოიყენება. შდრ. მეგრ. მი ნ მ ა შ-ქ ვ ი თ, ხოფ. ა მ ო მ ო ჩ ქ ვ ი თ „შემიშვით“; მეგრ. ვ ე მ ი ა შ ქ ვ ე ს „არ მიუშვებს“, ხოფ. ვ ა მ ე მ ო ჩ ქ უ „არ მიმიშვა“; მეგრ. ვ ა მ ა ა შ ქ უ „არ მოუშვა“, ხოფ. ვ ა მ ო ო ჩ ქ უ მე „არ მოუშვებ“...

მეორე მხრივ, ხოფური ერთი და იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად პარალელურად იყენებს ო- და აპრეფიქსიან ფორმებს, რაც მსგავს კონტექსტებში ჩქე- და შქე- ფუძეების მონაცვლეობის საფუძველია. შდრ. ნ ა ნ ა მ უ-შ ი ქ ვ ა ო ჩ ქ უ მე ტ უ — ნ ა ნ ა მ უ შ ი ქ ვ ა ნ ა შ ქ უ მე ტ უ „დედამისი არ უშვებდა“, ქ ო თ უ მე ფ ე შ ა ვ ა ნ ო ჩ ქ უ მე ტ ს „ქათმებთან არ უშვებს“ — ა ნ ა მ უ შ ი შ ა ვ ა ნ ა შ ქ უ მე ტ ს „თავისთან არ უშვებს“, ხ ა ფ ი ს ი შ ე ნ ქ ა გ ა მ ო ჩ ქ უ „ციხიდან გამოუშვა“ — ხ ა ფ ი ს ი შ ე ნ ქ ა მ ე გ ა შ ქ უ მე ტ რ „ციხიდან გამოვიშვებ“, კ ო ჩ ი ო ჩ ქ ვ ე ს „კაცი გაგზავნეს“ — კ ო ჩ ე ფ ე ნ ა შ ქ უ „კაცები გაგზავნა“...

ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, საფუძველს გვაძლევს, რომ ჩქე- და შქე- ერთმანეთზე დაიყვანოთ, კერძოდ, ამოსავალ ფორმად მივიჩნიოთ ჩქე-, შქე- კი — მისგან მომდინარედ. ჩქე->შქე- პროცესი ბოლომდე მიყვანილი ვიწურ-არქაბულსა და ათინურში, მეგრულსა და ხოფურში კი პარალელურად

იხმარება როგორც ამოსავალი, ისე მეორეული ფორმა, რომელთა განაწილება გარკვეულ მორფოლოგიურ საფუძველს ემყარება<sup>11</sup>.

მეგრ. შქა „შუა“ და ჩქვა „ეშვი“ ფუძეების პარალელურ ხმარებას თუ სემანტიკური საფუძველი აქვს, ზან. ჩქვ- და შქვ- ფუძეების თანაარსებობა მორფოლოგიური საფუძველით (სხვადასხვა პოზიციაში წარმოდგენით) არის შეპირობებული.

რაც შეეხება სვან. შ გ ჯ ა ნ-, უფრო სწორად, მ შ გ ჯ ა ნ-/მ შ გ ჯ ა ნ/შ უ შ- გ ჯ ა ნ- ფუძეს (ბზ. ლ ი მ შ გ ჯ ა ნ ე, ბქვ. ქ ა ლ ი მ შ გ ჯ ა ნ ი „გასტუმრება“, ბქვ. ქ ა ლ მ შ გ ჯ ა ნ ე „გასტუმრა“, შდრ. მ შ უ შ გ ჯ რ ი „სტუმარი“, ბქვ. ლ ა ხ მ შ უ შ გ ჯ რ ა ნ „ესტუმრა“), თუ მისი შ გ ჯ თ- ელემენტი შეესატყვისება ზან. შქვ- ფუძეს, არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, რომ ისიც \*ჩქვ- არქეტებიდან მომდინარედ მივიჩნიოთ: ამოსავალი \*ჩქ და \*შქ კომპლექსები სვანურში ერთნაირ რეფლექსს (შგ) იძლევა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ზანურ-სვანურში ჭ/ვ ლაბიალის წინ შიშინა კომპლექსის მოსალოდნელი გასისინების შეფერხების უეჭველი მაგალითები შეიძლება დაეინახოთ შემდეგ შეფარდებებში:

ქართ. შ ჭ ი ლ-ი: ზან. შ ქ ე ი თ-ი: სვან. ი-შ გ ჯ ი ლ.

ქართ. მ შ ჭ ი ლ-ი, მ შ ჭ ი ლ- (ძვ. ქართ. მ შ უ ლ ვ ა „სროლა“): მეგრ. შ ქ ე ი ლ-ი, შ ქ ე ი ნ ლ-ი „მშვილდი“, შ ქ ე ი ლ- „ისრის სროლა; ბამბის პენტვა“.

ქართ. შ თ- < შ ჭ ლ-: ზან. შ ქ ე ი ლ-: სვან. შ გ ჯ ი ლ-/შ გ უ ლ-/შ გ ჯ ი ლ- „ხრჩობა“.

ქართ. შ ჭ ე რ-/შ ჭ ი რ-: მეგრ. \*შ ქ ე ი რ-<sup>12</sup> „შვერა“.

<sup>11</sup> ჩქვ- ფუძეში აფრიკატის სპირანტიზაციის პროცესის ბოლომდე მიყვანას ტენდენცია მეგრულის ზოგ თქმაშიც დასტურდება. მაგ, კ. სამშუას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში, რომლებიც უმთავრესად ზუგდიდურ მეტყველებას ასახავს, მოსალოდნელი ჩქვა-ნაცვლად შქვ- გვაქვს „გადააქციეს, გახლომის“ აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებში. შდრ. შვრილო გინ- მ ო შ ქ ე ა ს ([22], 24, 12); „წერილად აქცია“; კაუა თხირო გინ მ ო შ ქ ე ა ს ([22], 24, 12); „დაკროლილ თხილად მაქცია“; გეალას რზენო ო შ ქ ე ა ნ ლ ა ს ([22], 32, 30); „შთას ვაკედ აქცევდეს“; თეშ გ ჯ გ ო შ ქ ე ა ([22], 91, 81); „ისე ვაგზლი“; თეშ გინ ე ო შ ქ ე ი ([22], 112, 155); „ისე ვაგზალი“; ნემ გ უ შ ო შ ქ ე ა ნ თ თე ზობარეფც გაძიკალო ([14], 153, 4); „ნუ ვაგ- ვხდით ამ ზობელებს დასაინად“; კომუნისტური პარტიამ თაშ გინ ა ო შ ქ ე უ (< „გინო-ო- ჩქვე“) ჩქინ ცხორება ([16], 165); „კომუნისტურმა პარტიამ ასე გარდაქმნა ჩვენი ცხოვ- რება“; სერო ვ ა გ ო მ ი შ ქ ე ა დ ლ ა შ ი ([22], 34); „ლამელ არ მიქციო დღე“; ეწერ-კაკლ- არნი დხა ბაღეფო გ ო მ ი შ ქ ე ე ს ([22], 121, 114); „ეწერ-ეკლიანი მიწა ბაღებალ ვიქ- ცია“... ასევე შქვ- გვაქვს „გზავნის“ აღმნიშვნელ ფუძეშიც: გი ლ ა შ ქ ე ა ნ ა პ ო კ ე ლ ე ფ ე ([22], 44, 35); „გზავნიან მოციქულებს“; ოთხ-ოთხი კოც მ ე ი შ ქ ე ა ნ თ ([22], 85, 75); „ოთხ- ოთხ კაცს მოგიგზავნიოთ“. თუმცა დასტურდება ჩქვ- ფორმაც: კოც ქ ი მ ე ი ჩ ქ ე ა ([22], 36, 31); „კაცს გამოგიგზავნი“. ჩქვ->შქვ- გადასვლა სხვაგანაც იჩენს თავს. შდრ. დიანთილც გინ ო უ შ ქ ე ა ნ ქ ე რ ი დ ლ ა შ ი ლ რ ე ლ ო ([19], 210, 312); „ღედამთილს ვაღვაქციეც ორ დღე- ში მკვლად“; ჰაპაქ მ ო ლ ა ო შ ქ ე ე უ (< \*მ ო ლ ა-ო-ჩქვე-ე) ოგვაშეშე ლაკონი გუდღეშა ([17], 81); „მღვდელმა გამოგზავნა ეკლესიიდან ლაკვანი შინ“. ეს უკანასკნელი მავალითი სენაკური მეტყველების ნიმუშია.

<sup>12</sup> მეგრულში ეს ფუძე დღეს არ დასტურდება, მაგრამ მის არსებობას მოწმობს ქართუ- ლის დასავლურ კოლონებში შვერ-/შვირ- ფუძის (ი შ ვ ე რ ს, გა ი შ ვ ი რ ა) გვერდით ხმარებულ ფ შ ქ ე ვ რ-/ფ შ ქ ე ვ ი რ- (ი ფ შ ქ ე ვ რ ს, გა ი ფ შ ქ ე ვ ი რ ა). შდრ. „გაგშკვარა (ლუჩხ.) უშნოდ გაშვერა; გა ფ შ ქ ე ვ რ ი ლ ი უშნოდ გაშვერილი“ ([23], 140). ეს უკანასკნე- ლი ზანიში უნდა იყოს და, როგორც ჩანს, მომდინარეობს ქართ. შ ვ ე რ-/შ ვ ი რ- ფუძის

ქართ. ჯინჭველ-ი: ლაზ. დიმჭკუ/დუმჭკუ, მეგრ. ჰკიჰკი-  
ტია/ჯგიჯგიტია.

თ. გამყრელიძის წესის დარღვევის ყველა ეს შემთხვევა, ვფიქრობთ, ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება. ამასთან, გასისინების შეფერხების ფონეტიკური საფუძველი, ერთი მხრივ, ბოლო მაგალითში და, მეორე მხრივ, დანარჩენებში სხვადასხვაა.

დავიწყოთ ამ ბოლო მაგალითით.

წინასწარ გავიხსენოთ ზოგი რამ ზანური ფორმების ისტორიასთან დაკავშირებით. ლაზური შესატყვისებიდან პირველადია ხოფური დიმჭკუ, რომლისგანაც ხმოვნის რეგრესული ასიმილაციით მიღებულია ვიწურ-არქაბული დუმჭკუ ([1], 114); როგორც ქართულის, ისე მეგრულისა და ლაზურისთვისაც ფუძის ანლაუტში აღდგება ჯ ([25], 497—498); ზანურისთვის ამოსავლად ივარაუდება \*ჯინჭკუ < \*ჯინჭკუაჰ<sup>13</sup>.

ზანურ ფორმაში ჰკვ > წკვ გადასვლა რომ არ განხორციელებულა, ეს, ბ. გინეიშვილის ([7], 741) აზრით, იმით აიხსნება, რომ ჰკვ კომპლექსი ამ ფუძეში მეორეული წარმოშობისაა, როგორც გ. როგავა ([9], 124) ვარაუდობს, ვაქლ-სგან მომდინარეობს: ჯინჭ-ველ-ი < \*ჯინ-(-6)ვა-ველ-ი < \*ჯინ-(-6)ვა-ლ-ი.

ეს ახსნა გარკვეულ ექვს აღძრავს. ანალოგიური წარმოშობისად მიაჩნია გ. როგავას ([9], 25—30) -ივ/-ოვ სუფიქსის ვ ქართულის წყვე-, ტევე-/ტოვე-, ქსოვე-, შევე- და მსგავს ფუძეებში. ამგვარი მეორეული ვ სხვა შემთხვევაში წინამავალი შიშინა კომპლექსის გასისინებას იწვევს. შღრ. მეგრ. ქოსქუ (< \*ქოსქვე-), ლაზ. ქოდოსქუ (< \*ქოდოსქვე-), აკერცხი დადო<sup>14</sup> და ქართ. შვა- (I—II ბ. ვ-შევე, ჰ-შევე) ([6], 27). ასე რომ, თუნდაც დავუშვათ ქართ. ჯინჭველ-ი: ზან. \*ჯინჭკუ ფუძეებში ვ-ს ლ-სგან მომდინარეობა, მის წინ შიშინა კომპლექსის გასისინება მაინც უნდა მომხდარიყო.

ვფიქრობთ, ჰკვ > წკვ გადასვლა ზან. \*ჯინჭკუ ფუძეში შეაფერხა სულ სხვა ფაქტორმა.

„უიანჭველას“ აღმნიშვნელი ფუძე, ისევე როგორც მთის კავკასიის რიგენაში, ქართველურ ენებშიც რედუბლიცირებული უნდა იყოს ([25], 498). ქართ. ჯინჭველ- და ზან. \*ჯინჭკუ-ს სახით საქმე უნდა გვექონდეს ძირეული სიბილანტის რედუბლიკაციითა და დისიმილაციური გამქლევებით მიღებულ ფუძეებთან ([26], 317).

ძველი ქართლის ჯინჭველ- (და არა ჯინჭველ-ი) ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ ჰკვ კომპლექსი ამ ფუძეში ხმოვნის რედუქციით არის მიღებული ([9], 58), ე. ი. ძირეული ჰ აფრიკატი (ზანურში შესაბამისად ჰკ კომპლექსი) არალაბიალურია. რედუბლიცირებულ ძირეულ კომპლექსს დართული ჰ არქაულ ზანურში (ან საერთო-ქართველურის დასავლურ არეალში, საიდანაც ზანური დიალექტები, მივიღეთ), როგორც ჩანს, ვერ ახდენდა წინამავალი ჰკ კომპლექსის გასისინებას ანლაუტის იდენტური კომპლექსის ასიმილაციური გავ-

შესატყვისი მეგრ. \*შქვირ- / \*შკვირ- ფორმიდან. ანლაუტში შ-სთან ფ-ს განყოფარებისათვის შღრ. გურ. ფშუკა (< შუკა), გურ.-მეგრ. ფშტვირი (< შტვირი), კახ. ფშვირი (< შვირი) ([24], 168).

<sup>13</sup> ქართ. -ელ სუფიქსის შესატყვისი -უს მიღების ამგვარი გზის შესახებ (აღ>აჰ>ოჰ>უ) იხ. [26], 91—94.

ლენის გამო. შემდგომში ამ რედუპლიცირებული ფუძის მარტივად ქცევას სათანადო ცვლილებები მოჰყვა: 1) გამარტივდა თავკიდური კომპლექსი, რამდენადაც ერთსა და იმავე მორფემაში შეიძლება მხოლოდ ერთი ჰარმონიული ჯგუფი გვეჩვენოს, თანაც მხოლოდ მეორე ადგილზე ([27], 96); 2) თავკიდური გლოტალიზებული აფრიკატი რეგრესული დისიმილაციით მქდერად იქცა, რადგანაც მორფემის ფარგლებში ორი გლოტალიზებული თანხმოვანი დაუშვებელი იყო [28].

ამრიგად, ზანური ფორმის მიღება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: \*ჭინ-ქკუ<\*ჭინჭკუაჲ<\*ჭინჭკუჲლ-<\*ჭკინჭკუჲლ<sup>14</sup>.

რედუპლიცირებული ფუძის გამარტივება და მასთან დაკავშირებული ცვლილებები, ალბათ, მაშინ განხორციელდა, როცა ჭ/ვ ლაბიალის გავლენით შიშინა კომპლექსის გასისინება ზანურში აღარ იყო მოქმედი ფონეტიკური პროცესი.

ახლა რაც შეეხება ზანურ-სვანურის იმ ფუძეებს, სადაც შქვ/შგჷ>სქვ/სგვ გადასვლა არ მომხდარა. ყველა მათგანში აღნიშნული პროცესის შეფერხებას, ვფიქრობთ, ერთიანი ფონეტიკური საფუძველი ეძებნება. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა ამ ფუძეში კომპლექსს ფუძისავე ო ხმოვანი მოსდევს. სწორედ ეს ო უნდა იყოს აღნიშნული დარღვევის მიზეზი. როგორც ჩანს, ზანურ-სვანურში ჭ/ვ ფონემის წინ შიშინა კომპლექსის გასისინება არ ხდებოდა, თუ ამ ლაბიალურ კომპლექსს მოსდევდა ფუძისეული პირვანდელი ო ხმოვანი.

არაფუძისეული ო (ბრუნვის ნიშანი, მიმღობის მაწარმოებლის ხმოვნითი ელემენტი, ზმნური სუფიქსი) ლაბიალური შიშინა კომპლექსის გასისინებას ვერ აფერხებს. შდრ. მეგრ. ზესქვი (<\*ქოშქვი-ი) „შევი“, სვან. ისგუი (<\*ი-შგუი) „შენი“, მეგრ. მორძვეი (<\*მორძვე-ი) „მარჯვე, წაღმართი“, მეგრ. ძეწკვი (<\*ჯოჭკვი-ი) „ჯაჭვი“, ლაზ. სქირი, მეგრ. სქრ (<\*სქვ-ირ-ი<\*შქვ-ირ-ი) „შვილი“, მეგრ. ქოსქრ (<\*ქო სქვი-ი<\*ქოშქვი-ი), ლაზ. დოსქვი (<\*დო-შქვი-ი) „კვერცი დაღვი“...

ამასთან, ფუძეში არსებული ყოველგვარი ო როდი აფერხებს შიშინა კომპლექსის გასისინებას. ასეთი ძალა აქვს მხოლოდ პირვანდელი ო ხმოვანს — ო სონანტის მარცვლოვან ალოფონს. სხვა სონანტის ვოკალიზაციის შედეგად ან ანატიქსური ხმოვნის ბაზაზე განვითარებული მეორეული ო ამ მხრივ უძლეურია. შდრ. მეგრ., ლაზ. (ხოფ.) სქირ- (<\*სქრ- <\*სქტრ- <\*სქტრ- <\*სქტრ-) „შრობა“, მეგრ., ლაზ. (ხოფ., ვიწ.-არქ.) სქიდ- (<\*სქდ- <\*სქტდ- <\*სქტდ- <\*სქილდ- <\*სქლდ- <\*სქტლდ- <\*სქტლდ-) „დარჩენა“.

ო სონანტის მარცვლოვანი ალოფონია ო ხმოვანი ჩვენთვის საინტერესო სახელურ ფუძეებში (ქართ. შჭიდ-: ზან. შქვით-: სვან. ი-შგუიდ, ქართ. მშჭილდ-: მეგრ. შქვილ-). ასეთივე წარმოშობისაა იგი ზმნურ ფუძეებშიც (ქართ. შტერ-/შტირ-: მეგრ. \*შქვირ-, ზან. შქვიდ-: სვან. შგუიდ- „ხრჩობა“). ეს ზმნები წარმოშობით ფუძედრეკადნი არიან და ზანურსა და სვანურში ფუძის რედუქციის საფეხურით, ანუ ო განხოვანებით, არიან წარმოდგენილი.

<sup>14</sup> მეგრ. ქკიჭკიტია-ში (ისევე როგორც ახალი ქართლის ჰიანქველა, ჰინქველა ფორმებში) ანლაუტის თვალსაზრისით უძველესი ვითარება გვაქვს ხელახლა აღდგენილი. მეგრულის წყვილკომპლექსიანი ფორმები (ქკიჭკიტია, ჯჯიჭჯიტია) შედეგია მეგრულისთვის დამახასიათებელი გვიანდელი პროცესისა: მომდევნო კომპლექსის ასიმილაციური გავლენით ფუძის თავკიდურ პოზიციაშიც კომპლექსი იქმნება ([27], 16).

როგორც ცნობილია, რედუქციის საფეხური ქართველურ ენებში ფუძედრეკად ზმნათა გარდამავალი უღვლილების დრო-კილოთა მეორე სერიის (აორისტის, პერმანსიის, მეორე კავშირებითის) წარმოებისთვის იყო დამახასიათებელი. შემდგომში ეს საფეხური ზანურსა და სვანურში გარდამავალი უღვლილების მთელ პარადიგმაზე გავრცელდა ([26], 191—192, 207—208).

შვერ-/შვირ- გარდამავალ უღვლილებას გვაძლევს ქართულში. ბუნებრივია, თუ დავუშვებთ, რომ ასევე გარდამავალ ფორმებს აწარმოებდა შესატყვისი \*შქვირ- ფუძე ზანურშიც<sup>15</sup>.

რაც შეეხება „ხრობის“ აღმნიშვნელ ზმნურ ფუძეს, აქ ზოგი რამ გარკვევის მოითხოვს.

როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში ([6], 69), ამ ზმნამ ფუძედრეკადობა ნაწილობრივ შეინარჩუნა სვანურში. აორისტის I—II პირის ფორმებში (ბზ. ო-შ გ უ ღ „დავახრჩვე“, ა-შ გ უ ღ „დაახრჩვე“) უ ხმოვანი ფუძისეული ჟ-სა და ჯ ხმოვნის შერწყმით არის მიღებული ([30], 142; [26], 232). ეს ჯ, თავის მხრივ, ი ხმოვნის სუბსტიტუციის ([31], 296) თუ შემდგომი დავიწროების ([32], 123) შედეგია. ეს პირვანდელი ი აღდგება III პირის ფორმაში (ა-შ გ უ ი ღ „დაახრობ“): მოკვეცილი სუფიქსის მათმლაუტებელი გავლენით ([30], 146) ი-საგან მიღებული მეორეული ჯ კვლავ ი-ს გვაძლევს ([32], 124; [26], 232). გარდამავალი უღვლილების დრო-კილოთა პირველი სერიისა და მთელი გარდაუვალი უღვლილების აბლაუტური ფორმები შესაბამისად შეცვლილია კაუსატიური და პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებით: ხ ჟ-ა-შ გ უ ღ-ი „ვახრობ“, ხ ჟ-ი-შ გ უ ღ-ი „ვიხრობი“ ([6], 59).

ქართულსა და ზანურში ამ ფუძედრეკადი ზმნის აბლაუტური წარმოება მთლიანად კაუსატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებით არის შეცვლილი. შდრ. ქართ. ა შ თ ო ბ ს < \*ა-შ უ ღ-ო ბ-ს. დ ა ი შ თ ე ნ ე ს < \*ღ ა-ი-შ უ ღ-ნ ე ს; მეგრ. ო-შ ქ ჭ ი ღ-უ ა-ნ-ს, ლაზ. ო-შ ქ ე ი ღ-ა ფ-ს „ახრობს“, მეგრ.-ლაზ. დ ი შ ქ ე ი ღ უ < \*ღ ო-ი-შ ქ ე ი ღ-უ „დაიხრობ“. ქართულში არააბლაუტური წარმოების საფუძვლად აღებული შ უ ღ- წარმოადგენს გარდაუვალი უღვლილების ფუძეს ნულოვანი გახმოვანების საფეხურზე ([6], 68—70; [26], 232).

ასევე გარდაუვალი უღვლილების ფუძეს (ე. ი. ნულოვანი გახმოვანების ფუძეს) ვარაუდობენ კაუსატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოების საფუძვლად ზანურშიც ([6], 69—70; [26], 232). ზან. შ ქ ე ი ღ- ლიტერატურაში \*შქუღ- ფორმიდან მიღებულად არის მიჩნეული ([33], 213; [1], 368; [3], 143; [8], 215).

ვფიქრობთ, ზანური ფუძის ამგვარი კვალიფიკაცია არ არის მართებული. შ ქ ე ი ღ- გახმოვანების ი-საფეხურს (ე. ი. რედუქციის საფეხურს) უნდა წარმოადგენდეს და არა ნულოვანს. ისევე როგორც სვანურში, ზანურშიც კაუსატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებისათვის საფუძვლად გარდაუვალი უღვლილების ფუძე, ე. ი. რედუქციის საფეხურის (ი-გახმოვანების) ფუძე უნდა იყოს გამოყენებული.

15 ქართლის დასავლურ კილოებს მეგრ. \*შქვირ- ფუძე (რომელშიც ი სხვა ხმოვანთან აღარ მონაცვლობდა) ადამტაციის შედეგად კვლავ ხმოვანმონაცვლელ უქცევიათ: \*შქვირ- > ფ შ ქ ვ ი რ- / ფ შ ქ ვ ი რ-.



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აкадеმიის  
გამომცემლობა

„ხრჩობა“ აღმნიშვნელი ფუძედრეკადი ზმნა საერთო-ქართველურში, ალბათ, წესიერად აწარმოებდა გარდამავალი და გარდაუვალი უღვლილების ფორმებს. ქართულში, როგორც ჩანს, გარდაუვალი უღვლილება დამკვიდრდა, ზანურსა და სევანურში — გარდამავალი. არააბლაუტური წარმოებისათვის, შესაბამისად, ქართულმა გარდაუვალი უღვლილების ფუძე გამოიყენა, ზანურმა და სევანურმა კი — გარდამავლისა<sup>16</sup>.

სიბილანტა შესატყვისობის დარღვევათა აქ წარმოდგენილ ახსნას (შიშინა კომპლექსის გასისინება არ ხდებოდა ჭი/ვი-ს წინ) არ ეთანხმება ლიტერატურაში წამოყენებული ზოგი ლექსიკური დაკავშირება. ვფიქრობთ, ეს დაკავშირებანი პრობლემატურია. აი, ისინიც:

ქართ. ჭ ვ ი ნ ტ-ი „ფესაცმლის წვერი“: მეგრ. წ კ ვ ე ნ ტ ე რ ე „წვეტიანი“ ([7], 741). მეგრული ფორმა უნდა უკავშირდებოდეს ქართ. წ კ ვ ე რ ტ- „წვერი, წვეტი“ ფუძეს ([8], 245).

ქართ. შ ე ი ნ დ-ი: ლაზ. ს ქ ი ნ დ- (ტოპონიმში: ს ქ ი ნ დ ო ნ ა) ([34], 49—50). დაკავშირება პრობლემატურია, რადგან მხოლოდ ფორმალურ მსგავსებას ემყარება, შინაარსობრივ იდენტობაზე ლაპარაკი ძნელია: ტოპონიმი სულ სხვადასხვაგვარი ახსნის შესაძლებლობას იძლევა. მაგ., ს ქ ი ნ დ- შეიძლება ფონეტიკურად გართულებული ზმნური ფუძე ს ქ ი დ- „რჩენა, ცხოვრება“ იყოს და ს ქ ი ნ დ ო ნ ა ვივით როგორც „საცხოვრისი“. შდრ. ბაღ- „დაბადება“ ზმნურ ფუძეზე -ო ნ-ა სუფიქსის დართვის სხვა შემთხვევა ლაზურში: დ ო ბ ა დ ო ნ ა „სამშობლო, დაბადების ადგილი“. არის ცდა, ს ქ ი ნ დ ო ნ ა-ს ს ქ ი ნ დ- დაუკავშირონ აღმოსავლეთ პონტოს ქედის ერთ-ერთი მთის სახელწოდებას — ს კ ი დ ი ს ი ([35], 36).

როგორ უნდა ავხსნათ ი ხმოვნის მიერ ლაბიალური შიშინა კომპლექსის გასისინების შეფერხების ფაქტი?

შქვ/შგჷ > სქვ/სგჷ გადასვლა თ. გამყრელიძეს ([6], 75) ახსნილი აქვს როგორც დისიმილაციური დელაბიალიზაცია — მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით შიშინა სპირანტისათვის დამახასიათებელი ლაბიალური არტიკულაციის მოშლა. როგორც ჩანს, შქვ/შგჷ კომპლექსზე პალატალური ი ხმოვნის დართვა იწვევდა ლაბიალურობის ხარისხის შემცირებას, რაც აფერხებდა დისიმილაციური დელაბიალიზაციის პროცესს.

მომდევნო პალატალური ი ხმოვნის მიერ წინამავალი კომპლექსისათვის ლაბიალურობის ხარისხის შემცირება ანალოგიას პოულობს ლაზურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოებში მოქმედ პროცესთან: ველარულ თანხმოვნებთან მომდევნო ი-ს მეზობლობაში იკარგება ვ ლაბიალი. მაგ., ზოფურ შქვეთი „შვიდი“, შქვიდ- „ხრჩობა“, კვინჩი „ჩიტი“ ფორმებს ვიწურ-არქაბულსა და ათინურში შეესაბამება შქვითი, შქვიდ-, კინჩი. შდრ. აგრ. პალატალურ ი და ე ხმოვანთა წინ ჭ-ს დაკარგვა ფერეიდნულში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. ა. ჩიქოვაძე, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938.
2. გ. როჯავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953.

<sup>16</sup> დამტკიცებას არ ჰქონს ის, რომ შქვიდ- (ისევე როგორც \*შქვირ-) ცალმორფემიანი ზმნა (შდრ. [26], 214). ცალმორფემიანი ფუძედრეკადი ზმნების გარდამავალი უღვლილება ზანურსაც ახასიათებს. ამის შესახებ იხ. ჩვენი „ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა უღვლილების ზოგი საკითხი მეგრულ-ლაზურში“ (იბეჭდება საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბეში).



3. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962.
4. V. Polák, Contributions à la grammaire historique des langues kartvéliennes: Archiv Orientální, XXIII, 1—2, Praha, 1955.
5. ვ. მაჭავარიანი, [რეცენზია ვიენზე] V. Polák, Contributions à la grammaire historique des langues kartvéliennes: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.
6. თ. გამყრელიძე, სიბილიკტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბ., 1959.
7. ბ. გიგინეიშვილი, ჭაჭვი-სა და ძეწვი-ს ურთიერთმიმართებისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXVIII : 3, 1965.
8. Г. А. Климов, Этимологический словарь картвелских языков. М., 1964.
9. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. I. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში. თბ., 1962.
10. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.
11. გ. კარტოზია, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში: აპირული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979.
12. ბ. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX—X, 1958.
13. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. СПб, 1910.
14. ა. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ზოფური კილოკავი. თბ., 1929.
15. მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები. თბ., 1937.
16. კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით). თბ., 1979.
17. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. СПб., 1914.
18. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები. თბ., 1983.
19. ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვიერება და გამოკლევა დაურთო ტ. გულდავამ. თბ., 1975.
20. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები. თბ., 1972.
21. გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: ქართულა ლიტერატურის საკითხები. თბ., 1968.
22. ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები). გამოსაცემად მოამზადა კ. სამუშიამ. თბ., 1971.
23. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I. შეადგინა ილ. დლონტმა. თბ., 1974.
24. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II. შეადგინა ალ. დლონტმა. თბ., 1975.
25. ტ. გულდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში): საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIII : 2, 1964.
26. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. თბ., 1965.
27. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. თბ., 1965.
28. ი. მელიქიშვილი, მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ხშულთა განაწილება CVC ტიპის ძირებში საერთო ქართველურსა და საერთო ინდოევროპულში: მაგნი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4.
29. ტ. გულდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, თეზისები. 1958.
<sup>26</sup> Самая древняя из известных грузинских азбук была недавно обнаружена на западной стене Аиской церкви Архангелов, в Верхней Сванетии; это графито, написанное письмом мхедрули, датируемое XI веком и содержащее 37 букв [включая а (y), Պ(ē) и Պ(ō)] (см. В. И. Силогавва, Древнегрузинские графиты из Верхней Сванетии, в сб.: «Памятники культуры 1978», М., 1979, с. 12). Но несомненно имеются и гораздо более древние свидетельства существования грузинского алфавитного порядка—в виде нумерации глав и стихов Библии и других книг, примеров употребления определенных букв в определенных числовых значениях акростихов. Сошлемся хотя бы на буквенные обозначения дат во многих надписях (например, Атенской 853 г.) и колофонах рукописей (например, Синайского многоглава 864 г.). Но насколько нам известно, систематическим выявлением древнейших следов грузинского алфавитного порядка еще никто не занимался. Следует иметь в виду, что для доказательства наличия «греческого» или, напротив, «семитского» порядка у грузинского алфавита в какую-то эпоху, достаточно найти пример числового употребления в эту эпоху **либо** хотя бы одной из грузинских букв  $\sigma, \rho, \delta, \epsilon, \zeta, \eta, \theta$  или  $\dot{\zeta}$  соответственно в значении 9, 20, 80, 100, 200, 300, 400, 500 или 600 (каковые значения налицо и у одинаково звучащих греческих, но не семитских букв), **либо**, напротив, хотя бы одной из грузинских букв  $\lambda, \gamma, \epsilon, \alpha, \dot{\rho}, \sigma, \tau$  (или  $\dot{\rho}$ ),  $\chi, \epsilon, \vartheta$  или  $\sigma$  соответственно в значении 5, 6, 9, 10, 20, 60, 80, 90, 100, 200, 300 или 400 (каковые значения налицо и у одинаково или сходно звучащих семитских—еврейских, сирийских и арабских,—но не греческих букв). Буквы  $\epsilon, \rho, \theta, \sigma, \tau$ , употребленные в числовых значениях 1, 5, 8, 10, 70, также свидетельствуют скорее в пользу греческого порядка, но ввиду возможности их образования из семитских *matres lectionis*, они обладают меньшей доказательной силой; употребление же букв  $\delta, \rho, \epsilon, \theta, \zeta, \eta, \theta, \dot{\zeta}$  соответственно в значениях 2, 3, 4, 7, 30, 40 и 50 вообще ничего не доказывает, поскольку эти числовые значения присущи и греческим, и семитским одинаково звучащим буквам. (См. табл. 3 и 4.)

Подробнее о некоторых вопросах, затронутых в примечаниях 1, 17 и 26, см. теперь в: ZDMG 134, 1984, с. 62-67 (прим. 12, 14, 18, 25).

Представил академик Академии наук  
 Грузинской ССР А. Г. Шанидзе



### პ რ ი ტ ი კ ა დ ა პ ი ბ ლ ი თ რ ა ვ ი ა

როზმარტ სტივენსონი

#### პასუხი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ჩვენ მიერ<sup>1</sup>, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ამ ეურნალში გამოქვეყნებულ ორ რეცენზიაში<sup>2</sup>. გვინდა მაძღვრობა მოვახსენოთ ეურნალის სარედაქციო კოლეგიას, რომელმაც საშუალება მოგვცა გავვეცა პასუხი რეცენზიების ავტორისათვის.

რეცენზიების სათაურების მიხედვით მოსალოდნელი იყო ამომწურავი შეფასება, მაგრამ სინამდვილეში, ლიტონი განცხადებებისა და ანტიპათიის გამოყვანილების გარდა, თარგმანის მთლიანი შეფასება არსებითად არაა მოცემული. ამ რეცენზიებისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა ასეთი სათაურები — „ზოგიერთი მოსაზრება...“

პირველი რეცენზიის დასაწყისში წამოყენებულია დებულება, რომლის თანახმად მსოფლიო მნიშვნელობის პოემებს აკადემიური ავტორიტეტით აღჭურვბული პირნი უნდა თარგმნიდნენ. ჩვენს დროში, აცხადებს რეცენზენტი, ჰომეროსის, დანტეს და გოეთეს ნაწარმოებებს მხოლოდ გამოჩენილი ჰომეროლოგები, დანტოლოგები და გოეთოლოგები თარგმნიან. ასეთი მტკიცება, ყოველ შემთხვევაში ინგლისურენოვანი სამყაროს მიმართ, უბრალოდ რომ ექვათ. სინამდვილეს არ შეესაბამება. ჰომეროსის ნაწარმოებთა ჩვენს დროში ყველაზე უფრო გავრცელებული და რედაქტორი და არა როგორც მეცნიერი, და რ. ა. ლატიმოს, რომელსაც არ მოეპოვება გამოკვლევები „ლიადასა“ და „ოდისეას“ შესახებ. „ღვთაებრივი კომედია“ თარგმნეს დოროთი სეიერსმა, რომელიც უპირველესად ლიტერატურთორი იყო, და ინგლისური ლიტერატურის მკვლევარმა გ. ლ. ბიკერსტემმა, რომელიც სრულიად არ ყოფილა დანტოლოგი. გოეთეს „ფაუსტი“ სკოლის მსწავლებელმა ფილიპ უეინმა და პოეტმა ლუს მაკინისმა თარგმნეს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონია „ფაუსტის“ სექვილისტის პრეტენზია.

ვირგილიუსის თანამედროვე მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სესილ დეი-ლუისი, რომელიც პოეტია და არა მეცნიერი. რასაკვირველია, სასურველია მთარგმნელი იცნობდეს მის მიერ სათარგმნელად არჩეულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ მთელ მონაპოვარს, მაგრამ მისი მოღვაწეობა მინც სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედებითი აქტია, რომელსაც საკუთარი ლიტერატურათა სისტემა და თავისივე შეფასების კრიტერიუმები მოეპოვება.

სწორიც რომ იყოს რეცენზენტის დებულება ამ საკითხზე, მისი გამოყენება „ვეფხისტყაოსნისადმი“ საკმაოდ გამწვანებოდა, ვინაიდან ასეთ პოეტნიეურ მთარგმნელთა რიცხვი ერთობ მცირეა და რუსთველოლოგთა შორის, რომლებიც თბილისში მოღვაწეობენ, ასეთი მთარგმნელი უთუოდ ბევრი არ იქნება.

<sup>1</sup> Shota Rustaveli, The Lord of the Panther-skin; a Georgian romance of chivalry, Translated by R. H. Stevenson, State University of New York Press, Albany, 1977.

<sup>2</sup> ზეიდ ვამსახური ია, „ვეფხისტყაოსნის“ ჰოლოგის სტრუქტურული თარგმანი, „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურული თარგმანი, „მცენე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 2, № 4.

<sup>3</sup> აქ არ ვგულისხმობთ განსაკუთრებულ კატეგორიას — მართვლ მთარგმნელებს. მრავალი მათგანის თარგმანი შესრულებულია დიდი ოსტატობით, მართვლ რომ ზრწყინვლედ, და უაღრესად მაღალი დონითაც გამოირჩევა. მაგრამ თუ კრიტიკული შეფასება უმკაცრეს მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, მატერული ნაწარმოების თარგმანს „მიღები ენის“ საშუალებითა სრული ათვისება უნდა მოეთხოვოს; სამართლიანობა მოთხოვს აღინიშნოს, რომ ამ მიზნის მიღწევა უიშვიათეს შემთხვევაში ხდება მაშინ, როდესაც ამ ენას არ უკავია გაბატონებული ადგილი მთარგმნელის ცნობიერებაში, განცდებსა და შთავიწმობაში.



ეს ორი რეცენზია მათმა ავტორმა უთვლად იმით გამოაქვეყნა, რომ საშუალოდ მნიშვნელოვანია შესახებ, საკუთარი აზრების ამგვარად გადმოცემა არაა მინდობილი მოსაწონი. პირველი რეცენზიის მთელ გვერდზე და ზევგან სხვაგანაც თარგმანი ნახსენებიც კი არ არის, ხოლო მეორე რეცენზიაში ჩართულია ნარკვევი — „რუსთველის პირობებში და თეოდონია“, რომელსაც ხუთი გვერდი ეთმობა და აქ მხოლოდ ორჯერ გაცხრიბაა ნახსენები თარგმანი. ასე და ამგვარად, თარგმანის, უფრო სწორად — მის ცალკეულ მონაკვეთთა, განხილვა აღრეულია, ხოლო ზოგჯერ მთლიანად იგარგება რეცენზენტის მიერ საკუთარ შეხედულებათა გადმოცემაში. ეს შეხედულებანი დაკავშირებულია იმის მტკიცებასთან, რომ რუსთველის თვალსაზრისი სამყაროს შესახებ, რაც ზოგ შემთხვევაში ნეოპლატონურ სამოსიზა გახვეწული, არსებითად ქრისტიანულია თავისი ხასიათით. ამ შეხედულებათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენზე უფრო კომპეტენტურ პირთ, თუმცა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რაოდენ აბსურდულია იმის მტკიცება, თითქოს „ეფესოსკათოლიკის“ თეოლოგიური, ფილოსოფიური, ბიბლიური და ჰიმნოგრაფიული მინიშნებებით ავსებული საკურკლეა, რომელთა გაგება მხოლოდ სწავლულებს შეუძლიათ. გარდა ამისა, ყოველივე ამას არაფერი საერთო არა აქვს ჩვენი თარგმანთან. მაგრამ მაინც უნდა შევჩერდეთ იმ მსჯელობაზე, სადაც რეცენზენტი რუსთველს დანტესთან აკავშირებს. ამ ორი შემოქმედლის ნაწარმოებებს, გვაუწყებს ავტორი პირველ რეცენზიაში, მთარგმნელი უნდა მიუდგეს არა მხოლოდ როგორც პოემებს, არამედ აგრეთვე როგორც ფილოსოფიურ და რელიგიურ ტრაქტატებს. არაერთ მალამხატვრულ პოეტურ ნაწარმოებში მართლაც გვხვდება ისეთი სტრიქონები, რომლებიც, რაგინდ სრულყოფილი იყოს მათი ვერსიფიკაციული დონე, არსებითად ფაქტობრივად, დოქტრინარულ, ლოკურ თუ მეტაფორიკურ შეხედულებათა გადმოცემას წარმოადგენენ; ალბათ ამის კარგი მაგალითია დანტეს საუბარი ოპტიკის შესახებ „სამოთხეში“ (297—105). მაგრამ ძნელი ასეთი სტრიქონების მიჩნევა დიდ მხატვრულ მიღწევად, ეინაიდან რაგინდ ღრმა მთარგმნელ იყო პოეტი, მისი ნაწარმოების ხასიათს არ განაპირობებენ, მისი ზედვის დიპაზონს არ განსაზღვრავენ წმინდა თეორიული კონცეფციები.

ჩვენი ღრმა რწმენით, უბრალოდ სასაცილოა ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად პოეტური ნაწარმოების თარგმანის ღირსებას განაპირობებს ის გარემოება, თუ რამდენად შეესაბამება ეს თარგმანი ტრაქტატის ავტორის ქმნილებას.

მეორე რეცენზიაში რეცენზენტი ცდილობს რუსთველის თვალსაზრისი მიჩურობის შესახებ დააკავშიროს დანტეს ბეატრიჩეს კულტთან. მოგახსენებთ, ბეატრიჩეს სახეს „ვიტა ნოვასა“ და „ლეთაებრივ კომედიაში“ საფუძვლად უძევს საკარო სიყვარულის ლიტერატურული პირობითობა; ამ პირობითობის თანახმად, ქორწინებაზე ფიქრიც ზედმეტია, ვინაიდან სატრეო აუცილებლად გათხოვილი ქალი უნდა ყოფილიყო.

რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამგვარი წარმომავლობის მქონე სიყვარულის კულტთან იმ იდეალს, რომელიც არა ლიტერატურულ პირობითობას, არამედ ცხოვრებისეულ სინამდვილეს ემყარება და თავის დაგვირგვინებას ქორწინებაში პოულობს?<sup>4</sup>

რუსთველისა და დანტეს ნებისმიერი შედარება მოკლებულია საფუძვლად საფუძველს. კერძოდ, თუ „ლეთაებრივ კომედიაში“ მივმართავთ, აქ დაეინახათ, რომ დანტეს შთაგონება მისი ნაწარმოების ყოველსადაც გვეხვება გეგმის გეზს მიჰყვება; შეიძლება ითქვას, ყველაფერი წინასწარი მონახაზისა და გონებრივი აბსტრაქციის ნაყოფია. რაც შეეხება რუსთველს, იგი, როგორც შექსპირი „ჰამლეტში“ ან როგორც გოეთე „ფაუსტის“ პირველ ნაწილში, თავისი სურვილისამებრ ზან ერთ აღმანიურ რეალობას გადაწვდება და ზან — მეორეს.

რეცენზენტი მკარად წერს იმის შესახებ, რომ „ეფესოსკათოლიკის“ ჩვენი თარგმანი მოკლებულია პოემის სტატიკის ნიშანდობლივ ლაქონიერობას.

მართლაც, პოეტურ ეფექტს სწორად აზრის სხარტად გამოთქმა განაპირობებს და პოემის მთარგმნელობითაღიის ძნელ პრობლემას წარმოადგენს დედნის ისეთი გამოთქმების თარგმანი, რომ-

<sup>4</sup> ამ მონაკვეთში რეცენზენტი ჩამოთვლის სხვადასხვა ამბავს მსოფლიო ლიტერატურიდან, მათ შორის — დანტეს ვატაქებას ბეატრიჩით და პეტრარკას — ლაურათი, რომლებიც, მისი აზრით, შეესაბამება სიყვარულის რუსთველურ დოქტრინას, რამდენადაც ყოველი მათგანთან ქალის სიყვარულს დღერთან მიყვარათ. პეტრარკას დამოწმებაზე იგივე უნდა ითქვას, რაც ზემოთ დანტესთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, მაგრამ აქ კიდევ ერთი სხვაობა იჩენს თავს; „კანონების“ საერთო შინაარსიდან საცხებით ცხადად ჩანს, რომ მათში განდიადებული გრძნობა არა მხოლოდ მთლიანად ამქვეყნიურია, არამედ ზოგჯერ (მაგ. № 62) პოეტი კიცხავს თავის თავს იმისათვის, რომ რელიგიის ხარჯზე მთლიანად ამ გრძნობას დაემორჩილა.

ლებიც სულ რამდენიმე მარცლისაგან შედგება და ამასთანავე უპარესად შთანბმებლავია<sup>5</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებულ სინდრეს ვაწყდებით რუსთველის კატრენების თარგმნისას. სირთულე ამით არ ამოიწურება. ქართველებისათვის ალბათ ძნელად წარმოსადგენია — როდენ უცნაურად გამოიყურება დასავლელი მკითხველებისათვის პირველ ვაცნობისას რუსთველის პოეტური ენის ზოგო ელემენტი. თარგმანის შესრულებისას ჩვენ მუდამ ვვრძობდით დედნის მხატვრული სახეების გავრცობის (to dilute) აუცილებლობას, რათა გამოთქმა ვასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის. ამაზე აღარ შეგჩერდებით, ვინაიდან ამ საკითხზე მოკლე მსჯელობა მოცემულია თარგმანის შესავალში (გვ. XXVII—XXIII).

თავის რეცენზიებში ავტორი ხშირად ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ყოვლად უსაფუძვლოა ჩვენს თარგმანში ამა თუ იმ ადგილის ინტერპრეტაცია, რომელსაც თვითონ არ ეთანხმება და რომელსაც სინამდვილეში სრული საფუძველი მოეპოვება<sup>6</sup>. ასეთი დამოკიდებულების მაგალითების აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა<sup>7</sup>.

კრიტიკული განხილვისას თარგმანში გამოყენებული სიტყვებისა და გამოთქმების დაწუნება სავსებით ბუნებრივია, მაგრამ იმ სიტყვებზე და გამოთქმებზე მითითება, რომლებიც „უნდა“ ყოფილიყო გამოყენებული, რის უფლებასაც ხშირად აძლევს თავის თავს რეცენზენტი, რბილად რომ ვთქვათ, კაღნეგდება.

რეცენზენტის ბრალდების პუნქტებზე ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემული პასუხებიდან ნათელი გახდება, რომ ინგლისური ენის ცოდნის მისი დონე სრულიად არ შეესაბამება იმ ამოცანას, რომელიც მას მიზნად დაუსახავს.

1. რეცენზენტი ამბობს, რომ სათაურში „Lord“-ის ნაცვლად უეთესი იქნებოდა „man“. მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთი სიტყვაა, რომელსაც ფრთხილად უნდა ხმარება, ვინაიდან განცალკევებულად, ზედსართავის ვარგეშ როგორც მოწიფულ ასაჯზე, ასევე მდამო სოციალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. ამიერიც ტარიელის ასაკისა და რანგისათვის იგი შეუფერებელია. ამასთანავე იგი ერთობ „გაუცუდილი“ და სათაურისათვის სუსტი სიტყვაა. აბაერთი სხვა მთარგმნელიც მოერის სათაურის სიტყვასიტყვით ვადაცანას, — რასაც რეცენზენტიც აღიარებს.

2. რეცენზენტი მიაჩნია, რომ „მოყმის“ (და აგრეთვე „ყმის“, როცა ამ აზრით იხმარება) შესატყვისი უნდა იყოს „knight“. „Knight“ ფართო მნიშვნელობის სიტყვაა, მაგრამ ისეთი ნაწარმოების კითხვისას, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, ინგლისურენოვანმა მკითხველმა იცის, თუ რა აზრს იძენს აქ ეს სიტყვა: „მეფის ან სხვა დიდებულის მიერ მინიჭებული საპატიო სამხედრო წოდების მქონე პიროვნება“ („ინგლისური ენის ოქსფორდის მეორე ლექსიკონი“). ასე, ვედუარდი, ინგლისის მეფის ედუარდ III-ის უფროსი ძე, არ იყო „knight“ მანამდე, ვიდრე არ მიიღო ეს სტატუსი ლა პეიში (ნორმანდია) 1346 წელს; ამასთანავე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იყო „მოყმე“ წინა წელს, როდესაც მამამის ახლდა სამხედრო ლაშქრობაში. ნაწყვეტი სერ ტომას მელორის „არტურის სიგელი“ - დან აგრეთვე ნათელყოფს ამ საკითხს: „შემდეგ გრძელუბრი მოვიდა, რომელიც მხოლოდ სქუაიერი იყო... ამიტომ იგი შევედრა მეფეს, გაწეული სამსახურისათვის ებოძებინა მისთვის რაინდობა. „მაგრამ შენ ღმერთს კიდევ მეცრე და ნორჩი ხარ ასაკით, — მიუგო მეფემ, — ამ ეგზომ მაღალი წოდების ტარებისათვის“ (1, 21—22). რასაკვირველია, შუა საუკუნეების საქართველოს მოეპოვება პირნი, რომელთაც სიტყვა „knight“ მრავალი ნიშნით შეეფერება, და მაინც ამ სპეციფიკური „მაღალი წოდების“ ცნება, ზედდასხმის შესტად დადგენილი რიტუალებით, წმინდა დასაბუნებრივად უნდა მოგვანას. ამგვარად, „knight“-ის არა აქვს ორგანული არსებობის უფლება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში.

3. რეცენზენტი იმიტომ არ მოსწონს „Lord“ სათაურში, რომ წარმოდგენა არა აქვს ამ სიტყვის ელფერზე. „ძველად (რაც შეესაბამება „ვეფხისტყაოსანს“) საზოგადოდ ნებისმიერი წარჩინებული პიროვნების აღსანიშნავად იხმარებოდა“ („ინგლისური ენის ოქსფორდის მეორე ლექსი-

<sup>5</sup> „მაკბეთის“ დედანში არის — „Dispute it like a man“, რაც მაჩაბლის თარგმანში ასეა — „გულმაგრად დახვდი მიც სატანველს, როგორც კაცს ჰფერობს“, „კორიოლანუსში“ დედანში გვაქვს „My gracious sience, hail“ (2, 1), ხოლო მაჩაბელთან — „შშვიდობა შენდა, კლემით მოსილო მეგობარო...“

<sup>6</sup> მართლაც, ჩვენს თარგმანში წარმოდგენილი ინტერპრეტაცია არაიმეოტად ყველაზე უფრო გავრცელებულია მთარგმნელთა შორის.

<sup>7</sup> რეცენზენტის ამოცანა — უგულებელყოფს იმ ინტერპრეტაციას უფლებამოსილება, რომლებიც თვითონ არ მოსწონს, განსაკუთრებით საძრავისა მის მიერ უორდროპის თარგმანის გამოყენებისას, ვინაიდან შემთხვევას არ უშვებს, რათა მეცნიერების ეს აღიარებული მონაპოვარი მხოლოდ საკუთარ თვალსაზრისთა დასადასტურებლად გამოიყენოს.

კონი): შეუძლებელია რეცენზენტის მტკიცების გაზიარება, რომ ტარეელი პოემაში პირველად გამოჩენიას ჩვეულებრივ „მოყმელ“ მიიჩნის. „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჟარ-უნავირსა“ მხოლოდ წარჩინებულ პიროვნებაზე ითქმის.

4. რეცენზენტს არ მოსწონს, რომ „სული“ (1, 2) ვთარგმნეთ სიტყვით „breath“. ჩვენი შესატყვისი სავსებით გამართლებულია. სხვა მთარგმნელები — წულაძე, ორბელიანი-იორდანიშვილი, გვაზავა, მარსელ პაოზი, ნუტუბიძე, ურუშაძე ასე იაზრებენ ამ სიტყვას.

5. „Mortals“-ის (1, 3) ნაცვლად უნდა იყოს „men“, — წერს რეცენზენტი. როგორც აღვნიშნეთ, „man“ ხშირად ნაკლებად ვეფქტური სიტყვაა, ხოლო მის სინონიმად „mortals“ არცთუ იშვიათად იხმარება, მაგ.: „...security is mortals chiefest enemy“ („მაკებთი“, 3, 5).

6. „Likeness“-ის (1, 4) ნაცვლად „image“ უნდა იყოს, — გვარწმუნებს რეცენზენტი. ორივე სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

7. ვერ გავიზარებთ შემდეგი თარგმანის კრიტიკას რეცენზენტის მიერ: „O One, O God, thou hast created their form on all creatures“ (2, 1), რამდენადაც არ გვეჭრა, რომ რუსთველს ვერ წარმოვადგინა მეტყველება თეოლოგიური გამოთქმების ვარაშე, ამდენად ვერ გავიზარებთ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ პირველი სიტყვები უცხოა ქრისტიანული თეოლოგიის ენისათვის. ნეოპლატონისტური თეორიით შეპყრობილი რეცენზენტისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული სიტყვები ჩვენ არსებითად ისევე გვაქვს გააღებელი, როგორც წულაძეს, ურუშაძეს, ნუტუბიძესა და ჰუბერტს. რაც შეეხება უორდროპოპულ თარგმანს — „Thou didst create the face of every form!“, რომელსაც ემხრობა რეცენზენტი, ასეთი აზრთაწყობა ინკლისურენოვანი მკითხველსათვის არაბუნებრივად ელერს.

8. მართალია, არ მიგვიჩნია თავი ამგვარი საციხების სპეციალისტი, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სრულიად აბსურდულია რეცენზენტის თვალსაზრისით, თითქოს ტაეპში 3,4 თავს იჩინოს „მსაყდლა წიგნის“ (14,8) აღუზია.

9. ვაუგუბარია რეცენზენტის საყვედური, თითქოს „შენგნით მაქვს, მიესცე ვონება“ (6, 2) თარგმანში გამოტოვებულია. ჩვენ იგი ვთარგმნეთ ასეთი თავისუფალი შესატყვისით: „with your aid all will be achieved“. რეცენზენტს „ვონების“ შესატყვისად მიაჩნია „intuitive“, „reason“ ან „mind“. ამთავან პირველი თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკის კუთვნილებას, რაც უაღვილო იქნებოდა შენასუენუბორიგ პოემაში, ხოლო მეორე მოკლებულია სთანადოდ ვეფქტს.

10. რაიმე არგუმენტარების ვარაშე რეცენზენტი აცხადებს, რომ „მთა სამთა ვმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“ (6, 4) არის „მთეს სახარების“ გამოძახილი: „... ხოლო თქვენ შორის არა ვერეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფა, იყავ თქვენდა მსაბურ“ (20, 26). ასეთი საკითხებზე მსჯელობა ნამდვილად არაა ჩვენი საქმე, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოსახრება ჩვენი დიდ ვაოცებას იწვევს.

11. რეცენზენტის თანახმად, „ლხენა“-ს (10, 3) თარგმანს „comfort“-ით „შეკარა შეცლობა“ და უნდა იყოს „forgiveness“. იგი იმოწმებს ამ სიტყვის ს. ს. ორბელიანისეულ განმარტებას: „ჭირთავან ხანა“, მაგრამ ასეთი მნიშვნელობა „comfort“-ს არა ნაკლებ შეეფერება, ვიდრე „forgiveness“-ს. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში მიუთითებს, რომ „ლხენა“ აქ „отрада“-ს ნიშნავს. რეცენზენტი იმოწმებს ავრთველ ი. აბულაძის „ქველი ქართული ენის ლექსიკონში“ დამოწმებულ ეციკლეენტებს. მაგრამ, ჭერ ერთი, აბულაძის მიერ გამოყენებული ნაწარმოებები რუსთაველმდელი ეპოქისა და, მეორეც, (თუმცა რეცენზენტი ამ აზრს უთუოდ ვერ შეეგუება) თავიანთი ხასიათით მკვერად განსხვავებიან „ვეფხისტყაოსნისაგან“. რეცენზენტს ამ მხრივ უთუოდ არავითარი დასაბრუნებია არ მოუპოვება, ისევე როგორც იმ საკითხში, რომ თითქოს ამ სტროფებში თავს იჩენს რელიგიური მიწაწევა. აქვე შეიძლება აღნიშნოს, რომ პოემის აკადემიური გამოცემის რედაქტორებს, საიდანაც შესრულდა ჩვენი თარგმანი, „ლხენა“ თანამედროვე ვაგებისაგან განსხვავებულ სიტყვად რომ მიეჩნიათ, პოემის ლექსიკონში შეიტანდნენ.

12. რეცენზენტს რაღაც პრეტენციები აქვს ამ თარგმანისადმი — „Even so must the lover surrender himself to love, learn well how to know it“ (დღენსა—11, 3), თუმცა ძნელი დასადგენია რაში ვეუადება. ძნელია დიდი სხვაობის დანახვა ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ამ თარგმანსა და ურუშაძისეულ თარგმანს შორის, რომელსაც რეცენზენტი მხარს უჭერს: „...let the love—maddened man learn the meaning of love and know it“.

13. რეცენზენტს არ მოსწონს, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“-ს (12, 1) თარგმანში ვიხმარეთ სიტყვა „Philosophy“ და აცხადებს, რომ რუსთველისთვის „სიბრძნე უბირველესად არის „wisdom“, და თანაც სპეციფიკური ლეოაბრები ხსიათისა. „Philosophy“-ს პირველი მნიშვნელობა, მოკემული „ინკლისური ენის ოქსფორდის მკირე ლექსიკონში“, ასეთია: „the love, study, or pursuit of wisdom“. ეს განმარტება უთუოდ აუჭმებს წამოყენებული ბარა-

დების პირველ ნაწილს. რაც შეეხება იმას, რომ „სიბრძნე“ თითქოს ღვთაებრიობას უკავშირდება, არავითარ ამდაგვარს ვერ ვიპოვით ორბელიანის, ჩუბინაშვილისა თუ აბულაძის ლექსიკონებში. აბულაძესთან „ფილოსოფოსობა“ არის „სიბრძნისა სიტყუის“ მნიშვნელობა. კიდევ რომ ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში „სიბრძნე“ სპეციფიკურ ღვთაებრივ სიბრძნეს აღნიშნავდა, შეგვიძლია განა ვამტკიცოთ, რომ რუსთველი წმინდა ძველი ქართულით წერდა? — „A branch of wisdom“ უცნაურად იტყვებოდა ინგლისელსათვის: „wisdom“ — არის კონტრინუში, რომლის წარმოდგენა „ვანშტოვებდალ“ ძალზე ძნელია.

14. რეცენზენტს ჰგონია, რომ მუ-12 სტროფის მე-2—3 ტაქტების თარგმანში — „divine, fit for heaven, it delights those who hear it. Even here below it gives pleasure to noble souls“ — „გასაგონი“-ს შესატყვისი არის „hear“ და აცხადებს, რომ „intelligible“ უნდა გვეხმარა. სინამდვილეში „hear“ არის შესატყვისი სიტყვისა „მშენებლთათვის“, ხოლო „გასაგონი“-ს შესატყვისი არის „fit for“. „Intelligible“, უნდა ითქვას, უიმედოდ არაპოეტური სიტყვაა.

15. რეცენზენტი გვარწმუნებს, რომ „კაცი ვარგი“ (12, 3) ჩვენს თარგმანში — „noble souls“ პოეზიის კარგ მცოდნეს ნიშნავს, მაგრამ ასე მხოლოდ მას მიაჩნია და სხვას არავის. „Competent“, რომელიც მას „ვარგი“-ს უკეთეს შესატყვისად მიაჩნია, როგორც არაპოეტური, ასევე გაუგებარი სიტყვა იქნებოდა. „ვარგი“ ძნელად სათარგმნელი სიტყვაა, მაგრამ ჩვენ იგი ისევე ვავიზარეთ, როგორც უორდროპმა, დე ლა ტორემ, ურუშაძემ და ორბელიანი-იორდანიშვილმა.

16. რეცენზენტის თანახმად, „მარგი“ (12, 4) უნდა გვეთარგმნა ისეთი სიტყვით, როგორცაა „wholesome“ ან „propitious“. ან „useful“. ამთავან პირველი უხეში შეცდომა იქნებოდა; „useful“ ასეთ კონტექსტში არასოდეს იხმარება და შინაარსობრივადაც შეუსაბამო იქნებოდა, ხოლო „wholesome“ სემანტიკურად სწორი იქნებოდა, მაგრამ იმ კონტექსტში კომიკურად იცხდრებოდა. შესაძლოა ფორმულირება „it delights those who hear it“ ერთობ თავისუფალი თარგმანია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამდაგვარადვე თარგმნიან „მარგი“-ს ჰუპერტი და ურუშაძე. — პირველთან „Labe“, მეორესთან — „comfort“.

17. რეცენზენტი გვასყვედურობს, რომ თარგმანში გამოტოვებულია სიტყვები „მეორე ლექსი“ (16, 1) და „მესამე ლექსი“ (17, 1). „მეორის“ ზრი გამოხატულია სიტყვით „too“, ხოლო მე-სამე სახეობა სრულიად გარკვევითაა ფორმულირებული: „there are those of yet a third sort“.

18. ტომი ვეაითა“-ს (20, 1) შესატყვისად თარგმანში არის „nature“, რაზეც რეცენზენტი გვეიციინებს და აცხადებს, რომ უნდა იყოს „kind“, „genus“ ან „class“. „Kind“ გამორიცხულია. ასეთი სიტყვები ფილოსოფიისა და საზღუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლექსიკონის კუთვნილება და პოეტური ქმნილებებისათვის შეუფერებელია. ზემოთ უკვე გამოვქვეთა ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რაოდენ ლამაზია, როგორც რეცენზენტი თავის უღღმებს ამღვეს გვიყარნახოს, თუ რა სიტყვები უნდა გამოგვეყენებინა პოემის ამ თუ იმ ადგილის თარგმნისას.

19. „პკვიანი“ უნდა თარგმნილიყო არა როგორც „wisest men“, არამედ „clever men“, — ნათქვამია რეცენზანში. ბევრმეჯ სკოლაში ვამბობთ, რომ იგი არის „clever“; ასევე, დიდი მატის მოქმედებას მოლაპარაკებებზე „clever“-ს ვუწოდებთ; ამავე სიტყვით ვახსიათებთ რეცენზორს, როდესაც იგი პოემის დადგმისას კარგ სცენურ ეფექტებს ქმნის. მაგრამ იგივე სიტყვა არ გამოიყენება უფრო მაღალი დონის გონებრივი ქმედების აღსანიშნავად. რეცენზენტი ამბობს, ამგვარი შეცდომა სხვა მთარგმნელებთან არ გვხვდებოა, მაგრამ მან რომ ინგლისური უკეთ იცოდეს, მიხედვება. რომ უორდროპისა და ურუშაძის მიერ ნახმარი „sages“ სხვა არაფერია თუ არა „wise men“. სხვა ენებზე მთარგმნელებიც ამგვარივე სიტყვებს იყენებენ.

20. რეცენზენტი გვეიციინებს, რომ „ხელმანი“ (21, 3) არ უნდა გვეთარგმნა სიტყვით „passion“. მას ალბათ ჰგონია, რომ ეს სიტყვა მხოლოდ ქვენა გრძნობათა აღსანიშნავად იხმარება. მაგრამ ეს ასე არაა; „the tender passion“ (ჯონ ვეის პოემიდან) ინგლისური ენის კუთვნილებად იქცა როგორც სიყვარულის პერიფრაზი, ქვენა გრძნობების ელფერი გარემო.

21. რეცენზენტი უპირისპირდება „მართ მსკეუ ჰაძქენ“-ის (21, 4) პერიფრაზირებას „which has yet some likeness to the mystic“ და მხარს უჭერს უორდროპის „imitate“-ს. მაგრამ ეს უკანასკნელი არაპოეტურია, მის უბრალოებისა და არავლურუფლებობის ელფერი დაქრავს. პოემის თარგმანთა შორის ძალიან იშვიათად არის გატარებული უბრალო მიმაძევის ზრი. რეცენზენტი მთავრად ამოწმებული „კორინთელთა მიმართ“ (1, 14, 1) მხოლოდ ერთხელ კიდევ შეტყველებს, რაოდენ აკეთილშობილი აქვს მას „ბობლია“. სხვათა შორის, გავუფრთხილა, რაოდენ ვადმოაქვს მას ქართულად „სიძვე“-ის შესატყვისი ჩვენს თარგმანში „wanton“ სიტყვით „ამა“? „ვარყენილი“ ან „ახვორცი“ უფრო სწორი იქნებოდა.

22. „უხეშ შეცდომად“ არის მიჩნეული „ეკლესია ზედან ფრფენითა“-ს (22, 4) ჩვენი თარგმანი: „run after women“. უორდროპის თარგმანის მოსკოვურ გამოცემაში (1938) ეს ადგილი ასეა

წამოადგინა: „then again, to others it is natural to pursue lovely women“. ამგვარი ვითარება წულაძის, ურუშაძის, ჰუბერტის და ორბელიანი-იორდანიშვილის თარგმანებში. რევენ-ზენტი „ფრფენითა“-ს აკავშირებს „შორით ბნელა“-სთან (21, 4), თუმცა არ განმარტავს ამგვარი დაკავშირების მიზეზს. უნდა ვიღიაროთ, რომ „run after women“, შესაძლოა, რამდენადმე მოკლებულია სიზუსტეს და ალბათ სასურველი იყო გამოთქმის ხატოვანების შენარჩუნება.

23. რევენზენტი აცხადებს, რომ „ბუნება“ ფრაზაში „ზოგათა ჰვე უც ბუნება“ (22,4) სპეციფიკური ნეოპლატონისტური მნიშვნელობის, „ბუნებითი ტრფიალების“ გამოვლინებაა. ჩვენ ეერ ვხედავთ საფუძველს ამ თვალსაზრისის გასაზიარებლად და არა გეგონია, რომ ამ ფრაზის ასეთი ინტერპრეტაცია მაინცდამაინც შთაბეჭდავი იყოს. ჩვენ ისევე ვაეიაზრეთ ეს გამოთქმა, როგორც წულაძემ, ურუშაძემ, ჰუბერტმა, ორბელიანი-იორდანიშვილმა.

24. აღნიშნულია, რომ „დაშვრების“ (22,3) აქ „იღლება“-ს კი არ გულისხმობს, არამედ „იღვწი“-ს. ეს მოსაზრება საკმაოდ საგულისხმოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პოემაში „დაშვრომის“ ჩვეულებრივი შინაარსი „დალაღვა“ უნდა იყოს (მღრ. 75,4; 46,2; 849,3). ისევე როგორც ჩვენ, სხვა მთარგმნელთა უმრავლესობასაც აქ „დაშვრომა“ დაღლის მნიშვნელობით ესმის.

25. რევენზენტი აცხადებს, რომ „აღმაფრენა“ (22, 3) უნდა ითარგმნოს სიტყვით „elevation“, როგორც ამავე მიუთითებდა ო. უორდროპი შენიშვნებში თავისი დის თარგმანზე და, მარის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, „დაშვრების აღმაფრენითა“ ასე ვაღმოდო — „they exaust themselves in effort at elevation“. ამისგან დიდად არ განსხვავდება შინაარსობრივად ჩვენი თარგმანი — „Some... are wearied by soaring“.

26. რევენზენტი ირწმუნება, „მიწურთ ზნობა“ (23, 4) თარგმანში გამოტოვებულია და დასძენს, რომ „morals“ კარგი შესატყვისი იქნებოდაო. აქ იძულებული ვართ კვლავ აღვნიშნოთ, რომ ინგლისური ენის მისი ცოდნა არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. „Morals“-ს აქ ვერასვხის ვერ ვიხმართ. ამასთანავე „მიწურთ ზნობა“ არაა გამოტოვებული: სტროფის ბოლო ტაქტის თარგმანი — „He who falls short of this is not to be reckoned lover“ თითქმის სიტყვისიტყვით მიჰყვება სხვა მთარგმნელთა კვალს, მაგალითად — „who has not all these qualities lacks the character of a lover“ (უორდროპი) და „He who lacks these qualities cannot be called a true lover“ (ურუშაძე).

27. რევენზენტის მტკიცებით, „გვარი“ (24, 1) უნდა გვეთარგმნა სიტყვით „genus“ და არა „thing“, მაგრამ „genus“ ისეთი სიტყვაა, რომელსაც პოეზიის სამყარო ვერ იგუებს (იხ. ზემოთ № 18), ხოლო სავსებით ბუნებრივია ფილოსოფიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა მეტყველებაში; ამასაც რომ თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში მისი ხმარება უბრალოდ შეცდომა იქნებოდა. (სხვათა შორის, ამ ტიპის სიტყვა რომ დაგვიკირებოდა, ასეთი იქნებოდა „species“). „Thing“ ჩვენ უორდროპის კვლად ვიმჩარეთ. ასევე წულაძე და ორბელიანი-იორდანიშვილი, შესაბამისად, ხმარობენ „chose“-ს, დე ლა ტორე — „cosa“-ს.

28. აღნიშნულია, რომ როსტევენის დახასიათებისას გამოტოვებულია ზედსართავი „მდაბალი“ (32, 2). ეს არაა მართალი. „მდაბალი“ თარგმნილი გვაქვს სიტყვით „gentle“. შესაძლოა ვინმე შემოგვედგოს, რომ ეს არაა ზუსტი შესატყვისი, მაგრამ უკეთესი სიტყვის მოძებნა ძალიან გაძნელებულია. ისეთი ზედსართავები, როგორცაა „modest“ და „humble“, შეუფერებელი იქნებოდა მონარქისადმი, თუმცა ორბელიანი-იორდანიშვილის ფორმულირება „humble de coeur“ არ უნდა იყოს ურიუო. ზოგი მთარგმნელი უბრალოდ უგულებელყოფს „მდაბალს“, ხოლო სხვები (მაგალითად, ნუტუბიძესთან არის „послушный“) უფრო თავისუფლად თარგმნიან, ვიდრე ეს თქმის „gentle“-ს შესახებ.

29. დაწინებულია „ბრძენის“-ს (33, 4) ჩვენი შესატყვისი — „a man profound of mind“. ჭკრთული „ბრძენის“ შინაარსი რაც უნდა ტყეადი იყოს, სულ ერთია, ინგლისური „wisdom“, რომელსაც მოითხოვს რევენზენტი, ვერ დაეხმარება აღმინანს ტექნის წარმოთქმაში. ამისათვის შესაძლოა საჭირო იყოს გარკვეული გონებრივი თავისებურება, მაგრამ ეს არ იქნება „wisdom“. ტაეპში „ბრძენი ხამს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული“ — „ბრძენი“ უთუოდ იმავე აზრით იხმარება, როგორც ტაეპში 694. 4: „ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს, ენა ბევრი“, სადაც აშკარად ფილოსოფოსები იგულისხმებიან.

30. ნათქვამია, რომ „a tongue like a myriad“ („ენა ბევრად ასული“, 33, 4) ზედმეტად სიტყვისიტყვით არის გადატანილი და აჭობდება „eloquent“, როგორც ამას უორდროპთან ვხედავთ. „Eloquent“ არ ივარჯებს, ძალიან „გაციველი“ სიტყვაა. შორ: „tausend, abertausend Zungen“ ნეუკომთან. თითქმის იგივე გამოთქმა უორდროპს უფრო სიტყვისიტყვით აქვს გადაღებული, ვიდრე ჩვენ: „It needs the myriad tongues of Athenian sages to praise her beauty“ (694, 4). Prai-



sers of Avtandil need even a thousand tongues" (1048, 1). ასევე იქცევიან სხვა მთარგმნელები: ზოგჯერ ძნელი ვადასაწყვეტია — რა პრინციპით უნდა იქნეს ვადატანილი ღედნის ინტერპრეტაცია რამ ამგვარი საკითხების ვადასაწყვეტა „მიძღვბი ენის“ მხარეზე ზღედა.

31. რეცენზენტს მიანიია, რომ „ახსნილს“ აფორიზმში „უზგი ახსნილსა დაბამს“ (49, 3) არ შეესატყვისება „free“ და შენიშვნაში ამბობს, რომ ეს არის შეცდომა, რომელიც ჩუბინაშვილიდან მომდინარეობს და თან დასძენს „ungovernable“ კარგი შესატყვისი იქნებოდათ. მაგრამ მას არავითარი არგუმენტი არ მოჰყავს თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ზოგი მთარგმნელის ვაგვებით, „ახსნილი“ მტერს ნიშნავს. მაგრამ უმრავლესობა უჭერს მხარს „free“-ს, რომელიც, რეცენზენტის მტკიცების მიუხედავად, სასებით შეესაბამება ღედანს.

32. რეცენზენტის თანახმად, „რასაც ვასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“-ს (50, 4) ინგლისური შესატყვისი მრავალსიტყვიანობაა მთარგმნელის მიღრეკილების მავალითია. თვით თარგმანს, შემდგარს 17 მარცლისაგან — „What you bestow in gifts remains yours, the retained is lost utterly“ — არ აცნობს თავის მკითხველებს, ამის ნაცვლად 31 მარცლისაგან შემდგარი წინადადებით ქართულად ვადაქვეს ჩვენი თარგმანი. ეს არაკეთილრწინდისიერება და უაღრესად მკლარი წარმოდგენას ქმნის თარგმანზე. სხვათა შორის, „utterly“ ნიშნავს არა „სამუდამოდ“-ს, არამედ „სრულებით“ ან „სავსებით“.

33. „რიღ“-ს (72, 3) შესატყვისი „turban“ შეცდომად არის მიჩნეული, იმ მინიშნებით, რომ უნდა იყოს „veil“. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „რიღი ესე, არს თავ-სახევეი ინდოთა, არაბთა და სპარსთა“. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვაქვს «чалма, турбан». ცვაკერილი და პუპერტი ამ თავსახევეს ჩალმას უწოდებენ, ხოლო გვაზავ-მარსელ-პონი და ბერიძე — თავსახევეს. ბალმონტი ხმარობს საკმოდ ბუნდოვან სიტყვას „покрыв“. საეულისხმოა, რომ რასატყვისის ნაღირობის ი. მ. თომისიეულ ცნობილ სურათში (აკადემიური გამოცემის 22 გვერდის წინ) ავთანდილს პირბადე როდი ჰხურავს. რასაც უნდა ნიშნავდეს „რიღი“ სინამდვილეში, სულ ერთია — მას პირბადეს ვერ ვუწოდებთ, რადგან პირბადე მთლიანად ქალურ ასოციაციებს იწვევს.

34. შეცდომად არის ვამოცხადებელი „ქარქაშოსანი“-ს (72, 5) თარგმანი — „the gear of an archer“. აქ ხმაღვა მინიშნებოა. — ამბობს რეცენზენტი. წულაძეს და ორბელიანი-ორდანიშვილის აქეთ „tunique de chasse“, უორდროპსა და ურუშაძეს — „hunter's apparel“. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში «колчан»-ს იძლევა. მონადირეს ხმალი არაფრად უნდა, ხოლო მშვიდლონის ალტერვალობა უთუოდ ვსაჭიროება.

35. რეცენზენტი გვიჩივის, 72-ე სტროფის თარგმანში ერთი და იგივე სიტყვები რამდენჯერმე შეორღებოთ. ასეთი ვანშორება არის არა თარგმანში, არამედ ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ ქართულ ბეჭადღში. ასეთი იღეთები ყოვლად შეუწუნარებელია.

36. რეცენზენტის თანახმად, 72-ე სტროფის მთელი სილაშზე ის არის, რომ ის, ვიბეც არის საუბარი — ავთანდილი, სახელით არ არის ნახსენები. უორდროპის პირველ გამოცემაში ნაცვალ-სახელს — „he“-ს შემდეგ ფრჩხილებში ჩასმულად ვხვდებით „Avt'andil“-ს, ეს უტყფისია?! უორდროპის ვასწორებულ გამოცემაში სახელი აგრეთვე ნახსენებია — „Avt'andil came forth“, ისევე როგორც წულაძის, ურუშაძის, ორბელიანი-იორდანიშვილის, ვვაზავ-მარსელ-პონის, ბერიძის, ღე ლა ტრარეს, ნეუკომისა და ბალმონტის თარგმანებში.

37. რეცენზენტი „ღმრთეებისა“-ს (788, 4) თარგმანს — „even by God“ შეცდომად აცხადებს და ბროკუსს ითანე პეტრიწისიეულ ერთ ადგილზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ აქ უშუალოდ ღმერთი იფლისხმება და არა მასთან რაიმე შედარება. ამის ვანსჯა სხვებისათვის მივიჩნევი, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევა, ვანვაცხადოთ, რომ ჩვენი მხრივ რეცენზენტის ეს მოსაზრება არ მივანია უფრო საწმუნოდ, ვიდრე მისი სხვა იღებები. მრავალ სხვა ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ თარგმანებში, მათ შორის ნეუკომისა და ორბელიანი-იორდანიშვილთან, „ღმრთეებისა“ სწორად არის ვაგებული.

38. აღნიშნულია, რომ „სიცრუე“ (789, 4) უმჯობესი იყო გვეთარგმნა არა „falseness“-ით, არამედ „lie“ ან „lying“-ით. „Falseness“-ს ხშირად აქვს „lying“-ის მნიშვნელობა (იხ. ინგლისური ენის ოქსფორდის მკირე ლექსიკონი, „False“-ის ქვემოთ). სხვათა შორის, აქ უორდროპმა „სიცრუე“-ს შეუსაბამა არა „lying“, როგორც ამას რეცენზენტი აცხადებს, არამედ „falsehood“ (= „falseness“).

39. რეცენზენტი აცხადებს, რომ „If I will not act“ არ შეესატყვისება ღედანს: „არა ვიქმ“ (790, 3). ვაუგებარია, რატომ ვედავება; შეგვიძლია მხოლოდ ვივარუდოთ, რომ რეცენზენტს არ ესმის ამ ფრაზის მთელი მნიშარისი.

40. 790. 4 ტაპის ინტერპრეტაცია რეცენზენტის მიერ ვეპარება იმ წინამძღვარს, რომ იქ, სადაც ტექსტში არის „წყობისა“, უნდა იყოს „მწყობისა“. აქ უადგილო იქნება ამაზე მსჯელობა,

მაგრამ ის კი უნდა შევინიშნოთ, რომ რეცენზენტის თანახმად აქ უნდა გამოყენებულ იქნეს სიტყვა „ordainer“, რაც, მისი რწმენით, ღმრთის ერთ-ერთი სახელთაგანია. რაღაც არ გვაგონდება, რომ ეს სიტყვა ვინმეს ასეთი მნიშვნელობით ეხმარება.

41. რეცენზენტის თანახმად, „ძალი უხილავი“ „რომაელთა მიმართ“-იდან (1, 20) მომდინარეობს. ალბათ ამ ადგილს გულისხმობს: „*εὐ εὐδὸς ἀσπίθ... ἢ τὴ εὐ εὐ εὐδὸς ἀσπίθ θύραμ*“ ნამდვილად უცნაური მტკიცებაა, მაგრამ სწორიც რომ იყოს, არაფრით იქნება უკეთესი, თუ „ძალი“-ს ერთარგნით „Power“-ით და არა „Might“-ით, როგორც რეცენზენტს სურს, ვინაიდან მკითხველი მაინც ვერ იგარძნობს ბიბლიის გამოცხადებას.

42. რეცენზენტი აცხადებს, რომ „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“ (792, 3) ანუ ჩვენს თარგმანში — „who has fixed creatures bounds“ — ასე უნდა გადავეყოლო: „who defines beings“ და საბუთოდ მოჰყავს ნემსიოსის ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. „საზღვარი“ აქ „განსაზღვრებას“ ნიშნავსო. მაგრამ თუ აქ „საზღვარს“ თანამდროვე მნიშვნელობა არა აქვს, რატომ არ აისახა იგი ამაღლემური გამოცემის რეკონსტრუქციის მიერ ხელთ არსებული მცირე მასალიდან ერთადერთი იაკა, რაც მხარს უჭერს რეცენზენტის თვალსაზრისს, არის გვაზავა-მარსელ-პაონის ევრსია. რა საჭიროა ნემსიოსის დამოწმება იმისათვის, რაც არ საჭიროებს რაიმე განმარტებას?

43. რეცენზენტის თანახმად, რუსთველის ღმრთი პიროვნულია, ბიბლიურ-ქრისტიანულია თავისი ხასიათით და არა პანთეისტურ-ნეოპლატონისტური და ამიტომ „ზის“ („ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“, 792, 3), რასაც ჩვენს თარგმანში „reign“ შეესაბამება, ზუსტი შესატყვისით უნდა გადაგვეტანა. ძნელია ამ არგუმენტის გაზიარება; ზნა „to reign“ არა ნაკლებ პიროვნულია თავისი ასოციაციებით, ვიდრე „to sit“ და ხშირად გამოიყენება ბიბლიაში ღმრთის მიმართ (მაგალითად, გამოსვლთა 15, 18; მიქაიას 4, 7; მეფეთა 16, 31; 29, 2; 19, 31; 29, 2; ფსალმუნნი 47, 8; 93, 1; 96, 10; 97, 1; 99, 1; ესაიაში 52, 7; გამოცხადება 11, 15; 19, 6). „Who sits as a God“ არ იქნება დახვეწილი ინგლისური გამოთქმა გარკვეული განვრცობის გარეშე.

44. აღნიშნულია, რომ „მაკაი“ (795, 3) ნიშნავს არა „brave man“-ს, როგორც თარგმანშია, არამედ „a man“-ს. „Brave man“-ს მხარს უჭერს ჩუბინაშვილის ლექსიკონის „*храбрый*“, მაგრამ ეს საკითხი თვორიტულად უნდა გადაწყდეს. პრაქტიკულად საკმაოდ ბევრი არაფერია: ლაპარაკია იმაზე, რომ მამაკაცი მზად უნდა იყოს გამოამყვანონ სიმტკიცე, რაც დაკავშირებულია გამბედაობასთან. შდრ. „Dispute it like a man“ — სიტყვები „მაკებთიდან“, დამოწმებულნი ამ სტატის პირველ ნაწილში. „It is the part of a brave man to endure grief uncomplainingly“ იმას გულისხმობს, რომ ღირსეული მამაკაცი გამოამყვანებას სიმტკიცეს, როცა საჭიროა. ალბათ „a man must be ready to endure sorrow at all times“ უკეთესი თარგმანი იქნებოდა.

45. რეცენზენტის თანახმად, „ყოფადა მქონდა ეამისად“ (801, 4), ხოლო ჩვენს თარგმანში „be assured I have found a grave before due time“ უნდა ითარგმნოს — „let me be with Time“, რადგან „Time“, არეოპაგატის თხზულებათა ერთ-ერთ პასაჟზე დაყრდნობით, ღვთის სახელად მიიჩნევა. აბულაძე თავის ლექსიკონში არ მოუთითებს, რომ „ეამი“ სადმე მაინც ღმერთს აღნიშნავს. არც აკადემიური გამოცემის რედაქტორები არ იძლევიან ლექსიკონში ამ სიტყვის ასეთ განმარტებას. ჩვენს მხრივ აღვნიშნავთ, რომ ეს მოსაზრება ძალზე სავსეოდ მივადინა. აქვე დაეძინოთ, რომ ინგლისურ ენაში „Time“ არ არის ცნობილი როგორც ღმერთის სახელი და ინგლისურენოვანი მკითხველისათვის „let me be with Time“ მოკლებული იქნება რაიმე აზრს.

46. რეცენზენტს მიანია, რომ ტაეპში „შენგან კიდევ არცნ მივის ცეცხლთა ჩემთა დამაცხებლად“ (804,4) ჭოჭოხეთის ცეცხლი იგულისხმება. უპირატესად ძნელია ამ თვალსაზრისის გაზიარება. ძალიან სარწმუნო არგუმენტებია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს იმ მეტაფორულ ცეცხლთან, რომელსაც პოემის თითქმის ყოველ გვერდზე ვხვდებით. რეცენზენტი ამბობს, რომ უორდროპმა ეს ადგილი სწორად გაიზარა, მაგრამ უორდროპის თარგმანში — „I have none save thee to quench the hot fires“ — არაფერია ისეთი, რომ ეს ცეცხლი რელატიურ რწმენას დაეკავშირებოთ. რეცენზენტი თვითონვე უარყოფს უორდროპის ვარაუდს, რომ აქ შესაძლოა საღვინებელზე არის მიმნიშნება. ამ ცეცხლის ვაცივებებს ჭოჭოხეთის ცეცხლთან რეცენზენტის ვარადა, ვვონებ, სხვა არავინ იზიარებს.

47. „გამზრდელი“ (807, 2) უნდა თარგმნილიყო სიტყვით „upbringer“, — აცხადებს რეცენზენტი. მართალია, უორდროპი ხმარობს „upbringer“-ს, მაგრამ ეს მის მიერ ნაწარმოები სიტყვაა და ასეთი რამ ინგლისურ ენაში არ მოიპოვება, თუმცა არის სიტყვა „upbringing“. წულობა და ორბელიანი ისეთსავე სიტყვას იყენებენ, როგორც ჩვენ — „maitre“. რეცენზენტი ამბობს, რომ „My dear lord“ მოკლებულია ინტიმურობას. ეს არაა მართალი და ისევე არის ინტიმური, როგორც როცა ამავე გამოთქმით „პამეტში“ პორაცით მიმართავს უფლისწულს (3, 2). ჩვენ ვიცით, ცხადია, რომ როსტევიანი დანტერესებული იყო ყრმა ავთანდილის აღზრდითა და ჩამოყალიბებით (63, 4).

რაც ჰუბერტის ბრწყინვალე გამოთქმას „Fürst, mir ein vater“ ვარკვეულ დამაჯერებლობას ანიჭებს. მაგრამ საკვირველია, როგორ არ იცის რეცენზენტმა, რომ კლასიკური პერიოდის ენაში „გამზრდელს“ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამის მაგალითი მოიპოვება „ამირანდარეჯანიანში“, როდესაც ინლთ მეფისადმი წერილში სავარსამიძე ამირანს თავის „გამზრდელად“ მოიხსენებს. ამირანი და სავარსამიძე ორივენი აშკარად თავიანთ მოწიფულ ასაკში იყვნენ, როდესაც თავდადისავალითა ვაზს დაადგნენ და ვერ ვივარაუდებთ, რომ ამბავან პირველი იმდენად უფროსი იყო, რომ მონაწილეთა ჰქონდა მიღებული მეორის აღზრდაში.

48. რეცენზენტი წერს, რომ „Who rulest“ საესებით ზედმეტია 809 სტროფის პირველი ტაეპის თარგმანში, მაგრამ სინამდვილეში ეს სიტყვები მომდევნო სტროფში გვაქვს გამოყენებული. 809, 1-ის („მაღალი ღმერთი, ზმელთა და ცათა“) თარგმანში — „Great God, ruler of earth and heaven“ რეცენზენტს ალბათ არ მოსწონს „ruler“, აქ საგარისია იმის თქმა, რომ მხატვრულობას და რიტმის მოთხოვნებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

49. რეცენზენტი აცხადებს, რომ „ეთილთა“ (809, 2) ჩვენს თარგმანში „შეცვლილია“ „blessing“-ით. რეცენზენტის ავტორი არც აქ ღალატობს თავის ბრალდებათა ბუნებას. „ეთილთა მზეთა“-ს ჩვენი შესატყვისი — „thou... sendest blessings“ საკმაოდ ზუსტად მიკვება სხვა მთარგმნელთა კვალს: „art ready to reward“ (უორდროპი), „Tu es toute bontr“ (წულაძე), „Heré barmhersigen Vergebens“ (ჰუბერტი), „du... Gutes erweist“ (ნეუკომი).

50. „უფალო უფლებათა“ (809, 3), ანუ ჩვენს თარგმანში „lord of righteousness“, რეცენზენტის თანახმად, ასე უნდა ითარგმნოს — „lord of lords“ ან როგორც უორდროპთანაა — „Lord of lordships“, რატომ რის სასუფელოზე — გაუგებარია, უბრალოდ, საკმაოდ უადგილოდ, დამოწმებულია ახალი აღთქმის ორი ადგილი (1. ტომ. 6, 15; ებრაელ. 17, 14), სადაც გვხვდება „Κεχαιουζωμ χωριουζωω“ (ანდა „xerouzou xerouzou“). ძნელია დაბეჭითებით იმის მტკიცება, რომ რუსთველის „უფალო უფლებათა“ უსათუოდ ამ ორ წყაროსთანაა დაკავშირებული. 809. 3-ს საკმაოდ სხვადასხვაგვარად იაზრებენ, ხოლო „lord of righteousness“ ემყარება „სამართლის“ და „Recht“-ის განმარტებას, შესაბამისად, ჩუბინაშვილისა და მაკელენის ლექსიკონებში (ორივესთან „უფლება“-სთან) და ნუტუბიძის თარგმანს — «права верною змудителю». ასეა თუ ისე, არ მივგანინია საჭიროდ აქ რაიმე ცვლილების შეტანა.

51. „წამ-წამ მობრუნდის, იაჯლის მისთვის მზისავე მზობასა“ ჩვენ ასე ვთარგმნეთ: „He kept turning round, praying that a gleam of his sun-fair lady's beauty might reach him“, რასაც რეცენზენტი მკაცრად აკრიტიკებს. თუ თინათინა აქ ნაგულისხმევი, როგორ შეძლებდაო მის ჰერეტას უდაბნოში მყოფი ავთანდილი, — კითხვობს იგი? მაგრამ რატომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გირი უკვე შორ მანძილზეა წასული? პოეტი მას გამეზავრების დასაწყისისას გვიჩვენებს, და თუ ავთანდილი კვლავ უკან იბრუნება, მაშასადამე, არაბეთის დღაქაქაქი ვერ კიდევ მოჩანს. რა შეიძლება იყოს კიდევ უფრო რუსთველური, ვიდრე ეს ჰიპერბოლა, რომელიც ქალის მომავალდებულ სილამაზეს შეიკავს? (მდრ. როგორ უჭირს ფატმას ნესტანის დამაღვა, 1143). ჩუბინაშვილი „მზისავე მზობასა“-ს თინათინასა და მის მშვენიერებას უკავშირებს (ლექსიკონი, „მზე“-სთან) და უორდროპიც მის კვალს მიჰყვება. ორბელიანი-იორდანიშვილი, გვაზავა-მარსელ-პაიანი, წულაძე და ნეუკომი აგრეთვე მიიჩნევენ, რომ აქ თინათინი იგულისხმება. ყოველი ამბავანი და ასევე დე ტროე და ჰუბერტი სიტყვას „მობრუნდის“ პირდაპირი გაგებით იაზრებენ.

52. რეცენზენტი ირწმუნება, რომ ჩვენს თარგმანში — „Ever and anon he would strive to steel himself to endure“ გამოტოვებულია დედნის („ზოგჯერ დაბრუნდის, ივრეტდის ღონედ პატოთა თმენისად“, 832, 3) ბოლო ოთხი სიტყვა. ეს არაა ასე. უბრალოდ, მთელი ტაეპი პერიფრაზით გვაქვს ვადატანილი, თუცა, „შესაძლოა, რამდენადმე თავისუფლადაც.

53. გამოთქმები „მზიანი ღამე“, „ეთი-არსება ერთი“ და „უეთმო ეთმი“ (836. 1—2) — გვიკეთნებს რეცენზენტი, — თარგმანში გამოტოვებულიაო. არ ვმალავთ, რომ აბსოლუტურად არ გვესმის „მზიანი ღამის“ აზრი. რაც შეეხება რეცენზენტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, მოსწონს ამ გამოთქმის შენარჩუნება უორდროპთან, მაგრამ არ თვლის საჭიროდ ავგისნას მისი მნიშვნელობა. ჩვენს თარგმანში „image of him who gives light even as the darkness“ წარმოადგენს ცდას აახულ იქნეს დედნის „ვინ ხატად ვთქვეს მზიანის ღამისად“ (836, 1). რეცენზენტის ვანცხადება, თითქოს უორდროპისა და ჩვენც გამოტოვებული გვაქვს დანარჩენი ორი გამოთქმა, მკითხველის დაბნევის ისახავს მიზნად, რადგან ჩვენთანაც და უორდროპთანაც აღნიშნული გამოთქმები თითქმის ერთი და იმავე სიტყვებითაა გადმოღებული: უორდროპთან — „... of Him who is One in unity of being and Everlasting“, ჩვენთან — „of him who is one in unity from everlasting to everlasting“. რეცენზენტის აზრით, ამ ტაეპის თარგმანში უნდა იყოს „homocousios“, მაგრამ ეს ბერძნული სიტყვა და არა ინგლისური. „Timeless Time“, რომელიც მას „უეთმო ეთმი“-ს შესატ-



ყვასად მიანიხი, ისევე უპრობო იქნებოდა ინგლისურენოვანი მკითხველსათვის, როგორც „sunny night“. „Everlasting to everlasting“ ნაცნობი გამოთქმა მაინც არის. არც ერთ თარგმანში, რაც კი ვაგონრქვით, ეს სტროფი არაა გააზრებული იმგვარად, როგორც რეცენზენტს მიანიხი სასტრუქულად, ანუ არაა გადატანილი ქრისტიანული თეოლოგიური გამოთქმებით.

54. რეცენზენტის მტკიცებით, „უთქმელი, ყურთავან მოუსმენელი“ (1250, 3) თეოლოგიური ტერმინებია და ისე უნდა ითარგმნოს, როგორც უორდრობთან — „unspeakable, unheard by airs“. „Unspeakable“-ის ნაცვლად, მისი აზრით, შეგვიძლია ვინმართი აგრეთვე „inaffable“. დავანებთ თავი იმის რკვევას, თეოლოგიურია თუ არა ზემოაღნიშნული სიტყვები. ის კი აშკარაა, რომ „ineffable“, რომელიც ჩვეულებრივ სასაუბრო ინგლისურ ენაში მხოლოდ თეოლოგიური შინაარსით იხმარება, აქ სასაცილო იქნებოდა, ხოლო „unspeakable“-ს აქვს არა ის შეფერხობა, რაც რეცენზენტს ჰქონია და მისი ჩვეულებრივი შინაარსი ასეთია — „წარმოუდგენლად ან გამოუთქმელად ცელი ან საძრახისი“ (ინგლისური ენის ოქსფორდის მცირე ლექსიკონი). „Unheard by ears“ ინგლისურენოვანთა არაა ბუნებრივი და ამდენად კომიკურად ეღერს.

55. „არ საქებელი სმენითა“ (917, 3). ხოლო ჩვენს თარგმანში — „thou art not to be praised by the mind“, რეცენზენტს თანახმად, ასე უნდა ითარგმნოს: „your praise is not to be heard by ears“. ასეთი ფორმულირება შეაცბუნებდა ინგლისურენოვან მკითხველს, ასე რომ ისევე ჩვენს გააზრებას ვეზმობით, უორდრობის, დე ლა ტორეს, ორბელიანი-იორდანიშვილის და ნუეკომის კვალად.

56. „შემოქმედს“ (1050, 1) არ შეესაბამება „Maker“, ვინაიდან ეს უკანასკნელი ღმერთის ნეოპლატონისტურ გაგებას უკავშირდება, — კვირიცის რეცენზენტი. თაობიდან თაობაზე ინგლისურენოვანი ქრისტიანებისათვის, მათ შორის მათთვის, ვისაც თავიანთი დღეში არ სმენიათ ნეოპლატონიზმი, მიხილიდან და საეკლესიო კრელოთა ფრაზიდან „maker of heaven and earth“ „Maker“ ყოველთვის იყო ღმერთის ცნობილი სინონიმი.

57. იქნებამ გამომდინარე, რომ „არსთა მხალსა“ (1050, 1) უსულო არსთაც გულისხმობს, რეცენზენტი არაუხსტად მიიჩნევს ჩვენს თარგმანს — „of every creature that breathes“. არა გეგონია ამ საკითხთან რაიმე საერთო ჰქონდეს რეცენზენტის მიერ თავის არგუმენტად „რომელთა მიმართ“-იდან დამოწმებულ იმ ადგილს, რომ ღმერთი „უქნის არაარსსა მას, ვითარცა არსსა“ (4, 17). აღზათ არ იქნებოდა ურთიო ასეთი ვარიანტი — „the maker of all things“, მაგრამ ვეაზავა-ზრკულ-პაონი და წულავე იმგვარადვე თარგმნიან ამ გამოთქმას, როგორც ჩვენ.

58. ტაეპში „ვისგან ძალნი ზეციურიანი განავებენ აქა ქმნადას“ (1052, 2) (ჩვენს თარგმანში — „by whose celestial power all that passes here below is decreed“) გამოთქმას „ძალნი ზეციურიანი“ რეცენზენტი უკავშირებს ფრაზას „მათეს სახარებდიან“ — „αἰσθηματικῶν ἐν τῷ οὐρανῷ“ (24, 29) და აცხადებს, რომ უნდა ვეთარგმნა ასე — „heavenly host“ ან სხვა ამგვარი სიტყვებით. არაა მთლად ცხადი, თუ რა ბუნებისაა „ძალნი ცათანი“, დამოწმებული „მათეს სახარებდიან“. მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა, რომ აქ ანგელოსები იგულისხმებიან, როგორც ეს რეცენზენტს მიანიხია, ვინაიდან მათზე, სრულად სხვაგვარად, მხოლოდ ორი პარაგრაფის შემდეგ არის ლაპარაკი. ასეა თუ ისე, ძნელია რაიმე კავშირის დანახვა სახარების ამ მონაკვეთს და „ძალნი ზეციურიანი“ შორის. გარდა ამისა, ამ ტაეპის ინტერპრეტაცია რეცენზენტის მიერ უცნაურად გამოჩურება თეოლოგიური თვალსაზრისითაც. ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომ აქ მხოლოდ საკუთრივ ღმერთის ძალა იგულისხმება და ამ მხრივ ჩვენს მხარეზეა ვეაზავა-მაიელ-პაონის, ბერძინის, წულაძის, პუპერტის და ორბელიანი-იორდანიშვილის თარგმანები.

59. რეცენზენტს არ მოსწონს, რომ „მოწვევადი“-ს (1050, 4) შესატყვისად ვეაქვს „destiny“, რომელიც თვითონ ქართულად ვადაექვს სიტყვით „ბედი“. მაგრამ ვარკვევით არ ამბობს, რა აქვს დასაქონი „destiny“-ს და მხოლოდ 13 სტრიქონის შემდეგ თვითონვე საბოლოოებით აიცილებს „მოწვევადი“-სა და „ბედს“. რამდენადაც ძნელი ვასარკვევია, თუ რაში ვედავება რეცენზენტი, ისედავეარჩენია, დავაქნით, რომ კვლავაც მოგეწონს ჩვენი თარგმანი. „the wise man has faith in the future“ სემანტიკურად ისევე მისაღები იქნებოდა, როგორც „the wise man accepts destiny“, მაგრამ ტლანქად, იმერტულად და უეფექტურად ეღერს.

60. „ხამს ყოვლისა დაჯერება“ (1054, 4) ჩვენ ასე ვადაველით: „All men must believe...“, რაც რეცენზენტს არ მოსწონს, რადგან არ ესმის, თუ რას ნიშნავს „believe“ ამ კონტექსტში.

ჩვენი შენიშვნები ფრაგმენტულია და ზოგჯერ არცთუ ძალიან დამაკმაყოფილებელი. ნაგრამ ერთბაშე ძნელია მრავალსიტყვაობის გარეშე, რაც უაღრესად მძულეველი იქნებოდა, სათანადო პასუხი ვასც ოცდაათნი ვეწინადავებ „შემდგომ ბრალდებას, სადაც მრავალ მონაკვეთად სხვადასხვა წყობით საკითხია განხილული, რომლებიც რეცენზენტის საკუთარ იდეებსა და თეორიებს უფრო ემდებება, ვიდრე სარეცენზიო წიგნს.

\* ინგლისურიდან თარგმნი ირაკლი კენჭოშვილიმ.

## НОВЫЙ ВКЛАД В ФИЛОЛОГИЧЕСКУЮ НАУКУ

(Монография И. В. Каладзе «Эпическое наследие Уисури»)

Вышедшая в Тбилиси книга Инги Владимировны Каладзе «Эпическое наследие Уисури» (изд-во «Мецниერბა», АН ГССР, 1983 г.) не может не привлечь к себе внимания всех интересующихся историей литературы.

Известно, что творчество фарсиязычного поэта первой половины XI в. Абу-ль Касема Уисури изучено крайне недостаточно: диван поэта сохранился лишь частично, а упоминаемые источниками три поэмы: «Вамек и Азра», «Шадбахр и Айнулхайят», «Белый кумир и Красный кумир» считались до недавнего времени утраченными — от них до нас дошли лишь отдельные бейты, разбросанные по старым толковым словарям, поэтическим трактатам и другим памятникам. Только в конце 30-х годов нашего столетия пакистанским ученым Мохаммадом Шафи был обнаружен довольно значительный (около 370 стихов) фрагмент из поэмы Уисури «Вамек и Азра», который был опубликован в 1967 году. Этот фрагмент дал возможность востоковедам ряда стран высказать некоторые предположения, касающиеся прежде всего сюжета поэмы и его источников, главным из которых называлась древняя греческая легенда о Гере и Леандре.

Однако не была предпринята попытка реконструировать поэму в целом, так же как и не были собраны и восстановлены стихи из двух других поэм Уисури с учетом данных всех источников.

Между тем реконструкция эпического наследия Уисури — одного из первых выдающихся фарсиязычных поэтов — имеет большое значение для выяснения важнейших проблем истории романтического эпоса иранских народов, позволяя более полно и дифференцированно представить эволюцию любовного эпоса, который развивался в условиях взаимодействия с героическими и дидактическими традициями, что наглядно прослеживается, прежде всего, в эпосе Фирдоуси «Шахнаме» (X в.) и уже в XI в. оформляется в самостоятельную жанровую поэтическую линию. Одновременно на основе историко-типологического подхода открывается перспектива установления жанровых вариантов ближне- и средневосточного рыцарского романа с его исторически конкретной бытовой и религиозной спецификой. Кроме того, изучение поэм Уисури позволяет расширить представления о путях историко-культурного взаимодействия народов, внутрирегиональных и межрегиональных литературных связях.

Автор рецензируемой монографии И. В. Каладзе строит свое исследование на основе критического изучения всего оказавшегося ей доступным материала о творчестве Уисури и тщательно проведенной ею реконструкции эпического наследия поэта. Пользуясь современными методами источникововедения и текстологии, автор предлагает критический текст этого наследия и, что представляется особенно важным для введения данного материала в научный оборот, его первый перевод на русский язык. Здесь же представлен специальный комментарий комплексного (текстологического, историко-филологического, литературоведческого) характера, где отдельные пункты развернуты в самостоятельные исследования.

Всесторонне прокомментированный перевод открывает путь в общетеоретические исследования, что особенно важно для уяснения истории литературных контактов, переплетения культурных традиций различных цивилизаций. Источниковедческо-текстологический аспект работы дополняет историко-типологический, в результате чего оказываются охваченными важнейшие вопросы, связанные с эпическим насле-



дием Унсури, и работа в целом предстает как комплексное историко-филологическое исследование, написанное в лучших традициях отечественной академической школы и характеризующееся как широтой привлечения источников, так и глубиной и скрупулезностью их изучения.

При этом следует отметить пристальное внимание автора не только к реалиям, раскрывающим влияние различных культур на поэмы Унсури, но и тщательный лингвистический анализ собственных имен, географических названий, поэтических образов и разного рода терминов. Таковы комментарии к словам: Азра, Адануш, Андарус (-Леандрос), Афрандже, барбат, Бехару (-Хару), Ганг, Кейус (-Хиос), Керунис (-Херсонес), Саманд; художественным образам: «камень без влаги», «крылатые муравьи», «петушинный глаз», «Рыба и Бык», «фиалка, взросшая на крови фазана», понятиям «равенство в любви»; истории племен кучев и белучев; поэтическому приему «скрытое объяснение» и т. д.

Наиболее интересным и подлинно новаторским воспринимается в работе характер разысканий в области истории литературных контактов. Новый материал, на котором строится монография, дает возможность значительно расширить не только текстологическую базу изучения эпического наследия Унсури, но и общий историко-культурный контекст исследования, к которому подключены традиции разных культурных миров — Греции, Индии, Ближнего и Среднего Востока (Иран, Турция, арабские страны), Закавказья. В этой связи особое внимание привлекают наблюдения автора при сопоставлении поэм Унсури «Шадбахр и Айнулхайат» и «Вамек и Азра» с классическими памятниками древнегрузинской литературы и историографии («Витязь в барсовой шкуре» Шота Руставели, оды Шавтели и Чахрухадзе, историческая хроника «История и восхваления венценосцев»), что позволяет внести много нового в проблему ирано-грузинских культурных связей.

В результате проведенных автором исследований с привлечением материала различных литератур вырисовывается общая картина развития эпического повествования в поэмах Унсури настолько, насколько позволяет современный уровень науки. Особенно подробно ход повествования прослеживается на примере поэмы «Вамек и Азра». На основе анализа реконструированного сюжета этой поэмы автору удается сделать важные для античной литературы выводы о том, что поэма Унсури, «воспроизводящая не только фабулу, но и развернутый сюжет античного т. н. эротического/софистического романа, повторяет всю типичную топку таких романов», вплоть до вводных эпизодов — легенд и дискуссий на сугубо греческие темы. Это обстоятельство в свою очередь позволяет автору заключить, что поэма «восходит к какому-то конкретному материалу, увеличивая тем самым скудное число сюжетов дошедших до нас античных романов». Предполагаемый первоисточник Унсури представляется несохранившимся в античной литературе романом, «в котором еще жива инерция исторической стилизации, присущая древним образам жанра, и в то же время уже намечена тенденция усиления софистики». Тип такого романа «должен был занимать промежуточное место между Харитоном и Ахиллом Татием».

Эти соображения автора подводят итог спору, начавшемуся еще в средние века о генезисе сюжета «Вамек и Азры». Рассматривая далее развитие сюжета Унсури в других литературах, И. В. Каладзе подробно освещает вызывавший долгое время спор вопрос о турецкой версии «Вамек и Азры» поэта Ламин (XVI в.). И в этом случае автор доказывает, что поэма Ламин значительно отличается от иранского «протипа».

Отличительные черты рецензируемой монографии — множество научных находок, новизна выводов и рабочих гипотез, насыщенность информацией, емкость и лаконичность стиля — способны увлечь специалистов: историков и литературоведов — античников и медиевистов.

И. В. БОРОЛИНА, В. Б. НИКИТИНА

(Институт стран Азии и Африки при Московском государственном университете им. М. В. Ломоносова)

## საქართველოში ნაწარმოები ტექსტის კვლევის რაოდენობრივი მეთოდის შესახებ

ი. ო რ ლ ვ ი, მ. ბ ო რ ო დ ა, ი. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ე ნ ა, ტ ე ქ ს ტ ი, ზ ე ლ ვ ე ნ ბ ა, რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი ა ნ ა ლ ი ზ ი, ქ. ბ ო ხ უ მ ი (გ ფ რ), 1982, ღ რ. ნ. ბ რ ო კ მ ა ი ე რ ი ს გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ბოხუმის დოქტორ ნ. ბროკმაიერის წამყვანწევრო გამოცემლობამ 1982 წელს გამოაქვეყნა კრებული კვანტიტატიური (რაოდენობრივი) ლინგვისტიკის დარგში: „მ ნ ა, ტ ე ქ ს ტ ი, ზ ე ლ ვ ე ნ ბ ა, რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი ა ნ ა ლ ი ზ ი“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანაშრომლების ი. ორლოვისა და ი. ნადარეიშვილის, აგრეთვე თბილისის ე. სარაგიშვილის ს.ხ. კონსერვატორიის უსთეტიკის კათედრის თანაშრომლის, მუსიკის თეორეტიკოსის მ. ბოროდას ავტორობით (Sprache, Text, Kunst. Quantitative Analyse von Iu. K. Orlov, M. G. Boroda, J. Š. Nadarejšvili, Studienverlag Dr. N. Brockmeyer, Bochum, 1982). კრებული შეიცავს ავტორების მიერ დამუშავებულ და გამოცემისათვის სპეციალურად შერჩეულ 14 სტატიას, რომელთაგან სამი დაწერილია რ. ჩიტაიშვილის, ზ. ვოლოშინის და ვ. ნადარეიშვილის თანაშრომლობით. ავტორების მიერ შერჩეული კვლევის ძირითადი სამი ობიექტი — მეტყველების პროცესი, ლიტერატურული ტექსტი და მუსიკალური ნაწარმოები — იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს ამა თუ იმ მოლაპარაკის, წერლისა თუ კომპოზიტორის გამოხატულობითი შესაძლებლობების რაოდენობრიობა.

საგულისხმოა ავტორების მიერ არჩეული პოზიცია — იმისათვის, რომ მივიღოთ აზრია-ნი, რეალური რიცხვები, ეს რიცხვები უნდა ახასიათებდნენ აზრთან, რეალურ ობიექტს. დღეს-დღეობით კვანტიტატიური ერთეულებით მხოლოდ მეტყველება შეიძლება იქნეს დახასიათებული. — აღნიშნავს ი. ორლოვი. ამ პოზიციის ამოსავალი წერტილი არის ფ. დე სოსიურის დებულება, რომ ენა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მეტყველების ინსტრუმენტს და პროდუქტს. ავტორი მიუთითებს უპირველეს ყოვლისა კვანტიტატიური მეთოდით ინდივიდუალური ტექსტის ანალიზის საჭიროებას, ანუ ისეთი ტექსტისა, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთადი წარმოების შედეგია და ერთგვარი აღქმისთვისაა გამოწვეული.

ამგვარი ანალიზის პრაქტიკაში ყველა ავტორი ერთ შედეგამდე მივიდა — ციფ-მანდელ-ზროტის ცნობილი კანონი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გრაფიკულ ორმაგი ლოგარითმული მასშტაბით სიტყვათა სიხშირის რაოდენობა აღინიშნება სწორი ხაზით, რომელიც გრაფიკის ლერძებისადმი ორმოცდახუთგონადუსიანი კუთხით არის დახრილი. სამართლიანია არა ნებისმიერი ლექსიკური ერთეულების არჩევანის, არამედ ცალკეული ვრცელი ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების მიმართ. ყოველთვის, როდესაც ავტორები იხილავდნენ არასრულ ტექსტს ანდა სხვადასხვა ტექსტის გაერთიანებას, გრაფიკის ხაზი ახრებოდა ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს (ყველაზე კარგად ეს კანონზომიერება სრულდება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე, როგორც შენიშნა ი. ნადარეიშვილმა). ამრიგად, ციფ-მანდელზროტის კანონი არის არა ენის, როგორც მთლიანი სიდიდის, კანონი (როგორც ეს აქამდე იყო მიღებული), არამედ ცალკეული მთლიანი აღქმისთვის გათვალისწინებული, მალორგანიზებული კომუნიკაციის კანონი. იქიდან გამომდინარე, რომ ციფ-მანდელზროტის კანონი სრულდება ცალკეულ ლიტერატურულ ტექსტებზე, ავტორებმა თაადგინეს მოულოდნელი შედეგი: ერთნაირი სიდიდის ნაწყვეტებიდან (აღებული სხვადასხვა სიდიდის ტექსტებიდან) უფრო მდიდარი სიტყვათა მარაგი შეინიშნება უფრო დიდი სიდიდის ტექსტიდან აღებულ ნაწყვეტში. დასკვნა შემოწმებულია ვრცელ აცდელ მასალაზე.

სიტყვათა მარაგის სიხშირის გამოთვლით და მასი თეორიული და ემპირიული ღირებულების შეფასების გზით ი. ნადარეიშვილმა დაამუშავა „ვეფხისტყაოსნის“ და კონსტანტინე

გამსახურდიას რომანების „დიდოსტატის მარჯვენას“, „დავით აღმაშენებლის“ ჯა მოთხრობა „ფოტოგრაფის“ ტექსტები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზის დროს ავტორმა შენიშნა, რომ პოემაში შედარებით იშვიათად გამოყენებული სიტყვები (რომლებიც მხოლოდ თითო-ჯერ გვხვდება მთელ პოემაში) ძირითადად განლაგებულია ტაქტის ბოლოს, ე. ი. ისეთ ადგილას, სადაც მკაფიოდაა გამოხატული რითმა და რიტმი. ხშირი ხმარების სიტყვები კი „გაურბიან“ ტაქტის ბოლო ადგილს. სიტყვები, რომლებიც გვხვდება საშუალო სიხშირით, განაწილებულია პოემის ლექსის ტაქტში სრულიად შემთხვევით.

მ. ბოროდის დიდი წინააღმდეგობა ხვდა წილად, ვინაიდან მუსიკალური ტექსტის ანალიზისათვის მას დასჭირდა მელოდიის ელემენტალური ერთეულის მოძებნა, და მის მიერ გამოყოფილი მელოდიის გამო ეს ერთეული — ფორმალური მოტივი (F მოტივი) არის მცირე ელემენტარული ერთეული ცვალებადი სიდიდით. მელოდიური ხაზის სეგმენტირება F მოტივებად მოლიანად განპირობებულია ამ ხაზის მეტრორიტმული სტრუქტურით. ზოგიერთი კვანტიტატური თვისებით F მოტივი უახლოვდება ლინგვისტურ ერთეულს — მარცვალს. F მოტივების სიხშირის მიხედვით მ. ბოროდამ განიხილა დიდი მასალა — პ. ჩაიკოვსკის რომანსები, მეხუთე სიმფონია, ი. ს. ბახის პრელუდიები, ლ. ფ. ბეთოვენის პირველი სიმფონია, ს. რახმანინოვის რომანსები, დ. შოსტაკოვიჩის მერვე ფუგა, ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ და სხვა.

საინტერესოა ცდა იქნა ჩატარებული ბ. ვოლოშინის და ი. ორლოვის მიყოფერწერაში ფერთა განაწილების ფართობის საკითხზე. ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საერთო ჯამში განზოგადებული ციფრ-მანდელბროტის კანონი ამ სფეროშიც მოქმედებს. ეს ფერთა განაწილებისა და დამკვირვებლის თვალის აპარატს შორის გარკვეული იდეალური კავშირის არსებობაზე მიუთითებს. საცდელ მასალად გამოყენებული იყო ლუვიტანის „მარადიული სიმშვიდე“, ა. კუინჯის „უკრაინული დამე“, ო. ჭიშკარიანის პლაკატი „იზარე, ჯერჯერ ქვეყანა“.

ზაზგასამელია ის ფაქტი, რომ თბილისელი მეცნიერების ეს ჯგუფი ტექსტს იხილავს როგორც ვრცელ ერთეულს, რომელიც კომუნიკაციურ კავშირს ამყარებს არა მარტო სიტყვის, არამედ მუსიკალური ბგერის და ფერწერული ელემენტის — ფერის მეშვეობით.

კრებულში წარმოდგენილია ლიტერატურული, მუსიკალური და ფერწერული ტექსტების კვანტიტატური ანალიზის ერთ-ერთი პირველ საშუალებათაგანი, რომელმაც უდიდესი დამსახურება და აღიარება მოიპოვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კრებულის გამოცემულმა პროფ. გ. ალტმანმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ დასავლეთში ტექსტის ანალიზის ასეთი მხარე აქამდე თითქმის სრულებით უცნობი იყო.



**ქ რ ი ნ ი კ ა ლ ა ი ნ ფ ო რ მ ა ნ ი ა**

**მ ე მ ხ ნ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ ი მ ს ტ ი ს ლ ა მ დ გ ე ნ კ ო მ ი ს ი ა შ ი \***

1979 წ. 30 ნომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1213; 1214; 1215; 1216; 1217; 1218; 1219 (პროექტა მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბერიძემ).

- 1213 მე უყურებდი, უპტრეტდი; თქუეს: «ამოდ გაეიხარენით, მაგრა ჩტენ აქა მოყუასანი უცხონი შეეყარენით, არცა რა ვიცით, ვინ ვინ ვართ ანუ სით მოვიარენით, და ქამს, ერთმანერთსა ამბავი ჩტენიცა უთხრათ ბარ ენით».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1206) შედარებით პროექტში შემდეგ ცვლილება: უყურებდი, უპტრეტდი (ვუყურებდი, ვუპტრეტდი), უთხრათ (ვუთხრათ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე ვუცქერდი, ვუპტრეტდი; მათ თქვეს: «საამოდ გაეიხარეთ, მაგრამ ჩვენ აქ უცხო ამხანაგები შეეყარეთ, არც რაიმე ვიცით, ვინ ვინ ვართ ან საიდან მოვდით, მართებულია, რომ ბარემ ერთმანეთს ჩვენი ამბავი ვუთხრათ (ენით)»

- 1214 მათ სხტათა მათი ამბავი თქტეს, ვითა მგზავრთა წესია; მონამან უთხრა: «ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია; მე მარგალიტსა მოგიმი, თქტენ ქტრიმი დაგითვისია, და ჩემი ამბავი ამბავთა თქტენთაგან უკეთესია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1207) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ჰე, ძმანო (ჰე ძმანო). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ სხეებმა თავიანთი ამბავი თქვეს, როგორც მგზავრების წესია; მონამ უთხრა: «ძმებო, ზეციური განგება (რაც მოხდა): მე მარგალიტს მოვიმი, თქვენ ფტეტი დაგითვისათ, ჩემი ამბავი თქვენს ამბავზე უკეთესია.

- 1215 მე ვარო მონა მეფისა მალღისა, ქაჯთა მფლობღისა; მათ მიხტდა ცემა სენისა, მათისა დამამკობღისა; მოგაქიქტდა შემწე ქტრივისა, შემწყუნარებელი ობღისა, და აწ შეილთა მისთა და მისი ზრღის, უკეთესი მშობღისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1208) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე ვარო ქაჯთა მფლობელის, დიდი მეფის მონა; მას შეეყარა სენი, მისი ბოლოს მომღები (მომავდინებელი): მოგვიკვდა ქვრივის შემწე, ობღის შემწყუნარებელი, ახლა მის შეილებს ზრღის მისი და, მშობელზე უკეთესი.

- 1215 დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოღია, ვისცა არ დაკოღს, ყმა მისი ვერავის დაუკოღია; მას უსხენ წურღილი ძმისწულღი: როსან და ერთი როღია, — და აწ იგი ქაჯეთს ჭელმწიფედ ქტე ზის, მარკმული სწოღია.

\* ვაჭრტლება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, №№ 3, 4; 1978, №№ 1, 2, 3, 4; 1979, №№ 1, 2, 3, 4; 1980, № 4; 1981, №№ 3, 4; 1982, №№ 1, 2, 3, 4; 1983, № 2.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1209) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილი: პირველ ტაეში უფრო მართებული იქნება მივიღოთ წაკითხვა: კლდე ვითა, ლოდია. ტაეპის აზრია: დულარდუხტი არის ქალი, მაგრამ კლდესავით, ლოდი.

გ. კარტოზია: ვითა ორივე სიტყვას ეკუთვნის. კლდე, ვითა ლოდია=ვითა კლდე, ვითა ლოდი. შდრ. მსგავსი გამოთქმა: მისთა სპათაცა ნუ დაჰყოც, ზროხათა, ვითა ვითა აო. ასეთ შემთხვევებში ვითა მეორე სიტყვას ეყვდლება. ამას მოწმობს და კვეშირიანი შესიტყვებები: მას ლომსა და ვითა გმირსა, ზაფრანად და ვითა სპეტად. ამიტომ მიიმის გადასმა საჭირო არ არის.

დაადგინეს: ტაეპის წაკითხვა უცვლელად დარჩეს.

მეორე ტაეპი რედაქციამ ახალქართულად ასე გადმოიღო: თვითონ თუ არ დაჰრის, მისი ყმა ვერავის დაუჭრია. ტაეპის აზრი რედაქციის წევრებს სხვადასხვანაირად ესმოთ:

ა. ბარამიძეს, ე. მეტრეველს, შ. ძიძიგურს: თვითონ დულარდუხტი თუ დაჰრის თავის ყმას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია მისი ყმა.

გ. კარტოზიასა და ც. კიკვიძეს: თვითონ დულარდუხტი თუ დაჰრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია დულარდუხტის ყმა.

o. გიგინეიშვილს: თვითონ დულარდუხტის ყმა თუ დაჰრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია დულარდუხტის ყმა.

ტაეპის შინაარსი: დულარდუხტი ქალია, მაგრამ (მტკიცე), როგორც კლდე და ლოდი, თვითონ თუ არ დაჰრის, მისი ყმა ვერავის დაუჭრია; მას ჰყავს მცირეწლოვანი ძისწულები: როსანი და როდია, — ახლა იგი ქაჭეთში ხელმწიფედ ზის, მორბეული ეწოდება (მორბეული).

1217 გუქსმა ამბავი, ზღუათ იქით სიყდილი დისა მათისა,

შეიჭირებდეს ვაზირნი, დაშალეს ქმნი ხალვათისა,

ვითა ვჰყადროთ დავსება პირისა, ვშელთა მნათისა?!

და როშაჲ მონაა, თავადი მონისა ბევრათასისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1210) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში რითმა უნდა გასწორდეს: თავადი მონისა ბევრისათისა (ასეა B12Sz-Sz). ბევრი ათი = მრავალზე მრავალი.

გ. კარტოზიას და ც. კიკვიძეს შესაძლებლად შეაჩინათ არაიდენტური რითმის დატოვება. ხელნაწერთა ჩვენება ამას უჭერს მხარს. გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ ბევრათასა ჩვეულებრივი გამოთქმაა „გტ“-ში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მონისა ბევრისათისა (წინააღმდეგნი —

გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

სტროფის შინაარსი: ვაგივთ ზღვის გაღმა მისი (დულარდუხტის) დის სიკვდილის ამბავი, წუხნდენ ვეზირები, მარტოობა მოშალეს (=შეიკრიბნენ), ხმელეთის მანათობელი პირისახის დავსება (ჩაჭრობა) როგორ ვუთხრათო?! როშეი მონაა (ვასალია), ათითასეული (მრავალი) ლაშქრის უფროსი.

1218 როშაჲ: ბრძანა: ამო-ცა-ვინ-მკლას, მე ტირილსა არ დავხტდები.

მინდროს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები.

შინა მოვალ შოებული, აღრე ზედა მოვესწრები.

და მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცა-ვჰყვებიო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1211) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როშაჲმა თქვა: «რომ მომკლან კიდევ, მე ტირილს (შეცხადებას) არ დავესწრები. მინდვრად წავალ, ვიმეკობრებ (ვიყაჩადებ), ნადავლით ავივსები, შინ დავბრუნდები გამდიდრებულად, მალე მოვესწრებ, მეფე დის დასატირებლად რომ წავა, წავყვები (წავყვები კიდევ)».

1219 გუტიხრა მისთა კელისათა: «წავალ, თანა წამომყვევით!»

წავტიტანა მონა ასი, ყუწელაკი მისგან რჩევით.

დღისით, მზისით ვმეკობრობდით, ლამეთაცა ვიყვნით თევით;

და დია ვლევით ქარავანი, ლარი ჩუენცენ გარდმოვდევით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1212) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში უპირატესობა უნდა მიეცეს წაკითხვას: ლამითაც ვიყვნით თნევით (ასეა A<sup>4</sup>-ში). თნევა-ს ქართულში სხვა მნიშვნელობებთან ერთად აქვს „მოწონების“ მნიშვნელობაც. ტაეპის აზრია: დღისით, მზისით ვმეკობრობდით და ლამითაც მოსაწონად ვიყავით.

ა. ბარამიძე: კონტექსტი აქ ლამის თევის (=ლამის ტენის) სასარგებლოდ მეტყველებს.

გ. კარტოზია: ამასთან ლამითაცა (დროის გაერმოებად) მოულოდნელა „ვტ“-ში უნდა ყოფილიყო: ლამითაცა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: ლამითაცა ვიყვნით თევით (წინააღმდეგი — ი. გიგინეიშვილი).

სტროფის შინაარსი: გვთხრობს თავის ხელქვეითებს: «მედივარ, თან წამომყვიცი!» წაგვიყოლა ასი მონა, ყველა მისგან დარჩეული. დღისით, მზისით ვმეკობრობდით (ყვარლობდით), ღამეებსაც ვთოვდით; ბევრი ქარავანი ვძარცვეთ, ლარი (საქონელი) ჩვენკენ გაღოვდევით.

#### 1979 წ. 7 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს სტროფები: 1220; 1221 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ); 1222; 1223; 1224; 1225; 1226; 1227 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. აკალიშვილმა, ლ. გუფუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. კობეიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1220 მინდორ-მინდორ მოვიდოდით ჩუენ ღამესა დია ბნელსა,  
 დღინ რამე სინათლენი გამოგუჩინდეს შუა ველსა;  
 ვთქვით, თუ: მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა კმელსა!  
 და დაბნულნი მივეცენით გონებასა ჩუენსა მსჯელსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1213) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მინდორ-მინდორ მოვიდოდით ძალიან ბნელი ღამით, შუა მინდორში რაღაც დიდი სინათლე გამოჩნდა; ვთქვით: ნუთუ მზეა, ზეციდან ხმელეთზე ჩამოსული! დაბნეულები მივეცენით ჩვენს დამბანჯველ ფიქრს.

1221 ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა თქვეს: არის მთწარეო;  
 მას დარაზმულთა მივმართეთ, ახლოსმცა ვნახეთ ბარეო!  
 შორს მოუარეთ, მივედით, შემოვადეგით გარეო;  
 და მით ნათლიდაღმა გამოვლა კმა, ჩუენი მოუბარეო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1214) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა მოუარეთ (მოგუარეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ზოგიერთებმა ვთქვით: ცისკრის ვარსკვლავიო; ზოგიერთებმა თქვეს: მთვარე არისო; მისკენ დარაზმულები წავედით, ბარემ ახლოს ვნახოთ! შორს მოგუარეთ, მივედით, გარს შემოვებეგეთ; იმ სინათლიდან გამოისმა ჩვენთან მოსაუბრე ხმა.

1222 გუთხრობა: ღვინ ხართ, ცხენოსანო? თქვენ სახლნი თქვენნი თქვენით;  
 გულანშართ მოციქული ქაქეთს მივალ, მერიდენით!  
 ესე გუთხრა, მოვადეგით, ალყად გარე მოვერტყენით,  
 და პირმზე რამე ცხენოსანი გავიცადეთ თბალით ჩუენით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1215) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გვითხრობა: ღვინ ხართ, ცხენოსანო? თქვენი სახელი თქვით; გულანშაროდან ქაქეთში მივდივარ მოციქული, მომერიდეთ! ეს (რომ) გავიგონეთ, შემოვადეგით, ალყად შემოვერტყეთ, ვინმე პირმზე ცხენოსანი დავინახეთ ჩვენი თვალთ.

1223 უპტირტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მეღვარებსა;  
 მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა;  
 ძტირ-ძტირად გუთხნებოდა სიტყუასა რასმე წყნარებსა,  
 და კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიზრისა სარებსა.

13. მ ა ც ე ნ, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1216) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა უპირატესი (ვეუპირატესო). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვეუპირატესო მანათობელ სახეს, ელვის მიღვებელს (გამომართომელს); მისი ციმციმი მზესავით ეფინებოდა არემარეს; ძვირად (ძენწად), მშვიდად გველაპარაკებოდა, კბილთაგან შუქი შეადგა გიშრის სარებს (=წამწამებს).

1224 კტლა ვეუბენით მას მზესა ტბილმოუბრითა ენითა.

არ მონა იყო, ტყუოდა, ჩტენ ესე შევიგენითა;

როშაქ შეატყო ქალობა, გუერდსა წაუდგა ცხენითა,

და აღარ გაუშვით, დაჰირვა ვაკადრეთ კელითა ჩტენითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1217) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა გაუშვით (გავეუშვით). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცულად დაისვა წერტილ-მძიმე.

სტროფის შინაარსი: კვავ ველაპარაკეთ იმ მზეს ტბილმოუბარი ენით. მონა (მოგმე) არ იყო, ტყუოდა, ჩვენ ამას მივხვდით; როშაქმა ქალობა შეატყო, გვერდით ამოუდგა ცხენით; აღარ გაუშვით, ხელით შეპყრობა შეგებდეთ.

1225 კტლა ვკითხვთ: გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელსა,

ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხუალ მანათობელი ბნელსა?»

მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა.

და რა საბრალოა გავსილი მთუარე, ჩანთქმული გუელისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1218) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში მართალი მომდევნო სიტყვის (საქმის) მსახუველი კი არ არის, არამედ სუბსტანტივია. ამიტომ უნდა შეიცვალოს პუნქტუაცია — ტაეპას შიგნით დაისვას მძიმე: გვითხარ მართალი, საქმე შენ მზებრ ნათელსა.

დაადგინეს: ტაეპის შიგნით დაისვას მძიმე.

ი. ვიგინიშვილი: დამაფიქრებელია ამავე ტაეპში შენ ნაცელსახელი.

გ. კარტოზია: აქ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივ შესიტყვებასთან უნდა ვექანდეს საქმე. შდრ. ჩემ გლახაიკსა, ჩემ ცოდვილისა. შდრ. აგრ. «გტ»-ში ანალოგიურა კონსტრუქცია — პირის სახელის ფუძის სახით წარმოდგენა დანართის წინ: ქტე დაუწინადაჲ საცოლდ როსან ცოტასა ყმისადა.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ისევ ვკითხვთ: გვითხარი სიმართლე, შენი, მზესავით ნათლის, ამბავი, ვისი ხარ, ვინ ხარ, სიიდან მოდინარ ბნელის მანათობელი? მან არაფერი გვითხრა, ცხელი ცრემლის წყარო გაუშვა (=ცხარე ცრემლებით ატირდა). რა საბრალოა (შესაბრალოსია) გავსებული მთუარე, გველის (გველესაპის) ჩანთქმული!

1226 არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი,

არა არ გვითხრა, ვინ იყო ან ვისგან ნამუხთაღავი;

ქუშ-ქუშად გატუბუნებოდა კუშტი, თავისა მკრძალავი,

და ვითა ასპიტი, მჭურეტელთა მისთა თუალითა მლაღავი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1219) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: არც რაიმე ცხადი ამბავი, არც რაიმე საიდუმლო. არაფერი არ გვითხრა, ვინ იყო ან ვის მიერ ნამუხთლევი; პირქუშად გველაპარაკებოდა მწყარალი, თავის დამალველი, როგორც ასპიტი, მის მჭურეტლეებთან თვალთ მებრძოლი (მომწყრესავი).

1227 როშაქ გტიბრძანა: «ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არსათქმელია,

აისი საქმე უცხოა, საამბობლადცა ძნელია;

ბედი მეფისა ჩტენისა არსთაგან სანატრელია,

და მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უღრო საკუბრეგლია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1220) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როშაქმა გვიბრძანა: «ნუ ჰკითხავთ, როგორც ჩანს, არ არის სათქმე-

ლი, ამისი საქმე არაჩვეულებრივია, საამბობლადაც ძნელი; ჩვენი მეფის ბედი ყველასგან შესუსტრია, იმიტომ რომ ღმერთი მას აძლევს, რაც (ყველაზე) უფრო საკვირველია (საოცარია).

#### 1970 წ. 14 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს სტროფები: 1228; 1229; 1230; 1231; 1232; 1233 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1228 ესე ღმერთსა მისაგებრელად მისად ჩუენთის მოუცია,  
მიუტანოთ არმაღანად, დაგებამდლებს მეტად დია.  
თუ დავმაღავთ, დავმელავენდებით, მეფე ჩუენი ამაყია,  
და პირველ — მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1221) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიუტანოთ (მიეუტანოთ).

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპში უკეთესია წაკითხვა: ნ უ დავმაღავთ, დავმელავენდებით.

ი. გიგინეიშვილი: მართალია. პროექტის წაკითხვა (თუ დავმაღავთ, მაშინ გავმელავენდებით) აზრობრივად გაუმართავია.

ც. კიკვიძე: თუ. დავმაღავთ რედაქციათა უმრავლესობაში იკითხება. ამავე დროს შინაარსობრივად გამართული წაკითხვაა: „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ის აზრია გატარებული, რომ ყოველი დაფარული ბოლოს მიანიც გამეღვენდება.

ე. მეტრეველი და გ. კარტოზია მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას.

დადაგენეს: დარჩეს წაკითხვა: თუ დავმაღავთ, დავმელავენდებით.

სტროფის შინაარსი: ეს მისთვის მისაგებრელად ღმერთის ჩვეულის მოუცია, ძღვნად მიეუყვანოთ, ძალიან დაგვიმადლებს. თუ დავმაღავთ, მხილებული ვიქნებით, ჩვენი მეფე ამაყია, ჯერ ერთი, მეფის წინაშე შევცოდებთ, მეორეც (თავისდათავად), დღღად საპირსცხვიწოა.

1229 მივემოწმენით, თათბირნი არ კიდე გავაკიდენით;  
დავბრუნდით, ჭაჭეთს მივმართეთ, მას წინა მოვეყიდენით,  
არცა რა ვჰკადრეთ ქელდაქელ. არცა თუ წაუეყიდენით;  
და იგი ტირს, დაწესა გულმდღურად ჩარცხის ცრემლისა კი დენით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1222) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით პირველი ტაეპის საირთომ სიტყვის მნიშვნელობა.

ც. კიკვიძის აზრით, კიდე გავაკიდენით პარონომაზიული გამოთქმა, სადაც კიდე = ნაირი. არ კიდე გავაკიდენით = შორს არ დაევირეთ.

ი. გიგინეიშვილიც პარონომაზიულ გამოთქმას ხედავს ტაეპში, ოღონდ უჭირობს, რომ კიდე=კიდევ. არ კიდე გავაკიდენით=არ გავაგრძელოთ, არ გავაყვალდეთ.

გ. კარტოზიას აზრით, კიდე ამ ტაეპში ნაწილაკია (=კი). გავაკიდენით კიდე (=ნა-პირი) ფუძისგანაა ნაწარმოები. არ კიდე გავაკიდენით = შორს კი არ დაევირეთ. ასევე აზრთა სხვაობა გამოიწვია მეოთხე ტაეპის შინაარსის გაგებაში.

ი. გიგინეიშვილის აზრით, კი ნაწილაკი ტაეპის პირველ ნაწილს ეკუთვნის: იგი კი ტირის, დაწეს რეცხავს...

გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ კი აქ დღევანდელი მნიშვნელობით არ იხმარება (შდრ. ვნახეთ სისხლისა კი დენით). ამდენად ტაეპის ახალქართულად გარდათქმისას მისი წინ გადატანა საჭირო არ არის. სწორად იტყვიან პროექტის ავტორები, როცა თარგმანში კი-ს უგულებელყოფენ.

ც. კიკვიძესაც გაუმართლებლად მიაჩნია კი-ს გადატანა ტაეპის პირველ ნაწილში.

ე. მეტრეველის აზრით, კი თავის ადგილას უნდა დარჩეს, მაგრამ შესაძლებელია იგი პირველ ნაწილშიც ვიხმაროთ: ის კი ტირის, დაწეს კი რეცხავს...

ი. გიგინეიშვილს კატეგორიულად შეუძლებლად მიაჩნია კი ნაწილაკის ტაეპის (=შერწყმული წინადადების) მეორე ნახევარში დატოვება.

ა. ბარამიძე მხარს უჭერს კი ნაწილაკის წინ დასმას.

სტროფის შინაარსი: დავეთანხმეთ, (ეს) რჩევა არ გავაგრძელოთ, დავბრუნდით, ქაჯეთში წავედით, (ქალს) წინ წავუძებით, არც რაიმე ვკადრეთ ნაუცბათევედ, არც წავეჩხუბეთ, ის კი ტირის, დაწვევებს ერემლის ღენით გულმდღღარედ რეცხავს.

- 1230 მე როშაქს ვკადრე: «გამიშეი კელა აღრე თქტენი მხლებელი; აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი». მან გამომიშვა, აწ საღმე ლარი მიც წასაღებელი, და თანა წავიტან, წა-ცა-ვალ მე მათი ზედამსწრებელია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1223) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ შესაბამე ტიპის შემდეგ მძიმის ნაცვლად დაიწერა წერტილ-ძიმე.

სტროფის შინაარსი: მე როშაქს ვუთხარი: «გამიშვი (და) კვლავ მალე გვახლენი; ახლა გულანშაროს ქალაქში მაქვს რაღაც საქმე; მან გამომიშვა, აწ საღლაღ განძეულობა მაქვს წასაღებ; თან წავიღებ, წავალ (და) მივუსწრებ კიდევაც.

- 1231 მთ კაცთა ღია ვამა ესე ამბავი მონისა, მე გავიგონე, შე-რე-შარა ნაკადი ერემლთა ფონისა, მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიციან ჩემისა ღონისა, და ცოტაი ღბინი მომეცა, მსგავსი ღრამისა წონისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1224) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ კაცებს ძალიან ესიაშვნათ მონის (მონათბრობი) ეს ამბავი, მე გავიგონე, ცრემლთა ნაკადი შემეშრა, მენიშნა, ჩემი შველის ყველა ნიშანი მეცნო, ცოტა შევბა ვერაძენი, ღრამის წონის ოდენი.

- 1232 მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დავსუი ჩემსა წინა, ვკითხე: «მითხარ, რას იტყოდო? გავგონება მეცა მინა». მან იგივე კელა მიამბო, რაც მუნით მომესმინა, და ამ ამბავმან გამაცოცხლა, სულმოზრძავი დამარჩინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1225) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოვიყვანე ის მონა, ჩემ წინ ახლო დავისვი, ვკითხე: «მითხარი, რას ამბობდო? მეც მინდა (მისი) მოსმენა». მან ისევე იგივე მიამბო, რაც იქიდან (=გარედან) მქონდა მოსმენილი, ამ ამბავმა გამაცოცხლა, სულმოზრძავი გამაცოცხლა.

- 1233 მე ორნი შავნი მონანი მყვანან საესენი გრძნებთია; უჩინოდ მოვლენ-წამოვლენ მათითა ჭელოვნებთია; მოვასხენ, ქაჯეთს გავგზავნენ, ვარქტუ, თუ: «ნუ დასდგებითა, და მაცნობეთ მისი ამბავი თქტენითა მოქმედებთია».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1226) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე მყავს გრძნეულეებით საესე ორი მონა; უჩინოდ წავლენ-წამოვლენ თავიანთი ხელოვნებით (მოხერხებით); მოვიყვანე, ქაჯეთში გავგზავნე, ვუთხარი: «ნუ დაუოვენდებით, მისი ამბავი მაცნობეთ თქვენი უნარიანობით».

#### 1980 წ. 4 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ვ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1234; 1235; 1236; 1237; 1238 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კენამემ, ბ. მისხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

- 1234 სამ ღლე მოვიდეს, მიამბეს, ფიხელა ებიჯა გზისადა; «მიუღუბრიაო მეფისა, ზღტას იქით წამავლისადა, ვერვის შეუდგამან საქურტლად თქალნი, მართ ვითა მზისადა, და ქტუ დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1227) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ პირველი ტაეპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასვა მძიმე, მეორე ტაეპის დასაწყისში კი მოშალა კუთხოვანი ბრწყყალები.

ა. ბარამიძემ რედაქციის წევრთა ყურადღება მიაქცია მეორე ტაეპში ვარიანტულ წაკითხვას — მ ე ფ ი ს ა დ (A'sy).

ბ. კარტოზია: რამდენადაც მ ე ფ ი ს ა-ს მოსდევს მსაზღვრელი სიტყვები (ზღუტს იქით წამაღლისადა), ნანათესაობითარ ვითარებებში მისი დასმა საპირო არ არის. მსკავს კონსტრუქციის ნანათესაობითარი ვითარებების უხმარებლობისათვის შდრ. გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა — მ ე ფ ი ს ა .

სტროფის შინაარსი: სამ დღეში მოვიდნენ, მამბეს, სწრაფად ევლოთ (ებიჯაო) გზაზე, მიუგვრიათო ზღვის იქით მიმავალი მეფისთვის, ვერაეის გაუმართავს (მისთვის) თვალი, როგორც მზისთვის, საცოლედ დაუწინადეთ (დაუნიშნავთ) მცირეწლოვანი ვაჟის როსინისათვის.

1235 როსინს შევრთოთო, — დულარდუბტს მეფესა უბრძანებია, —

ჯერთ ქორწინებდა არა მცალს, აჲ გული ცეცხლანდებია;

შემოვიქცევი, შევისძლობ, ვინ ცისა მზედ ნაქებიაო.

და ციხეს დაუსუამს, ხადუმი ერთაი უახლებია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1228) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როსინს შევრთოთო, — მეფე დულარდუბტს უთქვამს, — ჯერ ქორწინისთვის არ მცალია, ახლა (ჩემი) გული ცეცხლმოდებულა; რომ დაგვრუნდები, რძლად გავიხდი (მას), ვინც ცის მზედ არის ნაქებია. ციხესიმაგრეში დაუსვამს, ერთი ხადუმი (მსახური) მიუჩენია.

1236 ყოელი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია,

მით რომე გზა საპირო, მტერნი საომრად მზანია;

ქტე დაუყრა მოყმები, ვინც უფრო გულოვანია,

და დაეყოვნების: წასრულა, ჯერეთ ცოტაი ხანია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1229) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. ვიგინეიშვილი: მესამე ტაეპში მოყმები-ს ნაცვლად სხვადასხვა რედაქციის ბევრი ხელნაწერი მოყმენი ფორმას იცავს. ეს უფრო სწორია. ვ-ფუძიანი სახელების ებიან მრავლობითში ორი ე არის მოსალოდნელი. ტაეპი უნდა გასწორდეს: ქტე დაუყრა იან მოყმენი, ვინც უფრო გულოვანია. შედგენილი შემსამენლის სახელური ნაწილი რომ მხოლოობითა (გულოვანია) და არა მრავლობითში, რითმის საპირობით აიხსნება.

ბ. კარტოზია: ვ-ფუძიანი სახელების ებიან მრავლობითში ფუძისეული ე-ს მოკვეცა, რაც ძველ ქართულში უხვად დასტურდება, „ეტ“-ისთვისაც ჩვეულებრივი მოგუნაა. ამასთან, გულოვანია ფორმა მოყმე ფუძის ებიან მრავლობის გულისხმობს მხოლოდ. ტაეპს შესწორება არ სჭირდება.

დაადგინეს: შეიცვალოს ტაეპის წაკითხვა — ქტე დაუყრა იან მოყმენი... (წინა-აღმდეგი — ბ. კარტოზია).

ა. ბარამიძე: მეოთხე ტაეპში ჯერეთ ფორმის ნაცვლად რიგი ხელნაწერა ჯერეთ-ოს კითხულობს. ეს უფრო სწორი წაკითხვა ჩანს.

რედაქციამ არ მიიღო ეს წინადადება.

სტროფის შინაარსი: გრძნების მცოდნე ყველა თან წაუყვანია, იმიტომ რომ სახიფათო გზა არის, მტრები საომრად მზად არიან; (ქალაქში) დაუტოვებია მოყმეები, ვინც უფრო მამაცია, დაგვიანდება: ჯერ ცოტა ხანია, რაც წასულა.

1237 ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:

ქალაქსა შიგან მავარი კლდე მალაღი და გრძელია,

მას კლდეცა შუა გუბირაბი, ასაძრომელი ქტრელია,

და მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწუტელია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1230) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



სტროფის შინაარსი: ქაჯების ქალაქი აქამდე (დღემდე) მტრებისგან უბრალოდ ცხლად დარჩენილი ღაჯის შიგნით მაღალი და გრძელი კლდეა, იმ კლდეში არის გვირაბი, ასაძვრობი ხერელი, იქ იმყოფება მნათობი (ქალი), მის შემყრელთა (შემხედველთა) დამწველი.

1238 გურიანის კარსა ნიდაგ მოყმე სცავს არ პირანსები,  
ათი ათასი ჰაბუკი ღვას, უტელაკიი ხასები,  
ქალაქის კართა სამთავე — სამათას-სამათასები.  
და გულო, გაგსაჟა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ებიჟა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1231) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
სტროფის ბოლოს მოიშალა კუთხოვანი ბრწყალები. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ  
ქნა.

სტროფის შინაარსი: გვირაბის კარს მუდამ კარგი (არა ცუდი შესახედობის) მოყმეები ღარაჟობენ, ათი ათასი მეომარი ღვას, ყველა რჩეული, ქალაქის სამთვე კართან — სამათას-სამათასი. გულო, გაგტანჯა წუთისოფელმა, ვეგლახ, არ ვიცი, რას მიბმიხარ (ამ წუთისოფელს)!“.

### 1950 წ. 11 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1239; 1240 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1239 ესე ამბავი ავთანდილ პირმზემან, მაგარეადამან.  
რა მოისმინა, ეამა, სხვად არა გაუცხაულა მან,  
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანაბადამან;  
და „ამბავი ჩემი სალხინო მითხრაო ეისმანდა დამან!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1232) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: მეორე ტაქში ყველა ხელნაწერი კითხულობს იაშა-ს. ეს უნდა იყოს სწორი წაკითხვა. სტროფში სუბიექტთან (ავთანდილი) შეწყობილი ყველა დანარჩენი ზმნა გარდამავალია (მოისმინა, გაუცხადა, შესწირა). ასევე გარდამავალი ზმნა უნდა გვექონდეს ამ შემთხვევაშიც: იაშა მან ესე ამბავი.

გ. კარტოზია: „ეფიხოსტყაოსნის“ ხელნაწერებში ეს კომპლექსი ჩვეულებრივ ია-თია გადმოცემული. ამიტომ ხელნაწერთა ჩვენება არ გამოდგება ეაშა ფორმის უკუსავდებად, რომელიც კონტექსტს მშვენიერად ეგუება. უნდა დარჩეს გამოცემებში დამკვიდრებული წაკითხვა (ეამა).

შ. ძიძიგური: ინვერსიული ეაშა საესებით ბუნებრივია გარდამავალ ზმნათა პერობლობაში. სხვა ზმნათა ანალოგია არ არის საქმარისი იმისათვის, რომ იაშა ფორმას მიეცეს უპირატესობა.

ე. მეტრეველი: ვფიქრობ, ხელნაწერთა ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ძირითად ტექსტში იაშა უნდა მივიღოთ.

ც. კიკვიძე: გადაწყვეტილ არაფრის თქმა შეიძლება. შინაარსობრივად ორივე ფორმა (ეამა/იაშა) დასაშვებია.

ს. ცაიშვილი: კონტექსტით საესებით ბუნებრივია ინვერსიული ეაშა, ამიტომ ტექსტის შეცვლის საფუძველი არ არის.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა: ეაშა (წინააღმდეგინ — ი. გვიგინიშვილი, ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: ეს ამბავი პირმზე, მაგარეადა (=მაგარეადიანი ხმლის პატრონმა) ავთანდილმა რომ მოისმინა, გაუხარდა, სხვაფრივ არაფერი გაუმზილა (ფატმანს), ღმერთს მადლობა შესწირა მშვენიერმა (ვინც მშვენიერი დაიბადა): „ჩემი სასიხარულო ამბავი ვილა-ცამ (ვილაცის დამ) მითხრაო!“.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამო-სავლინებლად 1984 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად დეკემბერში ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით), აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტაჟიორ-მკვლევრები, ასპირანტები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს;

ბ) საინისტროებს, უწყებებს;

ვ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომელნიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებული არიან არა უგვიანეს ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედლის პრემიითურთ მოსაპოვებლად“ წარმოადგინოს:

ა) მითითებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიახებას;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამოგონების მასალები 3 ეგზემპლარად;

გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამოგონებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინას მისამართი). ცნობები ტელეფონით: 93-29-86, 93-88-89.

## ახალი წიგნები

ბამოცემლობა „მეცნიერება“

**იოსებ ღორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი.**

რედაქტორი რ. ბერიძე.

მონოგრაფია წარმოადგენს ცდას საქართველოს სახალხო პოეტის ი. გრიშაშვილის უმდიდრესი პირადი არქივის საგულდაგულო შესწავლის საფუძველზე საზოგადოებას წარმოუდგინოს მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორატული წარმომადგენლის ცხოვრებისა და შექოქემელებისა.

წიგნი მდიდარია ფაქტობრივი მასალით, დაწერილია პოპულარულად და განკუთვნილია არა მარტო სპეციალისტთათვის, არამედ ეროვნული პოეტური კულტურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვისაც.

186 გვ., ფასი 1 მან 20 კაპ., ტირაჟი 8500.

**მამუკა შეღვეგია. კონსტანტინე ღორთქიფანიძის პროზა.**

რედაქტორები: ტ. კვანჭილაშვილი, თ. ჭაგოღანიშვილი.

ნაშრომი წარმოადგენს ცდას, წარმოაჩინოს თანამედროვე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის კ. ღორთქიფანიძის ნაწარმოებთა მხატვრული სამყაროს ის თავისებურებანი, ის ხერხები და საშუალებანი, რომლებიც ორიგინალობასა და თავისთავადობას ანიჭებს მწერლის შემოქმედებას.

წიგნი განკუთვნილია როგორც ფილოლოგებისათვის, ისე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

143 გვ., ფასი 1 მან. 10 კაპ., ტირაჟი 3500.

ანდრო მირიაანაშვილი, ლევან გო-  
თუა (ცხოვრება და შემოქმედება).

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ნაშრომში მონოგრაფიულად შესწავლილია ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლის ლევან გოთუას ცხოვრების გზა და კრიტიკულად გაანალიზებულია მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მოთხრობების, რომანების, პიესების, საისტორიო-მეცნიერული და მხატვრული ნარკვევების, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების ყოველმხრივ განხილვა-შეფასების საფუძველზე გარკვეულია მწერლის ადგილი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

წიგნი განკუთვნილია ლიტერატურის სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

138 გვ., ფასი 95 კაპ., ტირაჟი 8000.

ზვიად გამსახურდია. «გეფხისტყაოსანი» ინგლისურ ენაზე.

რედაქტორი ს. ცაიშვილი.

ნაშრომში მოცემულია ცდა «გეფხისტყაოსანი» ინგლისური (ფორდროპის, ურუშაძის, სტივენსონისა და ვიკონის) თარგმანების მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლისა.

მონოგრაფია მიზნად ისახავს აგრეთვე რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგადრთა ისეთი საკითხის გარკვევას, რომელთათვისაც მანამდის სათანადო ყურადღება არ დაუთმიათ მკვლევრებს.

ნაშრომში განხილულია პოემაში ნახმარა ზოგიერთი რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი და შედარებულია დენის ტექსტა ინგლისურ თარგმანთან. აქ მოცემულია ახლებური გაგება პოემაში ნახმარი ზოგი ტერმინისა, შეტანილია დაზუსტებანი პოემის ზოგი ადგილის წაკითხვაში.

მონოგრაფია მიზნად ისახავს ნათელყოფას იმისას, თუ რამდენად არის წარმოდგენილი რუსთველი, როგორც პოეტი-მოაზროვნე, ინგლისურ თარგმანებში და რამდენად სწორი წარმოდგენა შეექმნება უცხოელ მკითხველს მის მსოფლმხედველობაზე. «გეფხისტყაოსანში» არის გამოთქმები, რომელთაც დღემდე არ განიხილავენ როგორც ტერმინებს, ხოლო ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით შემუშავდა მცდარი წარმოდგენები. ნაშრომის მიზანია მკითხველს ასეთი ტერმინის ანალიზი პარალელური საილუსტრაციო მასალის ჩვენებით.

222 გვ., ფასი 1 მან. 80 კაპ., ტირაჟი 1500.

გივი მიქაძე, ფსევდონიმებს ლექსიკონი.  
რედაქტორი ს. ხაღურაი.

ქართული კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზროვნების გახეითარების შემსწავლელთა გარკვეულ სიხველეს უქმნის ის გარკვევა, რომ ძველ წიგნებში, ყურანლ-გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ თხზულებებსა და სტატიებს ავტორები ხშირად ფსევდონიმ-კრიპტონიმებს აწერდნენ, ხოლო ამ ფსევდონიმური ხელმოწერების საცემოდ მდიდარი ნაწილი ჯერ კიდევ გაუხსნელი და უცნობია.

აღნიშნული ნაშრომი დეხმარება ყველას, ვინც იმუშავებს ჩვენი მდიდარი წარსულის შესასწავლად.

138 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 13 000.

ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი.

რედაქტორი თ. გამყრელიძე.

«შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი» წარმოადგენს ანბანურ რიგზე გაწყობილ სტატიათა კრებულს, სადაც მოცემულია აუცილებელი ცნობები შუმერულ-აქადური მითოსის, ებოსის, ჰიმნების და სხვა რელიგიური ხასიათის თხზულებათა პერსონაჟებზე, როგორც არიან ღმერთები, ლეთიერი ან ზღაპრულ-მითოლოგიური არსებანი, ლეგენდალური და მითოსური ნიშნებით შემკული ადამიანები, მითოსური ასპექტით წარმოსახული ადგილები (ქალაქები თუ ქვეყნები).

«ლექსიკონისათვის» მასალა ამოკრებილია პირველწარბებიდან — შუმერულ და აქადურ ენოვანი ტექსტებიდან.

«ლექსიკონი» განკუთვნილია ქველი ხალხების კულტურით დაინტერესებული მკითხველთათვის.

60 გვ., ფასი 55 კაპ., ტირაჟი 7000.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე.

სარედაქციო კოლეგია: შუქია აფრიდონიძე (მთ. რედაქტორი), თამარ ზურაბიანიძე, ანა კალანდიაძე, ლია ლეჟავა (მდივანი), ქეთევან ლომოთიძე, როგნედა დამბაშიძე, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ კიბაშვილი.

«ქართული სიტყვის კულტურის საკითხების» მეექვსე წიგნი იბეჭდება წერილები ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, მართლწერისა და სტილისტიკის იმ საკითხების შესახებ, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისა და მათი დანერგვა-დაცვის თვალსაზრისით.

354 გვ., ფასი 2 მან. 70 კაპ., ტირაჟი 5000.